


გიორგი თუმანიშვილი



სისხლის სამართლის პროცესი
ზოგადი ნაწილის მიმოხილვა

გიორგი თუმანიშვილი

**სისხლის სამართლის
პროცესი**

ზოგადი ნაწილის მიმოხილვა

თბილისი, 2014
გამომცემლობა „იურისტების სამყარო“



GIORGI TUMANISHVILI

STRAFPROZESS

Grundriss des Allgemeinen Teils

TBILISI, 2014

PUBLISHING HOUSE „LAWYERS WORLD“



ნიგნი გამოიცა საერთაშორისო სამართლებრივი
თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ)
ფინანსური მხარდაჭერით.

Dieses Buch wurde mit finanzieller Unterstützung der Deutschen
Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V.
(IRZ) verlegt.

რედაქტორი

გიორგი გიორგაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის იურიდიული ფაკულტეტის
დოქტორანტი,

ამერიკის იურისტთა ასოციაციის
„სერთიფიცირებული ტრენერი
სისხლის სამართლის პროცესში“ -
ექსპერტი

ყველა უფლება დაცულია. ამ ნიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი,
ფოტო-ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება
ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტო-
რის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

© გიორგი თუმანიშვილი, 2014

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2014



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;

<https://www.facebook.com/PublishingHouseLawyersWorld>

ISBN 978-9941-9354-4-2

ექლავნება

კროფუნსორ რევაზ გოგუელიძის

ნათელ ხსოვნას

წინათქმა

უკანასკნელ წლებში საქართველომ ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე არაერთი დემოკრატიული რეფორმა განახორციელა, მათ შორის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში. „ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში“ საქართველოს ჩართვის შემდეგ, იგი გამუდმებით ცდილობს დაუახლოვოს საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირის ნორმებს და სტანდარტებს. ამ მხრივ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური უფლებების დამცველი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, რაშიც სასამართლო სისტემის რეფორმირებასთან ერთად სისხლის სამართლის საპროცესო ინსტიტუტების ახლებურად განსაზღვრაც მოიაზრება. რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიულობის მნიშვნელოვან საზომ ინსტრუმენტს, დღის წესრიგში დადგა ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანამედროვე, ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული საპროცესო კანონმდებლობით ჩანაცვლება. ამ მიზნით შემუშავებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რამდენიმე პროექტი. თავდაპირველად შემუშავებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი, რომელიც ახლოს იდგა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან და კარგად პასუხობდა ევროპულ სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, განმეორებით მოხდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის შემუშავება, რომელიც განსხვავებით წინა პროექტისგან, ორიენტირებულია ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე და ამდენად იზიარებს ე.წ. „ადვერსატორული“, „მხარეთა“ პროცესის ტრადიციებს. კანონმდებელმა 2009 წლის 9 ოქტომბერს მიიღო ეს უკანასკნელი პროექტი, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბერს.

ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს საფუძვლად უდევს ისეთი პრინციპები, როგორებიცაა სამართლიანი

პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევა, სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა და სხვ. კოდექსის სიახლეს წარმოადგენს „ბრალდებულის“ ერთიანი დეფინიციის ჩამოყალიბება და ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის დანერგვა და მისი ალტერნატიული ფორმების განვითარება (განრიდება, მედიაცია), ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის შემოღება, გამოძიების ეტაპზე გამომძიებლისთვის ან პროკურორისთვის მოწმის მიერ ჩვენების მიცემის სავალდებულობის გაუქმება, დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის ახლებურად განსაზღვრა. კოდექსის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე მტკიცებითი სტანდარტების დანერგვა და მტკიცებულებების დასაშვებობის ახლებური კრიტერიუმების დადგენა.

აღნიშნული სახელმძღვანელო წარმოადგენს იმ სასწავლო/სალექციო მასალის გადაამუშავებულ და განვრცობილ ვარიანტს, რომელსაც 2010 წლიდან მოყოლებული დღემდე ამონარიდების სახით ვაძლევდი ჩემს სტუდენტებს, რაც მათ ნაწილობრივად უწევდა დახმარებას სისხლის სამართლის პროცესის სასწავლო კურსის გავლაში და ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ინსტიტუტების შესწავლაში. სასწავლო მასალა ვრცელდებოდა ელექტრონულად სხვადასხვა ვებგვერდების მეშვეობით და ამდენად, იგი ხელმისაწვდომი იყო სტუდენტების ფართო წრისთვის. სახელმძღვანელო სთავაზობს მკითხველს სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვას. მასში მიმოხილულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებზეც თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის პროცესი ბაზირებს. სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პოლიცია არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეს, სახელმძღვანელოში გარკვეული ადგილი მაინც აქვს დათმობილი პოლიციის როლს სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს, რომლებიც გადაინ სისხლის სამართლის პროცესის სალექციო კურსს, გააჩ-

ნდეთ მინიმალური ინფორმაცია პოლიციის ამოცანებისა და ფუნქციის შესახებ. სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მტკიცებითი სამართლის ძირითად ასპექტებზე. მასში გადმოცემულია თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში განვითარებული ის ძირითადი თეორიები, რომლებიც გამოიყენება მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაჭრისას. მიმოხილულია აგრეთვე ის ცალკეული შემთხვევები, სადაც სადავო და პრობლემატურია მოპოვებული მტკიცებულებათა ბედის გადაწყვეტა. რამდენადაც მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მტკიცებულებათა დასაშვებობის ნაწილში იყენებს აშშ-ს სისხლის საპროცესო სამართალში განვითარებულ წესებს, საკითხზე მსჯელობისას გამოყენებულია აშშ-ს სასამართლო პრაქტიკა. სახელმძღვანელოში სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით გაანალიზებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტის, ამერიკის იურისტთა ასოციაციის „სერთიფიცირებულ ტრენერს სისხლის სამართლის პროცესში“ - ექსპერტ ბატონ გიორგი გიორგაძის (რედაქტორი) მიმართ, რომლის მიერ გამოთქმულმა კრიტიკულმა მოსაზრებებმა, საინტერესო შენიშვნებმა და წინადადებებმა ხელი შეუწყო სახელმძღვანელოს სრულყოფას.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქ. მარნეულის რაიონული პროკურატურის რაიონული პროკურორის მოადგილეს ბატონ, ელიზბარ გოგრიჭიანს სისხლის სამართლის პროცესის აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე საინტერესო დისკუსიებისთვის, პრაქტიკული რჩევებისა და გასაზიარებელი წინადადებებისთვის.

გულწრფელი მადლიერება მინდა გამოვხატო საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდისა (IRZ) და საქართველოში მისი კოორდინატორის, ბატონ სულხან გამყრელიძის მიმართ, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც მოხდა ამ სახელმძღვანელოს გამოცემა.

მიუხედავად სახელმძღვანელოს მომზადებაზე განეული ძალისხმევისა, იგი მაინც ვერ იქნება დაზღვეული გარკვეული

ხარვეზებისგან. მოხარული ვიქნები, თუ მკითხველი სახელმძღ-
ვანელოს წაიკითხავს კრიტიკული თვალით და მასში განხილუ-
ლი საკითხების ირგვლივ გამიზიარებს საკუთარ კრიტიკულ მო-
საზრებებს და შენიშვნებს, ასევე მომანდის საინტერესო წინა-
დადებებს მომდევნო გამოცემის სრულყოფისთვის (ელფოსტა:
gtumanishvili@gmail.com).

სახელმძღვანელოში გამოყენებული ნორმატიული მასალა
გათვალისწინებულია 2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით.

გიორგი თუშანიშვილი, LL.M. (Berlin)

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
თბილისი, 2014 წლის სექტემბერი

VORWORT

Auf dem Weg zur Europäisierung Georgiens wurden in den letzten Jahren umfassende Reformen durchgeführt. Besonders hervorzuheben ist die Reform im Bereich der Strafjustiz. Im Rahmen der Europäischen Nachbarschaftspolitik (ENP) ist Georgien bestrebt, die nationale Gesetzgebung an die Normen und Standards der EU anzugleichen. In dieser Hinsicht ist die Stärkung der menschenrechtsschützenden Institute und demokratischen Institutionen nach den Maßgaben der ENP unerlässlich, was neben der Reform der Strafjustiz auch die Neufassung der strafprozessualen Normen erfordert. Denn gerade das Strafverfahrensrecht ist der Seismograph der Staatsverfassung. Daher bestand für den Gesetzgeber die Herausforderung, den alten Strafverfahrenskodex durch eine moderne, an den Menschenrechten orientierte strafprozessuale Gesetzgebung zu ersetzen. Zu diesem Zweck wurden einige Entwürfe (von 2004 und 2009) des Strafprozesskodexes erarbeitet. Einer dieser Entwürfe orientierte sich am in kontinentaleuropäischen Ländern geltenden Strafprozessrecht und entsprach bereits europäischen Standards. Es wurde jedoch ein weiterer Entwurf erarbeitet, der im Unterschied zu Ersterem im Wesentlichen das im anglo-amerikanischen Rechtsraum geltende Strafprozessrecht zum Vorbild hatte und daher weitgehend eine Rechtstradition des „adversatorischen“ Prozesses oder auch Parteiprozesses widerspiegelt. Der Gesetzesentwurf wurde vom georgischen Gesetzgeber am 9. Oktober 2009 verabschiedet und trat am 1. Oktober 2010 in Kraft.

Dem geltenden georgischen Strafverfahrenskodex liegen einige Verfahrensprinzipien zugrunde, wie z.B. das Gebot eines fairen Verfahrens, Beschleunigungsgebot, Waffengleichheit der Prozessparteien, Verhandlungsgrundsatz, Grundsätze der Unmittelbarkeit und Mündlichkeit, oder das Opportunitätsprinzip. Die gesetzlichen Neuerungen umfassen unter anderem folgendes: Einführung des allgemeinen Beschuldigtenbegriffs; Verbesserung der Rechtsstellung von Beschuldigten sowie Neubestimmung der Rechtsstellung des Verletzten; Einführung der Ermessensentscheidung der Staatsanwaltschaft über die Einleitung der Strafverfolgung; Einführung alternativer Formen der Strafverfolgung wie Diversion und Mediation; das Institut des Geschworenengerichts wurde neu geschaffen; Abschaffung der Aussagepflicht für Zeugen, vor Ermittlungsbeamten oder der Staatsanwaltschaft während des Ermittlungsverfahrens. Eine wichtige Innovation des Strafprozesskodexes ist

die Einführung von Beweisstandards und die Neubestimmung der Beweisverwertungsregeln.

Dieses Lehrbuch stellt eine neu bearbeitete und erweiterte Variante der Lehr- und Vorlesungsmaterialien dar, die ich seit 2010 meinen Studierenden auszugsartig bot. Sie haben ihnen bei der Teilnahme am Lehrprogramm des Strafverfahrensrechts und beim Studium der einzelnen Institute des neuen Strafprozesskodexes geholfen. Die Lehrmaterialien wurden elektronisch über verschiedene Internetseiten verbreitet und waren daher einem weiten Kreis Studierender zugänglich.

Das Lehrbuch bietet dem Leser einen Grundriss des Allgemeinen Teils des Strafverfahrensrechts. Es geht dabei auf die wesentlichen Prinzipien ein, auf denen das gegenwärtige georgische Strafverfahrensrecht basiert. Besondere Aufmerksamkeit widmet das Lehrbuch den Verfahrensbeteiligten. Obwohl die Polizei nach dem Strafprozesskodex keinen Verfahrensbeteiligten darstellt, wird die Rolle der Polizei im Rahmen des Strafverfahrens im Lehrbuch in Grundzügen behandelt. Denn es ist wichtig, dass Studierende, die sich mit dem Strafverfahrensrecht befassen, Mindestinformationen über die Aufgaben und Funktionen der Polizei erhalten. Ebenfalls viel Raum nehmen im Lehrbuch die wichtigen Aspekte des Beweisrechts ein. Hier werden die wesentlichen Theorien, die sich im modernen Strafverfahrensrecht etabliert haben und die ihre Anwendung bei der Frage nach der Beweisverwertung finden, behandelt. Darüber hinaus wird auf einige problematische Fälle der Beweisverwertung eingegangen. Sofern das geltende Strafverfahrensrecht im Zusammenhang mit Beweisverwertungsverböten die im US-amerikanischen Strafprozessrecht entwickelten Regeln verwendet, wird bei der Behandlung dieser Fragen US-amerikanische Rechtsprechung dargestellt. Im Lehrbuch sind zudem im Zusammenhang mit verschiedenen Fragestellungen einschlägige Urteile des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte analysiert.

Mein besonderer Dank gilt Herrn Giorgi Giorgadze (Hrsg.), dem Doktorand an der Juristischen Fakultät der Iv. Javakishvili-Staatlichen Universität Tiflis und Experte der Assoziation amerikanischer Juristen - „Zertifizierter Trainer für Strafprozess“, dessen kritische Überlegungen, interessante Anmerkungen und Vorschläge zur Vervollständigung dieses Lehrbuches beigetragen haben.

Zu größtem Dank bin ich Herrn Elizbar Gogrichiani, dem stellvertretenden Staatsanwalt der Sadt Marneuli, für interessante Diskussionen

über die aktuellen und problematischen Fragen des Strafprozesses sowie für praktische Ratschläge und nützliche Anregungen verpflichtet.

Ganz herzlich danken möchte ich der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit (IRZ) und ihrem Koordinator in Georgien Herrn Sulchan Gamkrelidze, die die Veröffentlichung dieses Lehrbuches ermöglicht haben.

Trotz aller Bemühungen um inhaltlich und förmlich möglichst akkurate Ausarbeitung des Lehrbuches können einzelne Mängel nicht ausgeschlossen werden. Ich würde mich darüber freuen, wenn die Leser dieses Buch kritisch lesen und über die im Buch dargestellten Fragestellungen ihre eigene, auch kritische Meinung und Anmerkungen mitteilen würden. Auch interessante Vorschläge zur Verbesserung der nächsten Auflage sind sehr willkommen (E-Mail: gtumanishvili@gmail.com).

Die Gesetzgebung ist im Lehrbuch mit Stand September 2014 berücksichtigt.

Assoz.- Prof. Dr. Giorgi Tumanishvili, LL.M. (Berlin)
Tiflis, im September 2014

რედაქტორისგან

2010 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. საპროცესო კოდექსი ქმნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სისტემას, რომელიც აგებულია, შეჯიბრებითობის, საჯაროობის, მხარეთა თანასწორობის, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის, ბრალდებულის უფლებათა პატივისცემისა და სხვა პროგრესულ პრინციპებზე. კოდექსის მიზანია, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სწრაფი, ეფექტიანი და სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის შექმნა.

ინკვიზიციურობის ელემენტებისგან თითქმის თავისუფალი, წმინდა შეჯიბრებითი პროცესი განსხვავებულად აყალიბებს ბრალდებისა და დაცვის მხარეების ფუნქციებს და მოსამართლის როლს შეჯიბრებითობის პროცესში.

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ არსებით ნაკლოვანებას წარმოადგენდა მტკიცებების მკაფიოდ განსაზღვრული სტანდარტების არარსებობა. ამის საპირისპიროდ, საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბებულია მტკიცებულებისა და მტკიცების წესების ახლებური სისტემა, რომელიც ეყრდნობა ძირითად მტკიცების სტანდარტებს – დასაბუთებული ვარაუდის, მაღალი ალბათობის ხარისხისა და გონივრულ ეჭვს მიღმა (უტყუარი მტკიცებულების) სტანდარტებს.

კოდექსით მთავარი აქცენტი კეთდება შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით ღია სასამართლო გამოძიების პირობებში განხილულ მტკიცებულებაზე.

მტკიცების სტანდარტების მნიშვნელობა დამახასიათებელია ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებისათვის და პირდაპირ გამომდინარეობს სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპიდან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისთვის ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა აღარ წარმოადგენს მთავარ პრინციპს, არამედ ჭეშმარიტება დგინდება მხარეებს შორის კამათის გზით.

მტკიცების პროცესთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები საკმაოდ ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა და ამ დებულებების მთავარ მიზანს წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება.

საკანონმდებლო ნოვაციას წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა. საპროცესო კოდექსმა განამტკიცა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნაზე სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებამოსილება. ჩამოყალიბდა ბრალდებულის ცნების ერთიანი დეფინიცია, რადიკალურად შეიცვალა დაზარალებულის სტატუსი და უფლებები.

გარდა ამისა, ახალი საპროცესო კოდექსით შემოღებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

მიუხედავად სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გადადგმული გარკვეული ნაბიჯებისა, ნახსენებ ნოვაციებს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი მოუმზადებელი შეხვდნენ, რამაც გამოიწვია საპროცესო კოდექსის მთელი რიგი დებულებების კარდინალურად განსხვავებული ინტერპრეტაცია და კოდექსის პროგრესული დებულებების პრაქტიკაში არასწორი გამოყენება.

გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ შეზღუდულად მოხდა აკადემიური წრეების ჩართვა სისხლის სამართლის პროცესის შემუშავების დროს და კოდექსით შემოღებული სიახლეები მაინც უცხო იყო ქართული საპროცესო კანონმდებლობისთვის, დღემდე ვერ მოხერხდა ახალი საპროცესო კოდექსის მუხლების ღირებული მიმოხილვა (თუ არ ჩავთვლით ცალკეული ავტორების მიერ დაწერილ მონოგრაფიებს).

ამ ფონზე, სწორედაც რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის გიორგი თუმანიშვილის მიერ განეულ სამუშაოს, რაც წარმოდგენილი ნაშრომის „სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვის“ შექმნაში გამოიხატა. ნაშრომში განხილულია სისხლის სამართლის პროცესისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: უდანაშაულობის და თავისუფლების პრეზუმფცია, სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმწიფო მონოპოლიის, მხარეთა შეჯიბრებითობის, სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპები. ავტორი საფუძვლიანად მიმოხილავს სისხლის სამართლის პროცესის მთავარი მოქმედი სუბიექტის-ბრალდებულის უფლებებს, ამ უფლებების პრაქტიკაში რეალიზებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და

ბრალდებულის უფლებების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს. ნაშრომში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პროცესის სხვა მონაწილეების (მონმე, დაზარალებული, გამომძიებელი, პროკურორი) სამართლებრივი მდგომარეობის ანალიზს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილ ნაშრომში ცენტრალური ადგილი დათმობილი აქვს მტკიცებულებათა სახეებს, მტკიცების პროცესს და დაუშვებელ მტკიცებულებებს. მოცემული საკითხები, განსაკუთრებით მტკიცებულებათა შეფასების და დაუშვებელი მტკიცებულებების საკითხები საპროცესო კოდექსში იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ ამ კუთხით, მოსამართლის დისკრეციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნული გულისხმობს, რომ გარკვეულ საკითხებში სიცხადის შეტანა სამოსამართლეო პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე იქნება დამოკიდებული.

ავტორი შედარებით-სამართლებრივი ანალიზით, პრაქტიკული მაგალითების მოყვანით, საზღვარგარეთის ქვეყნების უზენაესი სასამართლოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ჩვენებით საფუძვლიანად მიმოიხილავს მითითებულ საკითხებს, რაც კიდევ უფრო მეტ ღირებულებას სძენს წარმოდგენილ ნაშრომს.

გიორგი გიორგაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
დოქტორანტი,

ამერიკის იურისტთა ასოციაციის „სერთიფიცირებული
ტრენერი სისხლის სამართლის პროცესში“ - ექსპერტი

სარჩევი

წინათქმა	6
VORWORT	10
რედაქტორისგან	13
შემოკლებანი	32
პირველი თავი	
შესავალი სისხლის საპროცესო სამართალში	36
§ 1. მატერიალური და ფორმალური სისხლის სამართალი ...	36
§ 2. სისხლის სამართლის პროცესის მიზნები	37
I. დანაშაულის დასჯის სახელმწიფოს უფლებამოსილების რეალიზაცია	39
II. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი პროცესის უზრუნველყოფა	40
III. სამართლებრივი წესრიგის აღდგენა	41
§ 3. სისხლის სამართლის პროცესის სტადიების ზოგადი მიმოხილვა	42
I. გამოძიება	42
II. წინასასამართლო სხდომა	43
III. საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში	44
IV. სასამართლოს განაჩენის აღსრულება	45
V. სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება	46
VI. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა	47
§ 4. სისხლის საპროცესო სამართლის წყაროები	47
I. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა კანონები	48
II. საქართველოს კონსტიტუცია	49
III. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია	50
IV. საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართალი	53
§ 5. სისხლის სამართლის საპროცესო კანონი და მისი მოქმედების ფარგლები	56
I. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება დროში	56

II. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება სივრცეში.....	57
III. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება პირთა წრის მიმართ	58
IV. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ინტერპრეტაცია და ანალოგიით გამოყენება.....	59

მეორე თავი

სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი პრინციპები

§ 6. პრინციპების ზოგადი მიმოხილვა.....	63
§ 7. სისხლის სამართლებრივი დევნის სახელმწიფო მონოპოლიის (ოფიციალურობის) პრინციპი.....	65
§ 8. ბრალდების (აკუზაციის) პრინციპი.....	67
§ 9. კანონიერების (ლეგალურობის) პრინციპი	68
§ 10. სისხლის სამართლებრივი დევნის დისკრეციულობის პრინციპი	70
§ 11. კანონისმიერი სასამართლოს პრინციპი	73
§ 12. შეჯიბრებითობის პრინციპი.....	74
§ 13. სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი.....	77
§ 14. უდანაშაულობის პრეზუმფცია.....	80
§ 15. სამართლიანი პროცესის პრინციპი.....	81
§ 16. საქვეყნობის პრინციპი.....	83
§ 17. ზეპირობის პრინციპი.....	86
§ 18. უშუალობის პრინციპი.....	86

მესამე თავი

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები და მათი

სამართლებრივი მდგომარეობა.....	89
§ 19. ზოგადი დებულებანი	89
§ 20. სასამართლო	90
I. მოსამართლის დამოუკიდებლობა.....	90
II. მოსამართლის მიუკერძოებლობა.....	91
III. სასამართლოების სისტემა და ორგანიზაცია	92
1. პირველი ინსტანციის სასამართლო.....	92
1.1. საგნობრივი განსჯადობა და სასამართლოს შემადგენლობა	93

1.2. ტერიტორიული განსჯადობა	94
1.3. მაგისტრატი მოსამართლე.....	95
1.4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	97
2. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო	101
3. საკასაციო ინსტანციის სასამართლო.....	102
§ 21. პროკურორი.....	103
I. პროკურორის ფუნქცია სისხლის სამართლის პროცესში...	103
1. პროკურორი როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო.....	104
2. პროკურორი როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი	104
3. პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი	105
II. პროკურატურის ორგანიზაცია და სისტემა.....	106
1. დევილუციისა და სუბსტიტუციის უფლებები	108
2. მითითების უფლება.....	108
§ 22. გამოძიებელი და გამოძიების ორგანოები	109
I. გამოძიებელი	109
II. გამოძიების ორგანოები	111
III. საგამოძიებო ქვემდებარეობა.....	112
§ 23. პოლიცია.....	115
I. პოლიციის ორგანიზაცია და ამოცანები.....	115
II. პოლიციის როლი სისხლის სამართლის პროცესში.....	118
§ 24. ბრალდებული და მისი ადვოკატი	122
I. ბრალდებული	122
1. ბრალდებულის ცნება.....	122
2. პირის ბრალდებულად ცნობა.....	123
3. ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობა	126
3.1. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრინციპი.....	126
3.2. ადვოკატის ყოლის უფლება.....	128
3.3. ბრალდების შესახებ ინფორმირებისა და საქმის მასალების გაცნობის უფლება	129
3.4. მტკიცებულებების მოპოვების უფლება.....	131
3.5. საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება	132
3.6. გასაჩივრების უფლება	133
3.7. ბრალდებულის მოვალეობები.....	133

II. ბრალდებულის ადვოკატი	134
1. ადვოკატის როლი სისხლის სამართლის პროცესში.....	134
2. ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობა	135
2.1. სამართლებრივი წესრიგის დაცვის თეორია	136
2.2. მხარის ინტერესების წარმომადგენლის თეორია	137
3. ადვოკატის უფლებები	139
3.1. საგამოძიებო მოქმედებებზე და სასამართლო განხილვაზე დასწრების უფლება	139
3.2. საქმის მასალების გაცნობის უფლება.....	140
3.3. გამოძიების წარმოების უფლება.....	141
3.4. მონმის დაკითხვისა და აზრის გამოთქმის უფლება... ..	141
3.5. გასაჩივრების უფლება	142
4. ადვოკატის მოვალეობები.....	143
5. ადვოკატის ურთიერთობა ბრალდებულთან.....	145
6. ადვოკატის არჩევა და დანიშვნა	146
6.1. დაცვა შეთანხმებით.....	146
6.2. დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე	147
6.3. სავალდებულო დაცვა	148
§ 25. მონმე.....	150
I. მონმის ცნება.....	150
II. პროცესის სხვა მონაწილე, როგორც მონმე.....	151
III. მონმის ვალდებულებები	155
1. გამოცხადების ვალდებულება	155
2. ჩვენების მიცემის ვალდებულება	156
3. ფიცის დადების ვალდებულება.....	156
4. სხვა ვალდებულებები	157
IV. მონმის ვალდებულებისგან გათავისუფლება.....	158
1. ბრალდებულის ახლო ნათესავი.....	158
2. პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულების მქონე პირები	160
V. ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან გათავისუფლება ...	162
VI. მონმის უფლებები და მათი დაცვის პროცესუალური მექანიზმები.....	163
§ 26. დაზარალებული.....	165
I. ზოგადი დებულებანი	165
II. დაზარალებულის ცნება	167

III. პირის დაზარალებულად ცნობა	168
IV. დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა.....	170
1. დაზარალებულად ცნობის შესახებ განცხადებით მიმართვის უფლება	173
2. პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება	173
3. სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისა და საქმის მასალების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება.....	175
4. სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემის უფლება	179
5. ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაზარალებულის დაცვა. 180	
6. დაზარალებულის სხვა უფლებები და მოვალეობები.....	182
§ 27. ექსპერტი	183
I. ექსპერტის ცნება და ამოცანები.....	183
II. ექსპერტის მონვევა	185
III. ექსპერტის უფლება-მოვალეობები.....	186
§ 28. თარჯიმანი.....	187
I. თარჯიმნის ფუნქცია და მისი მონვევა	187
II. თარჯიმნის უფლება-მოვალეობები.....	188
§ 29. სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae)	189
§ 30. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები, აცილება	191
§ 31. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიებები	196

მეოთხეა თავი

მტკიცებულება, მტკიცება და დაუშვებელი

მტკიცებულებაში სისხლის სამართლის პროცესში .. 200

§ 32. ზოგადი დებულებანი..... 200

§ 33. მტკიცებულებათა სახეები 201

I. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია..... 202

II. ცალკეული მტკიცებულებები..... 206

 1. ბრალდებულის ჩვენება..... 206

 2. მონმის ჩვენება..... 212

 3. ნივთიერი მტკიცებულება..... 218

 4. დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება

 5. პრეიუდიცია..... 222

§ 34. მტკიცება	225
I. ზოგადი დებულებანი	225
II. მტკიცების პროცესი და მისი სუბიექტები	225
III. მტკიცების საგანი და ფარგლები	231
IV. მტკიცებულებითი (მტკიცების) სტანდარტები	235
V. მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა	238
§ 35. დაუშვებელი მტკიცებულებები	241
I. ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვების აკრძალვის მნიშვნელობა	241
1. ჭეშმარიტების დადგენის ხელშეწყობა	242
2. პროცესის მონაწილეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვა	244
3. სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოთა დისციპლინირება	244
4. სახელმწიფოს მიმართ ნდობის შენარჩუნება	245
5. სასჯელის პრევენციული მიზნების დაცვა	247
II. მტკიცებულების მოპოვების აკრძალვა და მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა	248
1. ზოგადი დებულებანი	248
2. მტკიცებულების მოპოვების აკრძალვა	249
3. მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა	251
III. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა ცალკეულ შემთხვევებში	257
1. ბრალდებულის პროცესუალური უფლებების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა	257
1.1. ბრალდებულისგან უფლებების განმარტების გარეშე მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობა	257
1.2. ადვოკატის ყოლის უფლების დარღვევით ბრალდებულისგან მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობა	262
1.3. ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა	262
1.4. დაუშვებელი მეთოდებით ბრალდებულისგან მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა	264
2. მონმის დაკითხვის წესების დარღვევით მოპოვებული	

მტკიცებულებების დასაშვებობა.....	266
2.1. მონმისთვის უფლებების განმარტების გარეშე მიღებული ჩვენების მტკიცებულებად დასაშვებობა	266
2.2. მონმის მიერ საქმის არსებით განხილვამდე მიცემული ჩვენების მტკიცებულებად დასაშვებობა	269
3. ცალკეული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების წესების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა.....	270
3.1. უკანონო ჩხრეკისა და ამოღების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა.....	270
3.2. სფეროთა თეორია („სამი საფეხურის თეორია“) და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობა.....	273
3.3. საიდუმლო თანამშრომლის მიერ მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობა.....	279
3.4. დანაშაულის პროვოკაციით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობა	284
4. საკუთარი ინიციატივით მოქმედი კერძო პირების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა	291
IV. მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინა (fruit of the poisonous tree doctrine) და მისი გამონაკლისები	299
1. დოქტრინის წარმოშობა და მისი მნიშვნელობა	299
2. საგამონაკლისო შემთხვევები	302
2.1. დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი („independent source exception“)	302
2.2. მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენის გამონაკლისი („inevitable discovery exception“)	305
2.3. განწმენდილი (გამოსწორებული) ნაკლის გამონაკლისი („purged taint exception“)	308
2.4. კეთილსინდისიერების გამონაკლისი („good faith exception“)	309
2.5. სხვა საგამონაკლისო შემთხვევები.....	312
2.6. „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინის“ საგამონაკლისო შემთხვევების საქართველოში გამოყენების შესაძლებლობა	314
V. მტკიცებულებათა დასაშვებობის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულაცია	315

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია	315
2. კონვენცია წამების წინააღმდეგ	316
3. რომის სტატუტი.....	317
4. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ	318
5. მალიორკისა და ტოლედოს 1992 წლის წესები.....	319
VI. დაუშვებელი მტკიცებულებების ნებადართული გამოყენების შემთხვევები	320
VII. შეჯამება	322

მეხუთე თავი

საპროცესო პასუხისმგებლობა სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისთვის.....	324
§ 36. საპროცესო მოვალეობათა შესრულების უზრუნველყოფა და საპროცესო პასუხისმგებლობის ფორმები	324
§ 37. საპროცესო პასუხისმგებლობის დაკისრება და მისი აღსრულება.....	325

მეექვსე თავი

საპროცესო ვადები, ხარჯები, შუამდგომლობა და საჩივარი.....	331
§ 38. საპროცესო ვადები და ხარჯები	331
I. საპროცესო ვადები.....	331
II. საპროცესო ხარჯები.....	332
1. საპროცესო ხარჯების ცნება	332
2. ხარჯების ანაზღაურების სუბიექტები	334
3. ხარჯების გამოანგარიშება.....	336
§ 39. შუამდგომლობა, საჩივარი და მათი განხილვის ზოგადი წესი.....	336
I. შუამდგომლობის დაყენება და მისი გადაწყვეტა.....	336
II. საჩივარი.....	338
გიგლიობრაფია.....	342

INHALTSVERZEICHNIS

Vorwort	6
Vorwort (auf Deutsch)	10
Vom Herausgeber.....	13
Abkürzungsverzeichnis	32
I. TEIL: EINFÜHRUNG IN DAS STRAFVERFAHRENSRECHT	36
§ 1. Materielles und formelles Strafrecht.....	36
§ 2. Ziele des Strafverfahrens	37
I. Durchsetzung des staatlichen Strafanspruchs.....	39
II. Die Gewährung eines rechtsstaatlichen Verfahrens	40
III. Die Wiederherstellung des Rechtsfriedens	41
§ 3. Allgemeiner Überblick über die einzelnen Verfahrensstadien.....	42
I. Ermittlungsverfahren.....	42
II. Zwischenverfahren	43
III. Hauptverhandlung	44
IV. Vollstreckung des Urteils.....	45
V. Rechtsmittelverfahren.....	46
VI. Wiederaufnahme des Verfahrens	47
§ 4. Die Rechtsquellen des Strafprozessrechts	47
I. Strafprozesskodex und andere Gesetze	48
II. Verfassung	49
III. Europäische Menschenrechtskonvention	50
IV. Internationales Strafverfahrensrecht.....	53
§ 5. Strafprozessuale Norm und ihr Geltungsbereich	56
I. Zeitliche Geltung.....	56
II. Geltung für Inlands- und Auslandstaten.....	57
III. Geltung für den Personenkreis	58
IV. Interpretation und Analogie der strafprozessualen Norm	59
II. TEIL: ALLGEMEINE VERFAHRENSPRINZIPIEN	63
§ 6. Allgemeiner Überblick über die Grundsätze.....	63
§ 7. Das Offizialprinzip.....	65
§ 8. Der Anklagegrundsatz.....	67
§ 9. Das Legalitätsprinzip	86

§ 10. Das Opportunitätsprinzip	70
§ 11. Der Grundsatz des gesetzlichen Richters	73
§ 12. Die Verhandlungsmaxime	74
§ 13. Das Beschleunigungsgebot	77
§ 14. Die Unschuldsvermutung.....	80
§ 15. Das Gebot eines fairen Strafverfahrens	81
§ 16. Der Grundsatz der Öffentlichkeit.....	83
§ 17. Das Mündlichkeitsprinzip.....	86
§ 18. Der Grundsatz der Unmittelbarkeit.....	86

III. TEIL: VERFAHRENSBETEILIGTE UND IHRE RECHTSSTELLUNG..... 89

§ 19. Allgemeiner Überblick.....	89
§ 20. Das Gericht	90
I. Richterliche Unabhängigkeit	90
II. Unparteilichkeit der Richter.....	91
III. Aufbau und Besetzung der Strafgerichte	92
1. Das Gericht erster Instanz	92
1.1. Die sachliche Zuständigkeit und Gerichtsbesetzung.....	93
1.2. Die örtliche Zuständigkeit.....	94
1.3. Der Magistrat-Richter	95
1.4. Das Geschworenengericht.....	97
2. Das Appellationsgericht.....	101
3. Das Kassationsgericht.....	102
§ 21. Der Staatsanwalt	103
I. Die Funktion des Staatsanwaltes im Strafverfahren	103
1. Strafverfolgungsfunktion.....	104
2. Der Staatsanwalt als Leiter des Ermittlungsverfahrens.....	104
3. Der Staatsanwalt als Vertreter der staatlichen Anklage.....	105
II. Organisation und Aufbau der Staatsanwaltschaft.....	106
1. Devolutions- und Substitutionsbefugnis.....	108
2. Weisungsbefugnis	108
§ 22. Der Ermittler und Ermittlungsorgane	109
I. Der Ermittler.....	109
II. Die Ermittlungsorgane.....	111
III. Die Zuständigkeit der Ermittlungsorganen.....	112
§ 23. Die Polizei.....	115

I.	Organisation und Funktion der Polizei.....	115
II.	Die Rolle der Polizei im Rahmen des Strafverfahrens.....	118
§ 24.	Der Beschuldigte und sein Verteidiger.....	122
I.	Der Beschuldigte.....	122
1.	Der Begriff des Beschuldigten.....	122
2.	Die Erkennung als Beschuldigter.....	123
3.	Die Rechtsstellung des Beschuldigten.....	126
3.1.	Schutz vor einem Zwang zur Selbstbezeichnung.....	126
3.2.	Recht auf Verteidigung.....	128
3.3.	Information über die Anklage und Akteneinsichtsrecht.....	129
3.4.	Recht auf Beweisaufnahme.....	131
3.5.	Beteiligungsrecht während des Ermittlungsverfahrens und der Gerichtsverhandlung.....	132
3.6.	Beschwerde- und Rechtsmittelrecht.....	133
3.7.	Pflichten des Beschuldigten.....	133
II.	Der Verteidiger.....	134
1.	Die Funktion des Verteidigers im Strafverfahren.....	134
2.	Die Rechtsstellung des Verteidigers.....	135
2.1.	Der Verteidiger als Organ der Rechtspflege.....	136
2.2.	Der Verteidiger als Interessenvertreter des Beschuldigten.....	137
3.	Rechte des Verteidigers.....	139
3.1.	Anwesenheitsrechte während der Durchführung von Ermittlungsmaßnahmen und der Gerichtsverhandlung.....	139
3.2.	Akteneinsichtsrecht.....	140
3.3.	Recht auf eigene Ermittlung.....	141
3.4.	Recht auf Zeugenvernehmung und Äußerungsrechte.....	141
3.5.	Beschwerde- und Rechtsmittelrecht.....	142
4.	Pflichten des Verteidigers.....	143
5.	Kontakt des Verteidigers mit dem Beschuldigten.....	145
6.	Auswahl und Bestellung des Verteidigers.....	146
6.1.	Auswahl des Verteidigers.....	146
6.2.	Bestellung des Verteidigers auf Staatskosten.....	147
6.3.	Pflichtverteidigung.....	148
§ 25.	Der Zeuge.....	150
I.	Der Begriff des Zeugen.....	150
II.	Andere Verfahrensbeteiligte als Zeugen.....	151
III.	Pflichten des Zeugen.....	155

1. Erscheinungspflicht	155
2. Aussagepflicht	156
3. Beeidigungspflicht	156
4. Sonstige Pflichten	157
IV. Aussageverweigerungsrecht	158
1. Nahe Angehörige des Beschuldigten	158
2. Geheimhaltungspflichtige Personen	160
V. Beschränkung der Aussagepflicht	162
VI. Rechte und prozessuale Schutzmaßnahmen des Zeugen	163
§ 26. Der Verletzte	165
I. Allgemeiner Überblick	165
II. Der Begriff des Verletzten	167
III. Erkennung als Verletzter	168
IV. Rechtsstellung des Verletzten	170
1. Anspruch auf Erkennung als Verletzter	173
2. Recht auf Einlegung einer Beschwerde gegen einzelne Ent- scheidungen des Staatsanwaltes	173
3. Recht auf Information über den Verfahrensgang und Akteninhalt	175
4. Recht auf Aussage vor Gericht	179
5. Schutz des Verletzten vor einer erneuten Viktimisierung	180
6. Sonstige Rechte und Pflichten des Verletzten	182
§ 27. Sachverständige	183
I. Begriff und Aufgabe des Sachverständigen	183
II. Beiziehung des Sachverständigen	185
III. Rechtsstellung des Sachverständigen	186
§ 28. Dolmetscher	187
I. Funktion und Bestellung	187
II. Rechtsstellung des Dolmetschers	188
§ 29. Amicus Curiae	189
§ 30. Voraussetzungen für die Ausschließung der Verfahrensbeteiligten, Ableh- nung	191
§ 31. Spezielle Schutzmaßnahmen des Verfahrensbeteiligten	196
IV. TEIL: BEWEISMITTEL, BEWEISVERFAHREN UND BEWEIS- VERWERTUNGS-VERBOTE IM STRAFVERFAHREN	200
§ 32. Allgemeiner Überblick	200

§ 33. Beweisarten.....	201
I. Klassifikation der Beweisarten	202
II. Einzelne Beweismittel	206
1. Die Aussage des Beschuldigten.....	206
2. Die Aussage des Zeugen.....	212
3. Sachliche Beweismittel	218
4. Urkunde als Beweismittel	221
5. Präjudiz.....	222
§ 34. Beweisverfahren	225
I. Allgemeiner Überblick	225
II. Beweisverfahren und seine Subjekte	225
III. Gegenstand und Umfang des Beweisverfahrens.....	231
IV. Standards des Beweisverfahrens	235
V. Informationsaustausch über die Beweismittel	238
§ 35. Beweisverbote.....	241
I. Bedeutung der Beweisverbote	241
1. Schutz der Wahrheitsfindung.....	242
2. Schutz der Rechte von Verfahrensbeteiligten.....	244
3. Disziplinierung der Strafverfolgungsorganen	244
4. Wahrung des Vertrauens gegenüber dem Staat	245
5. Sicherung der Strafzwecke.....	247
II. Beweiserhebungs- und Verwertungsverbote	248
1. Allgemeiner Überblick	248
2. Beweiserhebungsverbote.....	249
3. Beweisverwertungsverbote	251
III. Sonderfälle der Beweisverbote	257
1. Verwertbarkeit der durch Verletzung von Beschuldigtenrechten erlangten Beweismittel	257
1.1. Informationsgewinnung vom über seine Rechte nicht infor- mierten Beschuldigten.....	257
1.2. Informationsgewinnung durch die Verletzung von Verteidi- gungsrechten des Beschuldigten	262
1.3. Informationsgewinnung durch die ohne Beschuldigtenbetei- ligung durchgeführten Ermittlungsmaßnahmen.....	262
1.4. Informationsgewinnung vom Beschuldigten durch verbotene Mittel	264

2. Verwertbarkeit der durch fehlerhaft durchgeführte Zeugenvernehmung erlangten Beweismittel	266
2.1. Informationsgewinnung vom über seine Rechte nicht informierten Zeugen.....	266
2.2. Verwertbarkeit der während des Vorverfahrens abgelegten Zeugenaussage.....	269
3. Verwertbarkeit der durch die fehlerhaft durchgeführten Ermittlungs- und Operativ- Untersuchungsmaßnahmen erlangten Beweismittel	270
3.1. Verwertbarkeit der durch unzulässige Durchsuchung und Beschlagnahme erlangten Beweismittel	270
3.2. Sphärentheorie („Drei-Stufen-Theorie“) und Verwertbarkeit der durch heimliche Ermittlungsmaßnahmen erlangten Beweismittel.....	273
3.3. Verwertbarkeit der durch den Einsatz von V-Leute erlangten Beweismittel.....	279
3.4. Verwertbarkeit der durch die Provokation von Straftaten erlangten Beweismittel.....	284
4. Verwertbarkeit der von den selbständig handelnden Privatpersonen erlangten Beweismittel	291
IV. Theorie der Früchte des vergifteten Baumes und ihre Ausnahmen	299
1. Entstehungsgeschichte der Theorie und ihre Bedeutung....	299
2. Ausnahmefälle	302
2.1. Ausnahme der unabhängigen Quelle.....	302
2.2. Ausnahme der unvermeidbaren Entdeckung	305
2.3. Ausnahme des gereinigten Makels	308
2.4. Ausnahme des guten Glaubens.....	309
2.5. Sonstige Ausnahmefälle	312
2.6. Anwendbarkeit der Theorie der Früchte des vergifteten Baumes in Georgien.....	314
V. Völkerrechtliche Regelungen über Beweisverbote.....	315
1. Europäische Menschenrechtskonvention	315
2. Übereinkommen gegen Folter.....	316
3. Römisches Statut des Internationalen Strafgerichtshofs	317
4. Internationaler Pakt über bürgerliche und politische Rechte	318
5. Regeln von Mallorca und Toledo von 1092	319

V. Sonderfälle der Verwertbarkeit von illegal erlangten Beweismitteln	320
VI. Schlussfolgerung	322
V. TEIL: SITZUNGSPOLIZEILICHE MASSNAHMEN FÜR NICHTERFÜLLUNG VON PROZESSIALEN PFLICHTEN UND ORDNUNGSVERSTOSS IM GERICHT	324
§ 36. Gewährleistung der prozessualen Pflichtenerfüllung und einzelnesitzungspolizeiliche Maßnahmen	324
§ 37. Anwendung und Vollstreckung der sitzungspolizeilichen Maßnahmen	325
VI. TEIL: VERFAHRENSFRISTEN, VERFAHRENSKOSTEN, ANTRAG UND BESCHWERDE	331
§ 38. Verfahrensfristen und Verfahrenskosten	331
I. Verfahrensfristen	331
II. Verfahrenskosten	332
1. Begriff der Verfahrenskosten	332
2. Subjekte der Kostenerstattung	333
3. Kostenberechnung	334
§ 39. Antrag, Beschwerde und allgemeine Regeln der Entscheidung	336
I. Antragstellung und Antragsentscheidung	336
II. Beschwerde	338
Literaturverzeichnis	342

შემოკლებანი

ქართული:

ა.შ.	ასე შემდეგ
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
გვ.	გვერდი
ე.წ.	ებრეთ წოდებული
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
სსკ	სისხლის სამართლის კოდექსი
რედ.	რედაქტორი
სსსკ	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
შეად.	შეადარეთ

უცხოური:

Am.Crim.L.Rev (American Criminal Law Review)	შურნალი ამერიკული სისხლის სამართლის მიმოხილვა
Am.J.Crim.L (American Journal of Criminal Law)	სისხლის სამართლის ამერიკული შურნალი
AöR (Archiv des öffentlichen Rechts)	საჯარო სამართლის არქივი
BGH (Bundesgerichtshof)	გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო
BGHSt (Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Strafsachen)	გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული სისხლის სამართლის საქმეებზე
BverGE (Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts)	გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული
Cal.L.Rev. (California Law Review)	შურნალი კალიფორნიის სამართლის მიმოხილვა

Cr.App. R. (Criminal Appeal Reports)	ინგლისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული
GA (Goldammer's Archiv für Strafrecht)	ჟურნალი თეოდორ გოლტდამის არქივი სისხლის სამართლისათვის
Hrsg. (Herausgeber)	გამომცემელი (რედაქტორი)
Ind.L.J. (Indiana Law Journal)	ინდიანას სამართლის ჟურნალი
Iowa L.Rev. (Iowa Law Review)	ჟურნალი აიოვას სამართლის მიმოხილვა
JA (Juristische Arbeitsblätter)	ჟურნალი იურიდიული სამუშაო ფურცლები
JuS (Juristische Schulung)	ჟურნალი იურიდიული სწავლება
JZ (Juristenzeitung)	ჟურნალი იურისტთა გაზეთი
KritV (Kritische Vierteljahresschrift für Gesetzgebung und Rechtswissenschaft)	კანონმდებლობისა და სამართალმცოდნეობის ყოველკვარტალური კრიტიკული ჟურნალი
NJW (Neue Juristische Wochenschrift)	ახალი იურიდიული ყოველკვირეული ჟურნალი
NStZ (Neue Zeitschrift für Strafrecht)	ახალი ჟურნალი სისხლის სამართლისათვის
NSiZ-RR (Neue Zeitschrift für Strafrecht-Rechtsprechungsreport)	ახალი ჟურნალი სისხლის სამართლისათვის-სასამართლოს გადაწყვეტილებების ანგარიში
Rev. (Review)	მიმოხილვა
Rev. Sc. Crim. (Revue de science criminelle et de droit pénal comparé)	ჟურნალი სისხლის სამართლის მეცნიერებისა და შედარებითი სისხლის სამართლის მიმოხილვა
StPO (Strafprozeßordnung)	გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
StraFo (Strafverteidiger-Forum)	ჟურნალი სისხლის სამართლის საქმეში დამცველთა ფორუმი

StV (Strafverteidiger)	შურნალი სისხლის სამართლის საქმეში დამცველი
u.a. (und andere)	და სხვა
U.Miami L. Rev. (University of Miami Law Review)	შურნალი მანიამის უნივერსიტე- ტის სამართლის მიმოხილვა
ZfRV (Zeitschrift für Rechtsvergleichung, Internationales Privatrecht und Europarecht)	შედარებითი სამართლის, საერ- თაშორისო კერძო სამართლისა და ევროპის სამართლის შურნა- ლი
ZIS (Zeitschrift für internationale Strafrechtsdogmatik)	საერთაშორისო სისხლის სა- მართლის დოგმატიკის შურნალი
ZStW (Zeitschrift für gesamte Strafrechtswissenschaft)	სისხლის სამართლის მეცნიერ- ბათა შურნალი

პირველი თავი

შესავალი სისხლის საპროცესო სამართალში

§1. მატერიალური და ფორმალური სისხლის სამართალი

მატერიალური სისხლის სამართალი, რომლის ძირითად წყაროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი წარმოადგენს, ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და ანებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას (სსკ-ის პირველი მუხლის პირველი ნაწილი). იმისათვის, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მატერიალური სისხლის სამართლის ნორმები ფუნქციის გარეშე არ დარჩნენ და სისხლის სამართლის მიზნები მიღწეულ იქნეს (რაც სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილებასა და მართლწესრიგის დაცვაში მდგომარეობს), სავალდებულოა კანონით გათვალისწინებული პროცესის არსებობა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების და დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენა, დანაშაულის გამოძიება და დამნაშავეისთვის შესაბამისი სასჯელის შეფარდება. აღნიშნული პროცესის მარეგულირებელი ნორმები ამავდროულად მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ცალკეული ინდივიდების უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად ზუსტად განისაზღვროს პროცესის მწარმოებელი სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება და მათი მოქმედების ფარგლები. სწორედ ასეთი სამართლებრივი ნორმები ქმნიან სისხლის საპროცესო სამართალს, იგივე *ფორმალურ სისხლის სამართალს*, რომლებიც ძირითადად თავმოყრილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

მაშასადამე, მატერიალური და ფორმალური სისხლის სამართალი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ავსებენ ერთმანეთს. ცალკეული სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტები, რომლებიც მატერიალური სისხლის სამართლის ფარგლებში არ რეგულირდება, გათვალისწინებულია სისხლის საპროცესო

სამართლის ცალკეული ნორმებით და პირიქით. ამ ორ მათგანს შორის მჭიდრო კავშირი მით უფრო იკვეთება, თუკი სისხლის სამართალს სამართლის სხვა დარგებს შევადარებთ. სამართლის სხვა დარგებში მატერიალური სამართალი მოქმედებს და ფუნქციონირებს ყოველგვარი პროცესის გარეშეც. როგორც წესი, ხელშეკრულებების უმეტესობა სრულდება (*Pacta sunt servanda*) და დავის არსებობის შემთხვევაშიც კი შეიძლება საქმე პროცესამდე არც კი მივიდეს. განსხვავებით სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლისგან, სადაც ერთი მხარის „მოთხოვნას“ მეორე მხარე როგორც წესი ნებაყოფლობით აკმაყოფილებს და პროცესს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში აქვს ადგილი, სისხლის სამართალში პროცესის ჩატარება ყოველთვის სავალდებულოა. მაშინაც კი, როდესაც დამნაშავე ნებაყოფლობით ცხადდება სამართალდამცავ ორგანოებში და ჩადენილ დანაშაულს აღიარებს, სისხლის სამართლის პროცესის გარეშე ვერ დაეკისრება მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. იმისათვის, რომ სახელმწიფომ, რომელსაც გააჩნია სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე აბსოლუტური მონოპოლია, შეძლოს დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის მატერიალური სისხლის სამართლის ნორმებით გათვალისწინებული სასჯელის დაკისრება, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აწარმოოს სისხლის სამართლის საქმე სისხლის საპროცესო სამართლის ნორმების შესაბამისად. ამრიგად, სისხლის სამართალში, განსხვავებით სამართლის სხვა დარგებისგან, მატერიალური სამართლის ნორმათა მოთხოვნები ფორმალური სამართლის გარეშე ვერცერთ შემთხვევაში ვერ შესრულდება.

§2. სისხლის სამართლის პროცესის მიზნები

თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში დამნაშავეის დასჯის მონოპოლია მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია (*ius puniendi*). დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირებს ეკრძალებათ, რომ სამართლიანობის აღსადგენად ძალადობის და იძულების ღონისძიებების გამოყენებით თავად გაუსწორდნენ დანაშაულის ჩამდენს. ამიტომ, სახელმწიფოს ეკისრება თავისი

მოქალაქეების დაცვაზე ზრუნვის ვალდებულება. ამისათვის მან უნდა შექმნას სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს მისცემენ დანაშაულის გამოძიების, დანაშაულის ჩამდენი პირების დევნის და დასჯის შესაძლებლობას. სწორედ ამ გზით უნდა აღდგეს დანაშაულის ჩადენის შედეგად დარღვეული სამართლებრივი წესრიგი და სამართლიანობა. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო მეტი ძალაუფლება გააჩნია სახელმწიფოს დანაშაულის დევნისა და დასჯის პროცესში, მით უფრო მეტია რისკი იმისა, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ უფლებამოსილება ბოროტად იქნეს გამოყენებული და უდანაშაულო პირების მიმართ განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა ან უსაფუძვლოდ შეეზღუდოთ ცალკეულ პირებს უფლებები და თავისუფლებები¹. ამის თავიდან ასაცილებლად სავალდებულოა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს მოქმედების გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა. ამ სამართლებრივ ჩარჩოებს ადგენს სისხლის საპროცესო სამართალი, რომელმაც უდანაშაულო პირი უნდა დაიცვას უკანონო დევნისგან და მსჯავრდებისგან, ხოლო დამნაშავეს უნდა მისცეს ნაყენებული ბრალდებისგან თავის დაცვის ფართო შესაძლებლობები. სასამართლოს განაჩენი მხოლოდ მაშინ არის სამართლებრივად მისაღები, თუკი პროცესის ფორმალური გარანტიები ბრალდებულის საზიანოდ არ დარღვეულა. სამართლებრივ სახელმწიფოში სისხლის საპროცესო სამართლის მოთხოვნების დაცვა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც დამნაშავეს გასამართლება და ამ გზით სამართლებრივი წესრიგის აღდგენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის საპროცესო სამართალში გამოყოფენ სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ ძირითად მიზნებს: 1. დანაშაულის დასჯის სახელმწიფოს უფლებამოსილების რეალიზაცია; 2. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი პროცესის უზრუნველყოფა და 3. სამართლებრივი წესრიგის აღდგენა.

¹ იხ. Roxin, C./Schünemann, B.: Strafverfahrensrecht, 26-ე გამოცემა, 2009, გვ. 2.

1. დანაშაულის დასჯის სახელმწიფოს უფლებამოსილების რეალიზაცია

როგორც უკვე აღინიშნა, თვითიუსტიცია უარყოფილი და აკრძალულია. დემოკრატიულ სახელმწიფოში მატერიალური სისხლის სამართლის ნორმის დარღვევის შედეგად დაზარალებულსა (ასევე საზოგადოებასა) და (სავარაუდო) დამნაშავეს შორის წარმოშობილი „კონფლიქტის“ მოგვარება და სამართლიანობის აღდგენა, როგორც წესი, მესამე ნეიტრალური მხარის, „იუსტიციის“ ამოცანაა. „სახელმწიფო იუსტიცია“ ვალდებულია ჩაერიოს ზემოაღნიშნულ კონფლიქტში და დასაჯოს დამნაშავე სამართლიანობის და დარღვეული სამართლებრივი წესრიგის აღსადგენად, რაც როგორც მსხვერპლის, ისე საზოგადოების ინტერესებში ხორციელდება. დანაშაულის მსხვერპლს შეუძლია დამნაშავეს მოსთხოვოს მხოლოდ მისთვის მიყენებული მორალური, ფიზიკური და ქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს, რომ ცალკეულ შემთხვევებში განისაზღვროს, თუ რამდენად წარმოეშობა სახელმწიფოს დანაშაულის დასჯის უფლებამოსილება. გარდა ამისა, სისხლის სამართლის პროცესის მეშვეობით უნდა მოხდეს სახელმწიფოს ამ უფლებამოსილების რეალიზაცია. ასე მაგალითად, საგამოძიებო ორგანოები დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში იწყებენ გამოძიებას და სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების მეშვეობით მოიპოვებენ მტკიცებულებებს დანაშაულისა და დამნაშავეს შესახებ. ამ გზით უნდა დადგინდეს, თუ რამდენად არსებობს სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულის დასჯის საფუძველი. თუკი პირის მიმართ დაინყება სისხლისსამართლებრივი დევნა და სასამართლო მიიღებს გამამტყუნებელ გადაწყვეტილებას და დაუნიშნავს დამნაშავეს სასჯელს, ამით მოხდება **„დანაშაულის დასჯის სახელმწიფოს უფლებამოსილების“** რეალიზაცია. აღსანიშნავია, რომ დამნაშავესთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით მიღებული უნდა იქნეს *მატერიალურად სწორი* და *სამართლიანი* გადაწყვეტილება, რადგან

სამართლიანობა სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპია².

II. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი პროცესის უზრუნველყოფა

სისხლის სამართლის პროცესის ამოცანა მდგომარეობს აგრეთვე დანაშაულის ჩამდენი პირის სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით დადგენილი წესების შესაბამისად გასამართლების უზრუნველყოფაში. აღნიშნულს ენიჭება განსაკუთრებული ყურადღება რადგან, სისხლის სამართლის საპროცესო მექანიზმებით არსებითად იზღუდება ბრალდებულის პირადი ცხოვრების უფლება და კანონით დაცული მისი სხვა უფლებები.

ვინაიდან, სამართლებრივ სახელმწიფოში დაუშვებელია „სამართლის დადგენა და სამართლიანობის მიღწევა ყველაფრის ფასად“³, სისხლის საპროცესო სამართლის ნორმები სისხლის სამართალწარმოების პროცესში სახელმწიფოს ძალაუფლებას ზღუდავს ცალკეული პირების თავისუფლების და უფლებების დასაცავად. მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და ისინი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას. აღნიშნული წესები მოქმედებს მაშინაც კი, როდესაც პირის დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებების სიმცირისა და/ან მნიშვნელოვანი მტკიცებულების ბრალდების მხარის მიერ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვების გამო პროცესუალურად ვერ ხერხდება (აშკარა) დამნაშავეის გასამართლება და დასჯა. მაშასადამე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებულ სისხლის სამართლის პროცესში სისხლის საპრო-

² *Beulke, W.*: Strafprozessrecht, მე-11 გამოცემა, 2010, გვ. 3; *Murmann, U.*: Über den Zweck des Strafprozesses, *krebuSi: GA 2004*, გვ. 65, 68.

³ *Beulke, W.* (2010), იქვე, გვ. 3.

ცესო სამართლებრივი ნორმების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და იგი ხშირ შემთხვევებში აღემატება კიდევ სიმართლის დადგენისა და სამართლიანობის აღდგენის საჯარო ინტერესს. აღნიშნული წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს მიმართ ნდობის შენარჩუნებისა და „დანაშაულის დასჯის სახელმწიფოს უფლებამოსილების“ ეფექტურად რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.

III. სამართლებრივი წესრიგის აღდგენა

სისხლის სამართლის პროცესმა დანაშაულის შედეგად დარღვეული სამართლებრივი წესრიგის აღდგენა უნდა უზრუნველყოს. აღნიშნული მიიღწევა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით და აღსრულებით. მას შემდეგ, რაც სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა და აღსრულდება, რეალიზაციას ჰპოვებს მატერიალური სისხლის სამართალი. მატერიალური სისხლის სამართლის რეალიზაციის შედეგად კი მიიღწევა სასჯელის (ზოგადი და (სპეციალური) კერძო) პრევენციული მიზნები, რაც დარღვეული სამართლებრივი წესრიგის აღდგენის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ხელუხლებლად დატოვება აშკარად უსამართლობა იქნება. ამიტომ, შესაძლებელია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გადაისინჯოს *ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო*. მაშასადამე, სასამართლოს განაჩენი (აღნიშნულში მოიაზრება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება). რჩება კანონიერ ძალაში და როგორც წესი, მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია. ამ პრინციპიდან გადახვევა კი, როდესაც სახეზეა ახლადგამოვლენილი გარემოებები, გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან და წარმოადგენს გამოწვევას.

§3. სისხლის სამართლის პროცესის სტადიების ზოგადი მიმოხილვა

1. გამოძიება

სისხლის სამართლის პროცესი იწყება *გამოძიებით*. გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის ჩადენის შესახებ *ვარაუდი*. როგორც წესი, ვარაუდი ემყარება პოლიციის, საგამოძიებო ორგანოს ან პროკურატურის მიერ დანაშაულის შესახებ მიღებულ ინფორმაციას (ინფორმაცია შესაძლოა იყოს ანონიმურიც). ასეთი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში (მნიშვნელობა არ აქვს ინფორმაციის წყაროს) გამოძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება (სსსკ-ის მე-100 და 101-ე მუხლები). თუ თავდაპირველად დანაშაულის ჩამდენი პირი უცნობია, გამოძიება მიმდინარეობს დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით მტკიცებულებების მოსაპოვებლად და დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად.

დანაშაულის *სავარაუდო ჩამდენი პირი*, რომლის მიმართაც იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, იწოდება *ბრალდებულად*. *ბრალდებული* წარმოადგენს ზოგად ტერმინს, რომელიც გამოიყენება როგორც გამოძიების, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს (პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენის შემდეგ პირი იწოდება *გამართლებულად* ან *მსჯავრდებულად*).

დანაშაულის გამოძიებას, როგორც წესი აწარმოებს გამოძიებელი, თუმცა გამოძიების *საპროცესო ხელმძღვანელად* გვევლინება *პროკურორი*. იგი უფლებამოსილია გარკვეულ შემთხვევებში სრული მოცულობით ჩაატაროს გამოძიება. გამოძიება შედგება ცალკეული საგამოძიებო მოქმედებებისგან, რომლის მეშვეობით ხდება სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება. წარდგენილი ბრალდებისგან თავის დასაცავად, გამოძიების ჩატარების უფლება ენიჭება აგრეთვე ბრალდებულსაც, რომელიც მტკიცებულებებს მოიპოვებს დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით. გასათვალისწინებელია, რომ ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, რომლებიც არსებითად ზღუდავენ პირის კანონით მი-

ნიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს (მაგ., ჩხრეკა, ამოღება, ფარული საგამოძიებო მოქმედებები), დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს ნებართვით.

ვინაიდან, დამნაშავეთა უმეტესობა ცდილობს მიიმალოს და თავი აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, გაანადგუროს მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები ან სხვაგვარად ხელი შეუშალოს გამოძიებას, აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მთელ რიგ იძულების და აღკვეთის ღონისძიებებს (მაგ., დაკავება, დაპატიმრება, გირაო და ა.შ.).

მას შემდეგ, რაც მხარეები გამოძიებისთვის წინასწარ განსაზღვრულ ვადაში⁴ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად შეკრებენ საჭირო მტკიცებულებებს, გამოძიების პროცესი მთავრდება და სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო განხილვის ეტაპი იწყება.

II. წინასასამართლო სხდომა

თუ პროკურორი უარს არ იტყვის სისხლისსამართლებრივ დევნაზე და ამასთან ერთად, გამოძიების ეტაპზე მხარეებს შორის არ დადებულია საპროცესო შეთანხმება, წინასასამართლო სხდომის ჩატარება ყოველთვის სავალდებულოა, ვიდრე სისხლის სამართლის საქმე სასამართლოს არსებითი განხილვისთვის გადაეცემა. სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისთვის გადასაცემად წინასასამართლო სხდომის მოსამართლე უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული ბრალდებულმა ჩაიდინა (სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

წინასასამართლო სხდომის დანიშნულება პირველ რიგში პროცესის ეკონომიურობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს. სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო განხილვამ საქ-

⁴ მაგისტრატი მოსამართლის მიერ ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისას განისაზღვრება წინასასამართლო სხდომის თარიღი (სსსკ-ის 208-ე მუხლი). შესაბამისად, გამოძიების პროცესი გრძელდება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე.

მის არსებითად განმხილველ მოსამართლეს და ბრალდებულს უსაფუძვლო პროცესი უნდა აარიდოს თავიდან. აღსანიშნავია, რომ საქვეყნო სისხლის სამართლის პროცესს ბრალდებულის პიროვნებისა და რეპუტაციისთვის არსებითი ზიანის მოტანა შეუძლია. სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის მიუხედავად, საზოგადოებაში მაინც არსებობს გარკვეული ნეგატიური დამოკიდებულება გამართლებულისადმი, რამაც შეიძლება მის კარიერაზე და რეპუტაციაზე უარყოფითად იმოქმედოს. ამიტომ, სასამართლოს წინაშე მხოლოდ ის პირი უნდა წარდგეს ბრალდებულის სახით, რომლის გამტყუნების მაღალი ალბათობა არსებობს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

III. საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში

სისხლის სამართლის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა წარმოადგენს. მართალია, გამოძიების ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებები იძლევა პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალებას, მაგრამ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებულ სისხლის სამართლის პროცესში პიროვნების დამნაშავეობასა თუ უდანაშაულობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლომ უნდა მიიღოს. სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე წარმოებული პროცესი მიზნად ისახავს მხარეების მიერ სასამართლოსთვის საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი მტკიცებულებების წარმოდგენას.

სისხლის სამართლის პროცესის აღნიშნულ ეტაპზე სრულყოფილად ხდება მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა. თუკი სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ ბრალდებულმა ბრალდებაში აღწერილი ქმედება ჩაიდინა, მაშინ მის მიმართ გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს. ხოლო, იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გაუჩნდება ეჭვი ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით, მან უნდა მიიღოს გამამართლებელი გადაწყვეტილება, მაშინაც კი, როცა უფრო მეტი

ფაქტი მის ბრალეულობაზე, ვიდრე უდანაშაულობაზე მეტყველებს (ე.წ. in dubio pro reo-ს პრინციპი).

არსებობს სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ორი მოდელი, კერძოდ, მოსამართლის მიერ საქმის ერთპიროვნული განხილვისა და საქმის ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილვის მოდელები. ეს მოდელები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, რომ ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის არსებითი განხილვა შედგება ორი ეტაპისგან, ხოლო მოსამართლის მიერ საქმის ერთპიროვნულად განხილვა – მხოლოდ ერთი ეტაპისგან. პირველ ეტაპზე ნაფიცი მსაჯულები იღებენ ვერდიქტს პირის უდანაშაულოდ ან დამნაშავედ ცნობის შესახებ, ხოლო მეორე ეტაპზე მოსამართლე ნიშნავს სასჯელს. სისხლის სამართლის საქმის მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად განხილვის შემთხვევაში, ცალკე არ არის გამოყოფილი სასჯელის დანიშვნის პროცედურები. მოსამართლე ერთდროულად იღებს, როგორც ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის, ისე სასჯელის დანიშვნის გადაწყვეტილებას.

IV. სასამართლოს განაჩენის აღსრულება

სასამართლოს განაჩენის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ, იგი კანონიერ ძალაში შედის და უნდა აღსრულდეს (სსსკ-ის 279-ე მუხლი). შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვის შემდეგ იწყება სისხლის სამართლის პროცესის ახალი ეტაპი – ე.წ. სასამართლოს განაჩენის აღსრულების ეტაპი. სისხლის სამართლის აღნიშნულ ეტაპზე განაჩენის დამდგენი სასამართლო უზრუნველყოფს განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას, ამასთან ერთად განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მაგალითად განაჩენის აღსრულების გადავადება, პოლიციის ორგანოების მეშვეობით მსჯავრდებულის ძებნა და ა.შ.

V. სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება

სისხლის სამართლის პროცესის შემდგომ ეტაპს წარმოადგენს სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება, რომელიც მოიცავს აპელაციას და კასაციას.

როგორც წესი, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი საბოლოო არ არის და იგი ექვემდებარება გასაჩივრებას, თუკი კანონით გამონაკლისის სახით სხვა რამ არ არის დადგენილი (მაგალითად, გასაჩივრებას არ ექვემდებარება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი; ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი შესაძლებელია ერთჯერადად საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდეს, სსსკ-ის 266-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილი).

იმისდა მიუხედავად, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოცხადებისთანავე შედის კანონიერ ძალაში და აღსასრულებლად მიექცევა, კანონი მაინც ანიჭებს მხარეებს უფლებას, განაჩენი გაასაჩივრონ სააპელაციო წესით, თუ მათ იგი უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მიაჩნიათ (სსსკ-ის 292-ე მუხლი). სააპელაციო ინსტანციაში ხდება მხოლოდ ახალი მტკიცებულებების გამოკვლევა. გარკვეულ გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია წინა ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაც. სწრაფი და ეფექტური სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მის ნაცვლად დაადგინოს ახალი. ამიტომ, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოდან სისხლის სამართლის საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად არ ბრუნდება.

არამარტო პირველი ინსტანციის სასამართლოს, აგრეთვე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს. ამ უკანასკნელის გასაჩივრება ხდება საკასაციო წესით, თუ კასატორის აზრით იგი უკანონოა. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილ განაჩენს საკასაციო წესით

განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

მას შემდეგ, რაც მხარე ამონურავს ეროვნული სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციებში სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების ყველა საშუალებას, საბოლოოდ მას კიდევ აქვს შესაძლებლობა, მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თუკი მას მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნები.

VI. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელ სტადიას. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე არ განიხილება მე-4 ინსტანციაში. ახლად გამოვლენილი გარემოების გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველია არა საჩივარი, არამედ შუამდგომლობა. ახლად გამოვლენილი გარემოების გამო შესაძლებელია განაჩენი გადასინჯოს მაშინაც კი, როდესაც ამონურულია სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების ყველა საშუალება და განაჩენი აღარ ექვემდებარება გასაჩივრებას. ამრიგად, კანონი ნებისმიერ შემთხვევაში იძლევა სასამართლოს მცდარი განაჩენის გადასინჯვის და შესწორების შესაძლებლობას.

§4. სისხლის საპროცესო სამართლის წყაროები

სისხლის საპროცესო სამართალი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს და საქართველოს სხვა კანონებს. სისხლის საპროცესო სამართლის წყაროდ გვევლინება აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები.

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა კანონები

სისხლის საპროცესო სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს 2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებული და 2010 წლის 1 ოქტომბრიდან მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების ძირითად წესებს (სსსკ-ის პირველი მუხლი) და რომელშიც თავმოყრილია სისხლის საპროცესო სამართლის ნორმათა უდიდესი ნაწილი.

სსსკ შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან. ზოგადი ნაწილი მოიცავს 3 კარს და შეიცავს მთელ რიგ ზოგადი ხასიათის პროცესუალურ დებულებებს:

- *კარი I. სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობა და პრინციპები;*
- *კარი II. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები;*
- *კარი III. მტკიცებულება.*

სსსკ-ის კერძო ნაწილი კი შედგება 5 კარისგან და იგი აწესრიგებს შემდეგ პროცესუალურ საკითხებს:

- *კარი IV. გამოძიება;*
- *კარი V. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, აღკვეთის ღონისძიების შერჩევა, საპროცესო შეთანხმება;*
- *კარი VI. წინასასამართლო სხდომა და საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში;*
- *კარი VII. ცალკეული კატეგორიის საქმეთა წარმოება;*
- *კარი VIII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი.*

სისხლის საპროცესო სამართლის ნორმებს შეიცავენ და სისხლის საპროცესო სამართლის წყაროებად გვევლინებიან ასევე შემდეგი კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- *„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი (2009 წლის 4 დეკემბერი);*
- *„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი (1999 წლის 30 აპრილი);*

- „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი (2007 წლის 19 ივნისი);
- პატიმრობის კოდექსი (2010 წლის 9 მარტი);
- „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი (2008 წლის 21 ოქტომბერი);
- „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს-თან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი (2003 წლის 14 აგვისტო);
- „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის 1181 ბრძანება;
- „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის 134 ბრძანება;
- „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორების-თვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის 1216 ბრძანება და სხვა.

II. საქართველოს კონსტიტუცია

სისხლის საპროცესო სამართალი განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირშია კონსტიტუციურ სამართალთან. საქართველოს კონსტიტუცია სისხლის საპროცესო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. აღსანიშნავია, რომ სისხლის საპროცესო სამართლის ფუძემდებლურ დებულებებს გააჩნიათ კონსტიტუციური რანგი, რადგან ისინი პირდაპირ გამომდინარეობენ კონსტიტუციიდან და სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე ცალკეულ პირებს ანიჭებენ გარკვეულ პროცესუალურ გარანტიებს. აღნიშნული დებულებების რიცხვს მიეკუთვნება მაგალი-

თად, უდანაშაულობის პრეზუმფცია (საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი), დაცვის უფლების გარანტია (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი), ერთი და იმავე დანაშაულისთვის განმეორებით დასჯის აკრძალვა (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი) და სხვა.

სისხლის საპროცესო სამართალსა და კონსტიტუციურ სამართალს შორის მჭიდრო კავშირი იქიდანაც გამომდინარეობს, რომ სსსკ, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ძირითადი წყარო, ითვალისწინებს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძვლებს და პროცესუალურ წესებს. მაგალითად, სსსკ-ის 171-ე – 174-ე მუხლები ითვალისწინებენ კონსტიტუციის მე-18 მუხლით პირისთვის მინიჭებული თავისუფლების ხელშეუვალობის უფლების შეზღუდვის საფუძველს და წესს. აგრეთვე, სსსკ-ის 119-ე და 120-ე მუხლები ადგენენ კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებული ბინისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის საფუძვლებსა და წესს. მაშასადამე, სსსკ *საქართველოს კონსტიტუციის კონკრეტიზაციას* წარმოადგენს და ამიტომ, სისხლის საპროცესო სამართალს *გამოყენებით კონსტიტუციურ სამართალსაც* უწოდებენ⁵. კონსტიტუცია ადგენს იმ სამართლებრივ ჩარჩოებს, რის ფარგლებშიც უნდა მოხდეს სისხლის საპროცესო სამართლის ნორმების ინტერპრეტაცია.

III. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად იმატა საერთაშორისო სამართლის გავლენამ. ამის მიზეზია *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის* პრაქტიკაში ფართო გამოყენება და კონვენციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დასაცავად *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის* მიმართვის შესაძლებლობის არსებობა. 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა ევრო-

⁵ Kühne, H.-H., *Starfprozessrecht, Eine systematische Darstellung des deutschen und europäischen Strafverfahrensrechts*, მე-8 გამოცემა, 2010, გვ. 6.

პული კონვენცია⁶, რომელიც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების-თვის ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითად საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს, განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ძირითად მიმართულებებს და აქედან გამომდინარე, მას სისხლის საპროცესო სამართლისთვის გააჩნია ფუძემდებლური მნიშვნელობა. აღნიშნული დოკუმენტი შეიცავს უმნიშვნელოვანეს პროცესუალურ გარანტიებს, სახელ-დობრ:

- სიცოცხლის უფლება (კონვენციის მე-2 მუხლი);
- წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა (კონვენციის მე-3 მუხლი);
- თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების გარანტია (კონვენციის მე-5 მუხლი);
- სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (ე.წ. Fair-trial-პრინციპი, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი);
- უდანაშაულობის პრეზუმფცია (კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი);
- ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების არსისა და საფუძვლის დაუყოვნებლივ გაცნობის უფლება (კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი);
- დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროისა და შესაძლებლობების ქონის უფლება (კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი);
- დამცველის ყოლის უფლება (კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტი);
- კონტრადიქტორული პროცესის უზრუნველყოფის უფლება (კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი);
- თარჯიმნის უფასო დახმარებით სარგებლობის უფლება (კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი).

⁶ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

გარდა ამისა, აღნიშნული კონვენციის დამატებითი ოქმები ითვალისწინებენ ასევე ცალკეულ პროცესუალურ გარანტიებს. მაგალითად, მე-7 ოქმის მე-2 მუხლი მსჯავრდებულს ანიჭებს სასამართლოს გადანყვეტილების გასაჩივრების უფლებას; მცდარი მსჯავრდებისთვის კომპენსაციის მიღების უფლებას (მე-3 მუხლი); ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვას (მე-4 მუხლი).

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დაცვა იმით არის უზრუნველყოფილი, რომ ნებისმიერ პირს აქვს უფლება კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის გამო მიმართოს განცხადებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (კონვენციის 34-ე მუხლი). კონვენციის 35-ე მუხლის თანახმად, სასამართლო მხოლოდ მას შემდეგ მიიღებს საქმეს განსახილველად, როცა პირი სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივ საშუალებას ამოწურავს. თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, მას არ აქვს იმის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ეროვნული სასამართლოების გადანყვეტილებები გააუქმოს. იგი არ არის მე-4 ინსტანციის სასამართლო. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დააკისროს სახელმწიფოს სამართლიანი დაკმაყოფილების განსაზღვრა, რაც მოიცავს იმ პირებისთვის ზიანის ანაზღაურებას, რომელთა მიმართაც დადგენილი იქნება კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევა. გარდა ამისა, თუკი ევროპული სასამართლო პირის მიმართ კონვენციით მინიჭებული უფლებების დარღვევის ფაქტს დაადგენს, დაზარალებულს შესაძლებლობა აქვს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოითხოვოს ეროვნული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო. ამასთან ერთად, ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის მოთხოვნაა, რომ სახელმწიფოები უნდა დაემორჩილონ ევროპული სასამართლოს საბოლოო გადანყვეტილებას, რომლის მხარეებიც ისინი არიან. მაშასადამე, ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს მხოლოდ იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც აღნიშნულ საქმეზე მხარეებს წარმოადგენენ. მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს

იმას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონკრეტული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებას სხვა სახელმწიფოებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იმ შემთხვევაში, თუ სხვა სახელმწიფოები არ გაითვალისწინებენ ევროპული სასამართლოს მოთხოვნებს და მათი მხრიდანაც ადგილი ექნება ევროპული კონვენციის დარღვევებს, დიდი ალბათობით ევროპული სასამართლო მათ წინააღმდეგაც მიიღებს ანალოგიურ გადაწყვეტილებას და დაადგენს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტს. ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის გააჩნია სახელმძღვანელო ნორმატიული ფუნქცია, რომელზეც სახელმწიფოებმა სისხლის სამართლის პროცესის წარმოების დროს ორიენტაცია უნდა მოახდინონ.

IV. საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართალი

საერთაშორისო სისხლის საპროცესო სამართალი შედგება იმ საპროცესო-სამართლებრივი ნორმებისგან, რომლებიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოიყენება საერთაშორისო დანაშაულის კატეგორიას მიკუთვნებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის დროს. დღეისათვის ძირითადად არსებობს სამი საერთაშორისო სასამართლო. ესენია: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) უშიშროების საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული ექს-იუგოსლავიისა (ICTY) და რუანდის (ICTR) სისხლის სამართლის დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალები და აგრეთვე, რომის სტატუტის შესაბამისად დაარსებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC)⁷. რომის სტატუტი, რომელიც შეიცავს საერთაშორისო მატერიალური და პროცესუალური სისხლის სამართლის არაერთ

7 იხ. „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის ნესდება“ მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე 1998 წლის 17 ივლისს; იხ. ვრცლად ტურავა, მ.: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომის სტატუტთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის კომენტარი, 2005, გვ. 3-123.

ნორმას, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 2003 წლის 16 ივლისის დადგენილებით, რასაც შემდგომად მოჰყვა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის სტატუტთან შესაბამისობაში მოყვანა და აგრეთვე, „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“ 2003 წლის 14 აგვისტოს საქართველოს კანონის მიღება.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არის მუდმივმოქმედი სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს მართლმსაჯულება რომის სტატუტით განსაზღვრული შემდეგი კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე: გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ომის დანაშაული და აგრესია.

სისხლის სამართლის საერთაშორისო მუდმივმოქმედი სასამართლო, რომლის ადგილმდებარეობაც არის ჰააგაში, შედგება სამ განყოფილებად დაყოფილი სასამართლოსგან (სააპელაციო, სასამართლო წარმოებისა და წინასწარი წარმოების განყოფილებები), პრეზიდიუმისგან, პროკურორის კანცელარიისა და სამდივნოსგან. საერთაშორისო სასამართლოსთვის საქმის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს არა აქვს შესაძლებლობა ან სურვილი, შეასრულოს სტატუტიდან გამომდინარე საერთაშორისო ვალდებულება, კერძოდ, მის ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქის მიერ ჩადენილი ერთ-ერთი ზემოაღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიმართ, საკუთარი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით, განახორციელოს ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა და მართლმსაჯულება (ე.წ. *კომპლემენტარულობის პრინციპი*, სტატუტის მე-17 მუხლი). პროკურორი სასამართლოსგან დამოუკიდებელი და გამოძიების წარმოების უფლებამოსილებით აღჭურვილი ბრალდების ორგანოა. სისხლის სამართლის პროცესი შეიძლება დაიწყოს პროკურორის გადანყვეტილების საფუძველზე, ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს ან გაერო-ს უშიშროების საბჭოს ინიციატივით (რომის სტატუტის მე-13 მუხლი). გამოძიების პროცესის დასაწყებად საკმარისი (გონივრული) საფუძვლის („reasonable basis“) არსებობის შემთხვევაში (სტატუტის 53-ე მუხლი), პროკურორი საქმეს გადაუგზავნის წინასწარი

წარმოების პალატას, რომელიც პირის სასამართლოსთვის გადაცემის ან სასამართლოში ნებაყოფლობით გამოცხადების შემდეგ გამართავს ზეპირ მოსმენას ბრალდებათა დადასტურების თაობაზე (*confirmation hearing*, სტატუტის 61-ე მუხლი). ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, საქმე განსახილველად გადაეცემა სასამართლო წარმოების პალატას, სხვა შემთხვევაში პირის მიმართ წარმოებული პროცესი შეწყდება ან პროკურორს ახალი მტკიცებულებების წარდგენას მოსთხოვენ. როგორც წესი, სასამართლო განხილვა მიმდინარეობს ბრალდებულის თანდასწრებით (სტატუტის 63-ე მუხლი), რომელსაც უძღვება თავმჯდომარე მოსამართლე. თავმჯდომარე მოსამართლე ვალდებულია გონივრულ ვადაში წარმართოს პროცესი, უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლო განხილვა და ბრალდებულის უფლებების დაცვა. აღნიშნული უფლებების ჩამონათვალი მოცემულია რომის სტატუტის შესაბამის მუხლებში, რომლებიც შეესაბამებიან ადამიანის უფლებათა ზოგად სტანდარტებს. სასამართლო პროცესი ეფუძნება მატერიალური ჭეშმარიტების დადგენის პრინციპს და აქედან გამომდინარე, პროკურორმა ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, თანაბრად უნდა გამოიძიოს როგორც პირის ბრალეულობის, ისე უდანაშაულობის დამამტკიცებელი გარემოებები (სტატუტის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი). ამასთან ერთად, მოსამართლეს თავადაც შეუძლია მოითხოვოს ცალკეული მტკიცებულებების წარმოდგენა და იგი ჭეშმარიტების დადგენისთვის მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე არ არის დამოკიდებული (სტატუტის 69-ე მუხლის მე-3 პუნქტი). შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოს როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი განაჩენი (სტატუტის 81-ე მუხლი). სტატუტი ითვალისწინებს აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობასაც (სტატუტის 84-ე მუხლი).

§ 5. სისხლის სამართლის საპროცესო კანონი და მისი მოქმედების ფარგლები

1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება დროში

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმა მოქმედებს განსაზღვრულ დროსა და სივრცეში. სსსკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება ის საპროცესო ნორმა, რომელიც მოქმედებს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. ამრიგად, განსხვავებით მატერიალური სისხლის სამართლისგან, სადაც სისხლის სამართლის ნორმის დროში მოქმედება დანაშაულის ჩადენის დროის მიხედვით განისაზღვრება (სსკ-ის მე-2 მუხლი), სისხლის საპროცესო სამართალში დანაშაულის ჩადენის დროს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ენიჭება. თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ სისხლის სამართლის საპროცესო კანონი რამდენიმეჯერ შეიცვალა, გამოიყენება ყოველთვის **ახალი ნორმა**. მაგალითად, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედებდა ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების დროს დამსწრის მონვევის დროებითი წესი. სსსკ-ის 331-ე მუხლის თანახმად, გამომძიებელი ან პროკურორი ვალდებული იყო ბრალდებულის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყო საგამომძიებო მოქმედებაში დამსწრის მონაწილეობა. სსსკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ბრალდებულის საცხოვრებელში ჩატარებული ჩხრეკისას მას აღარ აქვს დამსწრის მონვევის სამართლებრივი შესაძლებლობა, იმისდა მიუხედავად, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა 2012 წლის 1 ოქტომბრამდე.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დროში მოქმედებასთან მჭიდრო კავშირშია კანონის უკუქაღლის საკითხი. სსსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შეტანილი ცვლილებები იწვევს წინათ გატანილი საპროცესო აქტის გაუქმებას ან შეცვლას, თუ ამით უმჯობესდება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მდგომარეობა. მაგალითად, თუ ბრალდებული პროკურორის შუამდგომლობის

საფუძველზე სასამართლოს განჩინებით მოთავსებულ იქნა სამედიცინო დაწესებულებაში 20 დღით (სსსკ-ის 180-ე და 181-ე მუხლები), მაგრამ აღნიშნული ვადის გასვლამდე კანონში შეტანილი ცვლილებით სამედიცინო დაწესებულებაში ბრალდებულის მოთავსების საერთო ვადა შემცირდა 15 დღემდე, მაშინ სავალდებულო გახდება სასამართლოს განჩინების შეცვლა და მისი საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

II. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება სივრცეში

სსსკ-ის მე-2 მუხლის მე-4, მე-5, მე-6 და მე-8 ნაწილები განსაზღვრავენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის სივრცეში მოქმედების საკითხს, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამოიყენება აგრეთვე საქართველოს დროშით ან ამოსაცნობი ნიშნით საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ საჰაერო თუ საზღვაო ხომალდზე ჩადენილი დანაშაულის გამო, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

რიგ შემთხვევებში, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შეიძლება გამოიყენებულ იქნეს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზედაც. მაგალითად, თუ საქართველოში დანაშაულის მსხვერპლი გახდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რის შემდეგაც მათ დატოვეს საქართველოს ტერიტორია, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილი წესის დაცვით შესაძლოა ეთხოვოს უცხოელი დაზარალებულების ადგილსამყოფელ სახელმწიფოს, რომ ქართველმა სამართალდამცავებმა აწარმოონ აღნიშნულ სახელმწიფოში საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად გარკვეული საპროცესო მოქმედებები და-

ნაშაულის შესახებ მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად და საჭირო მტკიცებულებათა მოსაპოვებლად. მსგავსად ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს თუ საგამოძიებო ორგანოს შუამდგომლობის შესრულებისას შეიძლება ამ სახელმწიფოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებაც, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

III. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება პირთა წრის მიმართ

სისხლის სამართლის საპროცესო კანონი გამოიყენება ყველა იმ პირის მიმართ, რომელსაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მათი მოქალაქეობის მიუხედავად. რამდენადაც საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონი მოქმედებს პირის მიმართ მაშინაც, როცა იგი იმყოფება საქართველოს საზღვრებს გარეთ. აღნიშნულ საკითხს უკავშირდება აგრეთვე ე.წ. „კანონისმიერი სასამართლოს პრინციპი“, რომლის თანახმად, პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის განსჯადობასაც კანონით ექვემდებარება მისი საქმის განხილვა. ვინაიდან კანონი განსაზღვრავს სასამართლო განსჯადობას, ბრალმდებელს უფლება არ აქვს თვითნებურად მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რომელ სასამართლოს უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმე განსახილველად.

სისხლის საპროცესო კანონის მოქმედებას პირთა წრის მიმართ გააჩნია შემდეგი *გამონაკლისები*:

- *საერთაშორისო-სამართლებრივი* გამონაკლისი: ის პირები, რომლებსაც გააჩნიათ დიპლომატიური იმუნიტეტი („*ექსტერიტორიულობის*“ პრინციპი), არ ექვემდებარებიან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციას. დაუშვებელია დიპლო-

მატიური იმუნიტეტის მქონე პირის, მის ან მისი ოჯახის წევრის მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში ამოღება ან ჩხრეკა. აღნიშნული დაიშვება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობით ან თხოვნით (სსსკ-ის 122-ე მუხლი). დაუშვებელია ასევე ზემოაღნიშნული პირების დაკავება (სსსკ-ის 173-ე მუხლი). დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და მათ მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებული წესი განისაზღვრება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით (სსსკ-ის 167-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

- საერთაშორისო-სამართლებრივ გამონაკლისებთან ერთად არსებობს აგრეთვე **კონსტიტუციურ-სამართლებრივი** გამონაკლისები: მაგალითად საქართველოს სახალხო დამცველს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, გენერალურ აუდიტორს, მოსამართლეს იცავს **იმუნიტეტი**, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად და ზოგიერთი საპროცესო მოქმედებების განსახორციელებლად საჭიროა კანონით დადგენილი წესით შესაბამისი ორგანოებისგან თანხმობის მიღება (სსსკ-ის 167-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-5 ნაწილი) დაუშვებელია აგრეთვე ამ პირების დაკავება, თუმცა დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის წევრის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის და მოსამართლის დაკავება, იმუნიტეტის მიუხედავად, ნებადართულია.

საქართველოს მოქალაქე, რომელიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობს, აგრეთვე საზღვარგარეთ მყოფი მისი ოჯახის წევრები, საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისთვის, თუ ისინი ნებაყოფლობით არ დათანხმდებიან ადგილსამყოფელი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლო-

ბის გამოყენებას, ექვემდებარებიან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციას (სსსკ-ის მე-2 მუხლის მე-7 ნაწილი).

IV. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ინტერპრეტაცია და ანალოგიით გამოყენება

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ნორმის ინტერპრეტაციის სპეციალურ წესებს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ნორმის ინტერპრეტაციის ზოგადი პრინციპები და კანონის ახსნა-განმარტების სხვადასხვა ფორმები. ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულია კანონის ახსნა-განმარტების ოთხი ძირითადი სახე: 1. გრამატიკული (სიტყვა-სიტყვითი); 2. სისტემური; 3. ისტორიული და 4. ობიექტურ-ტელეოლოგიური⁸.

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენების საკითხი რეგულირდება სსსკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით, რომლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. მაშასადამე, თუ საპროცესო კანონით არ არის რაიმე შემთხვევა დარეგულირებული, მაგრამ მას მსგავსი შინაარსი აქვს, როგორც კანონით ზუსტად განსაზღვრულს, მაშინ შესაძლებელია კანონით ზუსტად დარეგულირებული შემთხვევა ანალოგიით გავავრცელოთ ასევე კანონით დაურეგულირებულ შემთხვევაზე, თუ ამით არ იზღუდება პროცესის მონაწილისთვის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით მინიჭებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ნებადართული ნორმის ანალოგიით გამოყენების მაგალითად გამოდგება შემდეგი შემთხვევა: სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ათავისუფლებს ბრალდებულის ახლო

⁸ იხ. ვრცლად ხუბუა, გ.: სამართლის თეორია, 2004, გვ. 148-163; გვენეტაძე, ნ. ტურავა, მ.: სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, 2005, გვ. 24-50.

ნათესავს მოწმედ დაკითხვისა და საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულებისგან. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ახლო ნათესავთა წრეს მიეკუთვნება მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, *მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული)*. აღნიშნულ ნორმათა სიტყვა-სიტყვითი ინტერპრეტაციის მიხედვით, ბრალდებულთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა პირმა, რომელიც ბრალდებულთან ერთად წლების განმავლობაში ეწევა საერთო მეურნეობას და ჰყავს საერთო შვილებიც (რაც არც თუ ისე იშვიათი შემთხვევაა ქართულ რეალობაში), ბრალდებულის საზიანოდ უნდა მისცეს ჩვენება სასამართლოში, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით მეუღლე (სკ-ის 1106-ე, 1151-ე მუხლები) არის პირი, რომელიც იმყოფება პირთან კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ქორწინებაში. სამოქალაქო კანონმდებლობა ამჟამად არ აღიარებს ასევე საეკლესიო ქორწინებას. მაშინ როდესაც განქორწინებული მეუღლეს კი თავისუფლდება მოწმის ვალდებულებისგან, ბრალდებულთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირისთვის მოწმის ვალდებულების დაკისრება არის აშკარად უსამართლო და ყოველგვარ რაციონალურ საფუძველს მოკლებული. ამიტომ აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ხარვეზს კანონმდებლობაში. თუ მოვახდენთ სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის *ობიექტურ-ტელეოლოგიურ* განმარტებას და ვიტყვით, რომ მეუღლის მოწმის ვალდებულებისგან გათავისუფლებით კანონი სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ინტერესთან შედარებით უფრო მაღლა აყენებს ბრალდებულის ოჯახური კეთილდღეობის ინტერესს, მაშინ მიზანშეწონილი და გამართლებულია, რომ აღნიშნული ნორმა ბრალდებულთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მიმართაც გავრცელდეს. ბრალდებულის განქორწინებულ მეუღლესთან (რომელიც კანონით თავისუფლდება მოწმის ვალდებულებისგან) არსებულ ურთიერთობაზე მეტად, ცალკეულ შემთხვევებში უფრო მეტ დაცვას იმსახურებს ისეთ პირთან ბრალდებულის ოჯახური ურთიერთობა, რომელთანაც მას ჰყავს საერთო შვილები, იყო-

ფება საეკლესიო ქორწინებაში და წლების განმავლობაში ენევა საერთო ოჯახურ მეურნეობას⁹. სხვა მაგალითიც შესაძლებელია მოვიტანოთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენებასთან დაკავშირებით: სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იმ დანაშაულის საქმეში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლე განისაზღვრება წილისყრით. ზემოაღნიშნული მსჯელობის მსგავსად, თუ იმ ნორმას, რომელიც განსაზღვრავს ახლო ნათესავთა წრეს (სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი) ანალოგიით არ გამოვიყენებთ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მიმართ, მივიღებთ სამართლებრივ-მორალურად აუტანელ შედეგს, როდესაც დანაშაულის შედეგად გარდაცვლილ პირს არ ჰყავს არცერთი ახლო ნათესავი. ვფიქრობ, რომ აქაც ადგილი აქვს საკანონმდებლო ხარვეზს და იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულს შედეგად მოჰყვა დაზარალებულის დაღუპვა, კანონის ანალოგიით გამოყენების გზით დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილ უნდა იქნეს პირი, რომელიც იმყოფებოდა დანაშაულის მსხვერპლთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში და მასთან ერთად ენეოდა საერთო ოჯახურ მეურნეობას.

9 აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა „ოჯახის“ საერთაშორისო-სამართლებრივი გაგება. „ოჯახისა“ და „ოჯახური ცხოვრების“ ცნების განსაზღვრისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ რეგისტრირებული ქორწინება ნებისმიერ შემთხვევაში წარმოშობს ოჯახურ ცხოვრებას, თუმცა, სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში ხშირად უსვამს ხაზს, რომ ოჯახის ცნება შეიცავს სხვაგვარ დე ფაქტო ოჯახურ კავშირებსაც, სადაც პირები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე. უფრო მეტიც, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში ხაზი გაუსვა, რომ ევროკონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მიზნებისთვის ქორწინების გარეშე მცხოვრები ოჯახების განსხვავება ქორწინებაში მყოფებისაგან ენიშნაღმდეგება კონვენციის მე-14 მუხლს (დისკრიმინაციის აკრძალვა); იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: *Abdulaziz, Cabaes and Balkan/dali v. the United Kingdom*, 94 Eur. Ct. H.R. (ser. A) § 62 (1985); *Keegan v. Ireland*, 290 Eur. Ct. H.R. (ser. A) § 44 (1994); *mutantis, Kroon and Others v. the Netherlands*, 297-C Eur. Ct. H.R. (ser. A) § 30 (1994); *Elsholz v. Germany*, 2000-VIII Eur. Ct. H.R. §43; *Lebbink v. the Netherlands*, 2004-IV Eur. Ct. H.R. § 34; *Marckx v. Belgium*, 31 Eur. Ct. H.R. (ser. A) § 31 (1979).

მეორე თავი

სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი პრინციპები

§6. პრინციპების ზოგადი მიმოხილვა

სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები წარმოადგენენ იმ ძირითად სახელმძღვანელო დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის შინაარსსა და სტრუქტურას. აღნიშნულ პრინციპთა ნაწილს კანონმდებელი აყალიბებს სსსკ-ის მე-2 თავში, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნება:

- ა) პიროვნების ღირსების ხელშეუვალობა (სსსკ-ის მე-4 მუხლი);
- ბ) უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია (სსსკ-ის მე-5 მუხლი);
- გ) ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა (სსსკ-ის მე-6 მუხლი);
- დ) სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (სსსკ-ის მე-7 მუხლი);
- ე) სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება (სსსკ-ის მე-8 მუხლი);
- ვ) მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა (სსსკ-ის მე-9 მუხლი);
- ზ) სასამართლო სხდომის საჯაროობა და ზეპირობა (სსსკ-ის მე-10 მუხლი);
- თ) სისხლის სამართლის პროცესის სახელმწიფო ენაზე განხორციელება (სსსკ-ის მე-11 მუხლი);
- ი) კანონიერება და სასამართლოს დამოუკიდებლობა (სსსკ-ის მე-12 მუხლი);
- კ) მტკიცებულება (სსსკ-ის მე-13 მუხლი);
- ლ) მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევა (სსსკ-ის მე-14 მუხლი);
- მ) ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება (სსსკ-ის მე-15 მუხლი);

- ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა (სსსკ-ის მე-16 მუხლი);
- ო) ბრალის წაყენება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე (სსსკ-ის მე-17 მუხლი);
- პ) განმეორებითი დაკავებისა და მსჯავრდების აკრძალვა (სსსკ-ის მე-18 მუხლი).

ამ პრინციპების ერთი ნაწილი მიეკუთვნება კონსტიტუციური პრინციპების კატეგორიას, ვინაიდან ისინი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმებიდან არიან სსსკ-ის მე-2 თავის ცალკეულ მუხლებში გადმოტანილი (მაგ., პიროვნების ღირსების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა და ა.შ.). ნაწილს კი წმინდა პროცესუალური შინაარსი აქვს და ამიტომ, ისინი საპროცესო-სამართლებრივ პრინციპებად იწოდებიან (მაგ., მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევა, სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა).

ზემოაღნიშნულის გარდა, სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს აგრეთვე სხვა პრინციპებიც, რომლებიც თუმცა სსსკ-ის მე-2 თავში არ არიან ასეთად პირდაპირ მოხსენიებული, მაგრამ გამომდინარეობენ სისხლის საპროცესო სამართლის ცალკეული ნორმებიდან. მათ რიცხვს მიეკუთვნება მაგალითად, *კანონისმიერი სასამართლოს პრინციპი* (სსსკ-ის მე-12 მუხლის პირველი ნაწილი), *სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმწიფო მონოპოლიის, იგივე ოფიციალურობის პრინციპი* (სსსკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი, 166-ე მუხლი), ასევე *კანონიერების, იგივე ლეგალურობის პრინციპი* (სსსკ-ის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი, მე-100 მუხლის პირველი ნაწილი), *ბრალდების პრინციპი* (*აკუზაციის პრინციპი*) (სსსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი) და სხვ.

შემდგომი განხილვის საგანი იქნება ის პრინციპები, რომლებსაც საქართველოს სისხლის სამართლის პროცესისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა გააჩნიათ და, რომლებიც იურიდიულ ლიტერატურაში სისხლის სამართლის პროცესის ზოგად პრინციპებად არიან აღიარებული. აღნიშნული პრინციპებია:

1. სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმწიფო მონოპოლიის (ოფიციალურობის) პრინციპი;
2. ბრალდების (აკუზაციის) პრინციპი;
3. კანონიერების (ლეგალურობის) პრინციპი;
4. სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობის პრინციპი;
5. კანონისმიერი სასამართლოს პრინციპი;
6. შეჯიბრებითობის პრინციპი;
7. სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი;
8. უდანაშაულობის პრეზუმფცია;
9. სამართლიანი პროცესის პრინციპი;
10. საქვეყნოობის პრინციპი;
11. ზეპირობის პრინციპი;
12. უშუალობის პრინციპი.

§7. სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმწიფო მონოპოლიის (ოფიციალურობის) პრინციპი

სსსკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს მხოლოდ პროკურორი. მხოლოდ პროკურორს აქვს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება და არა ცალკეულ მოქალაქეებს (სსსკ-ის 166-ე მუხლი). მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე მონოპოლია გააჩნია მხოლოდ სახელმწიფოს, რომელსაც იგი ახორციელებს „ex officio“ და არა დაზარალებულისა და სხვა პირების სურვილის შესაბამისად. სახელმწიფო რეაგირებას ახდენს ყველა კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა დაზარალებულს სხვადასხვა მიზეზის გამო არ სურს მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის დასჯა. დაზარალებულს უფლება აქვს დანაშაულის შესახებ განცხადებით მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს ან გამოვიდეს სისხლის სამართლის პროცესში მოწმედ. სხვა მხრივ, დაზარალებულის მოსაზრებებს არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია სისხლის სამართლის პროცესის დაწყებასა და დასრუ-

ლებაზე¹⁰. აღნიშნული დებულება გამომდინარეობს საჯარო ინტერესიდან, რომ ჩადენილი დანაშაულები არ დარჩეს რეაგირების გარეშე. ხშირ შემთხვევებში დაზარალებულს არ აქვს სურვილი ან შესაძლებლობა, რომ თავად განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩამდენის მიმართ. ამიტომ, სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმწიფო მონოპოლიის (ოფიციალურობის) პრინციპი მოქმედებს სისხლის საპროცესო სამართალში ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. ამ პრინციპიდან გამონაკლისებს იცნობდა აქამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სადაც არსებობდა **სუბსიდიური, კერძო-საჯარო და კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის** სახეები. **სუბსიდიური** დევნის დროს, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს უფლება ჰქონდათ სასამართლოში მხარი დაეჭირათ წინანდელი ბრალდებისთვის. სისხლისსამართლებრივი დევნა არ ნყდებოდა და ბრალმდებლად პროცესში დაზარალებული გვევლინებოდა (ძველი სსსკ-ის 25-ე მუხლი). **კერძო-საჯარო** სისხლისსამართლებრივი დევნის დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ ცალკეული კატეგორიის დანაშაულებების საქმეზე (მაგ., 139-ე, 153-ე, 157-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები და სხვა) სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე (ძველი სსსკ-ის 26-ე მუხლი). **კერძო** სისხლისსამართლებრივი დევნა ნიშნავდა იმას, რომ სსკ-ის 120-ე და 125-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულთა ჩამდენი პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე და იგი უნდა შემწყდარიყო ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო (ძველი სსსკ-ის 26-ე მუხლი). ამრიგად, ადრე მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაზარალებულს გააჩნდა ცალკეულ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების და

10 აქედან გამონაკლისს წარმოადგენს დაზარალებულის უფლება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში გაასაჩივროს სასამართლოში პროკურორის უარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით, ან პროკურორის გადანყევტილება სისხლისსამართლებრივი დევნის (გამოძიების) შეწყვეტის შესახებ. დანარჩენ შემთხვევებში დაზარალებულს უფლება აქვს ასეთი საჩივრით მიმართოს ზემდგომ პროკურორს; იხ. უფრო ვრცლად თავი III, § 26, IV, 2.

წარმოების პრივილეგია, რაც მოქმედი სისხლის საპროცესო კანონმდებლობით აღარ არის გათვალისწინებული. დღეს მოქმედ სისხლის საპროცესო სამართალში სისხლისსამართლებრივ დევნას გააჩნია მხოლოდ საჯარო ხასიათი და კერძო პირებს არ ენიჭებათ მისი დაწყების ან შეწყვეტის გადაწყვეტილების მისაღებად გარკვეული პრივილეგიები.

სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმწიფო მონოპოლიის (ოფიციალურობის) პრინციპი განასხვავებს სისხლის სამართლის პროცესს სამოქალაქო პროცესისგან, სადაც მოქმედებს ე.წ. **დისპოზიციურობის** პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, სამოქალაქო საქმის წარმოების დაწყებისა და შემდგომი მსვლელობის საკითხს მოქალაქეები (მხარეები) თავად წყვეტენ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი).

§8. ბრალდების (აკუზაციის) პრინციპი

ბრალდების, იგივე აკუზაციის¹¹ პრინციპის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს შესაბამისი ბრალდების არსებობის გარეშე გაასამართლოს პიროვნება. სასამართლოს თვალწინაა რომ ჩაიდინოს პირმა დანაშაული, სასამართლო არაა უფლებამოსილი, დააკისროს მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მას სათანადო წესით ბრალს არ წაუყენებენ. აღნიშნული პრინციპი ქართულ სისხლის საპროცესო სამართალში მოქმედებს ყოველგვარი გამოწვევების გარეშე. დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოების დაწყების ინიციატივა არცერთ შემთხვევაში არ უნდა მოდიოდეს მოსამართლისგან. საქმის სასამართლოში განხილვის საფუძველია პირისთვის ბრალის წაყენება, რომელიც სსსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებას. მხოლოდ ამ უკანასკნელს გააჩნია **ბრალდების მონოპოლია**. სისხლის სამართალწარმოებისას პროკურორის ფუნქციაა დანაშაულის ჩამდენი პირისთვის ბრალის წაყენება და ბრალდების დასადასტურებლად საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების გზით მტკიცებულებების შეკრება. ბრალ-

¹¹ accusare ლათინური სიტყვაა და ბრალდებას ნიშნავს.

დებულის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სასჯელის დანიშვნა კი დამოუკიდებელი ორგანოს, სასამართლოს კომპეტენციაა. მაშასადამე, ბრალდების პრინციპის შინაარსი მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად გადმოვცეთ: „*nemo iudex sine actore*“, ანუ „*არავითარი მოსამართლე ბრალმდებლის გარეშე*“.

ბრალდების პრინციპის საპირისპირო პრინციპია *ინკვიზიციის პრინციპი*, რაც იმაში გამოიხატება, რომ მხოლოდ ერთ პიროვნებაშია თავმოყრილი დანაშაულის გამოძიების, პირისთვის ბრალდების წაყენებისა და შემდგომ მისი გასამართლების ფუნქცია. აღნიშნული პრინციპი საუკუნეების განმავლობაში მოქმედებდა მრავალ ქვეყანაში. მოგვიანებით იგი უარყოფილი იქნა და ცალ-ცალკე ჩამოყალიბდა ბრალდებისა და მოსამართლის ფუნქციები, რადგან მოსამართლის ინკვიზიციური საქმიანობა არაობიექტური მართლმსაჯულების განხორციელების რეალურ საფრთხეს ქმნიდა. მოსამართლე, რომელიც თავად იძიებს დანაშაულს, თავადვე წაუყენებს პიროვნებას ბრალს და შემდეგ ასამართლებს, ძნელად შეიძლებოდა ყოფილიყო მიუკერძოებელი და ობიექტური. ამასთან ერთად, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა გარეშე პირები ადვილად შეძლებდნენ სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობაზე და შედეგზე ზეგავლენის მოხდენას. ამიტომ, ლიბერალური სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, ბრალდებისა და სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის ფუნქციების ორ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ორგანოზე განაწილება.

§9. კანონიერების (ლეგალურობის) პრინციპი

აღნიშნული პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის ერთგვარი გამოხატულებაა, რომელსაც *ფართო* და *ვიწრო* გაგება გააჩნია.

კანონიერების (ლეგალურობის) პრინციპი *ფართო გაგებით* ავალდებულებს სისხლის სამართლის პროცესის ყველა მონაწილეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვას და შესრულებას (სსსკ-ის მე-12

მუხლის მე-3 ნაწილი). არამარტო სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებისთვის, არამედ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი თანამდებობის პირებისთვისაც არის სავალდებულო კანონის შესაბამისად მოქმედება. ეს მოთხოვნა, კანონიერების (ლეგალურობის) პრინციპის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე თანაბრად მოქმედებს.

რადგან, დანაშაულის დასჯის მონოპოლია მხოლოდ სახელმწიფოს ხელშია, მან იმაზეც უნდა იზრუნოს, რომ ვინმეს მიერ დანაშაულის ჩადენა სათანადო რეაგირების გარეშე არ დარჩეს და ამას სახელმწიფო ორგანოების მხრიდან შესაბამისი რეაქცია მოჰყვეს. ამიტომ, კანონიერების (ლეგალურობის) პრინციპი **ვინრო გაგებით** დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, პროკურორს და გამომძიებელს ავალდებულებს გამოძიების დაწყებას (სსსკ-ის მე-100 მუხლის პირველი ნაწილი). მაშასადამე, აღნიშნული დებულება კანონიერების პრინციპს კიდევ უფრო აფართოებს და ამავდროულად მის შინაარსსაც აკონკრეტებს. კანონი პროკურატურისა და გამომძიების ორგანოებს არა მარტო სისხლის სამართლის საქმის გამოძიების უფლებამოსილებას ანიჭებს, არამედ იგი მათ ავალდებულებს კიდევ, რომ სათანადო წინაპირობების არსებობისას დაიწყონ და აწარმოონ გამოძიება.

დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის¹² სისხლის საპროცესო სამართალში კანონიერების (ლეგალურობის) პრინციპი პროკურატურას გამოძიების დაწყებასთან ერთად ავალდებულებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასაც და ასევე, საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისთვის სასამართლოსთვის გადაცემას. მსგავსი შინაარსი გააჩნდა კანონიერების (ლეგალურობის) პრინციპს საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალშიც 2010 წლის 1 ოქტომბრამდე. მანამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 22-ე, 413-ე მუხლებისა და 416-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, პროკურატურა ვალდებული იყო გამოძიების დაწყებასთან ერთად, დაეწყო ასევე სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიების დასრულების შემდეგ სისხლის სამართლის საქმე საბრალდებო დასკვნას-

12 მაგ., გერმანია, იტალია, ესპანეთ, ავსტრია.

თან ერთად გადაეგზავნა სასამართლოში. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, პროკურატურასა და საგამოძიებო ორგანოებს დარჩათ მხოლოდ გამოძიების დანყების ვალდებულება.

§10. სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობის პრინციპი

თუ კანონიერების (ლეგალურობის) პრინციპი პროკურატურას გამოძიების დანყების ვალდებულებას აკისრებს, სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობის პრინციპი (სსსკ-ის მე-16 მუხლი) უფლებას ანიჭებს ამ უკანასკნელს, გააკეთოს არჩევანი სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებასა და სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტას შორის¹³. მას აღნიშნული არჩევანის გაკეთების უფლება იმ შემთხვევაშიც აქვს, როდესაც მოპოვებული მტკიცებულებები არათუ დასაბუთებული ვარაუდით¹⁴, არამედ უტყუარად მიუთითებენ პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. ამრიგად, განსხვავებით გამოძიების დანყების ვალდებულებისგან, სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების ვალდებულება ქართულ სისხლის საპროცესო სამართალში არ არსებობს.

პროკურორს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების საკითხის გადაწყვეტისას. იგი აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს საჯარო ინტერესიდან, არსებული მტკიცებულებებიდან და სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე. სისხლისსამართლებრივი დევნის დანყებაზე უარის თქმის ან დანყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგალითად, როცა სახეზეა ნაკლებ

13 მსგავსი პრინციპი, რომელიც ნებას რთავს პროკურატურას არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან შეწყვიტოს იგი სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით, კონტინენტური სამართლის ცალკეულ ქვეყნებში იწოდება ოპორტუნობის იგივე მიზანშეწონილობის პრინციპად (მაგ., გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, იტალია).

14 დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს იმ მტკიცებულებით (მტკიცების) სტანდარტს, რომლის არსებობაც საკმარისია სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყობად; იხ. თავი IV, §34, IV.

მნიშვნელობის მქონე დანაშაული, სადაც პირის ბრალეულობის ხარისხი დაბალია, ან როცა გამოძიების გზით მოპოვებული მტკიცებულებები არ არის საკმარისი პირის ბრალეულობის დასამტკიცებლად და ა.შ.

დისკრეციულობის პრინციპი პროკურატურის რესურსების რაციონალურ გამოყენებას უწყობს ხელს. ნაკლები მნიშვნელობისა და პრიორიტეტის მქონე დანაშაულის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე უარის თქმის ხარჯზე, პროკურატურას ეძლევა საშუალება ძირითადი აქცენტი გადაიტანოს ისეთი დანაშაულის საქმეებზე, რომლებზეც მაღალია სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესი და განხორციელოს მათი უფრო ეფექტური დევნა. ამრიგად, აღნიშნული პრინციპის მიზანია ერთი მხრივ, უზრუნველყოს სისხლის სამართლის პროცესის ეკონომიურობა და ეფექტურობა და მეორე მხრივ, „დე ფაქტო დეკრიმინალიზაცია“¹⁵ მოახდინოს ისეთი უმართლობების, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში არ მოითხოვენ სახელმწიფოს მხრიდან სისხლისსამართლებრივ რეაგირებას.

სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ დევნის არდანყების შემთხვევაში ცალკეული დანაშაულები რჩება რეაგირების გარეშე. სისხლის სამართლის პროცესი იცნობს სისხლისსამართლებრივი დევნის ისეთ ალტერნატიულ მექანიზმს, როგორიცაა **განრიდება** და **მედიაცია** (სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-6 ნაწილები და 168¹-168² მუხლები). განრიდების და მედიაციის ინსტიტუტი წარმოადგენს ალდგენითი მართლმსაჯულების განხორციელების ფორმას¹⁶ და გამოიყენება ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულების ჩადენის დროს. იგი პროკურორს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის

15 განსხვავებით „დე ფაქტო დეკრიმინალიზაციისგან“, „დე იურე დეკრიმინალიზაცია“ გულისხმობს კანონმდებლის მიერ კონკრეტული ქმედებისთვის სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმებას.

16 იხ. უფრო ვრცლად *თუმანიშვილი, გ.*: ალდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში (სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული), ტურავა, მ. (რედ.), თბილისი 2013, გვ. 253-274.

შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაშიც, დადგენილებით მიიღოს გადანყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების ან უკვე დანყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო. ამ შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან მედიაციის შესახებ, ხოლო სრულწლოვანთან შესაბამისი ოქმით განსაზღვროს განრიდების პირობები. განრიდების ან მედიაციის სუბიექტი ნებაყოფლობით კისრულობს გარკვეული ვალდებულებების შესრულებას, რასაც სისხლისსამართლებრივი სასჯელის ბუნება არ გააჩნია და რაც საბოლოოდ არ ინვესტირებს პირის ნასამართლობას. აღსანიშნავია, რომ მედიაციის პროცესში აქტიურად არის ჩართული ასევე დაზარალებული და მისი უშუალო მონაწილეობით ხდება მედიაციის ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა¹⁷.

კრიმინოლოგიურ და სოციალურ-პედაგოგიურ ლიტერატურაში ხშირად საუბრობენ მედიაციისა და განრიდების ინსტიტუტის სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში განვითარების აუცილებლობაზე და ყურადღებას ამახვილებენ მის დადებით მხარეებზე. მედიაციის და განრიდების ინსტიტუტის სასარგებლოდ აღინიშნება, რომ იგი:

- ხელს უწყობს დაზარალებულსა და დანაშაულის ჩამდენს შორის ადამიანური ურთიერთობების აღდგენას;
- ეხმარება დაზარალებულს ემოციურ, მორალურ და მატერიალურ რესტიტუციაში;
- ხელს უწყობს დამნაშავეს რესოციალიზაციას და მის პიროვნულ მომნიშვნელობას;
- აუმჯობესებს დანაშაულის მსხვერპლის სისხლის სამართლის პროცესში აქტიური მონაწილეობის და ჩართულობის შესაძლებლობებს;
- ხელს უწყობს „იუსტიციის აპარატის“ განტვირთვას, ხდის პროცესს უფრო ეკონომიურს და ამით აუმჯობესებს „იუსტიციის აპარატის“ მუშაობას;

17 შალიკაშვილი, მ.: არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013, გვ. 72-76.

- დანაშაულის ჩამდენს თავიდან არიდებს ნასამართლობას და ამით სისხლის სამართალს ხდის კიდევ უფრო ლიბერალურსა და ჰუმანურს¹⁸.

§11. კანონისმიერი სასამართლოს პრინციპი

კანონისმიერი სასამართლოს უფლება ერთ-ერთი კონსტიტუციური უფლებაა და წარმოადენს სამართლიანი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ნაწილს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე** (ასევე სსსკ-ის მე-12 მუხლის პირველი ნაწილი). ამასთან ერთად, **დაუშვებელია საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა** (საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის მე-4 პუნქტი). არ შეიძლება ვინმეს ალექვეთოს აღნიშნული უფლება. სასამართლოს უფლებამოსილება და განსჯადობა კანონით აუცილებლად უნდა იყოს ნათლად დარეგულირებული და წინასწარ განსაზღვრული, თუ კონკრეტულად რომელი სასამართლოს იურისდიქციას განეკუთვნება ცალკეული სისხლის სამართლის საქმეების განხილვა, რათა მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოთა საქმიანობაში გარეშე პირების მხრიდან ჩარევა და ამ მხრივ ყოველგვარი მანიპულაცია გამოირიცხოს¹⁹. კანონისმიერი სასამართლოს პრინციპის დარღვევას ადგილი ექნება მაგალითად მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადი სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეგზავნება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ან პირიქით, ან თუ სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს სასამართლოს უკანონო შემადგენლობა. თუკი გამოვლინდება ასეთი გარემოება, შესაძლებელია ამ საფუძვლით

18 შეად. *Delattre, G.*: TOA in Deutschland. კრებულში: *Fachtage Herstein* 2001. 11. berufs begleitender Lehrgang zum Konfliktberater/zur Konfliktberaterin im Arbeitsfeld Täter-Opfer-Ausgleich, 2001, გვ. 25; *Rössner, D.*: Wiedergutmachung statt Übelvergelten. კრებულში: *Täter-Opfer-Ausgleich. Vom zwischenmenschlichen Weg zur Wiederherstellung des Rechtsfriedens*, 1989, გვ. 41; *Bauer, Y.*: Täter-Opfer-Ausgleich in der Kritik, 1997, გვ. 9; *Schild, W.*: Täter-Opfer-Ausgleich als Strafe. კრებულში: *Festschrift für Friedrich Geerds zum 70. Geburtstag*, 1995, გვ. 171.

19 იხ. ასევე *Löhr, S.*, *Prozeßgrundrechte in Deutschland, Frankreich und England*, 2012, გვ. 46.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის გადასინჯვ-
(სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

§12. შეჯიბრებითობის პრინციპი

სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწი-
ლის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების-
თანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა
თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. შეჯიბრე-
ბითობა მხარეებს შორის გარანტირებულია, როგორც გამოძიე-
ბის, ისე საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე (სსსკ-ის
25-ე მუხლი). აღნიშნული პრინციპი თანაბარ მდგომარეობაში
და პირობებში აყენებს მხარეებს მათ მიერ მტკიცებულებათა
მოპოვების, მოსამართლის წინაშე მათი წარმოდგენის, გამოკ-
ვლევისა და ანალიზის მხრივ.

შეჯიბრებითობის პრინციპის მთავარი არსი მდგომარეობს
იმში, რომ მტკიცებულებათა მოპოვება, მონმეთა მოძიება, მათი
სასამართლოში დაბარება და მტკიცებულებების სასამართ-
ლოში პრეზენტაცია მხოლოდ ბრალდებისა და დაცვის მხარის
კომპეტენციაა. გამოძიების სტადიაზე ბრალდების და დაცვის
მხარეს უნდა გააჩნდეთ თანაბარი პროცესუალური შესაძლე-
ბლობები მტკიცებულებათა მოსაპოვებლად. ბრალდებულს და
მის ადვოკატს ენიჭებათ უფლებამოსილება, პარალელურად და
სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელი ორგანოსგან
დამოუკიდებლად გამოავლინონ და შეაგროვონ ის მონაცემები,
რომლებიც სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას შე-
საძლებელია გამოყენებული იყოს ბრალდების გამაქარწყლე-
ბელ მტკიცებულებათა სახით. საქმის სასამართლოში არსები-
თად განხილვის ეტაპზე კი სასამართლომ, რომელსაც ბრალდე-
ბის დამადასტურებელი ან დაცვის ხელშემწყობი მტკიცებულებ-
ათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა ეკრძალება,
განაჩენს საფუძველად უნდა დაუდოს მხოლოდ მხარეების მიერ
წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებები (*judex se-
cundam allegata et probata a partibus judicare debet*). ანტაგონის-
ტური მხარეები წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავში-

რებით საკუთარ მოსაზრებას აყალიბებენ, რომელსაც შემდგომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას ნეიტრალური მოსამართლე (ნაფიცი მსაჯული) აფასებს. ამრიგად, შეჯიბრებითი და თანასწორი პროცესის პირობებში სასამართლო, რომელიც თავად არ ეძებს გადაწყვეტილების მიღებისთვის რელევანტურ მტკიცებულებებს და შემოიფარგლება მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებებით, უზრუნველყოფს მხარეებს შორის „სამართლიანობის სასწორის“ პინის თანაბარ მდგომარეობას²⁰.

შეჯიბრებითობის პრინციპის საპირისპირო პრინციპი ცნობილია ე.წ. *საგამოძიებო (ინკვიზიციური, ინსტრუქციის) პრინციპის* სახელით, რომელიც დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესისთვის. საგამოძიებო (ინკვიზიციურ, ინსტრუქციულ) პროცესში საქმის გარემოებათა გამოკვლევის პრივილეგია არა მხარეებს, არამედ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ სახელმწიფო ორგანოებს ეკუთვნის. როგორც გამოძიების, ისე სასამართლო პროცესი ატარებს ინკვიზიციურ-ინსტრუქციულ ხასიათს. სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს აკისრია ვალდებულება *ex officio* გამოარკვიოს ბრალდებულის მამხილებელი და ასევე გამამართლებელი გარემოებები. შეჯიბრებითი პროცესისგან განსხვავებით, მოსამართლე დამოუკიდებლად ატარებს სრული მოცულობით სასამართლო გამოძიებას და ამ გზით ადგენს ე.წ. „*მატერიალურ ჭეშმარიტებას*“. მოსამართლე საქმის განხილვის დროს არ იზღუდება მხარეთა შუამდგომლობებით და მოსაზრებებით. იგი უფლებამოსილია და ამავდროულად ვალდებულიც, ჭეშმარიტების დასადგენად მოიპოვოს და გამოიკვლიოს ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება, მათ შორის ისინიც, რომელიც მხარეებს არ წარმოუდგენიათ ან არ გამოუთხოვიათ.

იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერთა ერთი ნაწილი საგამოძიებო (ინკვიზიციურ, ინსტრუქციულ) პროცესს ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით შეჯიბრებით პროცესთან შედარებით უკეთეს მოდელად მიიჩნევს. არაერთი თეორეტიკოსი

20 Robinson, P. L.: Rough Edges in the Alignment of Legal Systems in the Proceedings at the ICTY, კრებულში: Journal of International Criminal Justice 3 (2005), გვ. 1039.

მიუთითებს იმაზე, რომ შეჯიბრებითი პროცესის პირობებში სასამართლო მხოლოდ „პასიური არბიტრის“ როლს თამაშობს და საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის შესაძლებლობას არის მოკლებული. მოსამართლე, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მასალებით, გადაწყვეტილებას იღებს იმის მიხედვით, თუ რომელმა მხარემ წარმოადგინა უკეთესი არგუმენტები. ამიტომ, შეჯიბრებითი პროცესის მიზანი არა *მატერიალური*, არამედ *ფორმალური ქმმარიტების* დადგენაშია დანახული²¹. აღნიშნულ მოსაზრებას ჰყავს თავისი მონინალმდეგეებიც, რომლებიც შეჯიბრებითი პროცესის მოდელის უპირატესობაზე საუბრობენ და თვლიან, რომ ეს უკანასკნელიც ასევე „*მატერიალური ქმმარიტების*“ დადგენისკენ არის მიმართული. მათ მიაჩნიათ, რომ შეჯიბრებით პროცესში ქმმარიტება მხარეების მიერ მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის გზით დგინდება. სიმართლე უკეთესად დგინდება მაშინ, როდესაც მხარეები საქმის გარემოებების შესახებ თავის შეხედულებას დამოუკიდებლად აყალიბებენ და ამასთანავე, მონინალმდეგე მხარის მიერ მოყვანილი არგუმენტების სისუსტეზე მიუთითებენ. ამდენად, შეჯიბრებით პროცესში ადგილი აქვს მტკიცებულებათა ორკვალოვან გამოკვლევას, რომლის დროსაც ერთი მხარის მიერ გამოკვლეული მტკიცებულება პარალელურად კრიტიკულად მონმდება მონინალმდეგე მხარის მიერ. ასეთ პირობებში ქმმარიტების დასადგენად კიდევ უფრო მეტი მნიშვნელოვანი გარემოების და დეტალის გამოვლენა ხდება, ვიდრე ეს ინკვიზიციური პროცესის დროს არის შესაძლებელი. გარდა ამისა, ბრალდებული და ბრალმდებელი თანაბარ პროცესუალურ დონეზე დგანან და ბრალდებულს ფართო პროცესუალური შესაძლებლობები გააჩნია თავის სასარგებლოდ მოსამართლის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოსახდენად. ამიტომ, ბრალდებულს შეჯიბრებით პროცესში „*პროცესის სუბიექტის*“ უფრო მაღალი ხარისხი გააჩნია.

შეჯიბრებითი პროცესის მომხრეები ამასთან ერთად უარ-

21 Roxin, C./Schünemann, B. (2009), იქვე, გვ. 78-79; Eser, A.: *Vorzugswürdigkeit des adversatorischen Prozesssystems in der internationalen Strafjustiz? Reflektionen eines Richters*. კრებულში: *Festschrift für Heike Jung* (რედ. Heinz Müller-Dietz u.a.) 2007, გვ. 177; Eser, A.: *Reflexionen zum Prozesssystem und Verfahrensrecht internationaler Strafgerichtsbarkeit*. კრებულში: *Festschrift für Klaus Tiedemann zum 70. Geburtstag* (რედ. Ulrich Sieber), 2008, გვ. 1459.

ყოფენ მოსამართლის „პასიური მსმენელის“ ფუნქციასაც და მიაჩნიათ, რომ მას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს სიმართლის დასადგენად ფართო უფლებები აქვს მინიჭებული. აღნიშნულთან დაკავშირებით ისინი მიუთითებენ მოსამართლის უფლებებზე: უხელმძღვანელოს სასამართლო სხდომას, დააკვირდეს მხარეთა მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევას და მისი შევსების მიზნით მხარეების თანხმობით ცალკეულ შემთხვევებში თავადაც დაუსვას მონმეებს დამაზუსტებელი კითხვები, განიხილოს მხარეთა შუამდგომლობები, საბოლოოდ კი მისცეს ნაფიც მსაჯულებს განმარტებები²².

§13. სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი

სისხლის სამართლის საქმის დაჩქარებული განხილვა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს²³. როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის პროცესი განსაკუთრებული ზიანის მომტანია ბრალდებულის პიროვნებისთვის და ამასთანავე, იგი არსებითად უზღუდავს მას ცალკეულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამიტომ, ბრალდებულს გააჩნია სამართლიანი პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მისთვის წარდგენილი ბრალდების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება გონივრულ ვადაში იქნეს მიღებული²⁴. სისხლის სამართლის საქმის მოკლე ვადაში განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობის საკითხი მით უფრო თვალსაჩინოა, როდესაც ბრალდებული პატიმრობაში იმყოფება. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ დროის გასვლასთან ერთად მცირდება მტკიცებულებების მტკიცებითი ღირებულება (მაგ., მონმეს უჭირს აღიდგინოს საქმესთან დაკავშირებით ცალკეული დეტალები), ასევე მით უფრო იკლებს სასჯელის პრევენციული მნიშვნელო-

22 *Sadoghi, A.*: Die Geschworenengerichtbarkeit in den internationalen Strafverfahrenssystemen, კრებულში: Zeitschrift für Rechtsvergleichung, Internationales Privatrecht und Europarecht (ZfRV) 2007, გვ. 235; *Trüg, G.*: Lösungskonvergenzen trotz Systemdivergenzen im deutschen und US-amerikanischen Strafverfahren, Ein strukturanalytischer Vergleich am Beispiel der Wahrheitserforschung, 2003, გვ. 26; *Herrmann, J.*: Die Reform der deutschen Hauptverhandlung nach dem Vorbild des anglo-amerikanischen Strafverfahrens, 1971, გვ. 223.

23 *Beulke, W.* (2010), იქვე, გვ. 27.

24 *Völk, K.*: Grundkurs StPO, მე-5 გამოცემა, 2006, გვ. 170.

ბა, რაც უფრო დიდია დროის შუალედი დანაშაულის ჩადენასა და დამნაშავესთვის სასჯელის დანიშვნას შორის.

განსახილველი პრინციპი ასახევას ჰპოვებს სსსკ-ის მე-8 მუხლში, რომლის მე-2 ნაწილი ბრალდებულს სწრაფი მართლმსაჯულების უფლებას ანიჭებს, ხოლო მე-3 ნაწილი კი სასამართლოს იმ სისხლის სამართლის საქმის პრიორიტეტულად განხილვას ავალდებულებს, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის განხილვის უფლება. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული დებულებებით უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის საქმის მოკლე ვადებში განხილვა. მაგალითად, სსსკ-ის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამოძიებელმა გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პროკურორს; სსსკ-ის 103-ე მუხლის მიხედვით, გამოძიება უნდა წარიმართოს გონივრულ ვადაში; სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან 60 დღის განმავლობაში და ა.შ.

სისხლის სამართლის პროცესისთვის დადგენილი გონივრული ვადის ათვლა იწყება როგორც წესი, პირის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან და მთავრდება სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანით²⁵. საკითხზე მსჯელობისას, თუ რამდენად გონივრულ ვადებში მიმდინარეობდა სისხლის სამართლის პროცესი, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: ბრალდების შინაარსი და სიმძიმე, პროცესის მოცულობა და სირთულე, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის თავისებურებანი, ასევე პროცესის ხანგრძლივობით გამოწვეული ზიანი, რომელიც ბრალდებულმა განიცადა²⁶. მაშასადამე, სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს გააჩნია თანაბარი მნიშვნელობა, როგორც გამოძიების ეტაპისთვის, ისე საქმის სასამართლოში არსებითად განხილვის სტადიისთვის. სასამართლო განხილვა სსსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის

25 იხ. *Beulke, W.* (2010), იქვე. გვ. 28.

26 იხ. *Beulke, W.* (2010), იქვე. გვ. 27.

თანახმად, უნდა განხორციელდეს უწყვეტად. საქმის სასამართლოში განხილვის პროცესი წარმოადგენს ერთიან და უწყვეტ პროცესს მაშინაც კი, როდესაც იგი რამდენიმე დღე გრძელდება²⁷. საქმის განხილვის გადადებას ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რათა სასამართლო პროცესმა არ დაკარგოს უწყვეტი ხასიათი.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ დროის დიდი მონაკვეთის არსებობა ქმედების ჩადენიდან სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული. ამრიგად, სახელმწიფო ორგანოების ბრალით პროცესის გაჭიანურება ბრალდებულის სასარგებლოდ სასამართლოს განაჩენში შესაბამისად უნდა აისახოს²⁸.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობას აფასებს თითოეულ საქმეში მოცემული კონკრეტული გარემოებების მიხედვით, კერძოდ, საქმის სირთულის, განმცხადებლისა და ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების ქმედებების გათვალისწინებით²⁹. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოების გადატვირთვას საქმეთა დიდი რაოდენობით სამართალწარმოების გაჭიანურების გამამართლებელ გარემოებად არ მიიჩნევს³⁰ და აღნიშნავს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს კონვენცია აკისრებს ვალდებულებას, მოახდინონ თავიანთი სამართლებრივი სისტემის ისეთი ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოების მიერ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მათ შორის სასამართლო განხილვის ჩატარებას „გონივრულ ვადაში“³¹. სახელმწიფოს შეუძლია თავიდან აიცილოს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევისთვის

27 Kühne, H.-H. (2010), იქვე, გვ. 176.

28 Roxin, C./Schünemann, B. (2009), იქვე, გვ. 83-84.

29 ტრექსელი, შ.: ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009, გვ. 172.

30 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: აგა (Agga) საბერძნეთის წინააღმდეგ (25.01.2000).

31 ტრექსელი, შ. (2009), იქვე, გვ. 179.

პასუხისმგებლობა, ბრალდებულისთვის სამართალწარმოების გაჭიანურების კომპენსაციის გზით, რომელიც მოითხოვს ორი პირობის დაკმაყოფილებას. პირველი, სახელმწიფო ორგანოებმა უნდა აღიარონ ის ფაქტი, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა იყო არაგონივრული. მეორე, უნდა მოხდეს სასჯელის ადეკვატური შემცირება³². თუკი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაადგენს გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების დარღვევას, განმცხადებლისთვის ფინანსური კომპენსაციის მინიჭება ხდება კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე³³.

§14. უდანაშაულობის პრეზუმფცია

უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც უმნიშვნელოვანესი საპროცესო გარანტია ეფუძნება აგრეთვე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ამასთან ერთად, არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს (საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი). უდანაშაულობის პრეზუმფციას, როგორც სამართლიანი სასამართლო პროცესის პრინციპის გამოხატულებას, ვხვდებით აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, რომლის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნა გასათვალისწინებელია როგორც, გამოძიების ეტაპზე, ისე საქმის სასამართლო განხილვის დროს. სასამართლოს მიერ პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სისხლის სამართალწარმოებელმა ორგანოებმა თავი უნდა შეი-

32 ტრეესელი, შ. (2009), იქვე, გვ. 180.

33 ტრეესელი, შ. (2009), იქვე, გვ. 181.

კავონ ისეთი განცხადებებისგან, რომლებიც ისეთ წარმოდგენას ქმნიან, თითქოს პირის ბრალეულობა უკვე დადგენილია³⁴.

უდანაშაულობის პრეზუმფცია ადგენს ასევე, რომ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (ე.წ. **in dubio pro reo**-ს პრინციპი) (საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი). აქედან გამომდინარე, ბრალის დამტკიცების გარეშე არავის არ შეიძლება დაედოს მსჯავრი. ბრალდებულს მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დარწმუნდება მის ბრალეულობაში. ეჭვის არსებობის შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნეს სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი. **in dubio pro reo**-ს პრინციპი მოქმედებს მაშინ, როდესაც სასამართლო ვარაუდობს და დარწმუნებული არ არის ბრალდებულის დამნაშავეობაში. აღნიშნული პრინციპის შინაარსი არ უნდა იყოს იმგვარად გაგებული, თითქოს ბრალდებული ყოველთვის უნდა გამართლდეს, როცა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლოს მის ბრალეულობასთან დაკავშირებით ეჭვი უნდა გასჩენოდა. ეს ვალდებულება სასამართლოს მაშინ უჩნდება, თუკი მას შესაბამისი ეჭვი ფაქტობრივად გააჩნია³⁵.

§15. სამართლიანი პროცესის პრინციპი

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირეულ მოთხოვნას სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფა წარმოადგენს. სამართლიანი პროცესის უფლება ბრალდებულს ენიჭება სსსკ-ის მე-8 მუხლის პირველი ნაწილით. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. სამართლიანი პროცესის პრინციპი სათავეს იღებს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტიდან, ანუ პიროვნების ღირსების ხელშეუვალობის კონსტიტუციური მო-

34 *Esser, R.*: Auf dem Weg zu einem europäischen Strafverfahrensrecht, Grundlagen im Spiegel der Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte (EGMR) in Straßburg, 2002, გვ. 100.

35 იხ. *Beulke, W.* (2010), იქვე, გვ. 27.

თხოვნიდან. პიროვნების ღირსების ხელშეუვალობის პრინციპიდან გამომდინარეობს ის, რომ დაუშვებელია ადამიანის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საქმიანობის უბრალო ობიექტამდე დეგრადირება. ადამიანის ღირსება შეილახება, თუკი პიროვნება რაიმე მიზნის მისაღწევი საშუალება გახდება³⁶. ღირსების დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს განსაკუთრებით სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას ეკისრება. ამიტომ, სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულს პროცესის აქტიური სუბიექტის სტატუსი უნდა გააჩნდეს, რაც, უპირველეს ყოვლისა, პროცესის მიმდინარეობასა და მის შედეგზე აქტიური ზემოქმედების სამართლებრივი შესაძლებლობების ქონას გულისხმობს³⁷. მაშასადამე, პროცესის სამართლიანობა გულისხმობს ბრალდებულისთვის შანსის მიცემას, ეფექტურად დაიცვას თავი მატერიალურად და პერსონალურად მასზე გაცილებით უკეთესად აღჭურვილი პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალდებებისგან³⁸.

როგორც ვხედავთ, ცნება „სამართლიანი პროცესი“ ძალზე ზოგადია და შედგება ცალკეული ელემენტებისგან. ამ ელემენტებს მიეკუთვნებიან ბრალდებულის ცალკეული უფლებები, რომლებიც მას პროცესის აქტიურ სუბიექტად აქცევენ, მაგალითად, ბრალდებულის უფლება გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-13 ნაწილი, 83-ე მუხლი), ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 41-ე მუხლი), დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი), მო-

36 იხ. *კუბლაშვილი, კ.*: ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, 2008, გვ. 87; ასევე *Dürig, G.*: Der Grundrechtssatz von der Menschenwürde. Entwurf eines praktikablen Wertsystems der Grundrechte aus Art. 1 Abs. I in Verbindung mit Art. 19 Abs. II des Grundgesetzes, კრებული: AöR 81 (1956), გვ. 127; *Tumanishvili, G.*: Erweiterung der strafprozessualen Rechtsstellung des Verletzten? Eine rechtsvergleichende Untersuchung am Beispiel des deutschen und georgischen Rechts, 2008, გვ. 66.

37 *თუმანიშვილი, გ.*: დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, კრებული: სამართლი ჟურნალი (თსუ იურიდიული ფაკულტეტი) 2, 2009, გვ. 65.

38 *Gaede, K.*: Fairness als Teilhabe - Das Recht auf konkrete und wirksame Teilhabe durch Verteidigung gemäß Art. 6 EMRK. Ein Beitrag zur Dogmatik des fairen Verfahrens in europäischen Strafverfahren und zur wirksamkeitsverpflichteten Konventionsauslegung unter besonderer Berücksichtigung des Rechts auf Verteidigerbeistand, 2007, გვ. 290.

ნაწილეობა მიიღოს გამოძიებასა და სასამართლოში, დააყენოს შუამდგომლობები, განაცხადოს აცილება, დაცვის მხარის მტკიცებულებები გამოიკვლიოს იმავე პირობებში, როგორც ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა ხდება, გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილი), გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენი (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-15 ნაწილი) და ა.შ.

§16. საქვეყნოების პრინციპი

საქვეყნოების პრინციპი მიეკუთვნება კონსტიტუციურ პრინციპთა კატეგორიას და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის პროცესში. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე და აგრეთვე სასამართლოს გადანყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ. იგივეს ითვალისწინებს სსსკ-ის მე-10 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ყველას ანიჭებს მისი საქმის საქვეყნო განხილვის უფლებას. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში დომინირებს საზოგადოების ინტერესი ინფორმირებულობაზე. შესაბამისად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება დაესწროს სასამართლოში საქმის საჯარო განხილვას. მართლმსაჯულების განხორციელების გამჭვირვალობა საზოგადოებას უნერგავს რწმენას, რომ სასამართლო ხელისუფლება ფუნქციონირებს მისი მოლოდინის შესაბამისად. საქვეყნოების პრინციპის დანიშნულებაა მართლმსაჯულების მიმართ მოსახლეობის ნდობის განმტკიცება და ამასთან ერთად, საზოგადოების მხრიდან სისხლის სამართლის პროცესის კონტროლის უზრუნველყოფა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქვეყნოების პრინციპი არ მოქმედებს შეუზღუდავად. ვინაიდან, სასამართლოში საქმის საქვეყნო განხილვამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს ბრალდებულის, მოწმისა და პროცესის სხვა მონაწილეების კანონიერ ინტერესებს, სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან

საკუთარი ინიციატივით საქმე განიხილოს დახურულ სხდომაზე შესაბამისად, სხდომა ნაწილობრივ ან სრულად დაიხურება, თუ ამას მოითხოვს პირის პერსონალური ინფორმაციის, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვა, ასევე პროცესის მონაწილის პირადი უსაფრთხოების დაცვის ინტერესები (იხ. სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილი). გარდა ამისა, დახურულად ტარდება სასამართლოს სხდომა, რომელშიც არასრულწლოვან ბრალდებული მონაწილეობს (სსსკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი) ან როდესაც განიხილება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალები (სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ნებისმიერ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია საჯაროდ გამოაცხადოს სასამართლო სხდომის დახურვის საფუძველი და ასევე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება (სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-6 ნაწილი და სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი).

საქვეყნო სასამართლო განხილვის შეზღუდვა შეიძლება განპირობებული იყოს წესრიგის დაცვის აუცილებლობით. საქვეყნოობის პრინციპის დარღვევას არ ექნება ადგილი, თუ სხდომის თავმჯდომარე სასამართლო დარბაზში დამსწრე პირთა ადგილების გათვალისწინებით შეზღუდავს დამსწრეთა რაოდენობას (სსსკ-ის 85-ე მუხლის პირველი ნაწილი). ასეთ შემთხვევაში სასამართლოს დარბაზს გარეთ დარჩენილ პირებს კანონი არ ანიჭებს იმის მოთხოვნის უფლებას, რომ სასამართლომ შედარებით დიდ დარბაზში გადაინაცვლოს სხდომის ჩასატარებლად. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია აგრეთვე: გააძევოს სასამართლო დარბაზიდან ის პირები, რომლებიც ხელს უშლიან საქმის განხილვას (სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილი), შეზღუდოს შეიარაღებული და შეუფერებელ ფორმაში გამოცხადებული პირების სხდომის დარბაზში დაშვება (სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილები).

სასამართლო სხდომის საჯაროობას უკავშირდება ასევე სასამართლო სხდომის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქების საკითხი. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13¹ მუხლის პირველი პუნქტი მოსამართლეს ავალდებულებს, რომ უზრუნველყოს სასამართლო პროცესის აუდიო-, ვიდეოჩანერა. სასამართლომ

მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყოს აუდიო-, ვიდეოჩანაწერის მხარეებისთვის ხელმისაწვდომობა. თუ სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე, მხარეები ვალდებული არიან ხელი მოაწერონ ხელწერილს აუდიო-, ვიდეოჩანაწერის გაუმჯობესებლობაზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიოჩანერა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ჩანაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისთვის მათი მოთხოვნისთანავე.

ამის გარდა, სასამართლო სხდომის დარბაზში დაშვებულია ფოტოგადაღება, კინო- და ვიდეოჩანერა, რაც უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან. სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს აქვს უფლება, სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან განახორციელოს სასამართლო სხდომის აუდიოჩანერა. აღნიშნული მოქმედებების განხორციელებისას დაუშვებელია სასამართლო სხდომის დარბაზში მოძრაობა, ხმაური, შუქის ან სხვა ისეთი ემისიების გამოყოფა, რომლებიც ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელების ნორმალურ პროცესს. თუ სასამართლო სხდომაში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ, სასამართლო სხდომის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიოჩანერა უნდა განხორციელდეს ნაფიცი მსაჯულების გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.

ზემოაღნიშნული შესაძლებელია შეიზღუდოს დაზარალებულის და მოწმის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია აკრძალოს დაზარალებულის ან/და მოწმის გადაღება, მისი ვინაობის, გარეგნული ნიშნების და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელა.

§17. ზეპირობის პრინციპი

ზეპირობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალები სასამართლოში სრულფასოვნად უნდა იყოს ზეპირად გამოკვლეული. სასამართლო სხდომის ზეპირობა საქვეყნოობის პრინციპის განხორციელების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა და მართლმსაჯულების კონტროლის ეფექტური საშუალებაა, რადგან ამ გზით პროცესის დამსწრე საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა, თვალყური ადევნოს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას და მოისმინოს სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის რელევანტურ მტკიცებულებებთან დაკავშირებით მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლო სხდომაზე მხარეების მიერ ზეპირად მოსამართლისა (ნაფიცო მსაჯულების) და პროცესზე დამსწრე საზოგადოების გასაგონად იყო გამოკვლეული. ზეპირობის პრინციპიდან გამომდინარე, არა მხოლოდ მოწმეებმა უნდა მისცენ ჩვენება სასამართლოში ზეპირად, არამედ წერილობითი მტკიცებულებებიც საჯაროდ უნდა იქნეს ნაკითხული (სსსკ-ის 248-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ზეპირობის პრინციპი განმტკიცებულია სსსკ-ის მე-10 მუხლის პირველი ნაწილით და 182-ე მუხლის პირველი ნაწილით.

§18. უშუალოების პრინციპი

უშუალოების პრინციპი მჭიდროდ არის ზეპირობის პრინციპთან დაკავშირებული და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოში საქმის განხილვის დროს. აღნიშნულ პრინციპს გააჩნია ფორმალური და მატერიალური გაგება. **ფორმალური გაგებით** უშუალოების პრინციპი მოითხოვს, რომ მხარეების მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება გამოკვლეულ იქნეს სასამართლოს წინაშე, რათა მოსამართლეს (ნაფიცო მსაჯულებს) პირდაპირი და უშუალო წარმოდგენა შეექმნას საქმის გარემოებებზე. ამიტომ, სავალდებულოა, რომ სასამართლომ საქმე უცვლელი შემადგენლობით განიხილოს. თუ

სასამართლოში საქმის განხილვის დროს რომელიმე მოსამართლე სხვა მოსამართლით შეიცვლება, მაშინ საქმის განხილვა ხელახლა უნდა დაიწყოს (სსსკ-ის 183-ე მუხლი).

მატერიალური გაგებით უშუალოდ პრინციპის მოთხოვნაა, რომ უპირატესობა მიენიჭოს ყოველთვის **პირველად მტკიცებულებებს**, ანუ მტკიცებულებებს, რომლებიც ყველაზე უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის გარემოებებთან. მაგალითად, თუ საქმის გარემოებების დასადგენად შესაძლებელია რამდენიმე მონმის დაკითხვა, უპირველეს ყოვლისა უნდა დაიკითხოს ის მონმე, რომელიც დანაშაულებრივი შემთხვევის უშუალო შემსწრეა. ნაკლები მტკიცებულებითი მნიშვნელობა ენიჭება მონმის ისეთ ჩვენებას, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას (ე.წ. ირიბი ჩვენება, იხ. სსსკ-ის 76-ე მუხლი). თუმცა, ასეთი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუკი მონმეს შეუძლია მიუთითოს ინფორმაციის წყაროზე, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია და ასევე, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. ამრიგად, უშუალოდ პრინციპიდან გამომდინარე, არჩევანი უნდა გაკეთდეს ისეთ მონმეებზე, რომლებიც არიან ე.წ. „*უშუალო მონმეები*“ და წარმოადგენენ ინფორმაციის პირველად წყაროს. ამავდროულად, ე.წ. **პიროვნული მტკიცებულებები** (რაშიც იგულისხმება მაგალითად, მონმის ზეპირი ჩვენება) არ უნდა შეიცვალოს ე.წ. **წერილობითი (დოკუმენტური) მტკიცებულებებით**. კერძოდ, თუ რაიმე გარემოება დგინდება მონმის ჩვენების საფუძველზე, სასამართლოში მონმის ზეპირი ჩვენება არ უნდა შეიცვალოს მონმის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების ჩანაწერებით. თუ მონმის წარმოდგენა შესაძლებელია სასამართლოში, იგი უნდა გამოიძახონ და დაიკითხოს მოსამართლის (ნაფიცი მსაჯულების) წინაშე³⁹. ამასთან აღნიშნული პრინციპი მხარეს ანიჭებს იმის უფლებამოსილებას, რომ სასამართლოში მოითხოვოს მონმის უშუალოდ დაკითხვა და წარადგინოს საკუთარი მტკიცებულება (სსსკ-ის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილი).

უშუალოდ პრინციპი მოქმედებს არა მხოლოდ სისხლის

39 იხ. Beulke, W. (2010), იქვე, გვ. 26.

სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას, არამედ გამოძიების ეტაპზეც. მხარეებს ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზე უნდა ჰქონდეთ სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის შესაძლებლობა. სხვა შემთხვევაში მხარე შეჯიბრებითი პროცესის პირობებში სასამართლოს წინაშე ვერ მოახერხებს მონინაალმდევე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულების სათანადოდ გამოკვლევას და მისი სანდოობის ეჭვქვეშ დაყენებას. ამიტომ, სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისებისა⁴⁰.

40 გამონაკლისის თაობაზე იხ. ქვემოთ თავი V, §34, V.

მასაჟი თავი

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები და მათი სამართლებრივი მდგომარეობა

§19. ზოგადი დებულებანი

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის პროცესი, რომელშიც სჭარბობს ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის პროცესის ელემენტები, წარმოადგენს ე.წ. „მხარეთა პროცესს“. სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესებს პროცესში იცავს ბრალდების მხარე, ხოლო დაცვის მხარედ ბრალდებული და მისი ადვოკატი (ასევე მსჯავრდებული, გამართლებული და მათი ადვოკატი) გვევლინება. მხოლოდ მხარეების კომპეტენციაა მტკიცებულებების მოპოვება, სასამართლოში მათი წარმოდგენა და გამოკვლევა. მხარეებს გააჩნიათ პროცესზე ბატონობა და შეუძლიათ პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაამთავრონ საქმის წარმოება ბრალდებაზე უარის თქმის ან საპროცესო შეთანხმების გზით. მოსამართლე საქმის არსებითი განხილვისას არ აწარმოებს დამოუკიდებლად სასამართლო გამოძიებას, რადგან მტკიცებულებათა გამოკვლევა მხარეების ამოცანაა. იგი ხელმძღვანელობს სასამართლო პროცესს და ინარჩუნებს ნეიტრალურ პოზიციას. ნაფიცი მსაჯულები მხარეების მიერ გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე იღებენ გადანყვეტილებას ბრალდებულის უდანაშაულობისა და დამნაშავეობის შესახებ, მოსამართლე კი ნაფიცი მსაჯულების მიერ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში განსაზღვრავს სასჯელს. ამრიგად, სისხლის სამართლის პროცესის ძირითად მონაწილეებად გვევლინებიან ბრალდების მხარე (პროკურორი, გამომძიებელი), დაცვის მხარე (ბრალდებული⁴¹, ადვოკატი) და ასევე სასამართლო. ზემოაღნიშნული პირები აწარმოებენ სისხლის სამართლის პროცესს და იწოდებიან პროცესის სუბიექტებად. ფართო გაგებით პროცესის მონაწილეები არიან აგრეთვე დაზარალებული, მოწმე, ექსპერტი და ა.შ., რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

41 სისხლის სამართლის საქმის ზემდგომ ინსტანციაში განხილვის შემთხვევაში გამართლებული ან მსჯავრდებული.

§20. სასამართლო

როგორც არისტოტელე აღნიშნავს „*სიმართლე არის სა-
დღაც შუაში*“. სწორედ აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე,
სასამართლოს სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილე-
ბისგან განსხვავებით განსაკუთრებული პროცესუალური ადგი-
ლი უკავია. მაშინ, როდესაც ბრალდებული, მისი ადვოკატი და
პროკურორი გვევლინებიან ერთმანეთის მოწინააღმდეგე პრო-
ცესის მონაწილეებად, სასამართლოს აკისრია ვალდებულება,
იყოს აბსოლუტურად ნეიტრალური და არ დაიკავოს არცერთი
მათგანის პოზიცია და არ მიანიჭოს უპირატესობა რომელი-
მე მხარეს. სასამართლო არის ერთადერთი ორგანო, რომელიც
უფლებამოსილია განახორციელოს სისხლისსამართლებრივი
მართლმსაჯულება და გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილე-
ბა პიროვნების მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირე-
ბით. სისხლის სამართლის საქმე განიხილება მოსამართლის ან
კანონით დადგენილ შემთხვევებში ნაფიცი მსაჯულების მიერ.
სამოსამართლეო საქმიანობას ახორციელებენ 30 წლის ასაკს
მიღწეული, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე მოქალა-
ქეები, რომელთაც აქვთ სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 5
წლის გამოცდილება და რომლებიც მოსამართლის თანამდებო-
ბაზე არიან განმნესებული კანონით დადგენილი წესით (საქარ-
თველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლი).

1. მოსამართლის დამოუკიდებლობა

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქ-
ტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდე-
ბელია. აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის
მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს დამოუკიდებელი სასა-
მართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვის გარან-
ტიას, რაც სამართლიანი პროცესის უმნიშვნელოვანესი ელემენ-
ტია. მოსამართლის დამოუკიდებლობა წარმოადგენს არა *მოსა-
მართლის პრივილეგიას*, არამედ იმის გარანტს, რომ სასამართ-
ლოს საქმიანობაში არ მოხდეს გარეშე პირების მხრიდან ჩარევ

გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განუყოფელი ნაწილია. მოსამართლის დამოუკიდებლობის ქვეშ მოიაზრება, როგორც საგნობრივი ისე პერსონალური დამოუკიდებლობა. საგნობრივი დამოუკიდებლობა ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე კონკრეტულ საქმეზე ყოველგვარი მითითებების გარეშე დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების მიღების პროცესში იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ კონსტიტუციითა და სხვა კანონებით. პერსონალური დამოუკიდებლობის საკითხი, რომელიც მოიცავს მოსამართლის ჩამოცილებას საქმის განხილვისგან, თანამდებობიდან მის ვადამდე გათავისუფლებას ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანას, მონესრიგებულია შესაბამისი კანონმდებლობით („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის VI თავი).

სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი და არ უნდა ექვემდებარებოდეს აღმასრულებელ ხელისუფლებას და ასევე პროცესის რომელიმე მონაწილეს. მოსამართლე დამოუკიდებლად და სრულად უნდა აკონტროლებდეს საკუთარ გადაწყვეტილებას და არ უნდა იყოს შეზღუდული სხვა პირების სავალდებულო მოსაზრებებით⁴².

II. მოსამართლის მიუკერძოებლობა

მოსამართლე უნდა იყოს არა მხოლოდ დამოუკიდებელი, არამედ მიუკერძოებელიც. სასამართლოს მიმართ უნდა არსებობდეს სრული ნდობის საფუძველი, რომ მოსამართლეს არ ექნება მიკერძოებული პოზიცია რომელიმე მხარის ან განსახილველი სისხლის სამართლის საქმისადმი. ზოგადად, მიუკერძოებლობაში იგულისხმება, რომ მოსამართლე საქმის განხილვის დროს არ მოქმედებს რომელიმე მხარის ინტერესების სასარგებლოდ. ვინაიდან, მიუკერძოებლობის პრინციპი მთლიანად სასამართლოზე ვრცელდება, მიუკერძოებლობის ვალდებულება ეკისრება აგრეთვე ნაფიც მსაჯულსაც.

⁴² მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხი იხ. უფრო ვრცლად Zitzsch, J.: Richterliche Unabhängigkeit und Richterauswahl in den USA und Deutschland, 2000, გვ. 53-127.

გამომდინარე პრინციპიდან, რომ არავინ არ შეიძლება იყოს მოსამართლე საკუთარ საქმეში, მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუკი მას განსახილველი დანაშაულის შედეგად ზიანი მიადგა ან პროცესის მონაწილეობთან აქვს ახლო ნათესაური დამოკიდებულება. მოსამართლის პროცესში მონაწილეობა გამოირიცხება ისეთი გარემოებების არსებობის შემთხვევაშიც, რომლებიც საეჭვოს ხდიან მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას (სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი).

III. სასამართლოების სისტემა და ორგანიზაცია

სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, რომელთაც მიეკუთვნება: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო და საქართველოს უზენაესი სასამართლო. საერთო სასამართლოების სისტემა დადგენილია და რეგულირდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებამოსილებასთან და განსჯადობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის თაობაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

1. პირველი ინსტანციის სასამართლო

საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლო საერთო სასამართლო სისტემაში წარმოადგენს ყველაზე დაბალ რგოლს, რომელიც პირველი ინსტანციით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს. სისხლის სამართლის საქმე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განიხილება როგორც წესი ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნაფიცი მსაჯულებისა და მოსამართლის მონაწილეობით. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში მოსამართლეებთან ერთად შეიძლება შედიოდნენ აგრეთვე მაგისტრ-

ტრატი მოსამართლეებიც („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლი), რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას მთელ რიგ პროცესუალურ საკითხებზე სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისთვის გადაცემამდე.

1.1. საგნობრივი განსჯადობა და სასამართლოს შემადგენლობა

საგნობრივი განსჯადობა გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეების ქვემდებარეობის მიხედვით განაწილებას, როგორც სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს შორის, ისე ერთი ინსტანციის სასამართლოს შიგნით სხვადასხვა „მოსამართლეთა შემადგენლობებზე“. როგორც ზემოთ აღინიშნა, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში ორდინარულ მოსამართლეებთან ერთად შეიძლება ფუნქციონირებდეს მაგისტრატ მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობებიც. ამიტომ, კანონისმიერი სასამართლოს პრინციპიდან გამომდინარე, კანონით არის განსაზღვრული აღნიშნული შემადგენლობების კომპეტენციის საკითხი.

თუ პირს ბრალი აქვს წაყენებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისთვის, სისხლის სამართლის საქმე მიეკუთვნება ამ უკანასკნელის საგნობრივ განსჯადობას და შესაბამისად, მას არსებითად განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო⁴³. სსსკ-ის 27-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს 12 მსაჯულისა და 2 სათადარიგო მსაჯულის შემადგენლობით. ნაკლებად მძიმე კატეგორიის საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული, ხოლო მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე – რვაზე ნაკლები და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის საქმეებზე – ათზე ნაკლები.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ერთპიროვნულად პირველი ინსტანციით იმ შემთხვევაში განიხილავს

⁴³ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დროებითი განსჯადობის თაობაზე იხ. სსსკ-ის 330-ე მუხლი.

სისხლის სამართლის საქმეს, თუ ბრალდებული უარს განაცხადებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე (სსსკ-ის 226-ე მუხლის პირველი ნაწილი), ან თუ სისხლის სამართლის საქმე არ მიეკუთვნება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობას. ცალკეულ შემთხვევებში, თუ საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისთვის ან საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულისაა, საქმის განხილველი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა, როდესაც შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმის განხილვისათვის (სსსკ-ის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სსსკ-ის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მაგისტრატი მოსამართლის საგნობრივ განსჯადობას მიეკუთვნება ისეთი საქმეები, როგორც არის ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანა, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა. ამასთან ერთად, მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს საჩივარს გამომძიებლის ან პროკურორის უკანონო ქმედების გამო და ახორციელებს კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. მაგისტრატი მოსამართლე განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად.

1.2. ტერიტორიული განსჯადობა

განსხვავებით საგნობრივი განსჯადობისგან, ტერიტორიული განსჯადობა გულისხმობს სისხლის საქმეების განაწილებას ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოებს შორის ტერიტორიული თვალთახედვიდან გამომდინარე (მაგ., ბრალდებულის სასამართლოში პირველად წარდგენის ადგილის მიხედვით, პროცესის მონაწილეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით). როგორც წესი, პროკურორმა სისხლის სამართლის საქმე სასა-

მართლოში განსახილველად უნდა გაგზავნოს იმ ადგილის მიხედვით, სადაც ბრალდებული პირველად წარედგინა სასამართლოს (სსსკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი). რაიონული (საქალაქო) სასამართლო ვალდებულია შემოსული სისხლის სამართლის საქმე შეამონწმოს განსჯადობასთან დაკავშირებით. თუ იგი დაადგენს, რომ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე მისი განსჯადი არ არის, სასამართლო განჩინებით საქმეს გადასცემს იმ სასამართლოს, რომლის ტერიტორიულ განსჯადობასაც მიეკუთვნება მოცემული სისხლის სამართლის საქმე.

ზემოხსენებული წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომელიც ე.წ. „*მოდრავი განსჯადობის*“ სახელით არის ცნობილი. აღნიშნული განპირობებულია საპროცესო ხარჯების შემცირების ინტერესებით. ვინაიდან, პროცესის მონაწილეთა სასამართლოში გამოცხადება საპროცესო ხარჯებთან არის დაკავშირებული, მხარეებს უფლება აქვთ შუამდგომლობა დააყენონ სისხლის სამართლის საქმის მასში მონაწილე დაზარალებულებისა და მონმეთა უმრავლესობის ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით. შუამდგომლობას განიხილავს და *მოდრავი განსჯადობის* საკითხს წყვეტს ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე (სსსკ-ის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

1.3. მაგისტრატი მოსამართლე

მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი წარმოადგენს სიახლეს ქართული მართლმსაჯულების სისტემაში. 2005 წელს დანყებულ სასამართლო რეფორმის ფარგლებში ახლებურად მოხდა სასამართლოს სისტემის მონყობა, მათ შორის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში დაინერგა მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი.

მაგისტრატი მოსამართლე არის შეზღუდული იურისდიქციის მქონე მოსამართლე. მის კომპეტენციაში არ შედის სისხლის სამართლის საქმეების არსებითი განხილვა. იგი ახორციელებს თავის უფლებამოსილებას გამოძიების ეტაპზე. მისი მნიშვნე-

ლოვანი ფუნქცია გამოძიების ეტაპზე ვლინდება პიროვნე-
ბის კონსტიტუციით დაცული და გარანტირებული უფლებათა
შეზღუდვის საკითხის გადანყვეტაში. აღნიშნული ფუნქციის
ფარგლებში მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს და წყვეტს
საკითხს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გა-
მოყენების შესახებ, მასვე გამოაქვს გადანყვეტილება ბრალდე-
ბულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის
ან გაუქმების თაობაზე. ბრალდებულის უფლებათა დასაცავად,
იგი ზემოაღნიშნულის გარდა, განიხილავს საჩივარს გამოძიე-
ბლის ან პროკურორის უკანონო ქმედების გამო.

მაგისტრატი მოსამართლის როლი მნიშვნელოვანია აგრე-
თვე მხარეების მიერ მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში,
ვინაიდან, ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ზღუ-
დავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების
ხელშეუხებლობას, ტარდება მხოლოდ მაგისტრატი მოსამართ-
ლის განჩინების საფუძველზე (სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი
ნაწილი). გამოძიების ეტაპზე პროცესის შეჯიბრებითობისა და
მხარეთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად, მაგისტრატი მო-
სამართლე დახმარებას უწევს დაცვის მხარეს მტკიცებულებე-
ბის მოპოვებაში. კერძოდ, სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის
თანახმად, თუ მტკიცებულებების მოპოვებისთვის საჭიროა ისე-
თი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რო-
მელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ
ატარებს, აღნიშნული მოქმედებების ჩასატარებლად შესაძლე-
ბელია, რომ დაცვის მხარემ მიმართოს შუამდგომლობით მოსა-
მართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მაგისტრატმა მოსა-
მართლემ უნდა გადანყვიტოს ასევე ბრალდების მხარის მიერ
გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული საგამოძიებო
მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშ-
ვებობის საკითხიც.

მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებაში შედის
აგრეთვე ნინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრა
(სსსკ-ის 208-ე მუხლი)⁴⁴.

44 აღსანიშნავია, რომ მაგისტრატ მოსამართლეს კანონით არ აქვს შეზღუდვა ნინა-
სასამართლო სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, კანონის დარღ-
ვევას ადგილი არ ექნება, თუ მაგისტრატი მოსამართლე მიიღებს მონაწილეობა
ნინასასამართლო სხდომაზე და გადანყვეტს არსებითი განხილვისათვის საჭი-

სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებელი მაგისტრრატი მოსამართლის კომპეტენციას მიაკუთვნებს მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანას.

მაგისტრრატი სასამართლოს ინსტიტუტის არსებობას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში. აღნიშნულ ქვეყნებში მაგისტრატების სასამართლოები ქმნიან სასამართლო სისტემის ძირითად რგოლს, რომლებიც სხვა საპროცესო მოქმედებების განხორციელებასთან ერთად არსებითად განიხილავენ მცირე მნიშვნელობის მქონე დანაშაულის საქმეებს⁴⁵. განსხვავებით საქართველოს მაგისტრრატი მოსამართლეებისაგან, ინგლისსა და აშშ-ში მოქმედ მაგისტრრატი მოსამართლეთა უმეტეს ნაწილს არ გააჩნია იურისტის კვალიფიკაცია და სამოსამართლეო მოვალეობას ასრულებენ საზოგადოებრივ სანყისებზე⁴⁶.

1.4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

2004 წლის 6 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების შედეგად საფუძველი ჩაეყარა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის ახლებურ ფორმას. საქართველოს კონსტიტუციის ზემოხსენებული მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ „საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით“. მოგვიანებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმის გზით მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2, 22-ე, 23-ე და 24-ე თავებში განისაზღვრა ცალკეული დებულებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ. საქართველოში ნაფიც

გადაცემის საკითხს (სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი).

45 იხ. გუცენკო, კ. ფ./გოლოვკო, ლ.ვ./ფილიმონოვი, ბ.ა.: დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, (ქართული თარგმანის ავტორები ბოხაშვილი, ი., შაყულაშვილი, თ., ხუციშვილი, ვ., გოგინაშვილი, ნ., გოგშელიძე, რ. (რედ.)), 2007, გვ. 106.

46 იხ. გუცენკო, კ. ფ. (2007), იქვე, გვ. 108.

მსაჯულთა სასამართლოს დანერგვის პირველ მცდელობას წარმოადგენდა 1919 წლის იანვარს მიღებული „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის კანონი. ამასთან ერთად, 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლით განისაზღვრა, რომ მძიმე სისხლის სამართლისა და აგრეთვე პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულებისთვის იარსებებდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. თუმცა, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არ მიეცა პრაქტიკაში რეალურად ფუნქციონირების შესაძლებლობა⁴⁷.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიულ სამშობლოდ ინგლისი მოიაზრება, თუმცა არსებობს ვარაუდი იმის თაობაზე, რომ საზოგადოება მართლმსაჯულების განხორციელებაში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდა ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში და სკანდინავიის ქვეყნებში. ოფიციალური წყაროების თანახმად, ინგლისში მეფე ჰენრი მეორის (1154 - 1189) მიერ დამკვიდრდა 1166 წელს წესი, რომლითაც ადგილობრივ მოსახლეობიდან შერჩეულ მსაჯულებს აიძულებდნენ, ფიცის ქვეშ დაესახელებინათ დანაშაულის ჩამდენი თანამოქალაქეები. სახელმწიფოს მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უფლების აღიარება ოფიციალურად „მაგნა კარტაზე“ მეფის მიერ ხელმოწერით მოხდა⁴⁸. ინგლისიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გავრცელება ჰპოვა ინგლისის ყველა კოლონიასა და აგრეთვე სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც წარსულში იმყოფებოდნენ ინგლისური ზეგავლენის ქვეშ. ასეთ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებიან, ამერიკის შეერთებული შტატები, ირლანდია, ავსტრალია, კანადა და ახალი ზელანდია. შეზღუდული ფორმით მოქმედებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ასევე კონტინენტური ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად: დანია, ბელგია, ნორვეგია, ავსტრია, საფრანგეთი, შვეიცარია.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მართლმსაჯულების ყველაზე დემოკრატიულ ფორმად არის მიჩნეული, რადგან ამ შემ

47 იხ. უფრო მეტი გოგნიანძე, ნ., თუმანიშვილი, გ.: ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, (ავტორთა ჯგუფი), 2013, გვ. 20-59.

48 Schmid, N.: Strafverfahren und Strafrecht in den Vereinigten Staaten, მე-2 გამოცემა, 1993, გვ. 10.

თხვევაში თავად ხალხია „უზენაესი მოსამართლე“ თანამოქალაქის მიერ დანაშაულის ჩადენაში ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტის დროს. საზოგადოების აქტიურად ჩართულობას სისხლის სამართალწარმოების პროცესში შეუძლია კიდევ უფრო გააუმჯობესოს მართლმსაჯულების ხარისხი და ამასთანავე განუმტკიცოს მოქალაქეებს მართლმსაჯულების მიმართ ნდობა და გაზარდოს მათი სამართლებრივი შეგნების დონე⁴⁹. არსებობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ორი მოდელი – კლასიკური და შერეული მოდელები. „*კლასიკური მოდელი*“, რომელიც მოქმედებს ინგლისში გულისხმობს ფუნქციათა მკაცრ გამიჯვნას მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებს შორის. ამ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ ვერდიქტი ბრალდებულის დამნაშავეობასა თუ უდანაშაულობასთან დაკავშირებით, ხოლო მოსამართლე დამნაშავედ ცნობილ პირს უფარდებს სასჯელს და წყვეტს სხვადასხვა პროცესუალურ საკითხებს. „*შერეული მოდელის*“ დროს კი ხდება მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულების მიერ პიროვნების ბრალეულობისა და სასჯელის საკითხის ერთობლივად გადაწყვეტა. ასეთი მოდელის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს მაგალითად, საფრანგეთში, სადაც სისხლის სამართლის საქმე განიხილება 9 ნაფიცი მსაჯულისა და 3 მოსამართლის მონაწილეობით (ე.წ. „ასიზების სასამართლო“).

საქართველოში მოქმედებს „*კლასიკური მოდელის*“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, შედგება 12 მსაჯულისაგან და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან. ნაფიც მსაჯულად გვევლინებიან საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული 18 წელს გადაცილებული პირები, რომლებმაც იციან სისხლის სამართლის პროცესის ენა და ცხოვრობენ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს განსჯადობის ტერიტორიაზე (სსსკ-ის 29-ე მუხლი). მხოლოდ ამ პირობების დაკმაყოფილება არ არის საკმარისი, რომ პირმა დაიკავოს ნაფიცი მსაჯულის სავარძელი, იგი ამავედროულად არ უნდა იყოს შეუთავსებელი ნაფიცი მსაჯულობისთვის. შეუთავსებლობას ადგილი ექნება, თუ არ-

⁴⁹ Linkenheil, B.: Laienbeteiligung an der Strafjustiz: Relikt des bürgerlichen Emanzipationsprozesses oder Legitimation einer Rechtsprechung „Im Namen des Volkes“? 2003, გვ. 196.

სებობს ნაფიცი მსაჯულის აცილების რომელიმე გარემოება⁵⁰ ან თუ პირს გააჩნია ისეთი პროფესია, რომელიც გამორიცხავს სისხლის სამართლის პროცესში მის ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის მიღებას⁵¹. ნაფიც მსაჯულად პროცესში მონაწილეობა წარმოადგენს მოქალაქის ვალდებულებას და მას უფლება არ აქვს უარი განაცხადოს აღნიშნული მოვალეობის შესრულებაზე, გარდა იმ შემთხვევისა თუ: იგი უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული; ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს; ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ; 70 წელს გადაცილებულია; ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს ამის საშუალებას (სსსკ-ის 31-ე მუხლი).

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ წარმოადგენს მუდმივმოქმედ სასამართლოს. ნაფიცი მსაჯულები იკრიბებიან პერიოდულად, როდესაც წარდგენილი ბრლდებიდან გამომდინარე საქმე მათ განსჯადობას მიეკუთვნება. პოტენციური ნაფიცი მსაჯულები 18 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა ერთიანი სიდიდან შეირჩევიან მხარეთა მონაწილეობით ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე. აღნიშნულ სხდომაზე შერჩეულ მსაჯულობის კანდიდატთაგან თორმეტს სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს ნაფიც მსაჯულად. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომის გახსნისას ნაფიცი მსაჯულები დებენ ფიცს და იღებენ კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობათა შესახებ განმარტებებს სხდომის თავმჯდომარისგან. საქმის განხილვის შემდეგ სათათბირო ოთახში გასვლამდე ნაფიცი მსაჯულები სასამართლო სხდომის თავმჯდომარისგან იღებენ განმარტებებს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული განმარტებების საფუძველზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ფაქტებთან დაკავშირებით და გამოაქვს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტი.

50 აცილების შესახებ იხ. ქვემოთ §30.

51 მაგ., პირი გამომძიებელია, პოლიციელია, ფსიქოლოგია, იურისტიკა და ა.შ. შეუთავსებლობის კრიტერიუმების შესახებ უფრო დანვრილებით იხ. სსსკ-ის 30-ე მუხლი.

2. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო

სააპელაციო ინსტანციის სასამართლო წარმოადგენს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოში ფუნქციონირებს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა და საგამოძიებო კოლეგია. სისხლის სამართლის საქმეთა პალატის საგნობრივ განსჯადობას მიეკუთვნება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენსა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამო მხარეების მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივრების განხილვა. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ მაგისტრატი მოსამართლის განაჩენი საჩივრდება აგრეთვე სააპელაციო საჩივრით სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (სსსკ-ის მე-20 მუხლის მე-4 ნაწილი). გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განსჯადია შუამდგომლობა კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ (სსსკ-ის მე-20 მუხლის მე-6 ნაწილი). სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმე სააპელაციო წესით განიხილება კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით (სსსკ-ის 22-ე მუხლის მე-5 ნაწილი). სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ ცალკეულ შემთხვევებში, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებზე საჩივრები შესაძლებელია სააპელაციო წესით ერთპიროვნულადაც განიხილოს (სსსკ-ის 22-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია განიხილავს მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გამო საჩივრებს (სსსკ-ის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილი). ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში საჩივრდება მაგისტრატი მოსამართლის მიერ გამოძიების ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებები. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში საჩივრდება აგრეთვე წინასასამართლო სხდომაზე მიღებული მოსამართლის განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებით (სსსკ-ის 219-ე მუხლის

მე-6 ნაწილი). სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის შემდეგ მოსამართლის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებების გამო საჩივრები აღარ ექვემდებარება საგამოძიებო კოლეგიის განსჯადობას. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია განიხილავს მაგალითად: აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ მაგისტრრატი მოსამართლის განჩინების გამო საჩივრებს (სსსკ-ის 207-ე მუხლი), სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე მოსამართლის განჩინების გამო საჩივარს (სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-6 ნაწილი) და ა.შ. ზემოაღნიშნულ საჩივრებს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე განიხილავს ერთპიროვნულად (სსსკ-ის 22-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

3. საკასაციო ინსტანციის სასამართლო

საქართველოს უმაღლესი და საბოლოო (საკასაციო) ინსტანციის სასამართლოა საქართველოს უზენაესი სასამართლო. უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეს იხილავს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, აგრეთვე ცალკეულ შემთხვევებში დიდი პალატა.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განსჯადია საკასაციო საჩივრები სააპელაციო სასამართლოს განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილებების გამო (სსსკ-ის მე-20 მუხლის მე-5 ნაწილი) სადაც საჩივრები განიხილება კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მოტივირებული განჩინებით შეუძლია საქმე განსახილველად გადასცეს უზენაეს სასამართლოს დიდ პალატას, თუ საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას, ასევე, როდესაც იგი არ იზიარებს სხვა სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ან დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველო ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი). დიდი პალატა საქმეს განიხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით, რომელიც

შემადგენლობაშიც შედიან ამ საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლეებიც.

§21. პროკურორი

მე-19 საუკუნის დასაწყისამდე სისხლის სამართლის პროცესს გააჩნდა ინკვიზიციური ფორმა და შესაბამისად, ერთ პიროვნებაში იყო თავმოყრილი როგორც მოსამართლის, ისე ბრალმდებლის ფუნქცია. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ პირველად საფრანგეთში შემოღებულ იქნა სახელმწიფო ბრალმდებლის ინსტიტუტი, რის შედეგადაც სასამართლოს გვერდით გაჩნდა ორგანიზაციულად დამოუკიდებელი დანესებულება ე.წ. პროკურატურა. ამიტომ, პროკურატურას ხშირად მოიხსენიებდნენ „რევოლუციის შვილის“ სახელით, რომლის ფუნქციაა „კანონის შესრულებაზე ზრუნვა“⁵². ბრალდების და მართლმსაჯულების ორგანოების ცალცალკე ჩამოყალიბების იდეა საფრანგეთიდან მალევე გავრცელდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც.

პროკურატურის სისტემა, ორგანიზაცია და საქმიანობის მიმართულებები განისაზღვრება „პროკურატურის შესახებ“ 2008 წლის 21 ოქტომბრის კანონით, ხოლო პროკურატურის ფუნქცია და ამოცანები სისხლის სამართლის პროცესში რეგულირდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ნორმებით.

1. პროკურორის ფუნქცია სისხლის სამართლის პროცესში

სისხლის სამართლის პროცესში პროკურორს გააჩნია სამი ძირითადი ფუნქცია, კერძოდ: იგი ახორციელებს *სისხლისსამართლებრივ დევნას, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას* და *სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას*. პროკურორის თითოეული ფუნქციის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

52 Günther, H.: Staatsanwaltschaft. Kind der Revolution, Versuch eines juristischen Essays, 1973. გვ. 73.

1. პროკურორი როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში დანაშაულებრივ ქმედებებზე რეაგირება და ეფექტიანი სისხლის სამართლის „იუსტიციის“ უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა. პროკურატურა არის ერთადერთი ორგანო, რომელიც სახელმწიფოს სახელით ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. მხოლოდ პროკურორს აქვს უფლება გამოძიების შედეგად შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე ცნოს პირი ბრალდებულად ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების დროს პროკურორი ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით. თუ გამოძიების სტადიაზე პროკურორი მიიჩნევს, რომ ჩადენილი ქმედებისთვის პირს უნდა დაედო მსჯავრი, სისხლის სამართლის საქმის განხილვა გაგრძელდება სასამართლოში. სხვა შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია უარი თქვას პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებაზე.

2. პროკურორი როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საკითხის გადასაწყვეტად პროკურორი ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას გამოძიების სტადიაზე. შესაბამისად პროკურორი უფლებამოსილია საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოსაპოვებლად დაავალოს გამოძიებელსა და სამართალდამცავ ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ან გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და მისცეს მათ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გარკვეულ მითითებები. თუ პროკურორი საჭიროდ მიიჩნევს, იგი თავად მიიღებს მონაწილეობას საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში. მას შეუძლია აგრეთვე თავად აწარმოოს გამოძიება სრული მო

ცულობით. არსებობს მთელი რიგი საპროცესო მოქმედებებისა, რომლის განხორციელებასთან დაკავშირებით მხოლოდ პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას და შესაბამისი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს. კერძოდ, პროკურორი მიმართავს შუამდგომლობით სასამართლოს ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ასევე ადამიანის უფლებათა შემზღვეველი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ განჩინების მისაღებად (იხ. სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი). სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამომძიებელი ვალდებულია შეასრულოს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის მითითებები.

3. პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი

მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეცემა სასამართლოს, პროცესის მართვის სადავეები გადადის მოსამართლის ხელში, ხოლო პროკურორი სასამართლოში გამოდის მხოლოდ როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, რომელმაც წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა ამტკიცოს პირისათვის წარდგენილი ბრალდება (სსსკ-ის 33-ე მუხლის პირველი ნაწილი). პროკურორი მოქმედებს სახელმწიფოს სახელით და თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. იგი არც სასამართლოში არ არის შეზღუდული, თქვას უარი ბრალდებაზე. მას კანონი ანიჭებს უფლებამოსილებას უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ შეკრებილი მტკიცებულებები არ ადასტურებს ბრალდებას (სსსკ-ის 250-ე მუხლის პირველი ნაწილი და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი). პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი პირველი ინსტანციის სასამართლოში და სააპელაციო წარმოების სტადიაზე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, საკასაციო წარმოების სტადიაზე იგი მხარს უჭერს თავის საჩივარს ან გამოთქვამს აზრს, როგორც მხარე, იმ საჩივარზე, რომელიც დაცვის მხარემ

შეიტანა. პროკურორი სასამართლოში სარგებლობს ფართო უფლებამოსილებით, კერძოდ: განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება; წარადგინოს მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღოს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში; გამოთქვას აზრი სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე; გააცნოს სასამართლოს თავისი პოზიცია ბრალდების დამტკიცების, ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) შერაცხადობის, სასჯელის სახისა და ზომის დანიშვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ და ა.შ. („პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილი).

II. პროკურატურის ორგანიზაცია და სისტემა

საქართველოს პროკურატურა არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულება („პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი), რომელიც აგებულია იერარქიულად და მონოკრატიულად, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველა ქვემდგომი პროკურორი ექვემდებარება ზემდგომ პროკურორს და ყველა პროკურორი დაქვემდებარებულია საბოლოოდ მთავარი პროკურორისადმი. მართალია, ქვემდგომ პროკურორი თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისა დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს, თუმცა სამართლებრივად იგი მოქმედებს, როგორც ზემდგომი პროკურორის წარმომადგენელი. ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს გააუქმოს, შეცვალოს ან ცვლილებები შეიტანოს ქვემდგომ პროკურორის გადანყვეტილებებსა და აქტებში. შესაბამისად პროკურორი არ სარგებლობს მოსამართლის მსგავსად პერსონალური და საგნობრივი დამოუკიდებლობით. პროკურორი ვადებულება შეასრულოს ზემდგომი პროკურორის მითითებები.

საქართველოს პროკურატურის სისტემა მოიცავს საქართველოს მთავარ პროკურატურას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებს, ქ. თბილისს

პროკურატურას, საოლქო პროკურატურებს, რაიონულ პროკურატურებს, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სპეციალიზებულ პროკურატურებს. პროკურატურის ორგანოების სტრუქტურას, სამტატო ერთეულებსა და მათ რაოდენობას მთავარი პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი („პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი).

საქართველოს იუსტიციის მინისტრი საქართველოს მთავარი პროკურორის წარდგინებით ქმნის და აუქმებს პროკურატურის ორგანოებს, განსაზღვრავს მათ სამოქმედო ტერიტორიას და ადგენს სტრუქტურულ ერთეულთა კომპლექტენციას. გარდა ამისა, იგი მთავარი პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრი თავად არ არის პროკურორი და მას არ გააჩნია პროკურორის უფლებამოსილება (იხ. ამის შესახებ უფრო დეტალურად „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი).

პროკურატურის საქმიანობას უშუალოდ ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწევს საქართველოს მთავარი პროკურორი, რომელსაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. იგი ამავედროულად ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის, პროკურორის, პროკურატურის გამომძიებლის ან პროკურატურის მრჩევლის მიერ დანაშაულის ჩადენისას (იხ. უფრო დეტალურად „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი).

1. დევოლუციისა და სუბსტიტუციის უფლებები

პროკურატურის მონოკრატიული და იერარქიული აგებულებიდან გამომდინარე, პროკურატურაში მოქმედებს ე.წ. **დევოლუციისა და სუბსტიტუციის უფლებები**.

დევოლუციის უფლება ზემდგომ პროკურორს ანიჭებს იმის შესაძლებლობას, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და თავად განახორციელოს საქმის წარმოება.

სუბსტიტუციის უფლება კი ზემდგომ პროკურორს ანიჭებს იმის შესაძლებლობას, რომ მან სისხლის სამართლის საქმის წარმოებას ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს ქვემდებარეობის დაცვით.

2. მითითების უფლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროკურატურის სისტემაში მოქმედი დაქვემდებარების პრინციპი გულისხმობს აგრეთვე, ქვემდგომი პროკურორის მიერ ზემდგომი პროკურორის მითითებების შესრულების სავალდებულობას. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, ქვემდგომი პროკურორ ვალდებულია, შეასრულოს ზემდგომი პროკურორის ყველა კანონიერი მოთხოვნა და მითითება („პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 ნაწილი). უკანონო იქნებოდა მაგალითად, ზემდგომი პროკურორის მითითებ რომელიც ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს ან არღვევს სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლს (უდანაშაულ პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში და ა.შ. ქვემდგომი პროკურორი უფლებამოსილია არ შეასრულოს ზემდგომი პროკურორის უკანონო მითითებები და აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართოს ამ უკანასკნელის ზემდგომ პროკურორს. თუ იგი ძალაში დატოვებს ქვემდგომი პროკურორისთვის მიცემულ მითითებას, მაშინ მან მითითება უნდა შეასრულოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მითითება აშკარა წარმოადგენს დანაშაულს, ადმინისტრაციულ გადაცდომას ადამიანის ღირსების შემლახავ ქმედებას.

§22. გამომძიებელი და გამოძიების ორგანოები

პროკურორი, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი უფლებამოსილია თავად ანარმოს გამოძიება სრული მოცულობით, მაგრამ იგი სისხლის სამართლის საქმის სირთულისა და ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებათა დიდი მოცულობის გამო, არსებული პერსონალითა და რესურსებით დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე ვერ განახორციელებს ყოველი დანაშაულის საქმეზე სრული მოცულობით გამოძიებას. შესაბამისად, იგი გამოძიებას ანარმობს გამომძიებლების მეშვეობითა და გამოძიების ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

თუ რა შედის გამომძიებლის კომპეტენციაში და რომელი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ საგამოძიებო საქმიანობას, აღნიშნულის თაობაზე იქნება ქვემოთ საუბარი.

1. გამომძიებელი

გამომძიებლის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად, გამომძიებელი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანარმოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. გამომძიებლის სტატუსი გააჩნია აგრეთვე პროკურორსაც, რომელიც უშუალოდ ახორციელებს გამოძიებას.

გამომძიებელი დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, დამოუკიდებლად წყვეტს გამოძიების დანყებისა და საგამოძიებო (საპროცესო) მოქმედებების ჩატარების საკითხს (გამონაკლისს წარმოადგენს საგამოძიებო (საპროცესო) მოქმედებები, რომლის ჩატარებისთვისაც კანონი ითვალისწინებს პროკურორთან შეთანხმებასა და სასამართლოს ნებართვას, მაგ., ჩხრეკა, ამოღება და ა.შ.). გამომძიებელი უფლებამოსილია მაგალითად, გამოკითხოს დანაშაულის თვითმხილველები, მონივროს ექსპერტი საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოსავლენად, ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი და ა.შ. ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებასთან

დაკავშირებით გამომძიებლის მიერ მიღებული დადგენილების შესრულება ადრესატებისთვის სავალდებულოა. მაგალითად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, გამომძიებელი უფლებამოსილია სასამართლოს ნებართვის გარეშე, საკუთარ დადგენილების საფუძველზე ჩაატაროს ჩხრეკა. ჩხრეკის ადგილზე მყოფმა პირებმა უნდა შეასრულონ გამომძიებლის მითითებები. გამომძიებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამონებს ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებით ყველა შესაძლო ვერსიას და დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად მოიპოვებს მტკიცებულებებს. სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. გამოძიების ობიექტურად წარმოება არ ნიშნავს იმას, რომ გამომძიებელს ვეალება პირის დანაშაულში მამხილებელი და გამამართლებელი გარემოებების ერთი და იგივე გულმოდგინებით კვლევა. ვინაიდან, გამომძიებელი წარმოადგენს ბრალდების მხარეს, იგი უპირველეს ყოვლისა გამოავლენს და მოიპოვებს გამამტყუნებელ მტკიცებულებებს. შეჯიბრებითი პროცესის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თავად არიან პასუხისმგებელი მტკიცებულებების შეკრებაზე და სასამართლოში წარდგენაზე⁵³. თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, რომ არ მოხდეს უდანაშაულო პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. ამიტომ, თუ გამომძიებლისა და გამომძიებელმა ასევე გამოავლინა პირის გამამართლებელი ან მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულებები, ისინიც უნდა წარედგინოს პროკურორს. ასეთ მტკიცებულებები წარედგინება აგრეთვე დაცვის მხარეს კანონით დადგენილი წესით მოთხოვნის შემთხვევაში⁵⁴. პროკურორ გამომძიებლის მიერ მიწოდებული სისხლის სამართლის საქმის მასალების საფუძველზე იღებს სისხლისსამართლებრივი დევნიდან დაწყების ან არ დაწყების გადაწყვეტილებას. ამრიგად, გამომძიებლის ობიექტურად წარმოება ნიშნავს იმას, რომ გამომძიებელმა თვალი არ უნდა დახუჭოს ბრალდებულის გამამართლებელ

53 შეად. ასევე გიორგაძე, გ./ბარამიძე, ა., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბილისი 2014, გვ. 16.

54 იხ. მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ თავი IV, §34, ასევე გიორგაძე, გ./ბარამიძე, ა. (2014), იქვე.

მტკიცებულებების აღმოჩენის შემთხვევაში. სათანადო საფუძვლის, ინფორმაციის არსებობისას, მან ასევე უნდა გადაამოწმოს ისეთი საგამოძიებო ვერსიებიც, რომელიც პირს ამართლებს ჩადენილ დანაშაულში. სხვა მხრივ, არსებობს იმის დიდი რისკი, რომ უდანაშაულო პირის მიმართ განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

მართალია, კანონი გამოძიებელს გამოძიების წარმოების პროცესში ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას (აღნიშნულის შესახებ იხ. სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-6 ნაწილი), მაგრამ, ამავედროულად აკისრებს მას ვალდებულებას, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით შეასრულოს საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის მითითებები, რომელიც უზრუნველყოფს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესის სწორად მართვას და განსაზღვრავს გამოძიებისათვის საჭირო მიმართულებებს. პროკურორის მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს უფლება აქვს თავისი დადგენილებით გააუქმოს გამოძიებლის გადაწყვეტილება. თუ გამოძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებებს (მაგ., გამოძიებელს მიაჩნია, რომ პროკურორის მითითება კანონსაწინააღმდეგოა, უსაფუძვლოდ ზღუდავს ბრალდებულის კანონიერ ინტერესებს), მას შეუძლია თავისი მოსაზრებებით მიმართოს ზემდგომ პროკურორს, რომელიც თავისმხრივ უფლებამოსილია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მითითება ან დაავალოს გამოძიება სხვა გამოძიებელს (სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

II. გამოძიების ორგანოები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას აწარმოებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულები-სა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფების გამოძიებლები. გარდა ამისა, საგამოძიებო საქმიანობას ახორციელებენ აგრეთვე

პროკურატორის გამოძიებლები. ზემოაღნიშნულ უწყებებში არსებული საგამოძიებო დანაყოფები წარმოადგენენ გამოძიების ორგანოებს, რომელთა ფუნქციაა ცალკეულ სფეროებში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი ქვემდებარეობისთვის მიკუთვნებულ საქმეთა გამოძიება. ცალკეულ გამოძიებო ორგანოებს შორის არ არსებობს იერარქიული დაქვემდებარება რადგან ისინი შედიან სხვადასხვა სამინისტროების შემადგენლობაში. თითოეული გამოძიებელი მოქმედებს იმ სახელმწიფო უწყების სახელით, რომლის შემადგენლობაშიც შედის შესაბამისი გამოძიების ორგანო. უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, ყველა გამოძიებელს გააჩნია თანაბარი პროცესუალური მდგომარეობა, მათ ენიჭებათ თანაბარი უფლება-მოვალეობები და მათ მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები თანაბარი იურიდიული ძალისაა (სსსკ-ის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

III. საგამოძიებო ქვემდებარეობა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ არეგულირებს საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხს. აღნიშნულთან დაკავშირებით სსსკ-ის 35-ე და 36-ე მუხლები მიუთითებენ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებაზე. „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის N34 ბრძანება განსაზღვრავს როგორც უწყებრივ, ისე ტერიტორიულ საგამოძიებო ქვემდებარეობას.

ხსენებული ბრძანებით *უწყებრივი ქვემდებარეობა* დადგენილია შემდეგნაირად:

- სისხლის სამართლის საქმე, როგორც წესი განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამოძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას. გამონაკლისს წარმოადგენს იმ დანაშაულთა საქმეები, რომლის გამოძიებაც შედის სხვა სახელმწიფო უწყებების გამოძიების ორგანოთა კომპეტენციაში. ამრიგად, შინაგან საქმეთა ორგანოები გამოძიებელს უფლება აქვს დაიწყოს გამოძიება ნების

მიერი დანაშაულის საქმეზე და შემდგომ საქმე გადასცეს პროკურორს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით წარმართვისათვის;

- პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება შემდეგი საქმეები: საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს მოსამართლის, სახალხო დამცველის, გენერალური აუდიტორის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, პროკურატურის მუშაკის, პოლიციელის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური ნოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე. პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე - 335-ე, 337-ე - 342-ე (გამონაკლისების გათვალისწინებით), 194-ე და 194¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო ქვემდებარეობას შორის კონკურენციის შემთხვევაში, ანუ როდესაც პროკურატურის გამომძიებლის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმე მიეკუთვნება იმავდროულად სხვა რომელიმე ორგანოს საგამოძიებო ქვემდებარეობას, გამოძიებას ახორციელებს პროკურატურა;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე, 189-ე, 189¹, 190-ე, 192-ე, 192¹, 193-ე, 195¹-201-ე, 204¹, 205-ე-213-ე, 214-ე (გამონაკლისების გათვალისწინებით);
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე-359-ე, 383-ე-392-ე, 394-ე-403-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს, აგრეთვე იმ დანაშაულს, რომელიც ჩა-

დენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დანესებულებების ტერიტორიაზე და სამხედრო ნაწილებში;

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის მოსამსახურის (გარდა პროკურატურის მუშაკისა) მიერ ჩადენილ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 333-ე, 335-ე, 337-ე-342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამომძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342¹, 378-ე, 378¹-ე, 378², 379-ე, 380-ე და 381-ე (თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობის ნაწილში) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს, აგრეთვე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული დანესებულებების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულს;

ერთ ნარმოებაში რამდენიმე ბრალდების (ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ) გაერთიანებისას საქმეს იძიებს გამომძიებელი, რომლის საგამომძიებო ქვემდებარეობასაც განეკუთვნება საქმე უფრო მძიმე დანაშაულის თაობაზე.

რაც შეეხება ტერიტორიულ საგამომძიებო ქვემდებარეობას, გამომძიებას ანარმოებს გამომძიებელი, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ტერიტორიაზე, სადაც დანაშაული მოხდა. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ჩადენილია რამდენიმე დანაშაული, საქმეს იძიებს გამომძიებელი, რომლის საგამომძიებო ქვემდებარეობასაც განეკუთვნება ყველაზე მძიმე დანაშაული.

შესაძლებელია გამოძიების პროცესში გამოვლინდეს, რომ საქმე უწყებრივად ან ტერიტორიულად განეკუთვნება სხვა გამომძიებლის ქვემდებარეობას. ასეთ დროს გამომძიებელი ვადებულა ჩაატაროს გადაუდებელი საგამომძიებო მოქმედებები და საქმე გადასცეს პროკურორს საგამომძიებო ქვემდებარეობის მიხედვით წარმართვისათვის. ქვემდებარეობასთან დაკავშირებით დავის არსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს

ზემდგომი პროკურორი. ამასთან ერთად, საქართველოს მთავარი პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს.

§23. პოლიცია

1. პოლიციის ორგანიზაცია და ამოცანები

პოლიცია წარმოადგენს „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის“ ყველაზე ქვედა, მაგრამ ძალზედ მნიშვნელოვან რგოლს. სწორედ პოლიციის ორგანოებს აქვთ უმეტეს შემთხვევებში დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენ პირებთან პირველი შეხება და სწორედ ისინი ახდენენ პირველად რეაგირებას სამართალდარღვევებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას თავისი პრევენციული საქმიანობიდან გამომდინარე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ განიხილავს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილედ, მაინც მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში მათი საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.

საპოლიციო საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო ორგანოები. ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიცია, კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, ახდენს რეაგირებას ცალკეული კატეგორიის დანაშაულის საქმეებზე. საერთაშორისო დონეზე საპოლიციო უფლებამოსილება გააჩნია ე.წ. „ინტერპოლს“, რომელიც წარმოადგენს კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციას. ინტერპოლი დაარსდა 1923 წელს ვენაში ჩატარებულ კრიმინალური პოლიციის მე-2 საერთაშორისო კონგრესზე. საქართველო ინტერპოლის წევრია 1993 წლიდან. დღესდღეობით ინტერპოლი აერთიანებს 181 წევრ ქვეყანას. ინტერპოლის მიზანია სხვადასხვა ქვეყნების კრიმინალური პოლიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა ქვეყნის შიდა კანონმდებლობისა და ადამიან-

ნის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპების ფარგლებში, დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციების შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფა. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ინტერპოლს ეკრძალება პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური ან რასობრივი ხასიათის ნებისმიერ საქმიანობაში ჩარევა. მიუხედავად ამისა, ინტერპოლი მაინც ახდენს რეაგირებას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების ხელმყოფ ქმედებებზე.

ზემოაღნიშნული პოლიციის ორგანოებიდან განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საპოლიციო დანაყოფები, რომელთა საქმიანობაც განისაზღვრება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ორგანოების კომპეტენცია დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ძალზედ ფართოა და იგი ვრცელდება დანაშაულების და სხვა მართლსაწინააღმდეგ ქმედებების ფართო წრეზე. აქედან გამონაკლისს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლებიც უკავშირდება თავდაცვით-სამხედრო ან საფინანსო-საგადასახადო საკითხებს და რომლის წინააღმდეგ ბრძოლასაც აწარმოებს სამხედრო პოლიცია ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახური თავისი ვინრო კომპეტენციის ფარგლებში⁵⁵. შესაბამისად, აღნიშნული სახელმძღვანელოს ფარგლებში, როდესაც პოლიციის საქმიანობაზე საუბარი, მოიაზრება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი პოლიციის ორგანოების საქმიანობა.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლს პოლიციის ძირითად ამოცანებად განსაზღვრავს:

- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;
- ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვას;
- დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან

⁵⁵ აღსანიშნავია, რომ სამხედრო პოლიციის საქმიანობაზე არ ვრცელდება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი; მის საქმიანობას ანუსერიგებს „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი.

აცილებისა და აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას;

- დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე;
- დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა, მოსალოდნელი საფრთხეების, რისკებისა და გამონეგებების ანალიზის და დამნაშავეობასთან ბრძოლის სტრატეგიის შემუშავებას;
- სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვას და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიცია ვალდებულია იმოქმედოს ხსენებული სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, ანუ სამართლებრივი სიკეთეების არსებულ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად (პოლიციის „პრევენციული“ ფუნქცია)⁵⁶. თუკი მოსალოდნელი საფრთხე უკვე განხორციელდა, ანუ გარკვეული ზიანი დადგა, საპოლიციო სამართალში აღნიშნულ ფაქტს „ხელყოფას“ უწოდებენ⁵⁷. როდესაც სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ჯერ კიდევ გრძელდება და მას ხელყოფისთვის ხელის არშეშლით კიდევ უფრო მეტი ზიანი მიადგება, პოლიცია მოვალეა, თავისი პრევენციული ფუნქციიდან გამომდინარე, მიიღოს ზომები ხელყოფათა აღსაკვეთად. თუ ხელყოფა ამავედროულად სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას წარმოადგენს, პოლიცია ასეთ შემთხვევაში „რეპრესიულადაც“ მოქმედებს, ანუ ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცესუალურ ღონისძიებებს მისთვის მინიჭებული უფლება-

56 განსხვავებით ამისგან, პოლიციის ამოცანებს არ მიეკუთვნება სამართლებრივ სიკეთეთა მოვლა და მათი არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება; მაგ., ავტოვარიის შემთხვევაში, პოლიცია ვალდებულია იზრუნოს საავტომობილო გზის დაზიანებული ავტომობილებისგან გათავისუფლებაზე და დაშავებული პირების გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დაწესებულებაში გადაყვანაზე, მაგრამ მას არ ევალება ავტოვარიის შედეგად დაზიანებულ სატრანსპორტო საშუალებათა შეკეთება და დაშავებულ პირთა მკურნალობა.

57 Schoch, F.: Besonderes Verwaltungsrecht, Schmidt-Aßmann, E. (რედ.), 2003, გვ. 157.

მოსილების ფარგლებში. თუ პრევენციულად მოქმედი პოლიციის საქმიანობას პოლიციის შესახებ კანონი არეგულირებს რეპრესიულად მოქმედი პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპები, ისევე როგორც ცალკეული საპროცესო მოქმედებები, განისაზღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. ამიტომ, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა *პრევენციისა და რეპრესიის* ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხს *თეორიულად* მათი გამიჯვნა ხდება იმ სხვაობის მიხედვით, რაც არსებობს, ერთი მხრივ, მოსალოდნელ, ჯერ კიდევ განუხორციელებელ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასა და მეორე მხრივ, სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შედეგად გამოწვეულ ზიანს (ან მინიმუმ ზიანის მიყენების მცდელობას) შორის. პოლიციის პრევენციული და რეპრესიული მოქმედებები *პრაქტიკულად* კი შეგვიძლია შემდეგნაირად განვასხვაოთ: თუ პოლიციის *გარკვეულ პროგნოზებზე დაფუძნებული* რეაქცია მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებას უკავშირდება რომლის დროსაც „ხელმყოფის“ პიროვნება არავითარ რისკს არ თამაშობს, როგორც წესი საუბარია პოლიციის პრევენციულ მოქმედებაზე. განსხვავებით ამისაგან, პოლიციის რეპრესიული საქმიანობა წარმოადგენს იმ *პროცესის* ნაწილს, რომელიც *კონკრეტული პიროვნების მიმართ და (წარსულში) ჩადენილ ქმედების გამო* წარმოებს და რომლის დროსაც ბრალდებულის პიროვნებას ისევე, როგორც მის „ბრალეულობის“ საკითხს სამართლიანი განაჩენის გამოსატანად გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. სწორედ ამიტომ ენიჭება ბრალდებულს განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, ვიდრე „ხელმყოფს“, პოლიციის მიერ პრევენციულ ღონისძიებების გატარებისას.

II. პოლიციის როლი სისხლის სამართლის პროცესში

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოძიებას ძირითად შემთხვევებში სრული მოცულობით აწარმოებს გამომძიებელი და მისი საქმიანობის საპროცესო ხელმძღვანელობას უწევს პროკურორი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამომძიებელი და პროკურორი სისხლის

მართლის საქმის წარმოების დროს არსებითად არიან დამოკიდებული პოლიციის თანამშრომლებზე. გამომძიებელი, რომელიც იძიებს რამოდენიმე დანაშაულის საქმეს, ვერ შეძლებს სხვადასხვა ადგილას ჩაატაროს ერთდროულად რამოდენიმე საგამოძიებო მოქმედება. ამისთვის მას დიდ დახმარებას უწევენ პოლიციის მუშაკები. ამიტომ, კანონი ანიჭებს გამომძიებელსა და პროკურორს უფლებამოსილებას, მისცეს პოლიციას წერილობითი დავალებები და მითითებები, რათა აღმოუჩინოს მათ დახმარება საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას (მაგ., ჩხრეკის, ამოღების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს და ა.შ.). პოლიცია ვალდებულია ასევე, აღასრულოს სასამართლოს გადანყვეტილებები, პროკურორისა და გამომძიებლის დადგენილებები იმ პირთა მოყვანის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ სასამართლოში, პროკურატურაში ან საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას. გარდა ამისა, შესაბამისი დავალების საფუძველზე, პოლიცია აწარმოებს ბრალდებული და მსჯავრდებული პირების ძებნასა და დაკავებას, ტექნიკურ-კრიმინალისტიკურ გამოკვლევებს, აღასრულებს სასამართლოს, პროკურორის და გამომძიებლის გადანყვეტილებებს პირის დაკავების ან დაპატიმრების შესახებ, უზრუნველყოფს დაკავებული ან დაპატიმრებული პირების დაცვასა და მათ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში გადაყვანას.

ზემოაღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ პოლიციას დამოუკიდებლად, პროკურატურის დავალებებისა და მითითებების გარეშე არ შეუძლია გამოძიების წარმოება და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება. პოლიციას თავისი ფუნქციიდან გამომდინარე, უფლება აქვს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, თუ დაყოვნება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, დაუბრკოლებლად შევიდეს საცხოვრებელ ბინებსა და შენობა-ნაგებობებში დანაშაულის აღსაკვეთად ან იმ პირის დასაკავებლად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ან რომელიც ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში. ამასთან ერთად, პოლიცია უფლებამოსილია განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები, ასევე სხვა საგამოძიებო მოქმედებები იმ დანაშაულის თა-

ვიდან აცილების, გამოვლენის და აღკვეთის მიზნით, რომლის გამოძიება კანონმდებლობის შესაბამისად პოლიციის კომპეტენციას განეკუთვნება. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ პოლიციამ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების, ასევე მის მიერ განხორციელებული საგამოძიებო და სხვა საპროცესო იძულებითი ღონისძიებების შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პროკურატურას, რომელიც შემდგომ ზედამხედველობს გამოძიებას.

როგორც უკვე აღინიშნა, პროკურატურა უფლებამოსილია დაავალოს პოლიციას ცალკეული ღონისძიებების განხორციელება. პროკურატურა დავალებებსა და მითითებებს ქვემდებარეობის მიხედვით აწვდის პოლიციის შესაბამის ორგანოს, რის შემდეგაც პოლიცია თავად განსაზღვრავს ღონისძიების ჩატარების მოცულობასა და ჩატარების წესს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციის მხრიდან პროკურატურის დავალებებისა და მითითებების შესასრულებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განსახორციელებელ ღონისძიებათა ბუნებას, ანუ როგორი ხასიათი აქვს მას, პრევენციული თუ რეპრესიული. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს პროკურატურას უფლება აქვს პოლიციას დაავალოს *რეპრესიული* ღონისძიებების განხორციელება, მაგალითად, დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავება, ჩხრეკა, ამოღება და ა.შ. პრევენციული ხასიათის საპოლიციო ღონისძიებათა განხორციელება კი, რომლის მიზანიცაა *საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგისათვის მოსალოდნელი ან არსებული საფრთხის თავიდან აცილება* მხოლოდ პოლიციის კომპეტენციას მიეკუთვნება. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია მარტივი მაგალითის მოტანა:

შეიარაღებულია, რომელმაც ბანკში ყაჩაღური თავდასხმა განახორციელა და თან ბმძველად ხელში ჩაიგდო, მოითხოვ მისთვის მძვეალთან და ფულთან ერთად ბანკის დატოვების და გაქცევის საშუალების მიცემას. პროკურორი პ კი მიუთითებს პოლიციელებს, რომ დაკავების მიზნით ესროლონ პროკორც კი იგი მძვეალთან ერთად ბანკს დატოვებს. დაისმის კითხვა, თუ რამდენად კანონიერია პ-ს მითითება. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მძველის გასათავისუფლებლად, პრევენციულ ს

პოლიციო ღონისძიებას წარმოადგენს და ამასთან დაკავშირებით ყოველგვარ გადაწყვეტილებას თავად პოლიცია იღებს სხვათა მითითებების გარეშე. შესაბამისად, პროკურორს არა აქვს უფლება პოლიციას თავის პრევენციულ საქმიანობასთან დაკავშირებით ასეთი სახის მითითება მისცეს.

პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როდესაც პოლიციელი ერთდროულად ახორციელებს, როგორც პრევენციული ისე რეპრესიული ხასიათის ღონისძიებებს. მაგალითად ავტოავარიის შემთხვევაში, როდესაც ავარიის გამომწვევი მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, პოლიციას აკისრია ვალდებულება, დაადგინოს მიმალული მძღოლის ვინაობა და დააკავოს იგი. გარდა ამისა, პოლიციამ იმავდროულად უნდა იზრუნოს ავტოავარიის შედეგად დაშავებული პირებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე და მათ საავადმყოფოში გადაყვანაზე.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ პოლიციის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი, როგორებიცაა მაგალითად, ზედაპირული შემოწმება, ჩხრეკა, ამოღება და ა.შ. შეიძლება ერთდროულად როგორც გამოძიებას (სისხლის სამართლებრივ დევნას), ისე საფრთხეში არსებულ სამართლებრივ სიკეთეთა პრევენციულ დაცვას ემსახურებოდნენ. მაგალითად, თუ პოლიცია დემონსტრაციისაკენ მიმავალი ავტომობილის ზედაპირული დათვალიერების შედეგად დაურეგისტრირებელ ცეცხლსასროლ იარაღს აღმოაჩენს და მას ამოიღებს, აღნიშნული ხორციელდება, როგორც მტკიცებულებათა მოპოვების, ისე დემონსტრაციაში მონაწილე პირთა უსაფრთხოების მიზნით.

საპოლიციო ღონისძიებებს ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს ძირითადად ორმაგი ფუნქცია აქვს. პოლიციის მიერ სისტემატიურად ინფორმაციების მოპოვება კრიმინალური ორგანიზაციების, მათი საქმიანობის, სტრუქტურის, ორგანიზაციის წევრებისა და მათი ფუნქციების შესახებ, შესაძლებელია **ორ მიზანს** ერთდროულად ემსახურებოდეს:

- უკვე ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას, დანაშაულის ორგანიზატორებისა და ამსრულებლების დაკავებას (რეპრესია);
- კრიმინალური ორგანიზაციის დაშლას და მათი შემდგომი დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციას.

§24. ბრალდებული და მისი ადვოკატი

I. ბრალდებული

1. ბრალდებულის ცნება

დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების შედეგად, როგორც წესი, ადრე თუ გვიან ხდება იმ პირის გამოვლენა, რომელიც შესაძლებელია დანაშაულის პოტენციური ამსრულებელი ან თანამონაწილე ყოფილიყო. მაშინაც კი როდესაც ასეთი პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდი არსებობს, ეს მაინც არ აქცევს მას ავტომატურად ბრალდებულად. იმისათვის, რომ მას მიენიჭოს „ბრალდებულის“ პროცესუალური სტატუსი, საჭიროა კანონით დადგენილი წესით მისი ბრალდებულად ცნობა. გარდა ამისა პირს ბრალდებულის სტატუსი მიენიჭება, თუ მას დააკავებენ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი მე-19 ნაწილში განმარტებულია ბრალდებულის ცნება, რომლითაც თანახმად, ბრალდებული არის პირი, ვის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული განმარტება არასრულფასოვანია და საჭიროებს დაზუსტებას. მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირს ჩაითვალოს ავტომატურად ბრალდებულად და მიენიჭოს მას ბრალდებულის პროცესუალური უფლებები. დასაბუთებული ვარაუდი ნარმოადგენს იმ სავალდებულო მტკიცებულებით სტანდარტს⁵⁸, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს პირის ბრალდებულად ცნობა ან დაკავება. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა ბრალდებულის ცნება ჩამოყალიბებულიყო შემდეგნაირად:

ბრალდებული არის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე უფლებამოსილი ორგანოს თანამდებობის პირის მიერ დაკავებული ან პროკურორის დადგენილებით ბრალდებულად ცნობილი პირი.

განსხვავებით ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან

⁵⁸ მტკიცებულებითი სტანდარტების შესახებ იხილეთ ქვემოთ თავი IV, §34, IV.

ნონმდებლობისგან, მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ჩამოაყალიბა **ბრალდებულის ერთიანი დეფინიცია**. პირი, რომლის მიმართაც დანყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა (რომელიც იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე, სსსკ-ის 167-ე მუხლის პირველი ნაწილი), ბრალდებულად მოიხსენიება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. აქამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაცვის მხარეს ანიჭებდა სხვადასხვა პროცესუალურ სტატუსს პროცესის სხვადასხვა სტადიაზე. კერძოდ, თავდაპირველად ეჭვის არსებობის შემთხვევაში მას პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირის დადგენილებით ენიჭებოდა **„ეჭვმიტანილის“** სტატუსი, შემდეგ მას ცნობდნენ **„ბრალდებულად“** და როდესაც საქმე არსებითი განხილვისთვის სასამართლოს გადაეცემოდა, იგი ხდებოდა **„განსასჯელი“**. დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, „ბრალდებულის“ ერთიანი სტატუსი მოიცავს, როგორც „ეჭვმიტანილის“, ისე „განსასჯელის“ ფორმალურ ნიშნებს, რის შედეგადაც დაცვის მხარე მთელი პროცესის განმავლობაში გვევლინება ფართო უფლებებით აღჭურვილ პროცესის აქტიურ სუბიექტად. პირი აღნიშნული სტატუსით და შესაბამისი უფლებებით სარგებლობს მის მიმართ დევნის დაწყებიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე. თუ სასამართლო ბრალდებულის მიმართ დაადგენს გამამართლებელ განაჩენს, ეწოდება მას **„გამართლებული“**. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, იგი გვევლინება **„მსჯავრდებულად“**.

2. პირის ბრალდებულად ცნობა

როგორც უკვე აღინიშნა, პირი ითვლება ბრალდებულად დაკავების მომენტიდან ან თუ იგი არ დაუკავებიათ, ბრალდებულად ცნობის მომენტიდან. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულ პირს კანონმდებელი ბრალდებულის უფლებებს ანიჭებს, ნებისმიერ შემთხვევაში სავალდებულოა დამატებით მისი ბრალდებულის სტატუსის პროცესუალური გაფორმება, რაც „ბრალ-

დებულად ცნობის" გზით უნდა მოხდეს. თუ დაკავებული პირი 48 საათის განმავლობაში შესაბამისი პროცედურების დაცვით ბრალდებულად არ იქნა ცნობილი, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს (სსსკ-ის 174-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

სსსკ-ის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილი იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. პირის ბრალდებულად ცნობა ხდება მისთვის ბრალის წაყენების გზით. თუ პროკურორი გადაწყვეტს პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას, მან უნდა მიიღოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ და დადგენილების მიღებიდან 24 საათში მას თავად ან გამომძიებლის მეშვეობით უნდა წაუყენოს ბრალი. ბრალი, როგორც წესი წაყენება უშუალოდ ბრალდებულს, რომელსაც გადაეცემა პროკურორის დადგენილება ბრალდების შესახებ თანდართული ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხით. თუ ბრალდებული სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით, ამ უკანასკნელს უფლება აქვს დაესწროს ბრალის წაყენების პროცედურას⁵⁹. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ემალება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს და თავს არიდებს საგამომძიებო ორგანოში გამოცხადებას. ამისათვის, რომ მსგავს შემთხვევებში გამოძიების პროცესს და მართლმსაჯულების განხორციელებას ხელი არ შეეშალოს, კანონი ითვალისწინებს ბრალის წაყენებას ბრალდებულის ადვოკატის მეშვეობით. ამ დროს ბრალდების მხარე სთავაზობს ბრალდებულს ან მის ახლო ნათესავს ადვოკატის აყვანას და განუსაზღვრავს ამისათვის გონივრულ ვადას. თუ აღნიშნულ ვადაში იგი არ აიყვანს ადვოკატს, მაშინ ბრალდებულს სავალდებულო წესით დაენიშნება ადვოკატი, რომელსაც შემდგომ პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი გააცნობს და დადგენილებას ბრალდების შესახებ, რაც ჩაითვლება ბრალის წაყენებად.

კანონი ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს ზოგიერთი თანამდებობის პირისთვის ბრალის წასაყენებლად. მაგალითად

⁵⁹ პირის ბრალდებულად ცნობის პროცედურების შესახებ იხ. სსსკ-ის 169-ე მუხლი

სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის ბრალდებისთვის აუცილებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ბრალდებისთვის აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობა. საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის ბრალდებისთვის აუცილებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა. ვინაიდან ბრალდებულად ცნობის შემდეგ პროცესის მწარმოებელი პირის გადაწყვეტილებით პირს შეიძლება შეეზღუდოს ცალკეული კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობები და ამით მის ინტერესებს მიადგეს არსებითი ზიანი, კანონი ზუსტად განსაზღვრავს პირის ბრალდებულად ცნობის ვადებს, რომლის გასვლის შემდეგაც ან საქმე განხილვისთვის უნდა გადაეცეს სასამართლოს ან სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდეს პირის მიმართ. თუ პირის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, დაუშვებელია მომავალში მისთვის იმავე ბრალის წაყენება. სსსკ-ის 169-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე პირი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არა უმეტეს 9 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო არ წაუყენებიათ ახალი ბრალი. ახალი ბრალის წაყენებისას ვადის დინება წყდება და ვადა აითვლება ახალი ბრალის წაყენების დღიდან. მაგალითად, პირს ბრალი ჰქონდა წაყენებული ყაჩაღობისთვის, მაგრამ, ყაჩაღობისთვის ბრალის წაყენებიდან 4 თვის შემდეგ გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულ დანაშაულთან ერთად მას სავარაუდოდ მკვლელობაც ჰქონდა ჩადენილი. ასეთ შემთხვევაში, პირს მკვლელობისთვისაც წაყენება ბრალი და ვადის ათვლა დაიწყება თავიდან.

3. ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობა

ბრალდებული წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალურ ფიგურას, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნის მიმართ წარმოებს და ამის შედეგად პროცესის სხვა მონაწილეებთან შედარებით ყველაზე დიდი ზიანი მის უფლებებსა და ინტერესებს ადგება. შესაბამისად, იგი ყველაზე მეტი პროცესუალური გარანტიებით სარგებლობს და განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სისხლის სამართლის პროცესში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაუშვებელია სამართლებრივ სახელმწიფოში ბრალდებული იყოს მხოლოდ სახელმწიფო იძულების ობიექტი. იგი სახელმწიფო იძულების ობიექტია, რადგან მან უნდა ითმინოს მთელი რიგი საპროცესო იძულების ღონისძიებები საკუთარი ნებისა და სურვილის გარეშე (მაგ., დაკავება, პატიმრობა, ჩხრეკა, სხეულიდან ნიმუშის აღება და ა.შ.). სამართლიანი პროცესის პრინციპის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ბრალდებულს, როგორც პროცესის **აქტიურ სუბიექტს** უნდა გააჩნდეს თავისი კონსტიტუციური უფლებებისა და ინტერესების დასაცავად ფართო შესაძლებლობები, რათა ზემოქმედება მოახდინოს პროცესის მიმდინარეობასა და მის შედეგებზე. იგი არ წარმოადგენს ბრალდების პასიურ სამიზნეს აქედან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც ეფუძნება სამართლიან პროცესის პრინციპს, აღიარებს ბრალდებულს სამართალწარმოების აქტიურ მონაწილედ და ანიჭებს მას შესაბამის უფლებებს. კანონმდებელმა ბრალდებულის ძირითად უფლებებს თავი მოუყარა სსსკ-ის 38-ე და 39-ე მუხლებში, რომლის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

3.1. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე კონსტიტუციურ გარანტიებს შორის უმნიშვნელოვანესია პირის უფლება, სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს არ გამოვიდეს მონმედ საკუთარი თავის წინააღმდეგ. შესაბამისად

დაუშვებელია ბრალდებულის იძულება, რათა მან სისხლისსამართლებრივი დევნისას აქტიურად ითანამშრომლოს გამოძიების ორგანოებთან საკუთარი თავის საზიანოდ. აღნიშნული დებულება იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია „nemo tenetur se ipsum accusare“-ს პრინციპის სახელით. „nemo tenetur se ipsum accusare“ ლათინური ტერმინია და ქართულად ნიშნავს „არავინ არ არის ვალდებული, დაიბრალოს დანაშაული“. ისტორიულად ეს პრინციპი თავდაპირველად ინგლისში მე-17 საუკუნეში განვითარდა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოთა სისხლის საპროცესო სამართალშიც გავრცელდა⁶⁰. მას თავდაპირველად ჰქონდა ის დატვირთვა, რომ პირი თავისუფლდებოდა ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან, ვიდრე მისი ბრალდების საკითხს დიდი ჟიური არ განიხილავდა⁶¹. მოგვიანებით მან შეიძინა კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობა და პირს მიენიჭა *თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია (privilege against self-incrimination)*, რაც თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში გულისხმობს ადამიანის უფლებას, არ აიძულონ საკუთარი თავის ბრალეულად აღიარება და დაცული იყოს ჩვენების მიცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ზეწოლისგან⁶². თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიას აღიარებს აგრეთვე საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის მე-15 მუხლში იგი პრინციპის სახით არის ასახული. ამ მუხლის თანახმად, არავინ არ არის ვალდებული, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან სხვა პირთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. პირს დაკავების მომენტში ან თუ მისი დაკავება არ ხდება – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს სხვა უფლებებთან ერთად უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავის შეკავების უფლება და ასევე უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი). თუ ბრალდებული

60 იხ. *ტრექსელი, შ.* (2009), იქვე, გვ. 385.

61 იხ. *Corwin E. S.*: The Constitution and what it means today, მე-14 გამოცემა, 1978, გვ. 373; *Hutzli P. W.*: Die Verfassungsmäßigen bundesrechtlichen Schranken im einzelstaatlichen Strafprozeß, 1974, გვ. 27; *Saltzburg S. A.*: American Criminal Procedure: Cases and Commentary, მე-3 გამოცემა, 1988, გვ. 403.

62 *ტრექსელი, შ.* (2009), იქვე, გვ. 384.

სარგებლობს დუმილის უფლებით და უარს იტყვის ჩვენების ან განმარტებების მიცემაზე, აღნიშნული არ შეიძლება შეფასდეს მის საუარესოდ და გამოყენებულ იქნეს ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად (სსსკ-ის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მაშინაც კი, როდესაც ბრალდებული არ სარგებლობს დუმილის უფლებით და იძლევა ჩვენებას, მას ცრუ ჩვენების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა⁶³.

3.2. ადვოკატის ყოლის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დაცვის უფლება გარანტირებულია. დაცვის უფლების გარანტიას ადგენს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. შესაბამისად, ბრალდებულს, როგორც პროცესის აქტიურ სუბიექტს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, ჯეროვნად და ეფექტურად დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებებისგან. ვინაიდან, ხშირ შემთხვევებში, ბრალდებული კვალიფიციური იურისტის დახმარების გარეშე მოკლებულია დაცვის სათანადოდ განხორციელებისა და საპროცესო უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, კანონი მას ანიჭებს ადვოკატის ყოლის უფლებას.

დაცვის უფლების კონსტიტუციური გარანტია კონკრეტულიზირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვადასხვა ნორმებში. სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია - უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

ადვოკატის ყოლა ბრალდებულის უფლებაა და არა ვალდებულება. მას ადვოკატის მომსახურების გარეშეც შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი ინტერესების დაცვა, რისთვისაც ბრალდებულს უნდა მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილი). აქედან გამომდინარე, ნაკლს წარმოადგენს ე.წ. **სავალდებულო დაცვის შემთხვევა**,

⁶³ აღნიშნულის შესახებ იხ. ვრცლად თავი IV, §33, II, 1.

როდესაც ბრალდებულს უფლება არ აქვს უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე⁶⁴.

აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის დაცვის უფლება მოქმედებს სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე. თუმცა, ამ უფლებით სარგებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოძიების ეტაპზე, სადაც ადვოკატი დიდ როლს თამაშობს მტკიცებულებების მოპოვებასა და სასამართლო განხილვისთვის მომზადებაში⁶⁵. შეჯიბრებითი პროცესის პირობებში გამოძიების ეტაპზე შეკრებილ მტკიცებულებებს აქვს სასამართლოს გადამწყვეტილებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან მოსამართლე დამოუკიდებლად არ ატარებს სასამართლო გამოძიებას და ეყრდნობა მხარეთა მიერ წარმოდგენილ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს. ამიტომ, სისხლისსამართლებრივი დევნის დანებისთანავე (დაკავების მომენტში, ან თუ დაკავება არ ხდება, ბრალდებულად ცნობისთანავე), ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობის ადვოკატის ყოლის უფლება (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

3.3. ბრალდების შესახებ ინფორმირებისა და საქმის მასალების გაცნობის უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ყველა დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავების მიზეზების, მათ შორის „მისთვის წარდგენილი ნებისმიერი ბრალდების“ შესახებ. ასევე, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ანიჭებს უფლებას მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დანვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი. ბრალდებულს სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზევე უნდა ეცნობოს მის წინააღმდეგ არსებული ბრალდების შესახებ, რათა მან ჯეროვნად შეძლოს სასამართლოში თავის დაცვა⁶⁶.

სსსკ-ის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს

64 სავალდებულო დაცვის შესახებ იხ. ქვემოთ 6.3.

65 იხ. ასევე ტრეჟელი, შ. (2009), იქვე, გვ. 384.

66 იხ. ასევე ტრეჟელი, შ. (2009), იქვე, გვ. 226; Esser, R. (2002), იქვე, გვ. 437.

დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი. ამასთან ერთად, მას უნდა გადაეცეს დაკავების ოქმის ან, თუ ის არ დაუკავებიან, ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი. დაკავების მომენტში პირის აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამით დაკავებულს საშუალება ეძლევა, გაასაჩივროს დაკავების საფუძვლიანობა და კანონიერება⁶⁷. როგორც წესი, დაკავებისას პირს ზეპირად ატყობინებენ ბრალდების შესახებ და შემდგომ გადასცემენ დაკავების ოქმსაც, სადაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულია მითითებული, რომლის ჩადენაშიც არის იგი ბრალდებული.

ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლება წარმოადგენს უნივერსალურ უფლებას და იგი მოქმედებს როგორც მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის სისხლისსამართლებრივი დევნის დროს, ისე ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევებში⁶⁸.

იმისათვის, რომ ბრალდებულმა წარდგენილი ბრალდებისგან სათანადოდ დაიცვას თავი, ზემოაღნიშნულის გარდა, პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირი ვალდებულია, გააცნოს დაცვის მხარეს საქმის მასალები, მათ შორის ბრალდების მტკიცებულებები⁶⁹. საქმის მასალების გაცნობის და მათი ასლების მიღების უფლება გააჩნია, როგორც ბრალდებულს, ისე მის ადვოკატს (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-13 ნაწილი). სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის გარეშე მონაწილეობა ბრალდებულს არ უზღუდავს აღნიშნული უფლებით სარგებლობას.

67 იხ. *Harris, D./ O'Boyle, M./ Warbrick, C.: Law of the European Convention on Human Rights*, 1995, გვ. 250.

68 იხ. *Geisler, M.: Die Ausgestaltung des Anklageprinzips nach amerikanischem Strafverfahrens- und Verfassungsrecht*, 1998, გვ. 52-54.

69 აღნიშნულის თაობაზე იხ. თავი IV, §34, V.

3.4. მტკიცებულებების მოპოვების უფლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე ქართულ სისხლის საპროცესო სამართალში პროცესის შეჯიბრებითობა და თანასწორობა გარანტირებულია სისხლის სამართალწარმოების ყველა სტადიაზე. მხარეები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას სარგებლობენ თანაბარი პროცესუალური უფლებებით⁷⁰. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე ბრალდებული უფლებამოსილია ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები და თავის სასარგებლოდ მოიპოვოს მტკიცებულებები. მას უფლება აქვს გამოითხოვოს ცნობა, დახასიათება და სხვა დოკუმენტი სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებიდან, საწარმოდან ან ორგანიზაციიდან. ბრალდებული აღნიშნული უფლების რეალიზაციას ახდენს პირადად ან ადვოკატის დახმარებით. კანონი ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარ იურიდიულ ძალას ანიჭებს (სსსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი). იმისათვის, რომ გამოძიების ეტაპზე შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი იყოს უზრუნველყოფილი, მოსამართლე ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს დაცვის მხარეს მტკიცებულებების გამოთხოვასა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში. თუ მტკიცებულების მოპოვებისთვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ჩაატარებს (მაგ., ჩხრეკა, ამოღება), იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაბამის მოქმედებას ატარებენ სამართალდამცავი ორგანოები, ხოლო მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება (სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აქვე მნიშვნელოვანია, რომ თუ ბრალდებული გადახდისუუნაროა და დანიშნული ჰყავს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, მტკიცებულებების მოსაპოვებლად განუულ ხარჯებს ანაზღაურებს სახელმწიფო.

⁷⁰ გამონაკლისია ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რომლის ჩატარების უფლება დაცვის მხარეს არ გააჩნია.

3.5 საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ბრალდებულს, როგორც პროცესის აქტიურ სუბიექტს ანიჭებს უფლებას, მიიღოს მონაწილეობა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში. გამოძიების ეტაპზე ბრალდებული უფლებამოსილია მოითხოვოს დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება. დაცვის მხარეს მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა აქვს ასევე ბრალდების მხარის შუამდგომლობით განხორციელებულ ცალკეულ საპროცესო მოქმედებებში, მაგალითად, გამოძიების დროს ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მაგისტრატი მოსამართლის მიერ მოწმის დაკითხვისას (სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილი). სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს დაცვის მხარის მონაწილეობა სავალდებულოა. ბრალდებულს არ უნდა შეეზღუდოს სასამართლოში მისი ბრალდების საქმის განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობა⁷¹.

ბრალდებულს, რომელიც მონაწილეობს საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში, უფლება აქვს აქტიურად ჩაერთოს მათ მიმდინარეობაში. დაცვის უფლებათა უზრუნველსაყოფად ბრალდებულს კანონი აძლევს შესაძლებლობას, დააყენოს შუამდგომლობები პროცესის მწარმოებელ პირებთან და განუცხადოს მათ აცილება, გამოიკვლიოს დაცვის მხარის მტკიცებულებები იმავე პირობებში, როგორც ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა ხდება, დაუსვას შეკითხვები პროცესის მონაწილეებს და გამოთქვას თავისი აზრი ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებით და სხვა. ყოველივე აღნიშნული პროცესის შეჯიბრებითობის უზრუნველყოფასა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის რეალიზაციას ემსახურება⁷².

71 გამონაკლისის სახით ბრალდებულის ეს უფლება მოწმის დაკითხვისას შეიძლება მოსამართლის გადაწყვეტილებით შეიზღუდოს, თუ მოწმის მიმართ გამოიყენება დაცვის ერთ-ერთი ღონისძიება (სსსკ-ის მე-40 მუხლის პირველი ნაწილი); აღნიშნული უფლება შესაძლებელია ასევე შეიზღუდოს სასამართლოში ნესრიგის დამრღვევი ბრალდებულის მიმართაც, იხ. მე-5 თავი.

72 იხ. Gollwitzer. W.: Europäische Menschenrechtskonvention, Internationaler Pakt über bürgerliche und politische Rechte: Lowe-Rosenberg STPO, Grosskommentar, 24-ე გამოცემა 1992 მე-6 მუხლი, ველის ნომერი 219.

3.6. გასაჩივრების უფლება

იმისათვის, რომ ბრალდებული დაცული იყოს პროცესის მწარმოებელი პირების თვითნებობისგან და თავიდან იქნეს აცილებული ამ უკანასკნელთა შეცდომები, მას კანონი ანიჭებს უფლებას, გაასაჩივროს გამოძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს მოქმედებები და გადაწყვეტილებები (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-15 ნაწილი).

ბრალდებული გამოძიების ეტაპზე გამოძიებლის მოქმედებებს ასაჩივრებს პროკურორთან, პროკურორისას კი – ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში. რაც შეეხება მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებას, იგი ასაჩივრებს ზემდგომ ინსტანციის სასამართლოში.

საქმის არსებითი განხილვის შემდეგ მსჯავრდებულს უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო წესით.

ამასთან ერთად, ბრალდებული (მსჯავრდებული) უფლებამოსილია, გაეცნოს ბრალდების მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილი).

3.7. ბრალდებულის მოვალეობები

როგორც უკვე აღინიშნა, ბრალდებული არ არის ვალდებული აქტიურად ითანამშრომლოს გამოძიების ორგანოებთან სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად, თუმცა მან გამოძიებისა და მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა ითმინოს მის მიმართ განხორციელებული მთელი რიგი საპროცესო იძულებისა და აღკვეთის ღონისძიებანი. მაგალითად, მან უნდა ითმინოს მის მიმართ გამოყენებული პატიმრობა, მან არ უნდა შეუშალოს ხელი მის მფლობელობაში განხორციელებულ ჩხრეკას, პირად ჩხრეკას, მისი სხეულიდან ნიმუშის აღებას და ა.შ. გარდა ამისა, მან ხელი არ უნდა შეუშალოს გამოძიებას მონმეებზე და პროცესის სხვა მონაწილეებზე ზემოქმედების განხორციელების გზით.

ცრუ ჩვენების მიცემაზე მოწმის დაყოლიებისთვის, მტკიცებულებების გაყალბების ან განადგურებისთვის მას დამატებით დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ-ის 368-ე, 369¹ და 372-ე მუხლები).

II. ბრალდებულის ადვოკატი

1. ადვოკატის როლი სისხლის სამართლის პროცესში

როგორც უკვე აღინიშნა, შეჯიბრებით პროცესში სიმართლის დადგენა დამოკიდებულია მხარეების მიერ სასამართლოში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე. ბრალდებისა და დაცვის მხარე საქმესთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს წარმოაჩენენ განსხვავებული თვალთახედვიდან და მოსამართლეც გადანყვებილების მიღებისას იზიარებს იმ მხარის პოზიციას, რომელიც უკეთესად არის ფაქტობრივად და სამართლებრივად არგუმენტირებული. ამიტომ, სამართლებრივ სახელმწიფოში პროცესის სამართლიანობისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფას.

სამართლებრივი ნორმების სათანადოდ არცოდნის გამო ბრალდებულს ხშირ შემთხვევაში თავად არ შესწევს უნარი, დაუპირისპირდეს მასზე გაცილებით უკეთესად ორგანიზირებულ სისხლისსამართლებრივი დევნის აპარატს. ბრალდებულს, რომელიც იმყოფება პატიმრობაში, კიდევ უფრო შეზღუდული აქვს წარდგენილი ბრალდებებისგან თავის დაცვის შესაძლებლობები. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის დაცვის უფლება რომელიც მას კონსტიტუციით და სხვა სამართლებრივი ნორმებით აქვს მინიჭებული (ე.წ. *მატერიალური დაცვა*) მაშინ არის გარანტირებული, როდესაც ბრალდებულის ინტერესების და საცავად სისხლის სამართლის პროცესში ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი პროცესის მონაწილე (ადვოკატი) ფორმალურად მოქმედებს (ე.წ. *ფორმალური დაცვა*). შესაბამისად აღნიშნული დეფიციტი სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას ადვოკატმა უნდა დააბალანსოს. ადვოკატი, როგორც დაცვის მხარე, სისხლის სამართლის პროცესში უპირისპირდება

ბრალდების მხარეს და ცდილობს წარდგენილი ბრალდების საფუძვლიანობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას, ასევე ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბრალდებულის უფლებები შეიძლება დაიცვას მხოლოდ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქემ, რომელსაც გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა (პროკურატურის მუშაკთა) საკვალიფიკაციო გამოცდა. გარდა ამისა, მას უნდა ჰქონდეს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისთვის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს და თავის მოწმობას (სსსკ-ის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

2. ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობა

ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ არ არსებობს ერთგვაროვანი პოზიცია. მეცნიერთა დიდი ნაწილი ადვოკატს **სამართლებრივი ნესრიგის დამცველად** მიიჩნევს, რომელიც არა მარტო ბრალდებულის, არამედ საჯარო ინტერესების შესაბამისადაც მოქმედებს⁷³. ნაწილი კი უარყოფს აღნიშნულ მოსაზრებას და ადვოკატს სისხლის სამართლის პროცესში როგორც **ბრალდებულის ინტერესების წარმომადგენელს** აღიარებს⁷⁴. შესაბამისად, ადვოკატის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში საფუძ-

73 ამის შესახებ იხ. *Beulke, W.*: Der Verteidiger im Strafverfahren. Funktionen und Rechtsstellung, 1980, გვ. 200; *Beulke, W.*: Strafverteidiger im Spannungsfeld zwischen Rechtsstaatlichkeit und Verfahrenseffizienz in Deutschland, კრებულში: Alte Strafrechtsstrukturen und neue gesellschaftliche Herausforderungen in Japan und Deutschland Kühne/Miyazawa (რედ.), 2000, გვ. 137; *Eser, A.*: Einführung in das Strafprozessrecht, 1983, გვ. 168; *Gössel, K.-H.*: Die Stellung des Verteidigers im rechtsstaatlichen Strafverfahren, *krebulSi*: ZStW 94, 1982, გვ. 5, 29; *Dornach, M.*: Der Strafverteidiger als Mitgarant eines justizförmigen Strafverfahrens: Ein Plädoyer für die öffentlichen Funktionen des Strafverteidigers, 1994, გვ. 3.

74 იხ. *Heinicke, G.*: Der Beschuldigte und sein Verteidiger in der Bundesrepublik Deutschland. Die Geschichte ihrer Beziehung und die Rechtsstellung des Verteidigers heute, 1984, გვ. 449; *Wolf, G.*: Das System des Rechts der Strafverteidigung: Die Struktur der gesetzlichen Regelung und ihre Bedeutung für die Praxis, 2000, გვ. 426; *Welp, J.*: Der Verteidiger als Anwalt des Vertrauens, კრებულში: ZStW 90, 1978, გვ. 101, 104; *Holtfort, W.*: Strafverteidiger als Interessenvertreter, Berufsbild und Tätigkeitsfeld, 1979, გვ. 37.

ველი ჩაეყარა „სამართლებრივი წესრიგის დაცვის თეორია-სა“ და „მხარის ინტერესების წარმომადგენლის თეორიას“, რომლის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

2.1. სამართლებრივი წესრიგის დაცვის თეორია

სამართლებრივი წესრიგის დაცვის თეორიის მიხედვით, ადვოკატი სისხლის სამართალწარმოების დროს იცავს ბრალდებულის ინტერესებს და ამავდროულად ახორციელებს კონტროლს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად წარიმართება სახელმწიფოს მხრიდან სისხლის სამართლის პროცესი. სამართლებრივ სახელმწიფოში მძიმე ბრალდების საქმეზე შეუძლებელია ადვოკატის მონაწილეობის გარეშე სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრალდებული დამოუკიდებლად ვერ შეძლებს წარდგენილი ბრალდებებისგან თავის სათანადოდ დაცვას და იგი ბრალმდებელთან შედარებით უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდება. ასეთ დროს სწორედ ადვოკატი უნდა დაუპირისპირდეს სისხლის-სამართლებრივი დევნის აპარატს და უზრუნველყოს მხარეთა პროცესუალური თანასწორობა. ვინაიდან, საზოგადოება განსაკუთრებულად არის დაინტერესებული სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფით, ადვოკატი მოქმედებს მაშასადამე, არამარტო ბრალდებულის, არამედ საჯარო ინტერესების შესაბამისადაც. ამიტომ, ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესში თავისი ფუნქციით არსებითად განსხვავდება წარმომადგენლისგან, რომელიც გვევლინება სამოქალაქო პროცესის დროს.

სამართლებრივი წესრიგის დაცვის თეორიის მიმდევრები ხაზს უსვამენ აგრეთვე ადვოკატის დამოუკიდებლობას სასამართლოსა და პროკურატურისგან. ადვოკატი უწყებრივად არ ექვემდებარება არც სასამართლოს და არც პროკურატურის ორგანოებს. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს⁷⁵ და მის საქმიანობაზე სასამართლო არ ახორციელებს არავითარ კონტროლს. შესაბამისად, ისინი ადვოკატს მიიჩნევენ

⁷⁵ იხ. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

პროკურატურისა და სასამართლოს თანასწორუფლებიან პროცესის სუბიექტად, რომლის ფუნქცია ამ უკანასკნელებთან ერთად სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნვაა.

2.2. მხარის ინტერესების წარმომადგენლის თეორია

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, მხარის ინტერესების წარმომადგენლის თეორია მიუთითებს იმაზე, რომ დაცვის უფლება ბრალდებულისთვის კანონით მინიჭებული გარანტიაა. ვინაიდან, ბრალდებული თავის ინტერესებს **დამოუკიდებლად** განსაზღვრავს, მხოლოდ მისი გადასაწყვეტია დაიცავს თუ არა იგი სისხლის სამართლის პროცესში თავის ინტერესებს ადვოკატის მეშვეობით. შესაბამისად, ამ თეორიის მხარდამჭერები ადვოკატის ამოცანად მიიჩნევენ მხოლოდ ბრალდებულისთვის კანონით მინიჭებული უფლებების განხორციელებაში დახმარებას. მათი შეხედულებით, ადვოკატის მოქმედებები შეზღუდულია ბრალდებულის მითითებებითა და მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ამასთან, ადვოკატის უფლებამოსილება შემოიფარგლება ბრალდებულის უფლებებით. ამიტომ, ისინი არ ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ ადვოკატი ბრალდებულის ინტერესების დაცვის პარალელურად საჯარო ინტერესებით განპირობებულ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პროცესის უზრუნველყოფაზეც ზრუნავს.

მხარის ინტერესების წარმომადგენლის თეორია არ იმსახურებს მხარდაჭერას შემდეგი გარემოებების გამო: იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულს სისხლისსამართლებრივი დევნის აპარატთან ურთიერთობისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს ჯეროვანი დაცვისთვის საჭირო გამოცდილება არ გააჩნია, დაუშვებელია სამართლებრივ სახელმწიფოში დაცვის სტრატეგიის არჩევა ბრალდებულზე იყოს ნებისმიერ შემთხვევაში მინდობილი. ადვოკატი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას არ არის აბსოლუტურად დამოკიდებული ბრალდებულის ფორმალურ მითითებებზე. ადვოკატი ბრალდებულის მითითებებს მხოლოდ იმ ფარგლებში ასრუ-

ლებს, რაც გამართლებულია ბრალდებულის დაცვის ინტერესებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვოკატს უფლება არ აქვს იმოქმედოს ბრალდებულის საზიანოდ. უფრო მეტიც, ადვოკატი უფლებამოსილია დააყენოს შუამდგომლობა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, მაშინაც კი, როცა ბრალდებული თავს ფსიქიკურად ჯანმრთელად მიიჩნევს და ექსპერტის მიერ შემონმების წინააღმდეგია. როცა ბრალდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას, ადვოკატი უფლებამოსილია ბრალდებულის ნების გარეშეც გაასაჩივროს სასამართლოს გადანყვეტილებები, მათ შორის, შეიტანოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი⁷⁶. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ადვოკატის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში ყოველთვის ბრალდებულის სურვილზე არ არის დამოკიდებული. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ბრალდებულს ადვოკატი სავალდებულო წესით შეიძლება დაენიშნოს⁷⁷. ბრალდებულისთვის სავალდებულო წესით ადვოკატის დანიშვნა გამომდინარეობს მართლმსაჯულებისა და სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფის ინტერესებიდან. თავადაც რომ იყოს ბრალდებული ადვოკატი, მას უფლება არ აქვს უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე, თუკი არის სავალდებულო დაცვის კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი.

მაშასადამე, სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატი გვევლინება არა მარტო ბრალდებულის ინტერესების დამცველად, არამედ პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფის გარანტადაც, რაზეც განსაკუთრებით დიდია საჯარო ინტერესი⁷⁸.

76 სსსკ-ის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ადვოკატი არ საჭიროებს მსჯავრდებულის ფორმალურ თანხმობას სასამართლო განაჩენის სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრებისას.

77 სავალდებულო დაცვის შესახებ იხ. ქვემოთ 6.3.

78 იხ. ასევე *აქუბარდია, ი.*: დაცვის ხელოვნება, 2011, გვ. 52.

3. ადვოკატის უფლებები

სსსკ-ის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადვოკატი და დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას. შესაბამისად, კანონმდებელი ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდებებისგან ჯეროვანი და ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად ადვოკატს სისხლის სამართლის პროცესში ანიჭებს ფართო უფლებებს, მათ შორის ბრალდებულის ყველა უფლებას (გარდა იმ უფლებებისა, რომლებითაც, თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ ბრალდებულმა ისარგებლოს, სსსკ-ის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რომელთაგანაც განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას შემდეგს:

3.1. საგამოძიებო მოქმედებებზე და სასამართლო განხილვაზე დასწრების უფლება

ადვოკატი უფლებამოსილია დაესწროს ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებებს. კერძოდ, ადვოკატს არ უნდა შეეზღუდოს ისეთ საგამოძიებო მოქმედებაზე დასწრების შესაძლებლობა, რომელშიც მონაწილეობს ბრალდებული ან რომელიც ტარდება დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. ადვოკატს დროულად უნდა ეცნობოს ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების დრო და ადგილი. თუ ადვოკატს გონივრულ ვადაში არ ეცნობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი, ასეთი საგამოძიებო მოქმედება არ უნდა ჩატარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვოკატის მონაწილეობის გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი (სსსკ-ის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი). ადვოკატის დასწრების გარეშე შესაძლებელია ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედება, თუ ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ იღებს მონაწილეობას დანიშნულ საგამოძიებო მოქმედებაში. თუ ადვოკატი საპატიო მიზეზით არ გამოცხადდება საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის

მისაღებად, მაშინ მისი ჩატარება ერთჯერადად გონივრული ვადით უნდა გადაიდოს (არა უმეტეს 5 დღისა). ამ ვადის გასვლის შემდეგ საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ადვოკატის მონაწილეობის გარეშე ჩატარდეს, თუ არ არსებობს სავალდებულო დაცვის შემთხვევა. ადვოკატს შეიძლება შეეზღუდოს ბრალდების მხარის ინიციატივით განხორციელებულ ისეთ საგამოძიებო მოქმედებებზე დასწრების შესაძლებლობა, რომლებშიც ბრალდებული არ იღებს მონაწილეობას.

ეფექტიანი დაცვის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა თუ ადვოკატს არ მიეცემოდა სასამართლო სხდომებზე დასწრების შესაძლებლობა. ამიტომ, კანონმდებელი ადვოკატს ანიჭებს სასამართლოში საქმის განხილვაზე დასწრების შეუზღუდავ უფლებამოსილებას. აქ იგულისხმება ადვოკატის მონაწილეობის უფლება, როგორც ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე და წინასასამართლო სხდომაზე, ისე საქმის არსებით განხილვაზე. აღნიშნული უფლება ადვოკატს უნარჩუნდება აგრეთვე სააპელაციო და საკასაციო წარმოების დროსაც.

3.2. საქმის მასალების გაცნობის უფლება

საქმის მასალების გაცნობის უფლება წარმოადგენს ადვოკატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას. ბრალდების მტკიცებულებებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად ადვოკატს ეძლევა შესაძლებლობა, იმსჯელოს თუ რამდენად საფუძვლიანია ბრალდება. ამის გარდა, მას შეუძლია აირჩიოს დაცვის სწორი სტრატეგია და ბრალდების მტკიცებულებათა გასაბათილებლად განხორციელოს სხვადასხვა საპროცესო მოქმედებები.

საქმის მასალებში მოიაზრება ყველა ის მტკიცებულება და ინფორმაცია, რაც შესაძლებელია ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი იქნეს სასამართლოში, მაგალითად, ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების. ოქმები, ნივთიერი მტკიცებულებები, დოკუმენტები, ფოტო და აუდიო-ვიდეო ჩანაწერები და ა. შ.

ამ უფლებით სარგებლობა ადვოკატს შეუძლია მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწ-

ყებისთანავე. მოთხოვნის შემთხვევაში, ადვოკატს უნდა გადაეცეს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული მასალები სრული მოცულობით. გამონაკლისს წარმოადგენს ოპერატიული-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებული ინფორმაცია, რომლის გაცნობაზეც ადვოკატს შეიძლება მხოლოდ მაშინ ეთქვას უარი, თუ პროკურორის სათანადო შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას (სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილი). აღნიშნული შეზღუდვა მოქმედებს მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე. წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა დაცვის მხარეს უნდა გადაეცეს ბრალდების მხარის ხელთ არსებული ყველა მასალა, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებს იგი (სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

3.3. გამოძიების წარმოების უფლება

ბრალდებულის ადვოკატი უფლებამოსილია საგამოძიებო ორგანოების პარალელურად თავად ჩაატაროს გამოძიება და დაადგინოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები. მაგალითად, ადვოკატს საპროცესო კანონმდებლობა აძლევს შესაძლებლობას გამოკითხოს პირები, დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი დაცვის მხარესთვის ხელსაყრელი მტკიცებულებათა აღმოსაჩენად, მოიწვიოს ექსპერტი ცალკეული გარემოებების დასადგენად და ა.შ. ამასთან ერთად, მას აქვს უფლება დააყენოს მოსამართლესთან შუამდგომლობა ისეთი საპროცესო მოქმედებების ჩატარების თაობაზე, რომლებსაც იგი დამოუკიდებლად ვერ ჩაატარებს (მაგ., ჩხრეკა და ამოღება). ადვოკატის მიერ შეკრებილი მტკიცებულებების სისხლის სამართლის პროცესში დასაშვებობის საკითხს საბოლოოდ წყვეტს წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მხარეთა მონაწილეობით.

3.4. მონაწილის დაკითხვისა და აზრის გამოთქმის უფლება

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში მხარეები ვალდებული არიან წარმოადგინონ თა-

ვიანთი მტკიცებულებები. წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა მიმდინარეობს მხარეთა აქტიური მონაწილეობით. მონმის ჩვენების შემთხვევაში, მონმეს პირდაპირი დაკითხვის წესით ჯერ დაკითხავს მისი მომწვევი მხარე, ხოლო ამის შემდეგ, მას ჯვარედინი დაკითხვის წესით დაკითხავს მონინაალმდეგე მხარე. სწორედ ჯვარედინი დაკითხვის გზით მხარეები ამომებენ მონმისა და მისი ჩვენების სანდოობას. ვინაიდან, ბრალდებულს არ აქვს მონმის დაკითხვის საკმარისი გამოცდილება, ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად, მონმისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა უნდა მიეცეს ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატსაც. მონმის ჩვენების შემონმების შესაძლებლობა ადვოკატს არ უნდა შეეზღუდოს იმ მიზეზით, რომ ბრალდებულმა უკვე პირადად აწარმოა მონმის დაკითხვა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, ადვოკატი აქტიურად მონაწილეობს მონმეთა დაკითხვაში, როგორც გამოძიების, ისე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე. საქმის არსებითი განხილვის დროს ადვოკატს უფლება აქვს ასევე დაუსვას შეკითხვები ექსპერტებს, გამოთქვას აზრი მხარეთა მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა მტკიცებულებებთან დაკავშირებით და მტკიცებულებების გამოკვლევის დასრულების შემდეგ წარადგინოს დასკვნითი სიტყვა.

3.5. გასაჩივრების უფლება

ადვოკატს კანონით ეზღუდება ბრალდებულის ნების სანი-ნაალმდეგოდ საჩივრის შეტანის უფლება. ადვოკატს შეუძლია გაასაჩივროს გამოძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გადაწყვეტილება, როცა ამას არ ეწინააღმდეგება ბრალდებუ-ლი. ეს შეზღუდვა არ მოქმედებს მაშინ, როცა ბრალდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას (სსსკ-ის 44-ე მუხლის პირველი ნაწილი). ასეთ დროს ადვოკატი მოქმედებს ბრალდებულისგან დამოუკიდებლად და საკუთარი სახელით ასაჩივრებს პროცესის მწარმოებელი პირების ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ

ადვოკატს სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანისას არ ესაჭიროება მსჯავრდებულის ფორმალური თანხმობა (სსსკ-ის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილის და მე-300 მუხლის მე-2 ნაწილი).

4. ადვოკატის მოვალეობები

ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესში უნდა მოქმედებდეს ცალმხრივად ბრალდებულის ინტერესების შესაბამისად და მას არ ეკისრება ობიექტურობის ვალდებულება. ამიტომ, ადვოკატისთვის ცნობილი რომც იყოს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის შესახებ, იგი ვალდებულია მხარი დაუჭიროს საქმის არსებითად განხილვის დროს ბრალდებულის გამართლებას და არა მისთვის, როგორც დამნაშავეისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. აღნიშნული ვალდებულებიდან გამომდინარეობს ისიც, რომ ადვოკატმა სასამართლოში უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ისეთი მტკიცებულებები, რომელიც ბრალდებულს ამართლებს ან უმსუბუქებს პასუხისმგებლობას. ადვოკატს უფლება არ აქვს ბრალდებულის თანხმობის გარეშე ისაუბროს ისეთ გარემოებებზე, რაც ბრალდებულს ამხელს დანაშაულში ან დაუმძიმებს პასუხისმგებლობას. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატი ყოველთვის უნდა ეყრდნობოდეს გაუყალბებელ მტკიცებულებებს და მან ხელი არ უნდა შეუშალოს სიმართლის დადგენას. ადვოკატს ეკრძალება სასამართლოში წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულებების წარდგენა⁷⁹. მაშასადამე, ადვოკატი უფლებამოსილია დაფაროს სიმართლე და არ თქვას ყველაფერი რაც მისთვისაა ცნობილი, მაგრამ, რასაც იგი იტყვის ან წარადგენს სასამართლოში, არ უნდა იყოს სიცრუე და სიყალბე.

მეტი სიცხადისთვის, ზემოაღნიშნული შეგვიძლია ცალკეული მაგალითების ფონზე ქვემოთ მოკლედ ჩამოვაცალიბოთ.

ადვოკატს ეკრძალება:

- მტკიცებულებების ფალსიფიკაცია და ასეთი მტკიცებულებების სასამართლოში წარმოდგენა (ასეთი ქმედე-

⁷⁹ იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი.

ბისტვის სსკ-ის 369¹ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა);

- მონმისადმი და დაზარალებულისადმი მიმართვა ან მათი დაყოლიება ცრუ ჩვენების მიცემისთვის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის, ასევე მათ მიერ მიცემული ჩვენების შეცვლისათვის (ამგვარი ქმედებისთვის გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 372-ე მუხლით).
- ექსპერტისადმი ან თარჯიმნისადმი მიმართვა ან მათი დაყოლიება, რათა ექსპერტმა წარმოადგინოს ყალბი დასკვნა ან შეცვალოს წარმოდგენილი დასკვნა, ხოლო თარჯიმანმა თარგმნოს არასწორად (სსკ-ის 372-ე მუხლი);
- სასამართლოში დასაკითხად მონმის გამოძახება, თუ ადვოკატისთვის წინასწარ არის ცნობილი, რომ იგი მისცემს ცრუ ჩვენებას. ამისგან უნდა განვასხვავოთ შემთხვევა, როცა ადვოკატისთვის მოულოდნელად მის მიერ გამოძახებული მონმე სასამართლოში დაკითხვისას ბრალდებულის სასარგებლოდ იძლევა ცრუ ჩვენებას. ამ შემთხვევაში ადვოკატი არ არის ვალდებული ამხილოს მონმე ცრუ ჩვენების მიცემაში და უარი თქვას მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებაზე.

ადვოკატს არ ეკრძალება:

- ურჩიოს ბრალდებულს, გამოიყენოს დუმილის უფლება და არ მისცეს ჩვენება;
- ურჩიოს ბრალდებულის ოჯახის წევრს, რომ გამოიყენოს ბისტვის კანონით მინიჭებული ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება და არ გამოვიდეს სასამართლოში მისი ოჯახის წევრის წინააღმდეგ მონმედ;
- მოითხოვოს სასამართლოში ბრალდებულის გამართლება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი დარწმუნებულია მის დამნაშავეობაში.

5. ადვოკატის ურთიერთობა ბრალდებულთან

დაცვა ეფექტიანი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როცა ბრალდებული ენდობა თავის ადვოკატს. ნდობის დამყარებისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ ბრალდებულს ადვოკატთან ჰქონდეს კონფიდენციალური ურთიერთობის შესაძლებლობა⁸⁰. ბრალდებულს უნდა შეეძლოს ადვოკატისთვის ინფორმაციის განდობა იმ იმედით, რომ ის ბრალდების მხარისთვის არ გახდება ხელმისაწვდომი. ბრალდებულს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ანიჭებს უფლებას, ჰქონდეს შეუზღუდავი ურთიერთობა თავის ადვოკატთან მთლიანი პროცესის განმავლობაში. აღნიშნული მოიცავს, როგორც პირად, ისე ფოსტის, ტელეფონისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით განხორციელებულ ურთიერთობებს.

როდესაც ბრალდებული არ არის დაკავებული ან დაპატიმრებული, მას ნებისმიერ დროს შეუძლია შეხვედეს ადვოკატს და არ წარმოეჭმნება ადვოკატთან ურთიერთობის პრობლემები. სსსკ-ის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან კონფიდენციალური და თავისუფალია. დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის კონტროლის განხორციელება მათ ურთიერთობაზე. ასევე დაკავებულ ან დაპატიმრებულ ბრალდებულს სახელმწიფომ უნდა შეუქმნას შესაბამისი პირობები ადვოკატთან ურთიერთობისთვის. ბრალდებულის ან ადვოკატის მოთხოვნის შესაბამისად, მათ უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან შეხვედრისა და შეუზღუდავი კომუნიკაციის შესაძლებლობა. ერთადერთ შეზღუდვას, რასაც კანონი ითვალისწინებს, წარმოადგენს ვიზუალური მეთვალყურეობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს დაკავებული ან დაპატიმრებული ბრალდებულის ადვოკატთან შეხვედრისას (სსსკ-ის 43-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

80 Welp, J.: Die Geheimsphäre des Verteidigers in ihren strafprozessualen Funktionen. კრებული: Festschrift für Wilhelm Gallas, 1973, გვ. 391.

6. ადვოკატის არჩევა და დანიშვნა

6.1. დაცვა შეთანხმებით

როგორც ზევით ითქვა, ეფექტიანი დაცვის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, როდესაც პროცესში ბრალდებულის ნდობით აღჭურვილი ადვოკატი მონაწილეობს⁸¹. ამის უზრუნველსაყოფად, სისხლის საპროცესო კანონმდებლობა ბრალდებულს აძლევს შესაძლებლობას აიყვანოს ადვოკატი თავისი სურვილის შესაბამისად. თუ ბრალდებულს ადვოკატის ასაყვანად თავად არ შესწევს უნარი (მაგ., იგი დაკავებულია, არასრულწლოვანია და ა. შ.), ასეთ შემთხვევაში მის ახლო ნათესავს ან სხვა ნებისმიერ პირს ენიჭება უფლებამოსილება ბრალდებულის ნების გათვალისწინებით აუყვანონ მას ადვოკატი. ბრალდებულის ურთიერთობა ადვოკატთან წესრიგდება მათ შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე. აქვე გასათვალისწინებელია, რომ გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს ეკრძალება, რეკომენდაცია გაუწიოს რომელიმე ადვოკატს (სსსკ-ის 41-ე მუხლი).

ბრალდებულის მიერ აყვანილ ადვოკატს არ ეკისრება იმის ვალდებულება, რომ დაიცვას ბრალდებულის ინტერესები და უარი არ თქვას აღნიშნულზე სისხლისსამართალწარმოების დასრულებამდე. ადვოკატს პატივსადები მიზეზით ნებისმიერ დროს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებულის დაცვაზე. მაგალითად, როდესაც ადვოკატი ახორციელებს ერთ სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე ბრალდებულის დაცვას და ბრალდებულებს შორის წარმოიქმნება ინტერესთა კონფლიქტი (მაგ., ბრალდებულები ერთმანეთის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას), ადვოკატმა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უნდა შეწყვიტოს ყველა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის საქმის წარმოება, რადგან ასეთ დროს ადვოკატის მიმართ არსებობს ნდობის დარღვევის ან კონფიდენციალობის ხელყოფის რეალური საფრთხე.

კანონის თანახმად, არც ბრალდებულია შეზღუდული უარი

81 ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და მიუკერძოებლობას; იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი.

თქვას აყვანილი ადვოკატის მომსახურებაზე და თავისი ინტერესების დასაცავად მოიწვიოს სხვა ადვოკატი. ბრალდებულს ადვოკატის შეცვლის უფლება აქვს პროცესის ნებისმიერ ეტაპზე (სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

6.2. დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე

სამართლიანი სამართალწარმოების მოთხოვნა აკისრებს სახელმწიფო ორგანოებს ვალდებულებას, მისცეს ბრალდებულს მთლიანი სისხლის სამართალწარმოების მანძილზე ეფექტიანი დაცვის შესაძლებლობა. შესაბამისად, ბრალდებულს, რომელსაც არ სურს თავის პირადად დაცვა, აქვს უფლება აიყვანოს სასურველი ადვოკატი, ხოლო თუ მას არ გააჩნია საკმარისი ფინანსური საშუალება ადვოკატის მომსახურების ასანაზღაურებლად, საპროცესო კანონმდებლობა ანიჭებს მას ადვოკატის უსასყიდლოდ მომსახურების უფლებას. სსსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაცვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს, თუ გადახდისუუნარო ბრალდებული მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას, ასევე სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, როცა სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი. სახელმწიფოს ხარჯზე დაცვა მიზნად ისახავს ხელმოკლე ბრალდებულის მდგომარეობის, ფინანსურად შედარებით ძლიერ ბრალდებულის მდგომარეობასთან გათანაბრებას⁸².

სახელმწიფოს ხარჯზე დაცვის განსახორციელებლად ბრალდებული ან მისი ახლო ნათესავი მიმართავს იურიდიული დახმარების სამსახურს⁸³. ამ შემთხვევაშიც, ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად ბრალდებულს უფლება აქვს შეარჩიოს მისთვის სასურველი ადვოკატი, რომლის მიმართაც მას ექნება ნდობა. სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს, როგორც ად-

82 იხ. ასევე *ტრექსელი, შ.* (2009), იქვე, გვ. 314.

83 იურიდიული დახმარების სამსახური წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას. იგი არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო ორგანოს და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე; იხ. „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

ვოკატის მომსახურების ხარჯი, ასევე სხვა ხარჯებიც, თუ იგი პირდაპირაა დაკავშირებული ბრალდებულის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებასთან (სსსკ-ის 46-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

6.3. სავალდებულო დაცვა

სავალდებულო დაცვის ინსტიტუტი წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის კონკრეტიზაციას. ეფექტიანი დაცვის განხორციელების მიმართ არსებული საჯარო ინტერესი ცალკეულ შემთხვევებში სავალდებულოს ხდის სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობას. ასეთ დროს ბრალდებულს, მიუხედავად მისი ფინანსური მდგომარეობისა, პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირის მიერ სავალდებულო წესით ენიშნება ადვოკატი, თუ იგი თავს არიდებს ადვოკატის აყვანას⁸⁴. ბრალდებული თავადაც, რომ იყოს ადვოკატი, კანონით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, სავალდებულოა, რომ მის ინტერესებს იცავდეს ადვოკატი.

სსსკ-ის 45-ე მუხლით განსაზღვრულია სავალდებულო დაცვის შემთხვევები. კერძოდ, სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი თუ:

- არასრულწლოვანია;
- არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
- აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;
- გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
- ჩადენილი ქმედებისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;
- მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
- სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;

⁸⁴ Volk. K. (2006), იქვე, გვ. 98.

- თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;
- გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
- არაიდენტიფიცირებული პირია.

ამრიგად, სავალდებულო დაცვის შემთხვევა ძირითადად არსებობს, როდესაც ბრალდებული სხვადასხვა მიზეზით თავად ვერ შეძლებს ჯეროვანი დაცვის განხორციელებას, ან/და, როდესაც ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე განაპირობებს ბრალდებულის ეფექტიანი დაცვით უზრუნველყოფის აუცილებლობას. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 45-ე მუხლი არ შეიცავს სავალდებულო დაცვის შემთხვევათა ამომწურავ ჩამონათვალს. იმავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სავალდებულოა ბრალდებულისთვის ადვოკატის ყოლა აგრეთვე, როცა ამას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს. მაგალითისთვის, ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა, სასამართლოს შეუძლია ბრალდებულს დაუნიშნოს სავალდებულო წესით ადვოკატი, თუ ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიერ აყვანილი ადვოკატის გამოუცხადებლობა აჭიანურებს საქმის განხილვას. თუმცა აღნიშნული არ ზღუდავს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) უფლებას, მოინვიოს ადვოკატი საკუთარი სურვილით. ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სურვილით მონვეული ადვოკატის სასამართლოში გამოცხადებისთანავე, ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში, სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატი უნდა ჩამოსცილდეს საქმის განხილვას (სსსკ-ის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

როდესაც სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა, ბრალდებულს განემარტება, რომ მან ინტერესების დასაცავად უნდა იყოლიოს ადვოკატი და ადვოკატის ასაყვანად განესაზღვრება გონივრული ვადა. თუ ბრალდებული თავს არიდებს ადვოკატის აყვანას, მაშინ პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირი ვალდებულია თავად მიმართოს იურიდიული დახმარების სამსახურს ბრალდებულისთვის ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს მისთვის დანიშნული ადვოკატის შეცვლა, თუ მას ამ უკანასკნელის მიმართ არ ექნება ნდობა ან ეჭვი ეპა-

რება ადვოკატის კომპეტენტურობაში. როგორც ზევით აღინიშნა, სავალდებულო დაცვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, თუ სისხლის სამართლის პროცესში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი.

§25. მოწმე

I. მოწმის ცნება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში მხარეებს უფლება აქვთ მოწმედ მოიწვიონ ნებისმიერი პირი, რომელსაც შეუძლია სასამართლოში მისცეს ჩვენება⁸⁵ სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი იმ ფაქტობრივი გარემოების (გარემოებების) შესახებ, რომელიც პირადად დაინახა, მოისმინა ან სხვაგვარად შეიტყო. აქვე აღსანიშნავია, რომ „*მოწმის ვარგისიანობა*“ დამოკიდებულია პირის უნარზე, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება. სასამართლოში პირი არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ, თუ იგი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო მოკლებულია აღნიშნულ უნარს (სსსკ-ის 50-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ვინაიდან, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა „*მოწმის ვარგისიანობას*“ არ უკავშირებს პირის ასაკს, დასაშვებია მოწმედ სასამართლოში არასრულწლოვნების დაკითხვაც, მათი ასაკის მიუხედავად, თუ მათ შეუძლიათ სწორად აღიქვან, დაიმახსოვრონ და აღიდგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ასევე, შესაძლებელია ყრუ-მუნჯის მოწმედ გამოძახება, რომელსაც აქვს უნარი, თარჯიმნის მეშვეობით ყრუ-მუნჯთა ნიშნებით მისცეს სასამართლოში ჩვენება.

პირისთვის მოწმის პროცესუალური სტატუსის მინიჭება

⁸⁵ მოწმის ჩვენების შესახებ იხ. ქვევით, თავი IV, §33, II, 2.

დამოკიდებულია ფორმალურ წინაპირობაზე, რაც მდგომარეობს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებასა და მისთვის ფიცის ჩამორთმევაში. პირი მონმის უფლება-მოვალეობებს იძენს მას შემდეგ, როდესაც მას მოსამართლე სათანადო წესით გააფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ასევე ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე და იგი დადებს რელიგიურ ან არარელიგიურ ფიცს.

II. პროცესის სხვა მონაწილე, როგორც მონმე

კლასიკური გაგებით სისხლის სამართლის პროცესში მხარეები არ მოიაზრებიან მონმეებად. თუმცა, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ გამორიცხავს ბრალდებისა და დაცვის მხარის წარმომადგენლების მონმის სახით დაკითხვას. გარდა ამისა, მონმის სტატუსი შეიძლება მიენიჭოთ ასევე პროცესის ცალკეულ მონაწილეებსაც (*ე.წ. მონმე ფართო გაგებით*). სსსკ-ის 47-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში ჩვენების მიცემისას მონმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მისი მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს.

- *გამომძიებელი* ან *პროკურორი* სასამართლოში შესაძლებელია მონმის სტატუსით დაიკითხოს მათ მიერ განხორციელებული სხვადასხვა საპროცესო (საგამომძიებო) მოქმედებებთან დაკავშირებით. მაგალითად, არც თუ ისე იშვიათად გამომძიებელი სასამართლოში მონმის სტატუსით აძლევს ჩვენებას მის მიერ ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებისას აღმოჩენილი და ამოღებული მტკიცებულების თაობაზე, რისი მეშვეობითაც დგინდება მოპოვებული მტკიცებულების ავთენტიკურობა. აღსანიშნავია, რომ მონმის სახით ჩვენების მიცემის შემთხვევაში, გამომძიებელი ან პროკურორი ვეღარ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას. პროცესში მონმის სტატუსით მონაწილეობა წარმოადგენს

გამომძიებლისა და პროკურორის აცხადების საფუძველს (სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი), ვინაიდან, ეჭვქვეშ დგება მათ მიერ შემდგომი პროცესის ობიექტური და მიუკერძოებელი წარმოება. თუ გამომძიებელი, რომელიც იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში უნდა წარსდგეს მონმედ, სავალდებულოა ასეთ შემთხვევაში პროკურორმა სისხლის სამართლის საქმე გადასცეს სხვა გამომძიებელს. ხოლო, თუ პროკურორი მონაწილეობს იმავე საქმეში მონმედ, ზემდგომმა პროკურორმა უნდა ჩამოაშოროს იგი სისხლის სამართლის საქმის წარმოებას და საქმე გადასცეს სხვა პროკურორს.

- **ბრალდებული** განსხვავებით სხვა მონმეებისგან არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება, ვინაიდან მას ბრალდებულის სტატუსი ათავისუფლებს სისხლის სამართალწარმოების ორგანოებთან აქტიური თანამშრომლობისგან. თუმცა, იგი არ არის შეზღუდული, გამოვიდეს სასამართლოში მონმედ. მას განასხვავებს სხვა მონმეებისგან ისიც, რომ ბრალდებულს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადოს ცალკეულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე. მონმეს აღნიშნული უფლება არ გააჩნია და მან ყოველთვის უნდა დაასაბუთოს კითხვებზე პასუხის გაუცემლობის მიზეზი. თუკი მონმე პასუხს აგებს ცრუ ჩვენებისთვის სსკ-ის 370-ე მუხლის საფუძველზე, ბრალდებულ-მონმეს ცრუ ჩვენებისთვის არ დაეკისრება პასუხისმგებლობა. მას შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ ცრუ დასმენისთვის სსკ-ის 373-ე მუხლის შესაბამისად.

შესაძლებელია ასევე, ბრალდებულმა საკუთარი სურვილით მისცეს ჩვენება მონმის სტატუსით იმავე სისხლის სამართლის საქმეში სხვა **თანაბრალდებულების** წინააღმდეგ. როდესაც ზოგიერთი თანაბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ცალკე წარმოებად გამოიყოფა, დასაშვებია გამოყოფილი სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულის მონმედ გამოძახება ყოფილი თანაბრალდებულების საქმის სასამართლო განხილ-

ვის დროს, თუკი მათ ერთი და იმავე ქმედებისთვის არ ედებათ ბრალი. ასეთ შემთხვევაში, პირი დაიკითხება არა როგორც *ბრალდებული-მოწმე*, არამედ, როგორც ჩვეულებრივი მოწმე. დაუშვებელია ბრალდებულის ნების სანიხააღმდეგოდ ყოფილი თანაბრალდებულების საქმეში მისი მოწმედ გამოცხება, როცა მათ საერთო ქმედებისთვის აქვთ ბრალი ნაყენებული, რადგან ამით იგი იძულებული გახდება საკუთარი თავის ნინააღმდეგ გამოვიდეს მოწმედ. თუ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა რომელიმე თანაბრალდებულის მიმართ, შესაძლებელია იგი გამოიძახონ მოწმედ იმავე საქმეზე. ამ დროს პირი ვალდებულია გასცეს პასუხი ყველა იმ შეკითხვას, რომელიც არ ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში.

- **დაზარალებული** გვევლინება საკუთარი პროცესუალური უფლებამოსილებით აღჭურვილ პროცესის დამოუკიდებელ მონაწილედ. ვინაიდან, იგი უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს დანაშაულისა და დამნაშავის უშუალო თვითმხილველს, დაზარალებულს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამავედროულად ანიჭებს მოწმის ყველა უფლებას და აკისრებს მის ყველა მოვალეობას (სსსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი). დაზარალებული ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს ჩვენება საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ.
- **ექსპერტი** შესაძლებელია სასამართლოში მხარეებმა გამოიძახონ მოწმედ და დაკითხონ მის მიერ ჩატარებულ საექსპერტო კვლევასა და შედეგილ დასკვნასთან დაკავშირებით.
- ასევე დასაშვებია **თარჯიმნის** მოწმის სახით დაკითხვა, მის მიერ შესრულებული სისხლის სამართლის საქმის მასალების თარგმანთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 47-ე მუხლში არაფერია ნათქვამი *მოსამართლისა* და *ადვოკატისთვის* მოწმის სტატუსის მინიჭების შესახებ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ გამოირიცხავს მათი მოწმედ დაკითხვის შესაძლებლობას.

- მხარეებს უფლება აქვთ იმავე სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მონაწილე *მოსამართლე*, რომლისთვისაც შემთხვევით გახდა ცნობილი სისხლის სამართლის საქმის გარემოებების დასადგენად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, გამოიძახონ მონმედ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს. მაგალითად:

მაგისტრატმა მოსამართლემ გამოძიების სტადიაზე ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დაკითხა მონმე, რომელმაც დაკითხვისას დანაშაულის ჩადენაში ამხილა ბრალდებული. დაკითხვის შემდეგ მონმემ დაურეკა მოსამართლეს და აცნობა, რომ მან დაკითხვის დროს ცრუ ჩვენება მისცა და დამნაშავე იყო არა ბრალდებული, არამედ ბრალდებულის მეზობელი. ამის შემდეგ აღნიშნული მონმე მიიძალა და სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ შეძლეს მისი ადგილსამყოფელის დადგენა.

მსგავს შემთხვევებში ბრალდებულს ან მის ადვოკატს უფლება აქვს სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მისაცემად გამოიძახოს მაგისტრატი მოსამართლე.

თუკი მოსამართლე უნდა დაიკითხოს მონმის სტატუსით, მას უფლება აღარ აქვს განახორციელოს სამოსამართლეო უფლებამოსილება აღნიშნულ საქმეზე (სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). მოტანილ მაგალითში, მაგისტრატი მოსამართლე ველარ განიხილავს მხარეთა ცალკეულ შუამდგომლობებს გამოძიების ეტაპზე.

- ბრალდებული უფლებამოსილია აგრეთვე, ცალკეულ შემთხვევებში მონმედ დაასახელოს საკუთარი *ადვოკატიც* და სასამართლოში დაამონმებინოს დაცვის პოზიციისთვის სასარგებლო ფაქტობრივი გარემოებები. მაგალითად:

ბრალდებულის სამუშაო ადგილზე ჩატარებული ჩხრეკისას, რომელსაც ასევე ესწრებოდა ამ უკანასკნელის ადვოკატი, ვერ იქნა აღმოჩენილი ბრალდებულის დანაშაულში მამხილებელი დოკუმენტები. გამომძიებელმა ბრალდებულის მიმართ გამოიყენა ფიზიკური ძალადობა და ამ გზით აიძულა იგი გადაეცა მისთვის ის დოკუმენტები, რომელსაც გამომძიებელი უშედეგოდ ეძებდა.

ასეთ შემთხვევაში ბრალდებულს არ ზღუდავს კანონი, რომ სასამართლოში მოწმედ გამოიძახოს ადვოკატი და დაადასტურებინოს ჩხრეკის ჩატარებისას გამოძიებლის მიერ კანონის უხეში დარღვევის ფაქტი. ამასთან, საყურადღებოა, რომ ადვოკატის პროცესში მოწმედ მონაწილეობა გამორიცხავს იმავე სისხლის სამართლის საქმეში მის ადვოკატად მონაწილეობის შესაძლებლობას (სსსკ-ის მე-60 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

III. მოწმის ვალდებულებები

მოწმეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აკისრებს სამ ძირითად ვალდებულებას, კერძოდ: იგი მოწმედ გამოიძახების შემთხვევაში ვალდებულია *გამოცხადდეს სასამართლოში, მისცეს ჩვენება და დადოს ფიცი*. აღნიშნულის გარდა, მას გააჩნია კიდევ სხვა დამატებითი ვალდებულებებიც, რომლის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

1. გამოცხადების ვალდებულება

ნებისმიერი პირი, არის იგი საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, თუ საქართველოს ტერიტორიაზე დროებით მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე, ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში, თუ მას სასამართლოს უწყებით გამოიძახებენ სისხლის სამართლის საქმეზე ჩვენების მისაცემად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოცხადების ვალდებულება არსებობს მხოლოდ სასამართლოში. არავინ არ არის ვალდებული, ჩვენების მისაცემად გამოცხადდეს პროკურორთან ან გამოძიებელთან⁸⁶. სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება არსებობს, როგორც საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს, ისე გამოძიების ეტაპზეც, ვი-

⁸⁶ აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 332-ე მუხლის თანახმად, 2015 წლის 31 დეკემბრამდე გამოძიებისას დაკითხვა წარმოებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (გარდა 305-ე მუხლის მე-6 ნაწილისა) დადგენილი წესით. მოწმის გამოძიების ეტაპზე დაკითხვის დროებითი წესი ითვალისწინებს ამ უკანასკნელის, როგორც გამოძიებელთან, ისე პროკურორთან გამოცხადების ვალდებულებას.

ნაიდან, სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაკითხულ იქნეს პირი.

გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია მოწმე იძულებით მიიყვანონ სასამართლოში (სსსკ-ის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილი). გარდა ამისა, სასამართლოში მოწმის არასაპატიო მიზნით გამოუცხადებლობისას სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს მას განკარგულებით დააკისროს ჯარიმა, რაც მოწმეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისგან (სსსკ-ის 91-ე მუხლის მე-8 ნაწილი).

2. ჩვენების მიცემის ვალდებულება

სასამართლოში გამოცხადებული მოწმე ვალდებულია მისცეს ჩვენება, თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით და უპასუხოს მხარეების მიერ დასმულ შეკითხვებს. თუ მოწმე უარს იტყვის ჩვენების მიცემაზე ან მისცემს ცრუ ჩვენებას, დაეკისრება ამისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სსკ-ის 370-ე და 371-ე მუხლები). მოწმის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საფუძველს წარმოადგენს ასევე მის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემა (სსკ-ის 371¹ მუხლი).

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ჩვენების მიცემის ვალდებულებიდან გარკვეულ გამონაკლისებს. ცალკეულ შემთხვევებში მოწმეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე ან ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემაზე (სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და 115-ე მუხლის პირველი ნაწილი). ასევე, გარკვეული კატეგორიის პირებს უფლება აქვთ არ მიიღონ სისხლის სამართლის პროცესში მოწმის სახით მონაწილეობა (სსსკ-ის 50-ე მუხლი), რომლის თაობაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

3. ფიცის დადების ვალდებულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირს მოწმის სტატუსი ენიჭება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრ-

თხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. სსსკ-ის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მონმემ სასამართლოში დაკითხვის წინ უნდა დადოს რელიგიური ან არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცი. ფიცის დადების ვალდებულებას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ ფიცი გარკვეულწილად ბოჭავს მონმეს სიცრუისგან და იგი კეთილსინდისიერად მისცემს სასამართლოში ჩვენებას. ამიტომ, ფიცის ქვეშ უფრო მეტია მონმისგან ჭეშმარიტი ინფორმაციის მიღების ალბათობა.

ფიცის დადების ვალდებულებისგან კანონმდებელი ათავისუფლებს პირს, რომელიც თავისი რწმენის ან სხვა მოსაზრებათა გამო უარს ამბობს ფიცის დადებაზე. ასეთ შემთხვევაში, მან ჩვენება უნდა მისცეს ფიცის შემცველი დადასტურების განხორციელებით. იგი სასამართლოს უდასტურებს, რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავს (სსსკ-ის 48-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

4. სხვა ვალდებულებები

გარდა ზემოაღნიშნულისა, მონმეს კანონმდებელი აკისრებს სხვა დამატებით ვალდებულებებსაც, კერძოდ, მან არ უნდა გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ; უნდა დაიცვას ნესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს; არ უნდა დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე (სსსკ-ის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილი). გარდა ამისა, მონმემ უნდა ითმინოს მხარეთა მიერ მისი სანდოობის დადგენა და ვალდებულია პასუხი გაცეს ისეთ შეკითხვებს, რომლებმაც მის რეპუტაციას შესაძლოა ზიანიც კი მიაყენონ (მაგ., კითხვები მისი ნასამართლეობის თაობაზე). მონმემ უნდა ითმინოს ასევე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ექსპერტის მიერ მისი სხეულის ან ფსიქიური მდგომარეობის გამოკვლევის პროცედურები.

IV. მონმის ვალდებულებისგან გათავისუფლება

სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მონმის ვალდებულებისგან თავისუფლდებიან *გარკვეული პროფესიის მქონე და ბრალდებულთან ახლო ნათესაურ კავშირში მყოფი პირები*. სისხლის სამართლის პროცესში მონმედ მონაწილეობის ვალდებულებისგან გამონაკლისის დაშვებით, კანონმდებელი ინტერესთა კოლიზიის ცალკეულ შემთხვევებში მართლმსაჯულების ინტერესებზე უფრო მაღლა აყენებს ზემოხსენებული პირების კანონიერ ინტერესებს. გარდა ამისა, აღნიშნული გამონაკლისი ემსახურება სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლის დადგენასაც, რადგან სავსებით მოსალოდნელია, რომ პირმა ბრალდებულთან ახლო ნათესაური დამოკიდებულების ან პროფესიული მოვალეობების გამო იცრუოს დაკითხვის დროს ან მისცეს სასამართლოში არასრული ჩვენება. მონმის ვალდებულებისგან გათავისუფლება ნიშნავს იმას, რომ პირს არ ეკისრება მონმედ დაკითხვისა და საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება. თუ პირი ისარგებლებს ამ უფლებით, მის მიერ მონმედ მონაწილეობაზე უარის თქმა დაუშვებელია გამოყენებული იქნეს თავად ამ პირის ან ბრალდებულის წინააღმდეგ. მსგავსად ამისა, თუ პირი მონმედ მონაწილეობაზე უარის თქმის შემდეგ მაინც გადაწყვეტს ბრალდებულის სასარგებლოდ ჩვენების მიცემას, დაუშვებელია ასეთი მონმის სანდოობა ეჭვქვეშ დადგეს იმ მიზეზით, რომ მან მონმედ მონაწილეობაზე თავდაპირველად უარი განაცხადა⁸⁷.

1. ბრალდებულის ახლო ნათესავი

როგორც უკვე აღინიშნა, მონმედ მონაწილეობაზე უარის თქმის შეუზღუდავი უფლება გამომდინარეობს ბრალდებულთან ახლო ნათესაური კავშირიდან. ამით კანონმდებელი უპირველეს ყოვლისა ანგარიშს უწევს პირის კანონიერ ინტერესს, არ გამოვიდეს მონმედ საკუთარი ახლო ნათესავის წინააღმ-

87 იხ. Kühne, H.-H. (2010), იქვე, გვ. 496 – 497.

დეგ. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმა იცავს უშუალოდ ამ პირს პრობლემატური ჩვენებისგან და არა ბრალდებულს. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ახლო ნათესავებში მოიაზრებიან მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა და მეუღლე. ბრალდებულის მეუღლის შემთხვევაში არარელევანტურია, დანაშაულის ჩადენამდე არსებობდა მათ შორის ქორწინება თუ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ დაქორწინდა პირი ბრალდებულზე. მონმედ მონაწილეობაზე უარის თქმის პრივილეგია ვრცელდება ასევე განქორწინებულ მეუღლეზეც.

როდესაც სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე პირია ბრალდებული, ნებისმიერი ბრალდებულის ახლო ნათესავი უფლებამოსილია არ გამოვიდეს მონმედ სხვა თანაბრადებულების წინააღმდეგაც, თუ გარემოებები, რომლის შესახებაც მას შეუძლია ინფორმაციის მიწოდება, ეხება ასევე მის ახლო ნათესავ ბრალდებულსაც. იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ბრალდებულის ახლო ნათესავის მონმედ მონაწილეობაზე უარის თქმის პრივილეგია აღარ იარსებებს, თუ მისი ახლო ნათესავის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა. ასევე, როდესაც ამ უკანასკნელის მიმართ სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა ან იგი გარდაიცვალა. ასეთ შემთხვევებში, ყოფილი ბრალდებულის ახლო ნათესავი ვალდებულია გამოვიდეს მონმედ სხვა თანაბრადებულების სისხლის სამართლის საქმეზე, ვინაიდან ის დამოკიდებულება, რაც მონმეს აღნიშნულ თანაბრადებულებთან აკავშირებს იმდენადაა შესუსტებული, რომ მართლმსაჯულების ინტერესები ბევრად აღემატება „ახლო ნათესაური კეთილდღეობის დაცვის“ ინტერესს⁸⁸.

88 იხ. Volk, K. (2006), იქვე, გვ. 198; Dahn H./Langkeit J.: Demontage des Zeugnisverweigerungsrechts? კრებულში: StV 1992, გვ. 492.

2. პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულების მქონე პირები

სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის ვალდებულებისგან სისხლის საპროცესო კანონმდებლობა ათავისუფლებს აგრეთვე გარკვეული პროფესიის მქონე პირებს, რომელთაც აკისრიათ პროფესიული საიდუმლოების დაცვის მოვალეობა. ამით კანონმდებელს სურს დაიცვას აღნიშნული პროფესიების განმახორციელებლის მიმართ არსებული ნდობნის კანონიერი ინტერესები.

სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ასეთ პირთა წრეს მიეკუთვნება:

- ადვოკატი. მას ვერ გამოიძახებენ სასამართლოში ჩვენების მისაცემად იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. ასევე, ადვოკატი, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების განწვევასთან დაკავშირებით;
- სასულიერო პირი. მას უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად;
- სახალხო დამცველი (ასევე მის მიერ უფლებამოსილი პირი), რომელიც არ არის ვალდებული დაიკითხოს მონაწილე იმ ფაქტის გამო, რაც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს; აგრეთვე, საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ვერ დაიკითხება მონაწილე იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას, თუ იგი არ დათანხმდება, მისცეს ჩვენება;
- საქართველოს პარლამენტის წევრი. დაუშვებელია მისი მონაწილე გამოძახება იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს;
- მოსამართლე. მას ვერ გამოიძახებენ ჩვენების მისაცე-

მად იმ გარემოების შესახებ, რომელიც სასამართლოს თათბირის საიდუმლოებაა;

- *ჟურნალისტი*. იგი თავისუფლდება მონმედ დაკითხვის ვალდებულებისგან პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;

სსსკ-ის 50-ე მუხლის მე-3 ნაწილი კიდევ უფრო აფართოებს იმ პირთა წრეს, რომლებიც გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებით გათავისუფლდნენ მონმის მოვალეობის შესრულების ვალდებულებისაგან. ესენი არიან:

- *სამედიცინო მუშაკი*, თუ მას პროფესიულად ევალება საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვა;
- *ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი*, თუ მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება, არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი;
- *პირი, რომელიც სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას*;
- *კონტრტერორისტული ან/და სპეციალური ოპერაციის მონაწილე პირი* (მის პროფესიულ მოვალეობასთან დაკავშირებით), რომლის საქმიანობაც გასაიდუმლოებულია და ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება.

როგორც წესი, ზემოაღნიშნული პირები ვალდებული არიან მიიღონ პროცესში მონმის სტატუსით მონაწილეობა, მაგრამ თუ ცალკეულ შემთხვევებში მართლმსაჯულების ინტერესები არ აღემატება პირის კანონით დაცულ ინტერესებს, სასამართლო უფლებამოსილია გაათავისუფლოს ისინი მონმის ვალდებულებისგან. ამ შემთხვევაში სასამართლო მხედველობაში იღებს, როგორც პირის კანონიერ ინტერესს, არ გამოვიდეს მონმედ, ისე განსახილველი სისხლის სამართლის საქმეზე არსებულ საჯარო ინტერესს, დანაშაულის სიმძიმეს, მონმის ჩვენების მტკიცებით

V. ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან გათავისუფლება

პირის უფლება, არ მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში მონმის სტატუსით მონანილეობა, უნდა განვასხვავოთ მონმის უფლებისგან, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. ტერმინოლოგიურად შეიძლება მათ შორის განსხვავება უმნიშვნელოა, თუმცა პროცესუალურად ისინი აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსის მატარებლები არიან. თუ პირველ შემთხვევაში, პირი საერთოდ თავისუფლდება მონმის ვალდებულებისგან, მეორე შემთხვევაში, პირი ვერ იტყვის უარს პროცესში მონმის სტატუსით მონანილეობაზე, იგი დაიკითხება სასამართლოში მხარეთა მიერ, მაგრამ, უფლებამოსილია არ მისცეს ისეთი ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს (სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). აღსანიშნავია, რომ პირს ეს უფლება არ ათავისუფლებს ისეთი ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან, რომელიც მას ან მის ახლო ნათესავს ადმინისტრაციულ გადაცდომაში და სხვა სამართალდარღვევებში ამხელს.

სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დებულების მიზანია, დაიცვას მხოლოდ მონმე და მისი ახლო ნათესავი (და არა ბრალდებული, რომელიც არ წარმოადგენს მონმის ახლო ნათესავს) დანაშაულში მამხილე-

89 არასრულწლოვნების დაცვის მიზნით სსსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილი ათავისუფლებს გარკვეული კატეგორიის პირებს კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებისაგან, კერძოდ, ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის მიერ მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში, იმავე ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირების მიერ, თუ თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობით ეკისრებათ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება და იმავე დროულად აქვთ ინფორმაცია არასრულწლოვნის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ან მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ან მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 139-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 140-ე ან 141-ე მუხლით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 253-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 255-ე მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით, 255¹ ან 255² მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე, სურვილის შემთხვევაში მონმის სახით ჩვენების მიცემა არ ჩაითვლება ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევად.

ბელი ჩვენების მიცემით გამონვეული სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფრთხისგან. აღნიშნული უფლება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ მოწმეს შეუძლია დაკითხვის დროს იყოს მდუმარედ მხარეების მიერ დანაშაულში მისი ან მისი ახლო ნათესავის (შესაძლო) მამხილებელი შეკითხვის დასმისას. ასეთ შემთხვევაში, მოწმემ უნდა განმარტოს თუ რატომ იკავებს თავს შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან. აღნიშნული უფლებით სარგებლობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოწმის ან მისი ახლო ნათესავის საზიანოდ. განსხვავებით ამისაგან, მტკიცებულებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის ინფორმაცია, რომელიც მოწმემ დაკითხვის დროს მანამდე მიაწოდა სასამართლოს.

მოწმე ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან არ გათავისუფლდება, თუ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფრთხე არ ან აღარ არსებობს. მაგალითად, როდესაც მოწმის მხარეს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება აშკარად არსებობს, რაც მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას გამომრიცხავს. ან მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება საბოლოოდ შეწყდა, რაც ხელმეორედ მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის შესაძლებლობას გამომრიცხავს და ა.შ. მსგავს შემთხვევებში მოწმემ უნდა უპასუხოს ნებისმიერ შეკითხვას, მათ შორის დანაშაულში მის მამხილებელ შეკითხვებსაც (თუმცა ამ ქმედების გამო, როგორც აღინიშნა, მას არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა).

VI. მოწმის უფლებები და მათი დაცვის პროცესუალური მექანიზმები

თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში, რომელიც სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ პრინციპზე ბაზირებს, დაუშვებელია მოწმეს გააჩნდეს მხოლოდ პროცესის ობიექტის სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ პროცესში მოწმის მოწვევა მართლმსაჯულებისა და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, მხოლოდ მტკიცებულების მოსაპოვებლად და გამოსაკვლევად ხორციელდება, მას მაინც უნდა ჰქონდეს პროცესის მონაწილის

სუბიექტური უფლებები. აღნიშნულის გათვალისწინებით კანონმდებელმა სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრა მოწმის უფლებები, კერძოდ, მოწმეს უფლება აქვს:

- იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული;
- თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ჩვენება მისცეს მშობლიურ ან მისთვის სასურველ სხვა ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე;
- გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში შენიშვნების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა;
- არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს;
- მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;
- მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ მოწმის უფლებათა ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აღიარებს და იცავს მოწმის სხვა უფლებებსა და ინტერესებსაც, რომლის თაობაზეც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვადასხვა მუხლებშია მითითებული. ასე მაგალითად, კანონმდებელი იცავს მოწმის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და საკუთრებას და ითვალისწინებს რეპრესიების რისკის ქვეშ მყოფი მოწმის ე.წ. „პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში“ ჩართვას, როდესაც არსებობს ამ უკანასკნელის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფის საფრთხე (სსსკ-ის 67-ე და 68-ე მუხლები). მოწმის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია აგრეთვე მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან (სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამის გარდა, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მოწმის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას. მაგალითად, სასამართლოს უფლება აქვს დახუროს სასამართლოს სხდომა ნაწილობრივ და დახუროს სხდომაზე დაკითხოს მოწმე, თუ არსებობს მოწმის პირადი ცხოვრების სფეროს მიკუ-

თვნიებული მონაცემების გახმაურების საფრთხე (სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

§26. დაზარალებული

1. ზოგადი დებულებანი

თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ფუნდამენტურ მოვალეობას სამართლებრივი ნორმების შექმნა, მათ დაცვაზე კონტროლის განხორციელება და სამართალდარღვევათა დასჯა წარმოადგენს. ვინაიდან, სამართალდარღვევათა დასჯის მონოპოლია მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია, დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირებს ეკრძალებათ, რომ სამართლიანობის აღსადგენად ძალადობის და იძულების ღონისძიებების გამოყენებით თავად გაუსწორდნენ დანაშაულის ჩამდენს. დანაშაულის მსხვერპლს თავად რომ ჰქონოდა დამნაშავის დასჯის ნებართვა, ამით ერთ უმართლობას კიდევ მეორე უმართლობა დაემატებოდა. ამიტომ, თვითიუსტიცია უარყოფილი და აკრძალულია.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სახელმწიფომ დანაშაულის დასჯის მონოპოლიის განხორციელების პარალელურად უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის მსხვერპლის კანონიერი ინტერესები და მოთხოვნები. სამართლებრივი სახელმწიფო ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დანაშაულის მსხვერპლს და მისცეს მას კონსტიტუციით დაცული ძირითადი უფლებების და ინტერესების მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში რეალიზაციის შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფო აღნიშნულ ვალდებულებას არ შეასრულებს და დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირის ინტერესებს უგულვებელყოფს, ამას შედეგად მოსახლეობაში მართლმსაჯულების და მართლწესრიგის მიმართ ნდობის რყევა მოყვება. მართალია, სახელმწიფო ვალდებული არ არის დანაშაულის მსხვერპლის ნებისმიერი მოთხოვნა და სურვილი დააკმაყოფილოს, რადგან დანაშაულის დევნა და დასჯა პირველ რიგში საზოგადოების ინტერესებში წარმოებს. მაგრამ, სახელ-

მნიფომ უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, რომ პიროვნებას, რომელიც ერთხელ უკვე დანაშაულის მსხვერპლი გახდა, სისხლის სამართლის პროცესის წარმოების დროს ხელმეორედ არ მიადგეს ზიანი. ვინაიდან დანაშაულისგან აბსოლუტური დაცვა შეუძლებელია, სახელმწიფო მოქალაქეს ვერ მისცემს იმის გარანტიას, რომ იგი დანაშაულის მსხვერპლი არასოდეს გახდება. ამიტომ, თუკი კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფომ ვერ შეძლო დანაშაულებრივი ქმედებისგან მოქალაქის დაცვა, მან უნდა იზრუნოს იმაზე მაინც, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს იმ ზიანის შესაძლებლობა, რაც დანაშაულის მსხვერპლს დანაშაულის დევნისას სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული სამართლებრივი ღონისძიებების შედეგად შეიძლება მიადგეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის საპროცესო სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის მსხვერპლის სისხლის საპროცესო-სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისა და მისთვის სისხლის სამართლის პროცესში შესაბამისი უფლებამოსილებთა მინიჭების სამართლებრივ-პოლიტიკურ საკითხს. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს აგრეთვე ვიქტიმოლოგიის მნიშვნელობის მსოფლიო მასშტაბებით ზრდა. ვიქტიმოლოგია მიეკუთვნება კრიმინოლოგიის იმ მთავარ განშტოებას, რომელიც სხვადასხვა ასპექტებში შეისწავლის დანაშაულის მსხვერპლად ქცევის და დანაშაულის მსხვერპლის მდგომარეობის საკითხებს⁹⁰. მრავალრიცხოვანმა ვიქტიმოლოგიურმა და კრიმინოლოგიურმა კვლევებმა, რომლებიც დანაშაულის მსხვერპლის დაცვისა და სისხლის სამართლის პროცესში მისი მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობაზე მიუთითებენ, განაპირობებს დაზარალებულის სისხლის სამართლის მეცნიერების ყურადღების ცენტრში მოქცევა. არაერთმა გამოჩენილმა მეცნიერმა მიუძღვნა თავისი კვლევა დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობას. იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგზის გამოითქვა მოსაზრება, რომ დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში ფართო უფლებამოსილება უნდა გააჩნდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მოწმისგან განსხვავებით სისხლის სამართლის პროცესში პრივილეგიებუ-

90 უფრო ვრცლად იხ. *პალიკაშვილი, მ.*: ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, 2011, გვ. 12-13;

ლი მდგომარეობა უნდა ეკავოს. აღნიშნული საკითხი საერთაშორისო დონეზეც კი იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის კავშირის საბჭოს მიერ განხილული, რომელთაც თავის გადანყვეტილებებში წევრ ქვეყნებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დაზარალებულის პოზიციების გაუმჯობესებისკენ მოუწოდეს⁹¹.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონმდებელი დანაშაულის მსხვერპლს სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებულ პროცესუალურ სტატუსს ანიჭებს და აღიარებს მას სუბიექტური უფლებების მქონე პროცესის მონაწილედ. ვიდრე დაზარალებულის ცალკეულ პროცესუალურ უფლებებს განვიხილავდეთ, უნდა განისაზღვროს, თუ ვინ შეიძლება სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობა მიიღოს დაზარალებულის სტატუსით.

II. დაზარალებულის ცნება

მატერიალური სისხლის სამართლის ნორმები იცავენ როგორც ინდივიდუალურ-სამართლებრივ, ისე საყოველთაო-სამართლებრივ სიკეთეებს. სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი რიგი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენით შეიძლება ზიანი მიადგეს ფიზიკურ პირებს, მაგალითად, ხელყოფილ იქნეს მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან საკუთრება. შესაძლებელია ასევე პირმა ცალკეული დანაშაულის შემადგენლობების განხორციელებით (მაგალითად, კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვებით ან გავრცელებით, სსკ-ის 202-ე მუხლი) ზიანი მიაყენოს იურიდიული პირების კანონით დაცულ ინტერესებს. გარდა ამისა, ზოგიერთი დანაშაულებრივი ქმედებები ხელყოფენ სახელმწიფო ინტერესებს და ამიტომ, ასეთი სახის ქმედებები კვალიფიცირდება, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად

91 იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/34 რეზოლუცია: „იუსტიციის ძირითადი პრინციპების დეკლარაცია დანაშაულის შედეგად დაზარალებულთათვის“ და ევროპის კავშირის საბჭოს 2001 წლის 15 მარტის ჩარჩო-კონვენცია „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებების შესახებ“; ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012\29\EU დირექტივა „დანაშაულის მსხვერპლის უფლებების მინიმალური სტანდარტებისა და მხარდაჭერის შესახებ“.

(მაგალითად, საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა – სსკ-ის 308-ე მუხლი, სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა – სსკ-ის 313-ე მუხლი, ჯაშუშობა – სსკ-ის 314-ე მუხლი და ა.შ.). აქედან გამომდინარე, სსსკ-ის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულად გვევლინება სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. რაც შეეხება დაზარალებულს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის დროს, წარმოადგენს სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი (სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის საპროცესო სამართალში სახელმწიფო, როგორც დაზარალებული ნაკლებად არის საინტერესო, რადგან მის ინტერესებს პროკურორი საკმარისად იცავს სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერით. იგივე შეიძლება ითქვას დაზარალებულ იურიდიულ პირზეც, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით მონაწილეობს (სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ალბათობა იმისა, რომ სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობით დაზარალებულმა განიცადოს ხელახალი ვიქტიმიზაცია, მიადგეს მას ფსიქიკური ტრავმა და კიდევ სხვა სახის ზიანი, მაღალია მხოლოდ დანაშაულის მსხვერპლი ფიზიკური პირების შემთხვევაში. სწორედ ამიტომ, სისხლის საპროცესო სამართალი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს ამ უკანასკნელს და მის პროცესუალურ მდგომარეობას. შესაბამისად, ქვემოთ საუბარი გვექნება მხოლოდ დაზარალებულ ფიზიკურ პირზე.

III. პირის დაზარალებულად ცნობა

სისხლის სამართლის პროცესში პირმა, რომ მიიღოს მონაწილეობა დაზარალებულის პროცესუალური სტატუსით, სავალდებულოა ამისათვის *მატერიალური* და *ფორმალური* წინაპირობების არსებობა.

მატერიალური წინაპირობა ის, რომ, როგორც ზემოთ გვ-

ქონდა საუბარი, პირს უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი.

რაც შეეხება **ფორმალურ წინაპირობას**, ამას წარმოადგენს დანაშაულის მსხვერპლის დაზარალებულად ან მისი რომელიმე ახლო ნათესავის **დაზარალებულის უფლებამონაცვლედ** ცნობის შესახებ პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანა. პირის დაზარალებულად ცნობა ხდება სისხლის სამართლის პროცესის ადრეულ ეტაპზე. კერძოდ, გამოძიების დაწყებისთანავე თუ პროკურორისთვის ცნობილი გახდა დანაშაულებრივი ქმედებით პირისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, მან იგი დადგენილებით უნდა სცნოს დაზარალებულად. პირის დაზარალებულად ცნობა არ არის დამოკიდებული დანაშაულის მსხვერპლის ნებასურვილზე და არც მის ასაკზე და ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობაზე. პროკურორი ვალდებულია, მას შემდეგ, რაც დაადგენს პირის დაზარალებულად ცნობის მატერიალურ წინაპირობებს, მიანიჭოს მას დადგენილებით (ფორმალურად) დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი. პირის დაზარალებულად ცნობა შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გაგზავნამდე. საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზე პირისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება სამართლებრივად შეუძლებელია. პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი შესაძლოა გახდეს ასევე პროკურორისთვის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ განცხადებით მიმართვა. ასეთ შემთხვევაში, თუ პროკურორი დაადგენს პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის საფუძველს, მან უნდა დააკმაყოფილოს აღნიშნული განცხადება და მიიღოს შესაბამისი დადგენილება. თუ განცხადების შეტანიდან 48 საათის განმავლობაში, პირის განცხადება არ დაკმაყოფილება, მას აქვს უფლება დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გასააჩივროს სასამართლოში (სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

პროკურორი უფლებამოსილია ამასთანავე, გააუქმოს პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება, თუკი მოგვიანებით გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობდა. თუმცა ამ შემთხვევაშიც დაზარალებულს უფლება აქვს ზემდგომ პროკურორთან გაასაჩივროს პროკურორის ასეთი გადაწყვეტილება, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, გაასაჩივროს ასევე სასამართლოში (სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, იმ დანაშაულის საქმეში, რომელსაც დანაშაულის მსხვერპლის სიკვდილი მოჰყვა, პროკურორის დადგენილებით დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლე განისაზღვრება წილისყრით.

IV. დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა

მოქმედი სისხლის საპროცესო სამართლის მიხედვით, დაზარალებული წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ მონაწილეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით ძველად მოქმედი სისხლი სამართლის საპროცესო კანონმდებლობისგან, დღეს დაზარალებული აღარ გვევლინება ბრალდების მხარედ. 2010 წლის 1 ოქტომბრამდე დაზარალებულს ნებისმიერი საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე მინიჭებული ჰქონდა სუბსიდიური ბრალმდებლის უფლებამოსილება და პროკურორთან ერთად წარმოადგენდა ბრალდების მხარეს. გარკვეული კატეგორიის დანაშაულების შემთხვევაში იგი იყო კერძო ბრალმდებელი. გარდა ამისა, მას ჰქონდა შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესშივე მოეთხოვა მიყენებული ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარედგინა სამოქალაქო სარჩელი. კანონმდებელი დაზარალებულს საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე

ანიჭებდა საკმაოდ ფართო პროცესუალურ შესაძლებლობებს, რომელთაგან განსაკუთრებულად ხაზი მის შემდეგ უფლებებს უნდა გაესვას:

- დაზარალებულს ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზე პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირის აცილების უფლება გააჩნდა. მას შეეძლო დაეყენებინა შუამდგომლობები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ და მიეღო მათში მონაწილეობა. გარდა ამისა, მას ჰქონდა უფლება წარედგინა მტკიცებულებები. სხვა უფლებებთან ერთად დაზარალებული უფლებამოსილი იყო შეუზღუდავად გასცნობოდა საქმის მთელ მასალებს და ნივთიერ მტკიცებულებებს, გაესაჩივრებინა გამოძიებლის და პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, ეყოლია ადვოკატ-წარმომადგენელი დაზარალებულად ცნობის მომენტიდან;
- დაზარალებული სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში შეუზღუდავად იღებდა მონაწილეობას. ამ ეტაპზეც იგი უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა კანონით მინიჭებული აცილების უფლება და მოსამართლის, პროკურორის, დამცველის (ადვოკატის), ექსპერტის, სპეციალისტის ან თარჯიმნის აცილება განეცხადებინა. ამასთან ერთად, მას შეეძლო წარმოედგინა მტკიცებულებები და განეცხადებინა შუამდგომლობა სასამართლო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, გამოსულიყო კამათში და სხვადასხვა ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გამოეთქვა აზრი;
- დაზარალებულს კანონმდებელი აძლევდა შესაძლებლობას პროკურორისგან დამოუკიდებლად გაესაჩივრებინა სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო ან საკასაციო წესით. ამასთან, სააპელაციო და საკასაციო საჩივრები შეეძლო შეეტანა, როგორც გამამართლებელი განაჩენის გაუქმების, ისე სასჯელის გამკაცრების მოთხოვნით.

ამრიგად, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ძალაში შესვლამდე სისხლის სამართლის პროცესში

ბრალდების მხარე წარმოდგენილი იყო რამდენიმე ბრალმდებლით (პროკურორი და დაზარალებული), რაც ნეგატიურ გავლენას ახდენდა ბრალდებულის დაცვის შესაძლებლობებზე და არათანაბარ პროცესულურ მდგომარეობაში აყენებდა ბრალდებისა და დაცვის მხარეებს. შესაბამისად, რეფორმირებულმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ, რომელმაც სისხლის სამართლის პროცესს საფუძვლად დაუდო წმინდა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი, შეზღუდა დაზარალებულის სისხლის სამართლის პროცესში ბრალმდებლად მონაწილეობის შესაძლებლობები და ამით აღადგინა მხარეთა შორის დარღვეული პროცესული ბალანსი. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული აღარ წარმოადგენს პროცესის მხარეს, მნიშვნელოვანია მისთვის საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით აღიარებული ისეთი უფლებების მინიჭება, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის შეჯიბრებითი პროცესის პრინციპთან.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულს უთმობს მე-7 თავს, სადაც განსაზღვრულია მისი სამართლებრივი მდგომარეობა⁹². მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულს გააჩნია მონმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი), მისი სამართლებრივი სტატუსი მონმისგან არსებითად განსხვავდება. კანონმდებელი დაზარალებულს აძლევს შესაძლებლობას, აქტიურად მიიღოს მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში და გარკვეულწილად მოახდინოს ზემოქმედება პროცესის მიმდინარეობაზე. რაც შეეხება მის ცალკეულ უფლებებს, ქვემოთ გვექნება მასზე საუბარი.

92 აღსანიშნავია, რომ ახალი საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, დაზარალებულის პროცესული მდგომარეობა დაყვანილი იყო მონმის საპროცესო-სამართლებრივ სტატუსამდე. მონმისგან განსხვავებით, გააჩნდა მას მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება და სხვა ისეთი უფლებები, რომლითაც პროცესის მსვლელობაზე და მის შედეგზე რეალურ გავლენას ვერ მოახდენდა. 2014 წლის 27 ივლისს სსსკ-ში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ დაზარალებულის უფლებები და მისი, როგორც პროცესის მონაწილის როლი გარკვეულწილად გაუმჯობესდა.

1. დაზარალებულად ცნობის შესახებ განცხადებით მიმართვის უფლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის საფუძველი შესაძლებელია გახდეს პროკურორისთვის პირის განცხადებით მიმართვა დაზარალებულად ცნობის შესახებ. მართალია, განცხადებით მიმართვის გარეშეც პროკურორი ზოგადად ვალდებულია, საამისო საფუძვლის არსებობისას, პირი ცნოს დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ. მიუხედავად ამისა, კანონმდებელი პირს აძლევს სამართლებრივ შესაძლებლობას, მოითხოვოს პროკურორისგან მისი დაზარალებულად ცნობა. პირი უფლებამოსილია ერთჯერადად მიმართოს საჩივრით ზემდგომ პროკურორს დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით, თუ პროკურორი განცხადების შეტანიდან 48 საათში არ გამოიტანს მის დაზარალებულად ცნობის დადგენილებას. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კი პირს აქვს სასამართლოსთვის მიმართვის სამართლებრივი შესაძლებლობა, როცა საჩივარს ზემდგომი პროკურორი არ აკმაყოფილებს. ამრიგად, პირისთვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებით, იგი დაცულია პროკურორის დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილებისგან, როცა არსებობს მისი დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის სამართლებრივი საფუძველები.

2. პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება

საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დაზარალებულს შეუძლია ისარგებლოს პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებით. როგორც უკვე აღინიშნა, თუ პროკურორი გააუქმებს პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებას, დაზარალებულს კანონმდებელი ანიჭებს ასეთი გადაწყვეტილების ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების უფლებას. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირი სარგებლობს ასე-

თი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლებით (სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილი). პროკურორის ამგვარ გადაწყვეტილებაზე სასამართლო კონტროლის დანესებით კანონმდებელი ცდილობს, ხელი შეუწყოს დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირს კანონით მინიჭებული უფლებების პრაქტიკულ რეალიზაციაში.

ამის გარდა, დაზარალებულს უფლება აქვს გაასაჩივროს პროკურორის დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული დადგენილება საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში (სსსკ-ის 106-ე მუხლის 1¹ ნაწილი). იგივე წესი მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის მიერ უარის თქმის შემთხვევაში. აქაც დაზარალებულს შეუძლია საჩივრით მიმართოს ზემდგომ პროკურორს, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში კი პროკურორის დადგენილება გაასაჩივროს სასამართლოში (სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ორივე შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი ან სასამართლო გააუქმებს პროკურორის დადგენილებას და არ იქნება გასული სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა განახლდება/დაიწყება, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების/დაწყების და სხვა საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულება დაეკისრება სხვა პროკურორს.

დაზარალებულის ზემოხსენებული უფლება წარმოადგენს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებაზე ერთგვარ კონტროლის მექანიზმს, რაც არა მხოლოდ დაზარალებულის, არამედ საჯარო ინტერესითაცაა განპირობებული. როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, დაზარალებულის უფლებებთან ერთად არსებითად ირღვევა ასევე საზოგადოების წევრების უსაფრთოების განცდაც. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, როგორც დაზარალებულის ისე საზოგადოების კანონიერ ინტერესებში შედის. დაზარალებულისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან

დევნის შეწყვეტის თაობაზე პროკურორის დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობის მიცემით, მცირდება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან დაკავშირებით პროკურორის უსაფუძვლო გადაწყვეტილებების რისკი და ამავდროულად, როგორც უკვე აღინიშნა, იზრდება ამ უკანასკნელის საქმიანობაზე კონტროლი.

3. სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისა და საქმის მასალების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

იმისათვის, რომ დაზარალებულმა ჯეროვნად ისარგებლოს კანონით მინიჭებული უფლებებით და ასევე თავიდან აირიდოს ხელახალი ვიქტიმიზაცია, მნიშვნელოვანია, რომ გააჩნდეს მას ინფორმაცია პროცესის მსვლელობისა და საქმის მასალების თაობაზე. დაზარალებულის ინფორმირებულობის აუცილებლობას ხაზს უსვამს აგრეთვე ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012\29\EU დირექტივა „დანაშაულის მსხვერპლის უფლებების მინიმალური სტანდარტებისა და მხარდაჭერის შესახებ“⁹³. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულის მიმართ გააჩნიათ ვალდებულება, ამ უკანასკნელს მიაწოდონ ინფორმაცია სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე პროცესის მწარმოებელი პირების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებისა და საქმის მასალების თაობაზე. მაგალითად, დაზარალებულს პროკურორმა მოთხოვნის შემთხვევაში, წინასწარ უნდა შეატყობინოს ისეთი საპროცესო მოქმედებების ჩატარების ადგილი და დრო, როგორებიცაა:

- ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან;
- წინასასამართლო სხდომა;
- სასამართლოს მთავარი სხდომა;
- სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის სხდომა;

⁹³ იხ. დირექტივის მე-4 და მე-6 მუხლები.

- სასამართლო სხდომა სასჯელის შეფარდების შესახებ;
- სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს სხდომა. (იხ. სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 58-ე მუხლის პირველი ნაწილი).

დაზარალებულს ასევე აქვს უფლება უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). ამასთან, პროკურორი დაზარალებულს უგზავნის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ დადგენილების ასლს. დაზარალებულის ინფორმირებულობისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან, რის თაობაზეც დგება შესაბამისი ოქმი (სსსკ-ის 168-ე მუხლი). აღნიშნული აძლევს დაზარალებულს შესაძლებლობას გარკვეულწილად მოახდინოს პროკურორის გადაწყვეტილებაზე გავლენა, რაც თავის მხრივ პროკურორსაც დახმარებას უწევს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. იგივე წესი მოქმედებს პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე. სსსკ-ის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პროკურორმა აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს დაზარალებულს და შეადგინოს ოქმი.

ბრალდებულის მხრიდან მომდინარე რეპრესიებისგან და განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან დაზარალებულის დასაცავად, კანონმდებელი ანიჭებს მას უფლებას, რომ მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების და მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს არ ემოქერება რეალური საფრთხე (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი). ამდენად, კანონმდებელი აღნიშნული რეგულაციით ცდილობს, რომ გამოირიცხოს დაზარალებულის და ბრალდებულის მოულოდნელი შეხვედრა და მათ შორის კონფრონტაცია, რამაც როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს/მსჯავრდებულს

შესაძლოა მოუტანოს მძიმე ზიანი. დაზარალებულს შესაძლოა უარი ეთქვას ამ ტიპის ინფორმაციის მიღებაზე, თუ რეპრესიის საფრთხე ექმნება არა დაზარალებულს, არამედ თავად ბრალდებულს/მსჯავრდებულს.

დაზარალებულის ინფორმირებულობის კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ამ უკანასკნელის უფლება მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი). ამრიგად, დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესის ადრეულ ეტაპზევე შეუძლია სრული მოცულობით გაეცნოს საქმის მასალებსა და ყველა იმ მტკიცებულებას, რასაც ბრალდების მხარე წარადგენს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე. ცალკეულ შემთხვევებში დაზარალებულის მიერ საქმის მასალების გაცნობა სასარგებლოც კი შეიძლება აღმოჩნდეს სისხლის სამართლის საქმის სრულფასოვანი გამოძიებისთვის. საქმის მასალების შესწავლის შემდეგ დაზარალებულს შეუძლია მიუთითოს მოწმეთა ჩვენებებში არსებულ უზუსტობებზე და ასევე გამოძიებელს ან პროკურორს აცნობოს სხვა ისეთი მტკიცებულებების არსებობის თაობაზე, რომელიც ამ უკანასკნელებს დახმარებას გაუწევს რელევანტური გარემოებების დადგენაში. თუმცა საქმის მასალების დაზარალებულისთვის გაცნობა დაკავშირებულია ასევე რისკებთანაც. მაგალითად, არსებობს საფრთხე იმისა, რომ დაზარალებულს, რომელიც სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებათა დასადგენად სისხლის სამართლის პროცესში იკითხება მოწმის სტატუსით, საქმის მასალების გაცნობით ეძლევა საკუთარი ჩვენების სხვა მტკიცებულებებზე მორგების საშუალება. „არაკეთილსინდისიერ“ დაზარალებულს საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და მოწმეთა ჩვენებების ცოდნა დაეხმარება საკუთარ ჩვენების შინაარსში ყველა წინააღმდეგობის აღმოფხვრაში, რითაც იგი აამაღლებს მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხს, რეალურად კი სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლის დადგენას არსებით ზიანს მიაყენებს⁹⁴. გარდა ამისა, ხშირად სისხლის სამართლის საქმის მასალები შეიცავს ინფორ-

94 იხ. ასევე, *თუმანიშვილი, გ.* (2009), იქვე, გვ. 77.

მაციას, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის მიერ ჩადენილ ისეთ დანაშაულებზე, რომლებსაც კავშირი არ აქვს კონკრეტულ დაზარალებულთან. საქმის მასალებში შესაძლოა არსებობდეს ინფორმაცია სხვა მესამე პირების პირადი ცხოვრების შესახებაც, რაც არ უკავშირდება იმ დანაშაულს, რომლის შედეგადაც მიადგა ზიანი კონკრეტულ დაზარალებულს. შესაბამისად, ასეთი ინფორმაციის დაზარალებულისთვის გაცნობა არ არის გამართლებული და ამას ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ პირთა უფლებების დაცვისა და გამოძიების ინტერესები. სწორედ ამიტომ გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულისთვის საქმის მასალების გაცნობა ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, აღნიშნული უფლება შეიძლება შეეზღუდოს დაზარალებულს და უარი ეთქვას საქმის მასალების წვდომაზე. თუმცა უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრისთანავე დაზარალებულს უნდა ეცნობოს ამის შესახებ და შესაბამისად მიენოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე და მიეცეს საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა (სსსკ-ის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ნებისმიერ შემთხვევაში დაზარალებულს უფლება აქვს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი).

დაზარალებულის ინფორმირებულობის გარანტიას წარმოადგენს სსსკ-ის 56-ე მუხლის 5¹ ნაწილისა და 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის დათქმა, რომლის თანახმად დაზარალებული უფლებამოსილია მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ. პროკურორმა ან მისი დავალებით გამოძიებელმა დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება უნდა გააცნობს დაზარალებულს და განუმარტოს მას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა უფლება და მათი განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები. აღნიშნულის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ დაზარალებული და ოქმის შემდგენი პირი. დაზარალებულს უფლება აქვს, შენიშვნა გააკეთოს ოქმზე. თუ დაზარალებული უარს ამბობს ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.

ზემოაღნიშნულის გარდა, დაზარალებულის ინფორმირებუ-

ლობის ინტერესს ემსახურება აგრეთვე სსსკ-ის 182-ე მუხლის 4¹ ნაწილი, რომლის თანახმად სასამართლო სხდომის ნაწილობრივი ან სრული დახურვის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია დაზარალებულს მისცეს სხდომაზე ან მის ნაწილზე დასწრების უფლება. ამასთან, მოსამართლე ვალდებულია დაკითხვის დასრულების შემდეგ განუმარტოს სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება ყველა მოწმეს, მათ შორის, დაზარალებულ-მოწმეს (სსსკ-ის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

4. სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემის უფლება

დაზარალებულის, როგორც პროცესის მონაწილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სუბიექტურ უფლებას მიეკუთვნება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის თაობაზე სასამართლოში ჩვენების მიცემის უფლება, კერძოდ კი სსსკ-ის 57-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაზარალებულს კანონმდებელი აძლევს შესაძლებლობას, მისცეს ჩვენება მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას და სასჯელის შეფარდების შესახებ სასამართლო სხდომაზე. დაზარალებული უფლებამოსილია ასევე ჩვენების ნაცვლად წერილობით წარუდგინოს სასამართლოს აღნიშნული ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულს ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია სასამართლო საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვის დროსაც.

სარგებლობს რა დაზარალებული ზემოხსენებული უფლებით, ამით იგი დახმარებას უწევს სასამართლოს დანაშაულით გამოწვეული ზიანის სწორად შეფასებაში, რასაც ცალკეულ დანაშაულთა სწორად კვალიფიკაციისთვის და ბრალდებულისთვის შესატყვისი სასჯელის განსაზღვრისთვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია.

5. ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაზარალებულის დაცვა

როგორც ცნობილია, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში დაზარალებულმა განიცადოს ხელახალი ვიქტიმიზაცია და მიადგეს მას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური ან ქონებრივი ზიანი. ამიტომ სახელმწიფოს მართებს დაზარალებულის, ასევე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრების დასაცავად ქმედითი სამართლებრივი მექანიზმის შემუშავება⁹⁵. დაზარალებულის დაცვის ერთ-ერთ ასეთ მექანიზმს წარმოადგენს ამ უკანასკნელის, მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება⁹⁶. სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას, მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას.

დაზარალებულის განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან დასაცავად მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს მისი მრავალჯერადი დაკითხვა საქმის გარემოებების ირგვლივ. ხშირ შემთხვევაში სექსუალური და სხვა ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლს განსაკუთრებულ სულიერ ტკივილს აყენებს მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ცალკეული დეტალების შესახებ საუბარი. ვიქტიმოლოგიური კვლევების თანახმად, ცალკეული კატეგორიის დანაშაულის მსხვერპლისთვის (განსაკუთრებით ბავშვებისთვის) ასევე დაუძლეველი შიშის და სტრესის მომტანია დამნაშავესთან პირისპირ შეხვედრა და მასთან დაპირისპირება. დამნაშავესთან შეხვედრის შედეგად, რასაც თან სდევს ძლიერი შიშის განცდა, შესაძლოა დანაშაულის მსხვერპლს განუვითარდეს პოსტტრავმატიული სტრესი და შეექმნას ჯანმრთელობის პრობლემები⁹⁷. აღნიშნულის თავიდან ასარიდებლად კანონმ-

95 იხ. ასევე „დანაშაულის მსხვერპლის უფლებების მინიმალური სტანდარტებისა და მხარდაჭერის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012/29/EU დირექტივის 18-24 მუხლები.

96 სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების თაობაზე იხ. §31.

97 იხ. *შალიკაშვილი* (2011), იქვე, გვ. 130-131; *თუმანიშვილი, გ.* (2008); იქვე, გვ. 81-82.

დებელმა გაითვალისწინა დაზარალებული-მოწმის გამოძიების ეტაპზე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვის შესაძლებლობა, რათა დაზარალებულს აარიდოს ბრალდებულთან პირისპირ შეხვედრა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე სასამართლოში (სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები 118-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თუ გამოძიების სტადიაზე მაგისტრატ მოსამართლესთან დაიკითხა დაზარალებული, მაშინ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოქვეყნდება მისი დეკლარებული ჩვენება დაზარალებულის დაუსწრებლად. დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაცვის მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იქნეს აგრეთვე დაზარალებული-მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან (სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი). არასრულწლოვანი პირების განსაკუთრებული დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სსსკ-ის 116-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 243-ე მუხლის მე-4 ნაწილის რეგულაცია, რომლის თანახმად, თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლია, დაკითხვათა რაოდენობა შეძლებისდაგვარად შეზღუდული უნდა იყოს და განპირობებული უნდა იყოს სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მიღწევის აუცილებლობით. ამასთან, მისი ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის შემთხვევაში იგი უნდა დაიკითხოს დისტანციურად ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან.

ზემოაღნიშნულის გარდა, დაზარალებულის დაცვის ინტერესებს ემსახურება აგრეთვე ამ უკანასკნელის უფლება, მიმართოს ბრალდების მხარეს სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნით (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი). რაც შეეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლს, მათი ინტერესების დასაცავად სასამართლოს საკუთარი ინიციატივითაც (მხარის შუამდგომლობის გარეშე) უფლება აქვს სასამართლო სხდომა ნაწილობრივ ან სრულიად დახურულად გამოაცხადოს (სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). ამასთან ერთად, კანონ-

მდებელი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს ანიჭებს მონმის პრივილეგიას, ანუ უფლებას მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში არ მისცეს ჩვენება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით (სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი).

6. დაზარალებულის სხვა უფლებები და მოვალეობები

დაზარალებულს სხვა უფლებებთან ერთად აქვს შესაძლებლობა მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად განუვლი ხარჯების ანაზღაურება, ასევე დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმის საჭიროებისთვის დროებით ჩამორთმეული, მისი კუთვნილი ქონება (სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები). დაზარალებულის უფლებათა შორის საყურადღებოა დანაშაულის შეტყობინების შესახებ წერილობითი ცნობის მიღების უფლება. სსსკ-ის 101-ე მუხლის 2² ნაწილის თანახმად, პირს, რომელიც განაცხადებს დანაშაულის შესახებ, უფლება აქვს, მიიღოს დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი წერილობითი ცნობა. აღნიშნული უფლება ხელს შეუწყობს დაზარალებულის ინტერესების დაცვას დაზარალებულად ცნობაზე უარის შესახებ პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრებისას, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოებისას და სადაზღვევო კომპანიებთან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენისას.

რაც შეეხება დაზარალებულის მოვალეობებს, აღნიშნული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ცალკე არ განისაზღვრება. ვინაიდან დაზარალებული ამავე დროს არის მონმეც, დაზარალებულს სსსკ-ის 47-ე მუხლის თანახმად ეკისრება მონმის ვალდებულებები. დაზარალებული, ისევე როგორც ნებისმიერი მონმე ვალდებულია:

- გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით;
- უპასუხოს დასმულ შეკითხვებს;
- არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ;

- დაიცვას წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს;
- სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი⁹⁸.

§27. ექსპერტი

1. ექსპერტის ცნება და ამოცანები

ექსპერტის საკანონმდებლო დეფინიცია მოცემულია სსსკ-ის მე-3 მუხლის 21-ე ნაწილში, რომლის თანახმად, ექსპერტი არის სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში. ამრიგად, ექსპერტს გააჩნია ის ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება (მაგ., მედიცინაში, ფსიქოლოგიაში, ფსიქიატრიაში, საფინანსო ან ტექნიკურ საკითხებში), რომლის გარეშეც მხარეები და სასამართლო დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამორკვევას, მტკიცებულებების გამოვლენასა და გამოკვლევას. აღსანიშნავია, რომ პირის ექსპერტად მოსაწვევად არ არის სავალდებულო, რომ იგი მუშაობდეს რომელიმე საექსპერტო დანესებულებაში. ექსპერტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა, ჩვევები და გამოცდილება.

ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად უწევს ძირითადად შემდეგი სახის დახმარებას:

- იგი აწვდის მათ ზოგად ინფორმაციას მეცნიერების ცალკეული დარგებიდან (მაგ., ახალშობილის კუჭი და ნაწლავები დაბადებიდან დაახლოებით 6 საათის შემდეგ

⁹⁸ უფრო ვრცლად მონმის ვალდებულებების თაობაზე იხ. §25, III.

ივსება უანგბადით);

- იგი ადგენს ისეთ ფაქტებს, რომლის შეცნობა და დადგენა მხოლოდ სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების ქონის შედეგად არის შესაძლებელი (მაგ., მოკლული ახალშობილის ნაწლავები არ იყო შევსებული უანგბადით);
- იგი ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნებს (მაგ., ახალშობილი მოკლულია შობიდან სხვათა დასკვნების, ვინაიდან მის ნაწლავებში არ აღინიშნებოდა უანგბადის კვალი)⁹⁹.

ექსპერტი მონაწილეობს ასევე მხარის გადანყვეტილების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებებში, როდესაც მისი ჩატარება განსაკუთრებულ პროფესიულ ცოდნას მოითხოვს (სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-9 ნაწილი). მხარეს უფლება აქვს მაგალითად, ექსპერტის დახმარებით აიღოს ნივთიერების, ცხოველის ან ადამიანის სხეულიდან ნიმუში, ეს უკანასკნელი მოიწვიოს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში და ა.შ. (სსსკ-ის 147-ე მუხლი, 130-ე მუხლის პირველი ნაწილი). სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ზოგიერთ საგამოძიებო მოქმედებას მხარე დამოუკიდებლად, ექსპერტის მონაწილეობის გარეშე ვერ ჩატარებს. ამიტომ, იგი ასეთ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედებას ატარებს მხოლოდ ექსპერტის დახმარებით. მაგალითად, ექსპერტიზა და გვამის გარეგნული დათვალიერება ტარდება ექსპერტის მონაწილეობით (სსსკ-ის 128-ე და 133-ე მუხლების პირველი ნაწილები).

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ ექსპერტის მიერ მომზადებული დასკვნა ბრმად არ უნდა იქნეს გათვალისწინებული. მოსამართლე (ნაფიცი მსაჯული) ექსპერტის დასკვნას აფასებს შინაგანი რწმენით. განაჩენში უნდა აისახოს, რომ ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას მოსამართლემ დამოუკიდებლად შეაფასა ექსპერტის დასკვნა და მივიდა კონკრეტულ გადანყვეტილებამდე. თუკი მოსამართლე არ გაიზიარებს ექსპერტის დასკვნას, მაშინ მან უნდა დაასაბუთოს განაჩენში სანინააღმდეგო.

99 იხ. Roxin, C./Schünemann, B. (2009), იქვე, გვ. 199.

II. ექსპერტის მოწვევა

თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება განსაკუთრებულ ცოდნას არ მოითხოვს და მხარეებს თავად გააჩნიათ საკმარისი კომპეტენცია და გამოცდილება საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად, ან დანაშაულის კვალის აღმოსაჩენად, შეუძლიათ ექსპერტის მონაწილეობის გარეშე ჩაატარონ საგამოძიებო მოქმედებები და მოიპოვონ მტკიცებულებები. ექსპერტი მხარეთა ინიციატივით ექსპერტიზის ჩასატარებლად მოიწვევა, როდესაც მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა, ასევე თუ სხეულს ან ინფორმაციის შემცველ ობიექტს აჩნევია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე კვალი, ნიშანი ან თვისება, რომლის სწორად გაგება და აღქმა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია (სსსკ-ის 144-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები).

როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეებმა ცალკეული საგამოძიებო მოქმედებები მხოლოდ ექსპერტის მონაწილეობით უნდა ჩაატარონ. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ კანონი მხარეებს უკრძალავს მონმის სანდოობის შესახებ ექსპერტიზის ჩატარებას (სსსკ-ის 51-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მონმის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენების სანდოობას აფასებს თავად მოსამართლე ან ნაფიცი მსაჯული. მხარეებს ჯვარედინი დაკითხვისას აქვთ უფლება მონმეებს დაუსვან ისეთი შეკითხვები, რომელზე პასუხის გაცემითაც მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულს მიეცემათ შესაძლებლობა გააკეთონ გარკვეული დასკვნები მონმის ჩვენების სანდოობასთან დაკავშირებით.

პროკურორი ან საგამოძიებელი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ იღებს დადგენილებას, რომელსაც სავალდებულო ძალა აქვს საექსპერტო დაწესებულებისთვის ან კონკრეტული ექსპერტისთვის. სავალდებულოა შესასრულებლად აგრეთვე დაცვის მხარის მიმართვა ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით. ექსპერტი მოწვევისა და საქმიანობის ხარჯებს, როგორც

წესი ანაზღაურებს თვითონ მხარე, თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ბრალდებული გადახდისუუნაროა, უფლება აქვს მოითხოვოს მისი ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯების სახელმწიფოს ხარჯზე ანაზღაურება (სსსკ-ის 144-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილები).

მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება არ შეუშალონ ერთმანეთს ხელი ექსპერტიზის ჩატარებაში საექსპერტო კვლევის ობიექტის განადგურებით, დაზიანებით, გადამალვით და სხვა ამგვარი მოქმედებებით. თუ საექსპერტო კვლევის ობიექტი მეორე მხარესთან ინახება, იგი ვალდებულია გადასცეს ობიექტი ექსპერტიზის ინიციატორი მხარის ექსპერტს. თუ მხარე ნებაყოფლობით ვერ იღებს, იგი უფლებამოსილია საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტისთვის გადაცემის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით (სსსკ-ის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

III. ექსპერტის უფლება-მოვალეობები

ექსპერტს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ანიჭებს მონმის სამართლებრივ სტატუსს. შესაბამისად, მას გააჩნია მონმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა. ექსპერტი ვალდებულია სასამართლოში გამოძახების შემთხვევაში გამოცხადდეს და მისცეს ჩვენება მის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ექსპერტი უნდა იყოს მიუკერძოებელი, იმის მიუხედავად, თუ ვინ მოიწვია იგი (სსსკ-ის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მონმის უფლება-მოვალეობების გარდა ექსპერტს თავისი პროცესუალური ფუნქციიდან გამომდინარე, გააჩნია სხვა დამატებითი უფლება-მოვალეობები, რომელსაც კანონმდებელი განსაზღვრავს სსსკ-ის 52-ე მუხლში. აღნიშნული მუხლის თანახმად, ექსპერტს უფლება აქვს:

- *გაეცნოს საექსპერტო კვლევისთვის საჭირო მასალას, ამოიწეროს საჭირო ცნობა და გადაიღოს ასლი;*
- *მოითხოვოს დამატებითი მასალის წარდგენა;*
- *გამოკვლევის პროცესში აიღოს მასრის, ტყვიისა და სხვა*

ობიექტის საცდელი ნიმუში;

- ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს მოსთხოვოს საექსპერტო კვლევისთვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია;
- უარი თქვას დასკვნის მიცემაზე და ექსპერტიზის გაგრძელებაზე, თუ დასმული საკითხები სცილდება მისი ცოდნის ფარგლებს ან თუ მისთვის წარდგენილი მასალა საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად;
- ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ნებართვით დაესწროს საგამომძიებო მოქმედების ჩატარებას;
- მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის საგანთან და საექსპერტო კვლევასთან დაკავშირებული მტკიცებულების გამოკვლევაში;
- მტკიცებულების აღმოჩენის, გამოკვლევისა და დემონსტრირებისთვის გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალება, სპეციალური ცოდნა და გამოცდილება.

ამასთან, ექსპერტი ვალდებულია:

- თუ საექსპერტო კვლევით დადგინდა გარემოება, რომლის შესახებაც ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს ან/და პროცესის სხვა უფლებამოსილ მონაწილეს კითხვა არ დაუსვამს, იგი ასახოს დასკვნაში;
- დაიცვას და საექსპერტო კვლევის შემდეგ ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს დაუბრუნოს კვლევის ობიექტი, თუ საექსპერტო კვლევისას ეს ობიექტი სრულად არ დაზარალდა;
- თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძველი, განაცხადოს თვითაცილება.

§28. თარჯიმანი

I. თარჯიმნის ფუნქცია და მისი მონვევა

თარჯიმანი არის პროცესის ერთ-ერთი მონაწილე, რომელსაც იძახებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც პროცესის სხვა მონაწი-

ლემ (ბრალდებული, მოწმე) არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა და ან საჭიროა სისხლის სამართლის პროცესის ენაზე ითარგმნოს ტექსტი. დაუშვებელია, რომ პირმა, რომელსაც გააჩნია პროცესის მონაწილის გარკვეული სტატუსი (მაგ., დაზარალებული, ექსპერტი, გამომძიებელი, პროკურორი და ა.შ.) შეითავსოს ასევე თარჯიმნის ფუნქცია. თარჯიმნის პროცესუალური სტატუსი შეიძლება მიენიჭოს არა მხოლოდ უცხო ენების სათანადოდ მცოდნე პირს, არამედ იმ პირსაც, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები (სსსკ-ის 53-ე მუხლი). თარჯიმანი შესაძლებელია მოწვეულ იქნეს, როგორც გამოძიების ეტაპზე საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებისას, ისე სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე. გამოძიების ეტაპზე თარჯიმნის გამოძახების უფლება აქვს გამოძიებელს და პროკურორს, ხოლო სასამართლოში – მოსამართლეს. ასეთ შემთხვევაში თარჯიმნის მოწვევის ხარჯებს მთლიანად გაიღებს სახელმწიფო. თუ გამოძიების ეტაპზე ბრალდებული საკუთარი ინიციატივით აწარმოებს მტკიცებულებების მოპოვებას საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების გზით და ამისთვის ესაჭიროება თარჯიმნის დახმარება, მას უფლება აქვს საკუთარს ხარჯით უზრუნველყოს საგამომძიებო მოქმედებებში თარჯიმნის ჩართვა. როგორც წესი, საპროცესო დოკუმენტები ეთარგმნება ბრალდებულს ზეპირად, ხოლო თუ ბრალდებულს სურს მათი წერილობითი თარგმანი, მან საკუთარი ხარჯით უნდა უზრუნველყოს მათი თარგმნა. სასამართლოს უფლება აქვს, გადახდისუუნარობის შემთხვევაში მსჯავრდებული მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს თარჯიმნის მომსახურების ხარჯების გადახდისგან (სსსკ-ის 90-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

II. თარჯიმნის უფლება-მოვალეობები

თარჯიმნის უფლება-მოვალეობები ამომწურავად არის სსსკ-ის 54-ე მუხლში ჩამოყალიბებული, რომლის მიხედვით, იგი უფლებამოსილია:

- თარგმანის დასაზუსტებლად შეკითხვა დაუსვას პროცესის მონაწილეებს;

- გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს და სასამართლო სხდომის ოქმს;
- გამოთქვას შენიშვნა, რომელიც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი;
- უარი თქვას თარგმნაზე, თუ ამისთვის საჭირო ცოდნა არ გააჩნია.

ამასთან თარჯიმანი ვალდებულია:

- გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის და სასამართლოს გამოცხებით;
- ზუსტად და სრულად თარგმნოს ჩვენება და დოკუმენტი;
- ხელმოწერით დაადასტუროს თარგმანის უტყუარობა მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმში და სხვა საპროცესო დოკუმენტში;
- გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს გამოძიების მასალა, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შემცველი ცნობები.

იმ შემთხვევაში, თუ თარჯიმანს თარგმანთან დაკავშირებით სასამართლოში მონაწილე ჩვენების მისაცემად გამოიძახებენ, დამატებით მიენიჭება და დაეკისრება მონაწილის უფლება-მოვალეობები (სსსკ-ის 47-ე მუხლი).

§29. სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae)

„სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტი, რომელიც ცნობილია ლათინური ტერმინით „Amicus Curiae“, წარმოადგენს სიახლეს ქართული სისხლის საპროცესო სამართლისთვის. იგი თავდაპირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში დაინერგა და დღემდე დიდი წარმატებით მოქმედებს. მოგვიანებით, ეს ინსტიტუტი კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში ამუშავდა, რომელსაც წარმატებით იყენებს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო¹⁰⁰. საქართველოში „სასამართლოს მეგობარი“ პირველად დაინერგა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში

100 იხ. ასევე ჩხეიძე, ი.: სასამართლოს მეგობარი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (Amicus Curiae), ჟურნალი: მართლმსაჯულება და კანონი 3 (30), 2011, გვ. 134-138.

2009 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად 2010 წლის 1 ოქტომბრიდან აღნიშნული ინსტიტუტი ამოქმედდა ასევე სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში.

„სასამართლოს მეგობრის“ ინსტიტუტის მიზანია, რომ პირს ან პირთა ჯგუფს, რომელთა ინტერესის სფეროში შედის სასამართლოში განსახილველი საკითხი, მაგრამ ის არ არის რომელიმე მხარე, შეეძლოს სასამართლოსთვის თავისი არგუმენტების წარდგენა და პროცესში უშუალოდ ჩართვა. შესაბამისად, სასამართლოს მეგობარი შეიძლება იყოს ნებისმიერი კერძო პირი, სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, მეცნიერი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, სტუდენტი, სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი და ა.შ. სასამართლოს მეგობარი, როგორც წესი, არის კვალიფიციური პირი, რომლის მოსაზრებებმაც შეიძლება სასამართლოს გაუწიოს დახმარება. ამგვარად, აღნიშნულ ინსტიტუტს შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებაზე, რადგან სასამართლო უფრო მეტ წყაროს ეყრდნობა. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს საზოგადოების უფრო მეტ ჩართულობას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ ნდობის ხარისხს და ამყარებს საზოგადოებისა და სასამართლოს შორის კავშირს.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სასამართლოს მეგობარი წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ მონაწილეს. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მეგობარი ვერ იქნება ის პირი, რომელიც პროცესში წარმოადგენს მხარეს. სსსკ-ის 55-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით, რისი მიზანიც უნდა იყოს არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკი-

თხი. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება არ არის შედგენილი კანონის მოთხოვნათა დაცვით, იგი მას არ განიხილავს. ამასთან, სასამართლო არ არის ვალდებული, გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები. სასამართლოს მეგობრის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრება მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. იგი შედგენილი უნდა იქნეს 3 ასლად, რომელთაგან 2 გადაეცემა მხარეებს, ხოლო 1 რჩება მოსამართლესთან. სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან/და მხარის და წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად.

§30. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები, აცილება

სამართლიანი სისხლის სამართლის პროცესის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ მასში მონაწილე პირები, რომლებიც იღებენ პროცესუალური მნიშვნელობის სხვადასხვა ოფიციალურ გადაწყვეტილებებს, მოქმედებდნენ მიუკერძოებლად და არ ამოძრავებდეთ სისხლის სამართლის საქმის მიმართ პირადი ინტერესი. პროცესის ის მონაწილეები, რომელთა მოქმედებებს და გადაწყვეტილებებს არსებითი ზეგავლენა შეუძლიათ მოახდინონ საქმის შედეგზე, უნდა იქნენ სისხლის სამართლის პროცესს ჩამოშორებული, თუკი მათ მხარეზე არსებობს ისეთი გარემოებები, რაც მათ ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში საფუძვლიან ეჭვს იწვევენ. ასეთი პირების სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხვის აუცილებლობა გამომდინარეობს როგორც პროცესის სხვა მონაწილეების კანონიერი ინტერესებიდან, ისე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიუკერძოებლობის და ობიექტურობის მიმართ ნდობის შენარჩუნების ინტერესიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოე-

ბებსა და პროცესის მონაწილეთა აცილების ინსტიტუტს. სსსკ-ის 59-ე მუხლში მოცემულია ის გარემოებები, რომლის არსებობის შემთხვევაშიც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი ან სასამართლო სხდომის მდივანი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ზემოაღნიშნული პირი:

- კანონით დადგენილი წესით არ იყო თანამდებობაზე დაინიშნული ან არჩეული;
- ამ საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა, როგორც ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი ან მოწმე;
- ამ საქმეზე გამოძიება მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს;
- არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი; ასევე, როდესაც ეს პირები ერთმანეთის ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი ამომწურავად არ აყალიბებს პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებებს, ვინაიდან, პროცესის დროს სავსებით შესაძლებელია გამოვლინდეს სხვა ისეთი გარემოება, რომელიც საექტოს ხდის ზემოთ ხსენებული პირების ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. ასეთი გარემოება შეიძლება იყოს მაგალითად, როდესაც მოსამართლე საქმის განხილვისას ღიად აფიქსირებს თავის უარყოფით შეხედულებას ბრალდებულისადმი, მას უწოდებს საქვეყნოდ კრიმინალს ან სხვაგვარად ავლენს თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას ბრალდებულისადმი. ასევე, როდესაც მოსამართლე და ბრალდებული ერთმანეთთან მეგობრულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან და ისინი სასამართლოს გარეთ ერთად არაერთხელ ყოფილან სხვადასხვა სიტუაციებში დაფიქსირებული. ასეთ დროს ობიექტურ დამკვირვებელს შეუძლია გაუჩნდეს საფუძვლიანი ეჭვი მოსამართლის მიუკერძოებლობაში, რაც გახდება მისი სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოება სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

ზემოაღნიშნულის გარდა, კანონი ითვალისწინებს მოსა-

მართლის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამოძიებულ სხვა დამატებით გარემოებებს. კერძოდ, სსსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში, თუ იგი ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც გამომძიებელი, პროკურორი, წინასასამართლო სხდომის, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს მოსამართლე ან სასამართლო სხდომის მდივანი¹⁰¹. ეს წესი ვრცელდება იმ მოსამართლეზეც, რომელიც მონაწილეობდა სისხლის სამართლის საქმის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განხილვაში. აქედან გამონაკლისია მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვაში იმ მოსამართლის მონაწილეობა, რომელიც ადრე ამ საქმის საკასაციო წესით განხილვაში მონაწილეობდა (სსსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილი). მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას ასევე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო შეტანილი საჩივრის განხილვაში.

განსხვავებით მოსამართლისგან, პროკურორისა და გამომძიებლის მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულება სისხლის სამართლის პროცესის არცერთ სტადიაზე არ აბრკოლებს ამ საქმეში მათ შემდგომ მონაწილეობას (სსსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

სსსკ-ის 59-ე მუხლის მე-6 ნაწილი მხოლოდ გამომძიებელს უზღუდავს მონაწილეობას დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით ჩასატარებელ საგამომძიებო მოქმედებაში, თუ არ არსებობს დაცვის მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობა გამომძიებლის მონაწილეობის თაობაზე.

კანონმდებელი ცალკე გამოყოფს ადვოკატისა და თარჯიმნის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებებს. სსსკ-ის მე-60 მუხლი გამორიცხავს ადვოკატის მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ:

- ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, ნა-

101 კანონი არ უკრძალავს იმ მოსამართლეს საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობას, რომელმაც გამომძიებლის ეტაპზე განიხილა მხარეთა ცალკეული შუამდგომლობები და საჩივრები.

ფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მონშე ან ექსპერტი;

- იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს;
- ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა ამ საქმის გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვაში.

ასევე, თარჯიმანს უფლება არა აქვს, მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში, როცა არსებითად დამოკიდებულია სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მონაწილეზე ან/და ნათესაური ურთიერთობა აქვს მასთან (სსსკ-ის 61-ე მუხლი).

თუკი გამოვლინდება ზემოაღნიშნული პირების მონაწილეობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, ისინი ვალდებულიები არიან, რომ განაცხადონ დაუყოვნებლივ თვითაცილებზე. გამომძიების ეტაპზე პროცესის მონაწილე თვითაცილების შესახებ განცხადებას აკეთებს პროკურორთან, ხოლო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას კი – სასამართლოში, რომელიც აუცილებლად დასაბუთებული უნდა იყოს. შესაბამისად, გამომძიებელი თვითაცილების შესახებ განცხადებით მიმართავს საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს, პროკურორი – მის ზემდგომ პროკურორს, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას – სასამართლოს. მოსამართლე თვითაცილების შესახებ განცხადებას აკეთებს სასამართლოს თავმჯდომარესთან. თვითაცილების შესახებ დასაბუთებულ განცხადებას ადვოკატი, თარჯიმანი, ექსპერტი აკეთებენ პროკურორთან, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას ზემოაღნიშნული პირები და სასამართლო სხდომის მდივანი – სასამართლოში. რაც შეეხება ექსპერტის თვითაცილების საფუძველი მისი პროფესიული არაკომპეტენტურობა (სსსკ-ის 62-ე მუხლი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე აცილების ინსტი-

ტუტს. მისი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც პროცესის რომელიმე მონაწილე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ აკეთებს თვითაღიარების განცხადებას, მხარეებს ენიჭებათ უფლება, დააყენონ მისი აცხადების შუამდგომლობა. მნიშვნელოვანია, რომ აცხადების შუამდგომლობა დაყენებული უნდა იქნეს დაუყოვნებლივ, პირველი შესაძლებლობისთანავე, მას შემდეგ, რაც მხარისთვის ცნობილი გახდება აცხადების საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში შუამდგომლობა არ განიხილება. გამოძიების ეტაპზე გამოძიებლის ან თარჯიმნის აცხადების შუამდგომლობა დაყენებული უნდა იქნეს პროკურორთან, ხოლო პროკურორის - მის ზემდგომ პროკურორთან. საქმის სასამართლო განხილვისას მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, სასამართლო სხდომის მდივნის, ადვოკატის ან თარჯიმნის აცხადების შუამდგომლობას მხარეები აყენებენ სასამართლოში (სსსკ-ის 63-ე მუხლი).

სსსკ-ის 64-ე მუხლის მიხედვით, აცხადების შუამდგომლობა ნყდება შემდეგნაირად: თუ მხარე დააყენებს მოსამართლის აცხადების შუამდგომლობას, საქმის ერთპიროვნულად განხილვისას აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად ეს მოსამართლე, ხოლო საქმის კოლეგიურად განხილვისას, თუ აცხადების შუამდგომლობა დაყენებულია მოსამართლის (მოსამართლეების) მიმართ, - ის მოსამართლე (მოსამართლეები), რომლის (რომელთა) მიმართაც აცხადების შუამდგომლობა არ დაყენებულა. საქმის კოლეგიურად განხილვისას, თუ აცხადების შუამდგომლობა დაყენებულია სასამართლოს მთელი შემადგენლობის მიმართ, გადაწყვეტილებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა.

რაც შეეხება შუამდგომლობის განხილვის ვადებს, გამოძიებისას დაყენებული აცხადების შუამდგომლობა უნდა გადაწყდეს 24 საათში, ხოლო სასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობა - დაუყოვნებლივ, სათათბირო ოთახში ან ადგილზე თათბირით. განცხადებული აცხადების შუამდგომლობაზე პროკურორს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს - განჩინება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირს, რომელსაც აცხადება მისცეს, აცხადების საკითხის განხილვამდე უფლება აქვს, მისცეს განმარტება.

მოსამართლის ან სასამართლოს მთელი შემადგენლობის აცილების შემთხვევაში საქმე განსახილველად გადაეცემა სხვა მოსამართლეს ან განისაზღვრება საქმის განმხილველი სასამართლოს ახალი შემადგენლობა. კერძოდ, თუ აცილებულ იქნა საქმის განმხილველი მოსამართლე ან სასამართლოს მთლიანი შემადგენლობა, საქმე გადაეცემა სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას განსახილველად გადასცემს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას; თუ აცილებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მთელი შემადგენლობა, იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად საქმე გადაეცემა შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის შესვლიდან 48 საათის განმავლობაში წყვეტს აღნიშნულ საკითხს; ხოლო, თუ აცილებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მთელი შემადგენლობა, იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად საქმე გადაეცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის შესვლიდან 48 საათის განმავლობაში წყვეტს აღნიშნულ საკითხს (სსსკ-ის 65-ე მუხლი).

სსსკ-ის 66-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა აცილების შუამდგომლობა, არ გასაჩივრდება, ხოლო გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გამოძიებლის აცილების შუამდგომლობა, შეიძლება ერთჯერადად, ერთი კვირის ვადაში გასაჩივრდეს საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის ზემდგომ პროკურორთან. რაც შეეხება სასამართლოს უარს აცილების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, იგი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად.

§31. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიებები

არსებობს შემთხვევები, როდესაც პროცესის მონაწილე (განსაკუთრებით მოწმე და დაზარალებული) სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას დგება ბრალდებულისგან ან მისი გარემოცვისგან მომდინარე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელ-

ყოფის საფრთხის წინაშე. მოწმე ან დაზარალებული, რომელმაც უნდა მისცეს ან უკვე მისცა ჩვენება ბრალდებულის წინააღმდეგ შესაძლოა გახდეს ამ უკანასკნელის რეპრესიების მსხვერპლი. სახელმწიფომ სისხლის სამართლის პროცესის განხორციელებით საფრთხეში არ უნდა ჩააგდოს პროცესის მონაწილეების, ან მათი ოჯახის წევრების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და საკუთრება. სამართლებრივ სახელმწიფოში დაუშვებელია სიმართლის დადგენა ყველაფრის ფასად. ამიტომ, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დაიცვას მის მიერ წარმოებულ პროცესში მონაწილე პირები, ასევე მათი ოჯახის წევრები არსებული საფრთხეებისგან. აღნიშნულმა საკითხმა აქტუალობა შეიძინა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში, რასაც მოჰყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ რეზოლუციების მიღება¹⁰². ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე ევროპის კავშირის საბჭოს 2001 წლის 15 მარტის ჩარჩო-კონვენცია „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებების შესახებ“, რომლის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, რომ უზრუნველყონ დანაშაულის მსხვერპლის და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ოჯახის წევრების ან მათთან გათანაბრებული პირების, განსაკუთრებით, მათი პერსონალური უსაფრთხოებისა და პირადი სფეროს დაცვის გათვალისწინებით, შესაბამისი დაცვა, თუკი კომპეტენტური უწყების შეხედულებით, არსებობს აღნიშნულ პირებზე შურისძიების მიზნით თავდასხმის საშიშროება ან თუ არსებობს დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა, რომ მოხდება მათი პირადი სფეროს მძიმე და მიზანმიმართული ხელყოფა. იგივეს იმეორებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012\29\EU დირექტივა „დანაშაულის მსხვერპლის უფლებების მინიმალური სტანდარტებისა და მხარდაჭერის შესახებ“. აღნიშნული დირექტივის მე-4 თავი ეძღვნება დანაშაულის მსხვერპლის და მათი ოჯახის წევრების დაცვის საჭიროებებს და ამ მიზნით გასატარებელ კონკრეტულ ღონისძიებებს.

¹⁰² იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/34 რეზოლუცია: „მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია დანაშაულის შედეგად დაზარალებულთათვის“.

კანონმდებელმა გაითვალისწინა ზემოაღნიშნული საერთაშორისო მიდგომა და ამასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 თავში განსაზღვრა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნული ღონისძიებები გამოიყენება პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვის გზით. პროკურორი უფლებამოსილია, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით, გამოიყენოს პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიება და დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართოს პროცესის მონაწილე, ან პირი, რომელიც შეიძლება გახდეს პროცესის მონაწილე, მასთან დაკავშირებული პირი ან/და მისი ახლო ნათესავი, მათი თანხმობით. პროცესის მონაწილის დაცვის ღონისძიებებს აღასრულებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ასეთ ღონისძიებებს მიეკუთვნება:

- მიკვლევის სანინალმდეგო ღონისძიებების გატარება საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერში პროცესის მონაწილის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის, შეცვლა ან ამოღება;
- ზემოხსენებული პირებისთვის ვინაობის შეცვლა და მასზე ახალი დოკუმენტების გაცემა, ფსევდონიმის მინიჭება, გარეგნობის შეცვლა, ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი საპროცესო და სხვა დოკუმენტების გასაიდუმლოება;
- უსაფრთხოების ზომების მიღება (პირადი დაცვა, განგაშზე გამოძახება და სხვ.);
- საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა;
- სხვა სახელმწიფოში გაყვანა (რელოკაცია).

პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს (სსსკ-ის 68-ე მუხლი). დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება არ არის საჯარო. ეს გადაწყვეტილება ეცნობება მხოლოდ

დასაცავ პირს. დაცვის სპეციალური ღონისძიება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გარკვეული ვადით ან უვადოდ. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ვადის ამონურვის შემთხვევაში შესაძლებელია ვადის გაგრძელება, თუ კვლავ არსებობს ამ ღონისძიების გამოყენების საჭიროება. დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში ამ ღონისძიებას აუქმებს მისი გამოყენების შესახებ განწყვეტილების მიმღები პირი, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება დასაცავ პირს (სსსკ-ის 70-ე მუხლი).

სსსკ-ის 67-ე მუხლი განსაზღვრავს ზემოაღნიშნული ღონისძიების გამოყენების საფუძველს, რომლის თანახმად, ის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს თუ:

- განიხილება საქმე ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვაც თავისი ბუნებით არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას;
- პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას;
- პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე.

მეოთხე თავი

მტკიცებულება, მტკიცება და დაუშვებელი მტკიცებულებაჰი სისხლის სამართლის პროცესში

§32. ზოგადი დებულებანი

მოსამართლემ, რომ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ბრალდებულის დამნაშავეობის ან უდანაშაულობის შესახებ და დადასტურებულად ან დაუდასტურებლად მიიჩნიოს სისხლის სამართლის საქმისთვის რელევანტური გარემოებები, ამისათვის მას ესაჭიროება „ობიექტური ფუნდამენტი“¹⁰³. აღნიშნულ ობიექტურ ფუნდამენტს ქმნის სასამართლოში წარდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებები.

შეჯიბრებით პროცესში ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება ეკისრება პროკურორს. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ასევე უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპიდანაც. უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, პროკურორმა ბრალდებულის ბრალეულობის დასამტკიცებლად სასამართლოს იმ ხარისხის მტკიცებულებები უნდა წარუდგინოს, რომ მოსამართლეს გონივრული ეჭვიც არ დარჩეს პირის ბრალეულობაში. ამასთან, პროკურორს კანონი არ აკისრებს იმის ვალდებულებას, რომ მან სასამართლოს წარუდგინოს ასევე ბრალდებულის გამამართლებელი ან პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულებები. უდანაშაულობის პრეზუმფციიდან და თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს ფორმალურად არ გააჩნია მტკიცების ტვირთი. შესაბამისად, დაცვის მხარის დისკრეციას წარმოადგენს, წარადგენს თუ არა იგი რაიმე სახის მტკიცებულებას სასამართლოში. მტკიცებულების წარუდგენლადაც დაცვის მხარე უფლებამოსილია ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, მაგალითად, მოწმის ჩვენების სანდოობა ჯვარედინი დაკითხვის გზით იმდენად შეარყიოს, რომ მოსამართლეს ეჭვი გაუჩნდეს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით. როგორც უკვე აღი-

¹⁰³ იხ. ასევე *Folk, K.* (2006), იქვე, გვ. 218.

ნიშნა, მოსამართლე თავად არ იკვლევს ჭეშმარიტებას, არამედ, იგი უზრუნველყოფს მხარეებისთვის სამართლიან, შეჯიბრებით და თანასწორ პროცესს, რათა თავად მხარეებმა თანაბარ პირობებში წარმოადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები და ამ გზით ხელი შეუწყონ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

როდესაც საუბარია სისხლის სამართლის პროცესში ჭეშმარიტების დადგენაზე, მაშინ ყოველთვის დაისმის კითხვა: რა საშუალებებზე დაყრნობით (მტკიცებულებები) და რა პროცედურების შედეგად უნდა დამტკიცდეს იგი (მტკიცება)? ასევე, რა გარემოებებზე უნდა გავრცელდეს აღნიშნული პროცესი (მტკიცების საგანი და ფარგლები)? ყველა დასმული შეკითხვა წარმოადგენს „მტკიცებითი სამართლის“¹⁰⁴ კვლევის საგანს, რომელიც სისხლის საპროცესო სამართლის განუყოფელი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია.

ქვემოთ განხილული იქნება მტკიცებითი სამართლის ძირითადი საკითხები და პრობლემები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე მიმოხილვაში არ მოხდება პრობლემათა სიღრმისეული კვლევა, რადგან აღნიშნული საკითხთა სიმრავლიდან და მოცულობიდან გამომდინარე სცილდება მიმოხილვის ფარგლებს.

§33. მტკიცებულებათა სახეები

მტკიცებულების ზოგადი საკანონმდებლო დეფინიცია მოცემულია სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილში, რომლის თანახმად, იგი წარმოადგენს კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის შემცველ საგანს, დოკუმენტს, ნივთიერებას ან სხვა ობიექტს, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტე-

¹⁰⁴ იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში „მტკიცებითი სამართლის“ ნაცვლად გამოიყენება ასევე ტერმინი „მტკიცებულებითი სამართალი“, რაც არ არის მართებული; აღნიშნულის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ხარაზიშვილი, ბ.: მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები), 1982, გვ. 3-4; ფაფიაშვილი, შ.: სახელმძღვანელოში: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, 2013, გვ. 227-228.

რესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

ვიდრე გადავალთ ზემოთ მითითებული ცალკეული მტკიცებულებების განხილვაზე, მნიშვნელოვანია მოვახდინოთ მათი გარკვეული ნიშნით კლასიფიკაცია, რასაც გააჩნია, როგორც პრაქტიკული ისე, თეორიული მნიშვნელობა.

1. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია

მტკიცებულებათა კლასიფიკაცია თავისი შინაარსის, წარმომავლობისა და მნიშვნელობის მიხედვით პირობითად შესაძლებელია მოვახდინოთ შემდეგნაირად¹⁰⁵: 1. გამამტყუნებელი და გამამართლებელი მტკიცებულებები; 2. პიროვნული და ნივთიერი მტკიცებულებები; 3. პირველადი და წარმოებული მტკიცებულებები; 4. პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებები.

1. გამამტყუნებელი და გამამართლებელი მტკიცებულებები. აღნიშნული კატეგორიის მტკიცებულებებს შეიძლება ასევე ვუნოდოთ ბრალდების მხარის მტკიცებულებები და დაცვის მხარის მტკიცებულებები. აღნიშნულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს შეჯიბრებითი და თანასწორი სისხლის სამართლის პროცესი. როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, შეჯიბრებით და თანასწორ სისხლის სამართლის პროცესში მხარეები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოიპოვებენ მტკიცებულებებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ გამოძიების ეტაპზე გამოძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად (სსსკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი)¹⁰⁶. თუმცა, არ

¹⁰⁵ მტკიცებულებების ცალკეულ სახეობად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი პოზიცია; იხ. აღნიშნულთან დაკავშირებით ბარაზიშვილი, ბ. (1982), იქვე, გვ. 106-138; გოგიაშვილი, ნ.: სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, მე-2 გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, გოგუშვილი, რ. (რედ.), 2009, გვ. 396-400; ფაფიაშვილი, შ. (2013), იქვე, გვ. 235-238.

¹⁰⁶ იხ. უფრო ვრცლად თავი III, §22, I.

არსებობს ბრალმდებლის ვალდებულება, რომ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისთვის სასამართლოს ბრალდების გამაქარნყლებელი მტკიცებულებები წარუდგინოს. დაცვის მხარე უფლებამოსილია გამოძიების ეტაპზე მოიპოვოს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც სასარგებლოა ბრალდებულის დაცვის პოზიციების გასამყარებლად, რომლების ამართლებენ ბრალდებულს ჩადენილ დანაშაულში ან უმსუბუქებენ მას სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. განსხვავებით ბრალდების მხარისგან, დაცვის მხარეს კანონით არ ეკისრება ობიექტურობის ვალდებულება გამოძიების ეტაპზე მტკიცებულებების მოპოვებისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, *გამამტყუნებელ მტკიცებულებებზე* უნდა მივიჩნიოთ ყველა ის მონაცემი და ინფორმაცია, რომელზეც ბრალდების მხარე ამყარებს პირის მიმართ წარდგენილ ბრალდებას და რომელიც ამხელს პირს დანაშაულის ჩადენაში, სასჯელის დანიშვნისას უმძიმებს მას სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ან სხვაგვარად ამძიმებს ბრალდებულის პროცესუალურ მდგომარეობას. ამგვარ მტკიცებულებას მიეკუთვნება მაგალითად, დაზარალებულის (მონმის) ჩვენება, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ცალკეულ დეტალებზე ან დანაშაულის შედეგად დაზარალებულისთვის მიყენებული არსებითი ხასიათის ზიანზე. ამის საპირისპიროდ, *გამამართლებელი* ყველა ის მონაცემი ან ინფორმაცია, რომელიც ამართლებს პირს ჩადენილ დანაშაულში და რომელსაც იყენებს დაცვის მხარე ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების გასაქარნყლებლად ან ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად. მაგალითად, ასეთ მტკიცებულებას შეგვიძლია მივაკუთვნოთ დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ბრალდებულის დანაშაულის ჩადენის დღეს საზღვარგარეთ ყოფნას, რაც გამორიცხავს გარკვეულ ადგილას და დროს მის დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობას.

2. პიროვნული და ნივთიერი მტკიცებულებები. მტკიცებულებების ამგვარი დაყოფა ემყარება ინფორმაციის მიღების წყაროს. მონაცემები (ცნობები) სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ცალკეული გარემოებების შესახებ, რომლებიც

მომდინარეობს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირთაგან წარმოადგენს პიროვნულ მტკიცებულებებს. ხოლო, ყველა ის ინფორმაცია, რომელიც მიიღება მატერიალური ობიექტის (საგნის) ნიშნების, თვისების ან მასზე არსებული კვალის უშუალო აღქმით, მიეკუთვნება ნივთიერ მტკიცებულებებს¹⁰⁷.

პიროვნული მტკიცებულებებია მაგალითად, მოწმის ზეპირი ჩვენება, მისი დაკითხვის ოქმი (ასევე მოწმის აუდიო და ვიდეო ფორმატში დეპონირებული ჩვენება), ექსპერტის მიერ მომზადებული დასკვნა და სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების დროს შედგენილი ოქმები, სადაც დაფიქსირებულია პროცესის მონაწილეების მიერ სხვადასხვა გარემოებათა და ფაქტების თაობაზე აღქმული და გადმოცემული ინფორმაცია. ნივთიერ მტკიცებულებებს კი წარმოადგენენ მაგალითისთვის, დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანაშაულის შედეგად უკანონოდ მიღებული მატერიალური ფასეულობები, დამნაშავის მიერ დატოვებული კვალი და ა.შ.

3. პირველადი და წარმოებული მტკიცებულებები. შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში, სადაც მხარეს ენიჭება მოწმის ჯვარედინი დაკითხვის უფლება, მტკიცებულებათა ამგვარ კლასიფიკაციას გააჩნია დიდი მნიშვნელობა.

პირველად მტკიცებულებად ითვლება ის მტკიცებულება, რომელიც მიღებულია პირველი წყაროდან. მეორე წყაროდან მიღებული ყველა ინფორმაცია და მონაცემი მიეკუთვნებიან წარმოებულ მტკიცებულებებს¹⁰⁸. მაგალითისთვის, პირველადი მტკიცებულებაა დანაშაულის თვითმხილველი მოწმის მიერ მიცემული ჩვენება, ხოლო წარმოებული მტკიცებულებაა მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ამ უკანასკნელი ტიპის მტკიცებულებას სსსკ-ის 76-ე მუხლი „ირიბ ჩვენებას“ (ე.ი. ირიბ მტკიცებულებას) უწოდებს¹⁰⁹.

როგორც ზემოთ გვექონდა საუბარი, უშუალოდ პრინციპის მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, რომ სისხლის სამართლის საქმის

107 იხ. ასევე გოგნიაშვილი, ნ. (2009), იქვე, გვ. 396-400; ფაფიაშვილი, შ. (2013), იქვე, გვ. 400.

108 იხ. გოგნიაშვილი, ნ. (2009), იქვე, გვ. 397-398.

109 მეცნიერთა ერთი ნაწილი წარმოებული მტკიცებულების სისხლის საპროცესო კანონმდებლობაში ირიბი ჩვენების სახელით მოხსენიებას არამართებულად მიიჩნებს; იხ. ფაფიაშვილი, შ. (2013), იქვე, გვ. 238-247.

სასამართლოში განხილვისას უპირველეს ყოვლისა გამოკვლეული უნდა იყოს პირველადი მტკიცებულებები, რამდენადაც ისინი უშუალო კავშირში არიან დანაშაულის შემთხვევასთან და უშუალო ცნობებს იძლევიან საქმისთვის მნიშვნელოვანი ცალკეული გარემოებების შესახებ. ასევე, პირველადი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენის გზით მხარის ჯვარედინი დაკითხვის უფლების რეალიზაცია ხდება, რადგან მხარეს შესაძლებლობა აქვს დანაშაულებრივი ფაქტის უშუალო თვითმხილველ მოწმეს დაუსვას კითხვები და გამოავლინოს მოწმის მიერ მიცემული ჩვენების უზუსტობები და წინააღმდეგობები, რაც ეჭვქვეშ დააყენებს მის და პირველადი მტკიცებულების სანდოობას. მოწმის ირიბი ჩვენების დროს მხარეს აღნიშნული შესაძლებლობა არ გააჩნია, ვინაიდან, მოწმე თავად არ შესწრებია დანაშაულებრივ ფაქტს და იგი იმეორებს მხოლოდ იმას, რაც საქმის გარემოებათა შესახებ სხვა პირებისგან მოისმინა. ასეთი მოწმის ჯვარედინი დაკითხვის გზით შეუძლებელია ინფორმაციის გამავრცელებელი პირის სანდოობის ეჭვქვეშ დაყენება. შესაბამისად, წარმოებული მტკიცებულებები მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს სასამართლოში წარდგენილი და გამოკვლეული, როდესაც საქმეში მოიპოვება იმავე გარემოებებთან დაკავშირებული პირველადი მტკიცებულებები ან როდესაც პირველადი მტკიცებულებების წარდგენა ობიექტურად არის შეუძლებელი.

4. პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებები. მტკიცებულებების ასეთი კლასიფიკაცია პირდაპირ კავშირშია მტკიცების საგანთან¹¹⁰.

მტკიცებულებები, რომლებიც უშუალოდ ადასტურებენ მტკიცების საგანს მიკუთვნებულ რომელიმე ელემენტს (მაგ., დანაშაულში ბრალდებულის მონაწილეობის ფაქტი) და ამტკიცებენ მთავარ ფაქტებს, წარმოადგენენ *პირდაპირ მტკიცებულებებს*. ასეთი მტკიცებულებაა მაგალითისთვის, ქუჩის სათვალთვალო კამერით გადაღებული ვიდეო კადრი, სადაც ამკარად ჩანს, თუ როგორ ესვრის ბრალდებული ცეცხლსასროლი იარაღიდან დანაშაულის მსხვერპლს. განსხვავებით პირდაპირი მტკიცებულებისგან, *არაპირდაპირი მტკიცებულება* პირდაპირ და უშუალო კავშირში არ არის მტკიცების საგანთან, თუმცა

¹¹⁰ მტკიცების საგნის შესახებ იხ. ქვემოთ §34, III.

სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და სხვა ფაქტებთან განხილვის შედეგად შესაძლებელია მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება მტკიცების საგნისა და მთავარი ფაქტების შესახებ¹¹. ასეთი მტკიცებულების კატეგორიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ აუდიო ჩანაწერი, სადაც ბრალდებული დანაშაულის შემთხვევამდე 2 დღით ადრე მსხვერპლს სატელეფონო საუბარში მოკვლით ემუქრებოდა. აღნიშნული მტკიცებულება პირდაპირ არ ამტკიცებს იმას, რომ ბრალდებულმა მოკლა პირი, მაგრამ, სხვა მტკიცებულებებთან ერთად იგი ბრალდებულის მკვლელობაში სამხელად ვარგისი მტკიცებულებაა.

II. ცალკეული მტკიცებულებები

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობს შემდეგი სახის მტკიცებულებებს:

- ა) ბრალდებულის ჩვენება;
- ბ) მოწმის ჩვენება;
- გ) ნივთიერი მტკიცებულება;
- დ) დოკუმენტი.

ამრიგად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემულია მტკიცებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი და ამისგან განსხვავებულ მტკიცებულებებს სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებითი მნიშვნელობა ვერ მიენიჭება (ე.წ. *numerus clauses*-ის პრინციპი).

ცალკე უნდა გამოვყოთ პრეიუდიცია, რომელსაც სასამართლო გამოკვლევის გარეშე იღებს მტკიცებულებად.

1. ბრალდებულის ჩვენება

ბრალდებული სისხლის სამართლის პროცესში გვევლინება არა მხოლოდ პროცესის აქტიურ სუბიექტად და მხარედ, არამედ იგი ამავედროულად წარმოადგენს მტკიცებულებასაც *ვინრო* და *ფართო* გაგებით. *ვინრო* გაგებით მტკიცებულებაა ბრალ-

111 იხ. გოგნიაშვილი, ნ. (2009), გვ. 399; ხარაზიშვილი, ბ. (1982), იქვე, გვ. 122.

დებულის ჩვენება, ხოლო ფართო გაგებით მტკიცებულებას წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შედეგად ბრალდებულის სხეულიდან მიღებული სხვადასხვა ნიმუშები. მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ბრალდებულის სხეულიდან ნიმუშის სახით სისხლის, თმის ღერის, თითის ანაბეჭდების და ა.შ. აღების შესაძლებლობას, რაც სათანადო საექსპერტო კვლევის დასკვნიდან გამომდინარე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულების სახით სისხლის სამართლის პროცესში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი განსაზღვრავს ბრალდებულის ჩვენებას (მტკიცებულება ვინრო გაგებით), როგორც ერთ-ერთი მტკიცებულების სახეს. აღნიშნული განსაზღვრების თანახმად, ბრალდებულის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ (სსსკ-ის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). როგორც უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი, ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა და განსხვავებით (ბრალდებულის პროცესუალური სტატუსის არმქონე) მოწმისგან, დაუშვებელია მისი იძულება ჩვენების მისაცემად. თუ ბრალდებული გადაწყვეტს სასამართლოში ჩვენების მიცემას, მაშინ იგი, როგორც მოწმე შესაძლებელია დაიკითხოს ჯვარედინი დაკითხვის წესითაც. თუმცა მას ნებისმიერ მომენტში უფლება აქვს შეწყვიტოს ჩვენების მიცემა, რაც კანონის თანახმად, ვერ შეფასდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. ზემოაღნიშნულის გარდა, ბრალდებულის ჩვენებას მოწმის ჩვენებასთან შედარებით გარკვეული თავისებურება ახასიათებს. ერთი მხრივ, ბრალდებულმა შესაძლოა თავისი ჩვენებით ქეშმარიტების დადგენაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანოს, ვინაიდან არსებობს ცალკეულ გარემოებათა შესახებ ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება ფლობდეს მხოლოდ ბრალდებული. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ ბრალდებულს სხვა მოწმეებთან შედარებით საქმესთან განსხვავებული ემოციური და სუბიექტური დამოკიდებულება გააჩნია და იგი ეცდება სასამართლოსთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების გზით შეუწყოს ხელი მის გამართლებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებული იცნობს სისხლის სამართლის მასალებს, ესწრება სხვა

მონმეების დაკითხვას და ამდენად აქვს შესაძლებლობა თავისი ჩვენებაც მოარგოს თავის სასარგებლოდ სხვა მტკიცებულებებს და ამ გზით შეიყვანოს სასამართლო შეცდომაში. საყურადღებოა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ბრალდებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ცრუ ჩვენებისთვის. სსკ-ის 370-ე მუხლის თანახმად, ცრუ ჩვენების მიცემისთვის შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ მონმემ და დაზარალებულმა. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული „მონმის“ ქვეშ არ უნდა მოვიაზროდ ასევე ბრალდებული-მონმე. მართალია, სსსკ-ის 47-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში ჩვენების მიცემისას მონმის სტატუსით სარგებლობს და მისი უფლებები ენიჭება ბრალდებულს, მაგრამ ბრალდებული-მონმის სსკ-ის 370-ე მუხლით გათვალისწინებულ „მონმესთან“ გაიგივება არ იქნებოდა ნორმის სწორი განმარტება. სსსკ-ის 47-ე მუხლი ჩვენების მიცემისას მონმის სტატუსს ბრალდებულთან ერთად ასევე ანიჭებს დაზარალებულსაც, თუმცა სსკ-ის 370-ე მუხლი ცალ-ცალკე მოიხსენიებს მონმეს და დაზარალებულს. შესაბამისად, მატერიალური სისხლის სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებს მონმეს (ე.წ. *მონმე ვინრო გაგებით*) და დაზარალებულ-მონმეს (*მონმე ფართო გაგებით*). სხვა შემთხვევაში კანონმდებელი მონმისგან დაზარალებულ-მონმეს არ გამიჯნავდა. ვინაიდან, სსკ-ის 370-ე მუხლში მონმისა და დაზარალებულის გვერდით არ არის ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის შესახებ მითითებული, არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი ბრალდებულის აღნიშნული ქმედების გამო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მისაცემად. იგივე შეიძლება ითქვას სსკ-ის 371-ე მუხლზე, რომელიც აკისრებს მონმესა და დაზარალებულს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს აგრეთვე სსსკ-ის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც კრძალავს ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტის ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად შეფასებას. დაუშვებელია ბრალდებულის ცრუ ჩვენება მის საუარესოდ იქნეს მოსამართლის მიერ შეფასებული, რადგან სავსებით წარმოსადგენია, რომ უდანაშაულო პირმა ყველა საშუალებით, მათ შორის ტყუილის

გზით ეცადოს მის მიმართ არსებული ეჭვების გაფანტვა და მოსალოდნელი მსჯავრდების თავიდან აცილება¹¹². შესაბამისად, ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემას ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმას არ უნდა მოყვეს ამ უკანასკნელისთვის ნეგატიური პროცესუალური და მატერიალური შედეგები. აქვე საყურადღებოა, რომ ბრალდებულმა შესაძლოა სისხლისსამართლებრივად აგოს პასუხი, თუ იგი ჩვენების მიცემისას დანაშაულის ჩადენაში ცრუდ დაასმენს სხვა პირს (სსკ-ის 373-ე მუხლი).

შესაძლებელია, რომ ბრალდებულმა ჩვენების მიცემისას აღიაროს ჩადენილი დანაშაული და მის მიერ სასამართლოში ბრალის აღიარება იყოს გულწრფელი და იგი ეჭვს არ იწვევდეს. როგორც უკვე აღინიშნა, თანამედროვე ქართულ შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში პროცესის ძირითად საგანს წარმოადგენს ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდება. ამიტომ ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ თუ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, მაშინ დავის საფუძველიც აღარ არსებობს და მოსამართლემ დანაშაულის აღიარებიდან გამომდინარე უნდა გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი. თუმცა, კანონმდებელი მართებულად მიუთითებს იმაზე, რომ ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება საფუძველად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებებით (სსსკ-ის 74-ე მუხლის მე-4 ნაწილი). კანონმდებელი საკითხისადმი ასეთი მიდგომით ცდილობს იმის თავიდან აცილებას, რომ გაუმართლებლად მსჯავრი დაედოთ ისეთ პირებს, რომლებმაც სხვის მაგივრად თავის თავზე აიღეს დანაშაული და ამით ცდილობენ რეალური დამნაშაევებისთვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას. გარდა ამისა, პირის მიმართ სასჯელის სწორად დანიშვნისთვის მნიშვნელოვანია, რომ გამოკვლეული იყოს ყველა ის მტკიცებულება, რომელიც გავლენას ახდენს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობაზე. სათანადოდ გამოკვლეული უნდა იქნეს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებები. ამასთან, სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულე-

¹¹² იხ. ასევე Kühne, H.-H. (2010), იქვე, გვ. 487.

ბათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას (სსსკ-ის 13-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 აბზაცი).

აღნიშნული საკითხი სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესში განსხვავებულად არის მოწესრიგებული. ცალკეულ ქვეყნებში ბრალდებულის ჩვენებას, როგორც მტკიცებულებას ნაკლები მტკიცებულებითი მნიშვნელობა ენიჭება, ზოგიერთ ქვეყანაში კი ბრალდებულის ჩვენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა და სხვა მტკიცებულებებთან შედარებით მას მეტი მტკიცებულებითი ძალა გააჩნია. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის პროცესო სამართალი ახდენს მტკიცებულებების ამომწურავ ჩამონათვალს: *მონმისგან მიღებული მტკიცებულება, ექსპერტისგან მიღებული მტკიცებულება, დოკუმენტური მტკიცებულება* და *დათვლიერებისა და დაკვირვების შედეგად აღქმული მტკიცებულება* (ძირითადად საუბარია ნივთიერ მტკიცებულებებზე). აღნიშნულ ჩამონათვალში მოცემული არ არის ბრალდებულის ჩვენება. ამის მიზეზად სახელდება ის გარემოება, რომ ბრალდებულს დუმილის უფლება აქვს და შესაბამისად, ვერ მოხდება მისი იძულება ჩვენების მისაცემად. მიუხედავად ამისა, ბრალდებულს უფლება მაინც ენიჭება სასამართლოში მისცეს ჩვენება. ამ შემთხვევაში მისი ჩვენება მტკიცებულებით ძალას იძენს და მოსამართლეს უფლება აქვს აქედან გამოიტანოს გარკვეული დასკვნები¹¹³. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული მისცემს ცრუ ჩვენებას, ამის გამო მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

მსგავსად გერმანული სისხლის სამართლისა, იტალიაშიც ბრალდებული არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება. დაუშვებელია ბრალდებულის მონმის სტატუსით დაკითხვა. შესაბამისად, იტალიაში ბრალდებულის ჩვენება არ ითვლება მტკიცებულების ერთ-ერთ სახედ. კანონი ანიჭებს ბრალდებულს უფლებას, რომ იგი შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე დაკითხულ იქნეს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე როგორც მხარე. ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია ბრალდებულის ჩვენების გარკვეული ფაქტების დასამტკიცებლად გამოყენება.

113 იხ. Volk, K. (2006), იქვე, გვ. 193.

იგი შეიძლება მხოლოდ შეფასდეს ბრალდებულის პიროვნების სანდოობის თვალსაზრისით¹¹⁴.

გერმანული სისხლის საპროცესო სამართლისგან განსხვავებით, ფრანგული სისხლის სამართლის პროცესი მტკიცებულებათა ამომწურავ ჩამონათვალს არ იცნობს. ფრანგული კანონმდებლობით დაშვებულია ნებისმიერი სახის მტკიცებულების სასამართლოში წარდგენა, რომელიც ვარგისია სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებათა დასამტკიცებლად. მათ შორის, ბრალდებულის ჩვენებაც დასაშვები მტკიცებულებაა¹¹⁵. თუმცა საყურადღებოა, რომ ბრალდებულს კანონი ანიჭებს ცრუ ჩვენებისა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებას, რის შესახებაც პროცესის მწარმოებელმა თანამდებობის პირმა მას წინასწარ უნდა აცნობოს¹¹⁶.

ბრალდებულის ჩვენებას ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში, კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ქვეყნებისგან განსხვავებით სხვა მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, ინგლისსა და უელსში ბრალდებული წარმოადგენს პროცესის სრულფასოვან სუბიექტს და მხარეს. ბრალდებულის სურვილის შემთხვევაში იგი არის საკუთარ საქმეში ასევე კომპეტენტური მონამე. მართალია, დაუშვებელია ბრალდებულის იძულება ჩვენების მისაცემად, მაგრამ თუ იგი მოწმის სტატუსით ჩვენებას იძლევა, იგი ვალდებულია ფიცის ქვეშ მისცეს სასამართლოში ჩვენება და თქვას სიმართლე. ბრალდებულ-მოწმეს ცრუ ჩვენებისთვის დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ინგლისურ სისხლის საპროცესო სამართალში ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის რაც უფრო ადრეულ ეტაპზე მისცემს ბრალდებული აღიარებით ჩვენებას, მით უფრო მეტად შეუმცირდება მას სასჯელის ზომა. ამ გზით ბრალდებულს შესაძლოა 30%-მდე შეუმცირდეს ბრალდებაში მითითებული დანაშაულის

114 Kühne, H.-H. (2010), იქვე, გვ. 727.

115 Barth, H.: კრებულში: Die Beweisaufnahme im Strafverfahrensrecht des Auslands. Rechtsvergleichendes Gutachten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz. Perron, W. (რედაქ.). 1995. გვ. 110.

116 Buisson, J.: La garde à vue dans la loi du 15 juin 2000. კრებულში: Rev. Sc. Crim., 2001. გვ. 36.

ჩადენისთვის გათვალისწინებული სასჯელის ზომა (ე.წ. sentence discount)¹¹⁷. უფრო მეტიც, ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია ცნოს იგი დამნაშავედ შეკრებილი გამამტყუნებელი მტკიცებულებების შემომების გარეშე¹¹⁸. ამრიგად, ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება ეჭვს არ იწვევს, ინგლისელი მოსამართლისთვის ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება საკმარისი მტკიცებულებაა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

2. მონმის ჩვენება

მონმე სისხლის სამართლის პროცესში სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. როგორც წინა თავებში გვქონდა საუბარი, მონმე სასამართლოში იძლევა ჩვენებას სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი იმ ფაქტობრივი გარემოების (გარემოებების) შესახებ, რომელიც პირადად დაინახა, მოისმინა ან სხვაგვარად შეიტყო¹¹⁹.

როდესაც მონმის ჩვენებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან (*ჩვეულებრივი*) მონმისა და *ექსპერტი-მონმის* ჩვენება. როგორც წესი, მონმის ჩვენების საგანი შეიძლება იყოს ძირითადად მხოლოდ ინფორმაცია *გარესამყაროში განვითარებულ მოვლენებთან* დაკავშირებით და არა სუბიექტური რეაქციები, განსაკუთრებით აღნიშნული მოვლენების შეფასებები. განსხვავებით ამისგან, *ექსპერტი-მონმე* თავის ჩვენებაში სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩატარებული კვლევის საფუძველზე აფასებს გარკვეულ მოვლენებს. სწორედ ამიტომ აღნიშნავენ, რომ *მონმე წარმოადგენს სასამართლოს დამატებით თვალს, ხოლო*

117 Kühne, H.-H. (2010), იქვე, გვ. 690.

118 იხ. გუცენკო, კ. (2007), იქვე, გვ. 168.

119 სსსკ-ის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილი განმარტავს ასევე მონმის ჩვენების ცნებას, რომლის თანახმად, იგი წარმოადგენს მონმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ.

ექსპერტი კი – სასამართლოს დამატებით გონებას¹²⁰. შესაბამისად, მხარეებმა (ჩვეულებრივი) მოწმის დაკითხვისას თავი უნდა შეიკავონ ისეთი შეკითხვების დასმისგან, რომელიც მოწმისგან მოვლენების შეფასებას და საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას მოითხოვს. მოწმის ჩვენების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ინფორმაცია გარკვეული მოვლენების შესახებ და არა მოწმის სუბიექტური შეხედულებები და დასკვნები ფაქტების თაობაზე. დასკვნებს და შეფასებებს აკეთებს მხოლოდ მოსამართლე (ნაფიცო მსაჯული) ფაქტების დადგენილად ცნობასთან და ჩვენების სანდოობასთან დაკავშირებით. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნებისმიერი მოვლენის აღქმა და გადმოცემა რეალურად წარმოადგენს სუბიექტური შეფასების აქტს, ვინაიდან, თავად ცნებები, რომლებითაც ადამიანები რეალობას აღწერენ მეტ-ნაკლებად შეფასებითია. ამისთვის შეგვიძლია მოვიტანოთ შემდეგი მაგალითი, სადაც მოწმე თავის ჩვენებაში აღწერს ადამიანის გატაცების შემთხვევას:

„ქუჩაში შევამჩნიე საშუალო სიმაღლის მამაკაცი, რომელსაც აფორიაქება ეტყობოდა და სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა. მას ეცვა მუქი ფერის გრძელი ქურთუკი და ხელში ეჭირა სპორტული ჩანთა. მოულოდნელად მის წინ გაჩერდა ავტომობილი, საიდანაც გადმოხტა ძლიერი აღნაგობის ორი მამაკაცი. ორივე მათგანმა ხანმოკლე საუბრის შემდეგ ერთობლივად ჩასჭიდეს ხელი მას, იძულებით ჩასვეს მანქანაში და სწრაფად მოშორდნენ იქაურობას“.

ზემოაღნიშნულ ჩვენებაში გამოყენებული თითქმის ყველა ზედსართავი სახელი გამოხატავს მთხრობელის ინდივიდუალურ შეფასებასა და შეხედულებას. რამდენად არის ადამიანი საშუალო სიმაღლის ან ძლიერი აღნაგობის დამოკიდებულია ცალკეული პიროვნებების ინდივიდუალურ შეფასებებზე და წარმოდგენებზე. შესაძლებელია ადამიანი ვინმესთვის იყოს საშუალო სიმაღლის ან ძლიერი აღნაგობის, სხვისთვის კი იგივე ადამიანი იყოს მაღალი ან დაბალი, ან ნორმალური აღნაგობის. ფერთა ინდივიდუალურ აღქმაზე და გემოვნებაზეა დამოკიდებული იმის შეფასებაც, თუ როდის არის ქურთუკი მუქი შეფერილობის. ამასთან, ძალზე შეფასებითია დასკვა ადამიანის აფორიაქებულ

¹²⁰ Kühne. H.-H. (2010), იქვე, გვ. 488.

მდგომარეობაზე.

ამრიგად, *მონმის ჩვენების საგანს წარმოადგენს* მონმის მიერ პერსონალურად აღქმული წარსული თუ მიმდინარე, პოზიტიური ან ნეგატიური, გარეგანი ან შინაგანი და ასევე ჰიპოთეტური გარემოებათა შესახებ ინფორმაცია. *მონმის ჩვენების საგანს არ წარმოადგენს* მონმის ინდივიდუალური შეფასებები, დასკვნები, პროგნოზები და თვალთახედვები სამართლებრივ და სხვადასხვა გარემოებათა შესახებ¹²¹.

სსსკ-ის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მონმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება და არ შეიძლება იგი გამოყენებულ იქნეს საქმეზე გადანყვეტილების მისაღებად, თუ მონმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.

როდესაც საუბარია ფაქტების სწორად აღქმაზე, აქ იგულისხმება, რომ მონმეს გონებრივი განვითარებიდან გამომდინარე, ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლის გამო არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული აღნიშნული უნარი. მისი აღქმის ორგანოები ჩვენებაში მითითებულ გარემოებათა დადგომის დროს უნდა ყოფილიყო ობიექტურად ფუნქციონირებადი. როგორც ცნობილია, აღქმის უნარზე, სისრულესა და სიზუსტეზე დიდ გავლენას ახდენს ასაკი, პროფესია, განწყობა, სმენა, მხედველობა და შეგრძნება¹²². აღსანიშნავია, რომ ადამიანის აღქმის უნარს გააჩნია ხშირად *ფიზიოლოგიური* საზღვრები. მაგალითად, ადამიანის თვალით შეუძლებელია *განსაკუთრებით სწრაფად განვითარებული მოვლენების* სათანადოდ აღქმა (მაგ., ორი ძალზე სწრაფად მოძრავი საგნის შეჯახება). ასევე შეუძლებელია გარკვეული განათების პირობებში ფერთა სწორი აღქმა. გარდა ამისა, ადამიანის თვალს ახასიათებს გარკვეული სირთულეები განათების სწრაფი ცვლებადობის დროს (მაგ., სინათლიდან სიბნელეში), რადგან მას ახალ განათებასთან ადაპტაციისთვის უსაჭიროება დრო. ნაკლებად სანდოა ადამიანის მიერ *ხმოვანი სიგნალების*

121 იხ. ასევე Eisenberg, U.: Beweisrecht der StPO. Spezialkommentar, მე-5 გამომუშავებული გამოცემა, 2006, გვ. 286.

122 გოგნიაშვილი, ნ. (2009), იქვე, გვ. 375-376;

აკუსტიკური აღქმით ხმის წყაროს ზუსტი მდებარეობის და მანძილის განსაზღვრა. ადამიანის სმენის ორგანოებს არ შესწევს უნარი მაგალითად დაადგინოს გასროლისას, თუ საიდან და რა მანძილიდან გაისმა გასროლის ხმა, როდესაც ვიზუალურად ვერ ხედავს გასროლის განმახორციელებელ პირს¹²³.

რამდენადაც სხვადასხვა კვლევებით არის ცნობილი, ადამიანის მეხსიერებასაც აქვს თავისი საზღვარი. მეხსიერებაში აღბეჭდილი ინფორმაცია დროის დინებასთან ერთად ზიანდება ან საერთოდ იშლება. შესაბამისად, შესაძლებელია რომ დანაშაულის შემთხვევის დღეს დამახსოვრებული ფაქტების შესახებ ინფორმაცია მოწმის დაკითხვის მომენტამდე სრულფასოვანი სახით აღარ დარჩეს მოწმის მეხსიერებაში, თუ შემთხვევის დღესა და დაკითხვის დღეს შორის დროის დიდი მონაკვეთი არსებობს. მეხსიერების ფსიქოლოგიური კვლევები ცხადყოფენ, რომ წარსულში დამახსოვრებული ინფორმაციის მომავალში გახსენების შესაძლებლობაზე ადამიანის მიერ დამახსოვრებული და შესწავლილი ყველა ახალი ინფორმაცია პოტენციურ გავლენას ახდენს, ამიტომ, რთულია ადამიანისგან მოელოდე, რომ იგი ზედმინევით მაღალი სიზუსტით აღიდგენს წარსულში მის მიერ აღქმულ ყველა დეტალს. მოწმის მიერ დამახსოვრებული ინფორმაციის სრულფასოვნად გადმოცემას შეიძლება ორმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ შეუშალოს ხელი: პირველი, მოწმემ ვერ აღიდგინოს, გაიხსენოს სასურველი ინფორმაცია; მეორე, ახალმა ინფორმაციამ მეხსიერებაში დაიკავოს მოწმის მიერ მანამდე დამახსოვრებული სასურველი ინფორმაციის ადგილი და ეს უკანასკნელი ინფორმაცია მეხსიერებაში დარჩეს **დამახინჯებული ფორმით**. თუ პირველ შემთხვევაში საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა დროში ჭიანურდება ან ინფორმაციის გახსენების შეუძლებლობის გამო ჭეშმარიტების დადგენას საფრთხე ექმნება, მეორე შემთხვევაში არასწორი ინფორმაციის გადმოცემით იქმნება ჭეშმარიტებისგან განსხვავებული ფიქცია, რაც ასევე საფრთხის შემცველია სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისთვის¹²⁴. ადამიანის მიერ ნანახის

123 იხ. Eisenberg, U. (2006), იქვე, გვ. 407-408.

124 იხ. Eisenberg, U. (2006), იქვე, გვ. 411-412.

დამახსოვრებასთან და ინფორმაციის აღდგენასთან დაკავშირებით საინტერესოა ბაქჰაუთის მიერ ჩატარებული კვლევა, სადაც 2000 პირს ეკრანზე აჩვენეს ყაჩაღური თავდასხმის შემთხვევა. მათთვის ნაჩვენებ დანაშაულში მონაწილეობდა ექვსი თავდასხმელი. უშუალოდ აღნიშნული ფილმის დასრულების შემდეგ მხოლოდ მათგან 14,1 % შეძლო ეჭვიმტანილების უპრობლემოდ ამოცნობა¹²⁵.

ზემოაღნიშნულის გარდა, მოწმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ მოწმის ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაა. აღნიშნული ანიჭებს მეორე მხარეს უფლებას, მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა ჩვენების (ჩვენებების) დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე (სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მოწმის ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი იმ შემთხვევაშიც, თუ ამ მოწმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს წინასასამართლო სხდომამდე მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის დროს (სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მოწმის ჩვენების ცალკე სახედ გამოყოფს ე.წ. *მოწმის ირიბ ჩვენებას*. სსსკ-ის 76-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. როგორც ზემოთ გვქონდა საუბარი, ირიბი ჩვენება წარმოადგენს წარმოებულ მტკიცებულებას და გააჩნია პირველად მტკიცებულებასთან შედარებით ნაკლები მტკიცებულებითი მნიშვნელობა. ვინაიდან, ირიბ ჩვენებას იძლევა ის მოწმე, რომელიც არ წარმოადგენს ინფორმაციის პირველად წყაროს, ასეთი მტკიცებულების სისხლის სამართლის პროცესში დაშვება მიეკუთვნება უშუალოდ პრინციპიდან ერთ-ერთ გამონაკლის შემთხვევას. ირიბი ჩვენების დასაშვებობისა და გამოყენების ფარგლებს კანონმდებელი ადგენს სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით. ასეთი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებათა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია. სასამართლო უშუალოდ და სამართლიანი სასამართლოს პრინციპს დაარღ-

125 იხ. Kühne. H.-H. (2010), იქვე, გვ. 519.

ვევს თუ ის მხოლოდ ირიბი ჩვენების მიმცემ მონმეთა მიერ მი-
წოდებულ ინფორმაციას დაეყრდნობა და სათანადოდ არ შეაფა-
სებს საქმის გარემოებათა შესახებ უშუალოდ ინფორმირებული
მონმეების მიერ მიცემულ ჩვენებებს. სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3
ნაწილის თანახმად, სასამართლოში საქმის არსებითი განხილ-
ვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი
დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის
ირიბი ჩვენება. მაშასადამე, ასეთ ჩვენებას მოსამართლე საქ-
მის არსებითი განხილვისას ვერ დაუშვებს მტკიცებულებად და
გადანყვეტილების მიღების დროს ვერ დაეყრდნობა, თუ იმავე
გარემოებების შესახებ საქმეში არ მოიპოვება პირველადი მტკი-
ცებულებები.

სისხლის სამართლის საქმეში მონმის ირიბი ჩვენებების არ-
სებობის შემთხვევაში მოსამართლე აუცილებლად უნდა დარწ-
მუნდეს იმაში, რომ მონმემ ნამდვილად შეიტყო სხვისგან ის
ინფორმაცია, რასაც თავის ჩვენებაში იძლევა და ამასთან, რომ
სხვის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შინაარსობრივად სწო-
რია.

სასამართლო პრაქტიკაში ირიბი ჩვენების მისაცემად იძახე-
ბენ ხშირად საგამოძიებო ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელ-
მაც გამოძიების ეტაპზე გამოკითხა შემთხვევის ადგილას მყო-
ფი პირები. შესაძლებელია, რომ დანაშაულის შედეგად მძიმედ
დაჭრილი დაზარალებული გამოკითხოს საგამოძიებელმა და
შემდგომ საქმის არსებით განხილვის სხდომაზე ამ უკანასკნელს
დაზარალებულის გარდაცვალების გამო მოუწიოს ირიბი ჩვენე-
ბის მიცემა.

მონმის ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხს განსხვავე-
ბულად უდგება კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნე-
ბი და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნები. მაგალითად,
გერმანული სისხლის საპროცესო სამართალში ასეთი ჩვენების
მტკიცებულებად დაშვება არ წარმოადგენს პრობლემას და იგი
განიხილება, როგორც მონმის ჩვენება. ბრიტანეთსა და ამე-
რიკის შეერთებულ შტატებში მონმის ირიბი ჩვენება ზოგადად
დაუშვებელ მტკიცებულებათა კატეგორიას მიეკუთვნება, თუმ-
ცა ბოლო წლებში სასამართლოებმა აქედან დაუშვეს არაერთი
გამონაკლისი. ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნე-

ბის ზემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ პერმანენტულად იზრდება მოწმის ირიბ ჩვენებათა და სხვა წარმოებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის საგამონაკლისო შემთხვევები. ანგლო-ამერიკულ სისხლის საპროცესო სამართალში მოწმის ირიბი ჩვენების მტკიცებულებად დასაშვებობა ზოგადად უარყოფილია შემდეგი არგუმენტებით: პირველ რიგში მიაჩნიათ, რომ ინფორმაციის გამავრცელებელი პირველადი წყარო ნაკლებად სანდოა, რადგან მისგან ინფორმაცია მიღებულია ფიცის გარეშე; შემდეგ, აღნიშნავენ, რომ მოსამართლეს და ნაფიც მსაჯულებს არ აქვთ შესაძლებლობა ჩვენების მიცემის დროს უშუალოდ დააკვირდნენ ინფორმაციის პირველად წყაროს; ასევე, არსებობს იმის დიდი საფრთხე, რომ ირიბი ჩვენების მიმცემი სასამართლოს ვერ მიაწვდის სრულფასოვნად და შინაარსობრივი ცვლილებების გარეშე ორიგინალ ინფორმაციას; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ირიბი ჩვენების საწინააღმდეგოდ მიუთითებენ, რომ ასეთი ჩვენება საფრთხეს უქმნის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, რადგან მხარეს არ ეძლევა ჯვარედინი დაკითხვის საშუალებით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს როგორც ინფორმაციის სანდოობა, ისე მოწმის მიერ მისი სწორად დამახსოვრების, აღქმის და გადმოცემის უნარი¹²⁶.

3. ნივთიერი მტკიცებულება

სსსკ-ის მე-3 მუხლის 25-ე ნაწილი განმარტავს ნივთიერ მტკიცებულებას, რომლის მიხედვით, აღნიშნულს მიეკუთვნება საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების 126 ამის შესახებ იხ. *Gershman, B. L.*: Prosecutorial Misconduct in Presenting Evidence: "Backdooring" Hearsay, *ჟურნალში*: Criminal Law Bulletin 31 (1995), გვ. 99; *Rakos, R. E. / Landsman, S.*: Researching the Hearsay Rule: Emerging Findings, General Issues, and Future Directions, *ჟურნალში*: Minnesota Law Review 76 (1992), გვ. 655; *Klotter, J. C.*: Criminal Evidence, მე-7 გამოცემა, 2000, გვ. 307; *Waltz, J. R.*: Introduction to Criminal Evidence, მე-4 გამოცემა, 1997, გვ. 76.

უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს.

ნივთიერ მტკიცებულებას წარმოადგენს მაგალითად, დანაშაულის შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი დანაშაულის იარაღი, დამნაშავის მიერ გარკვეულ საგნებზე დატოვებული კვალი, დანაშაულის ჩამდენი პირის საცხოვრებელი ბინიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებული დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთები და ა.შ.

სსსკ-ის 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს შედარებითი კვლევის ნიმუშის, როგორც შენაცვლებადი ნივთიერი მტკიცებულების დასაშვებობას. შედარებითი კვლევის ნიმუში შეიძლება იყოს ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიის ნიმუში ან ბრალდებულისგან აღებული თითის ანაბეჭდების ნიმუში და ა.შ. მაგალითად, გვამიდან ამოღებული ტყვია ცალკე აღებული არ მისცემს ბრალდების მხარეს იმის მტკიცების საშუალებას, რომ პირი ბრალდებულის მიერ არის მოკლული. თუ ბრალდებულის საცხოვრებლის ჩხრეკის შედეგად იქნება ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და აღნიშნული იარაღიდან გასროლილი ტყვიის ნიმუში დაემთხვევა მასზე დარჩენილი კვალის მონახვაზე გვამიდან ამოღებულ ტყვიაზე დატოვებულ ცეცხლსასროლი იარაღის კვალს, ორივე ტყვია ერთობლიობაში წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებას იმის დასტურად, რომ სწორედ ბრალდებულის მფლობელობაში არსებული იარაღიდან იქნა პირი მოკლული.

საქმის არსებითი განხილვისთვის ნივთიერი მტკიცებულების დასაშვებობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ დასტურდებოდეს მისი ავთენტიკურობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეს უნდა შეეძლოს მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე (სსსკ-ის 77-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ნივთიერი მტკიცებულების დასაშვებობასთან კავშირშია ასევე მისი საპროცესო დამაგრების წესი, რომლის დარღვევის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს სადაოდ გახადოს მისი დასაშვებობა. სსსკ-ის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს და დაილუქოს. დათვალიერებისას უნდა გამოვლინდეს და აღინე-

როს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები, რაც საბოლოოდ უნდა აისახოს შესაბამის ოქმში. ზემოაღნიშნულის გარდა, ნივთიერი მტკიცებულება არ დაიშვება, თუ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ (სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილი). იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს ნივთიერი მტკიცებულება და მასზე არსებული კვალი დაუზიანებლად, იგი მხარემ უნდა შეინახოს ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის დაკარგვას და მისი თვისებების შეცვლას. ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც არ ნადგურდება, მესაკუთრეს ან მფლობელს არ უბრუნდება ან სახელმწიფოს არ გადაეცემა, ინახება სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. ამასთან, ძვირფასი ლითონები, ქვები (თვლები), ფულის ნიშნები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, თუ მათ ინდივიდუალურ ნიშნებს მტკიცებულების მნიშვნელობა არა აქვს, ინახება საბანკო დანესებულებაში. ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება ინახებოდეს ასევე სხვა ადგილას (სსსკ-ის 79-ე მუხლი).

ნივთიერ მტკიცებულებებთან მიმართებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს ასევე ისეთ საკითხს, როგორც არის ნივთიერ მტკიცებულებათა ბედის გადაწყვეტა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის დამთავრების შემდეგ, ისე მის დამთავრებამდე. სსსკ-ის 81-ე მუხლის თანახმად, განაჩენში, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში ნივთიერი მტკიცებულების საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს:

- თუ დანაშაულის იარაღს ან საგანს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება, ხოლო თუ მას აქვს რაიმე ღირებულება, ხდება მისი საპროცესო კონფისკაცია;
- თუ ბრუნვიდან ამოღებულ ნივთს აქვს რაიმე ღირებულება, იგი გადაეცემა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო თუ მას ღირებულება არა აქვს, – ნადგურდება;
- სხვა ნივთი, რომელსაც ღირებულება არა აქვს, დაინტერესებული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს შუამდგომლობით მას გადაეცემა, ხოლო თუ ასეთი პირი ან

ორგანო არ აღმოჩნდა, - ნადგურდება;

- დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავალი/ქონება ხმარდება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ზიანის ანაზღაურების შემდეგ - საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას, ხოლო თუ ცნობილი არ არის პირი, რომელსაც ზიანი მიადგა, - გადაეცემა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს;
- დაზარალებულის, გამართლებულის ან სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი, ბრალდებულისა და იმ პირის გარდა, რომელსაც მათზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, უბრუნდება მესაკუთრეს ან მფლობელს.

დავა ნივთიერი მტკიცებულების გამო წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ასეთი დავის შემთხვევაში ნივთიერი მტკიცებულება სასამართლოს გადანყვებილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ინახება სისხლის სამართლის საქმესთან ერთად. ნივთიერი მტკიცებულების გაფუჭების, დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში მისი მესაკუთრე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას. აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება საპროცესო კონფისკაციას, განადგურებას და საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას. სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე საგამოძიებო ორგანო მესაკუთრეს ან მფლობელს უბრუნებს მალფუჭებად საგნებს, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში აუცილებელ საგნებს, შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს, თუ მათ ყადაღა არა აქვს დადებული. სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე საგამოძიებო ორგანომ მესაკუთრეს ან მფლობელს შეიძლება დაუბრუნოს სატრანსპორტო საშუალებები, თუ მათ ყადაღა არა აქვს დადებული (ამის შესახებ უფრო დანვრილებით იხ. მე-80 მუხლი).

4. დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება

სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებითი მნიშვნელობა ენიჭებათ აგრეთვე დოკუმენტებს (მაგ., საგამოძიებო მოქმედებების ოქმები, სხვადასხვა საფინანსო დოკუმენტები და ა.შ.). აღნიშნულში ზოგადად მოიაზრება საქმისთვის მნიშვნე-

ლოვანი ინფორმაციის და მონაცემების ისეთი მატარებლები, როგორებიცაა მაგალითად, ნერილობითი დოკუმენტები, ფოტოები, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები. სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის მიხედვით, დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. განსხვავებით ნივთიერი მტკიცებულებისგან, რომლის დროსაც ხდება მისი ნიშან-თვისებებისა და მასზე არსებული კვალის გამოკვლევა, დოკუმენტის შემთხვევაში მნიშვნელოვანია მხოლოდ მისი შინაარსობრივი მხარე, მასში დაფიქსირებული შინაარსობრივი მონაცემები. თუ სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დოკუმენტი დაკავშირებულია თავისი ნიშან-თვისებებითა და მასზე არსებული კვალით, მაშინ იგი წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებას. სსსკ-ის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დოკუმენტი იმავდროულად შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერი მტკიცებულება, თუ მას შეუნაცვლებლობის თვისება აქვს (მაგ., დოკუმენტზე აღბეჭდილია გაყალბების კვალი, დოკუმენტზე აღმოჩენილია სისხლის კვალი და ა.შ.).

მსგავსად ნივთიერი მტკიცებულებისა, დოკუმენტი დასაშვები მტკიცებულებაა, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია, ასევე თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე (სსსკ-ის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

5. პრეიუდიცია

პრეიუდიცია¹²⁷ წარმოადგენს მტკიცებითი სამართლის ერთ-ერთ ინსტიტუტს. პრეიუდიციად განიხილება მტკიცებულების ეკვივალენტური ინფორმაციის წყარო, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს გამოკვლევის გარეშე¹²⁸.

127 „praeiudicium“ ლათინური ტერმინია და ქართულად ნიშნავს „წინასწარ გადაწყვეტილს“.

128 იხ. უფრო ვრცლად ბურჯანაძე, გ.: პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში,

სსსკ-ის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ახდენს იმის ჩამონათვალს, თუ სისხლის სამართლის პროცესში რას შეიძლება მიენიჭოს პრეიუდიციული მნიშვნელობა. ესენია: ა) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები; ბ) განაჩენი ნასამართლობაზე; გ) სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები თუ პროცესის არცერთი მონაწილე მათ საეჭვოდ არ ხდის; დ) ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.

საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს მიეკუთვნება მაგალითად, ცხოვრებისეული გამოცდილებით მიღებული ინფორმაცია ცალკეული ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, რომელიც არ საჭიროებს მტკიცებას (მაგ., ნებისმიერი ზოგადი ინტელექტისა და განათლების მქონე ადამიანისთვის ცნობილია, რომ ყინვაში წყალი გადადის თხევადიდან მყარ მდგომარეობაში). საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ასევე ის, რაც პირთა ფართო წრისთვის არის ცნობილი და ეფუძნება საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროს, მაგალითად, სხვადასხვა ისტორიული და სტიქიური მოვლენები.

სისხლის სამართლის პროცესში პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნია აგრეთვე განაჩენს ნასამართლობაზე. ასეთ განაჩენში მოიაზრება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. სსსკ-ის 73-ე მუხლი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, უნდა იყოს თუ არა ასეთი განაჩენი საბოლოო, ანუ განხილული სააპელაციო და საკასაციო წესით. პრეიუდიციის მეტი სარწმუნოებისთვის მნიშვნელოვანია, რომ განაჩენი იყოს საბოლოო, რადგან, გამამტყუნებელი განაჩენი სააპელაციო და საკასაციო განხილვის შედეგად შესაძლოა გაუქმდეს და მის ნაცვლად დადგინდეს გამამართლებელი განაჩენი. იგივე შეიძლება ითქვას სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები პირობითია და იგი შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებებს სააპელაციო წარმოებისას¹²⁹. იმისათვის რომ სხვა სისხლის სა-

კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, კორკელია, კ. (რედ.), 2012, გვ. 46-70.

129 იხ. ბურჯანაძე, გ. (2012), იქვე, გვ. 2012, 62-63.

მართლის საქმეზე განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს მიენიჭოს პრეიუდიციული მნიშვნელობა, პროცესის მონაწილეები მათ საეჭვოდ არ უნდა ხდიდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, კანონი ანიჭებს მხარეებს უფლებამოსილებას, სადაოდ გახადონ ასეთი ფაქტობრივი გარემოებები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პრეიუდიციის სახით სასამართლო გამოკვლევის გარეშე მიიღებს ნებისმიერ გარემოებას ან ფაქტს, რომელზედაც მხარეები შეთანხმდნენ. სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობიდან გამომდინარე, მხარეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების ირგვლივ სადაო გარემოებათა წრეს. მაგალითად, მხარეებს შეუძლიათ სასამართლოში საქმის განხილვამდე შეთანხმდნენ იმაზე, რომ ბრალდებულს დანაშაულის ჩადენის დღეს თან ჰქონდა მასზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, რაც სასამართლოში გამოკვლევის გარეშე მიიღება პრეიუდიციად. თუმცა, დაცვის მხარეს შეუძლია სადაო გახადოს ბრალდებულის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ფაქტი. კანონი არ უკრძალავს მხარეებს, რომ ისინი შეთანხმდნენ აგრეთვე კანონდარღვევით მოპოვებული ცალკეული მტკიცებულებების წარდგენაზე. თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რამდენად არსებითად დაირღვა მტკიცებულების მოპოვებისას საპროცესო კანონი ან პროცესის მონაწილეთა კონსტიტუციური გარანტიები. მაგალითად, თუ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე დასაშვებ მტკიცებულებად სცნობს ისეთ ინფორმაციას, რომელიც წამების ან სამართლებრივ სახელმწიფოში სხვა მიუღებელი მეთოდით იქნა მოპოვებული და მხარეები მაინც თანხმდებიან მის სასამართლოში წარდგენაზე, აღნიშნული მნიშვნელოვნად შეარყევდა პროცესის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ საფუძვლებს და სამართლებრივად აუტანელი იქნებოდა ამგვარი მტკიცებულებების საფუძველზე მიღებული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.

პრეიუდიციასთან მიმართებით მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კანონი მხარეს აძლევს უფლებას სადაო გახადოს პრეიუდიციულად დადგენილი ნებისმიერი ფაქტი და მოითხოვოს მისი სასამართლოს მიერ უარყოფა, თუ ეს ფაქტი ეწინააღ-

მდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს (სსსკ-ის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილი). საკითხისადმი ამგვარი მიდგომა წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპის ერთ-ერთ მოთხოვნას და იგი ეხმიანება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებულ პრაქტიკას¹³⁰.

§34. მტკიცება

I. ზოგადი დებულებანი

ნებისმიერი ფაქტობრივი გარემოება, რომელზეც სასამართლო თავის საბოლოო გადაწყვეტილებას აფუძნებს უნდა იყოს სათანადო წესით დადგენილი.

იურიდიული სილოგიზმის თანახმად, სამართლის შეფარდება შემდეგი სტადიებისგან შედგება: 1) ფაქტის დადგენა 2) სამართლის სათანადო ნორმის მოძიება 3) იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება ფაქტი ნორმაში მოცემულ ქცევის წესს 4) იურიდიული შედეგის განსაზღვრა. სწორედ აქ ჩანს ფაქტის დადგენის დიდი მნიშვნელობა, რადგან საწყის ეტაპზე შესაფასებელი ფაქტის დადგენა განაპირობებს იურიდიული გადაწყვეტილების სისწორეს¹³¹. ფაქტის დადგენა კი ხდება მტკიცების გზით. მტკიცება ზოგადი ცნებაა და სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება. მისი ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტია ის პროცედურები, რის მიხედვითაც უნდა მოხდეს მტკიცებულებების მოპოვება, მათი საპროცესო დამაგრება, გამოკვლევა და შეფასება. ამასთან, მტკიცებას გააჩნია თავისი ფარგლები და იგი ძირითადად ვრცელდება ბრალდებულის ბრალეულობისა და მისთვის სასჯელის განსაზღვრისთვის რელევანტურ გარემოებებზე.

II. მტკიცების პროცესი და მისი სუბიექტები

როგორც ზემოთ აღინიშნა, მტკიცების პროცესი მოიცავს სხვადასხვა ეტაპებს. პირველ რიგში ხდება მტკიცებულებათა

¹³⁰ იხ. უფრო ვრცლად ბურჯანაძე, გ. (2012), იქვე, გვ. 65-67.

¹³¹ ხუბუა, გ. (2004), იქვე, გვ. 194.

მოპოვება (აღმოჩენა), შემდეგ მათი საპროცესო დამაგრება, გამოკვლევა და ბოლოს, შეფასება¹³².

მტკიცებულებათა მოპოვება მტკიცების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორც წესი, მტკიცებულებების მოპოვება ხორციელდება მხარეთა მიერ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საფუძველზე. სწორედ მხარეთა მიერ მოპოვებული და სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები განსაზღვრავენ საბოლოო შედეგს და ქმნიან სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველს. აღსანიშნავია, რომ მხარეების მიერ მოპოვებულ ინფორმაციას მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს „მტკიცებულება“, რადგან სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, მხარეთა მიერ მოპოვებული მასალები და ინფორმაცია მხოლოდ მას შემდეგ იქნეს მტკიცებულების მნიშვნელობას, როდესაც მოხდება მხარეთა მიერ მათი სასამართლოში წარდგენა¹³³. მხარეებისგან განსხვავებით, მოსამართლის ამოცანას არ წარმოადგენს მტკიცებულებების მოპოვება. უფრო მეტიც, მას აღნიშნული კანონით ეკრძალება. მოსამართლის როლი გამოიხატება იმაში, რომ ის ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანასწორი პირობები მტკიცებულებების მოსაპოვებლად და წარსადგენად. მტკიცებულებების მოპოვება ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა საპროცესო მოქმედებების განხორციელების გზით (მაგ., ჩხრეკა, ამოღება, დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, გვამის ექსპუნიცია და ა.შ.). ასევე შესაძლოა მტკიცებულება წარმოადგინოს და გადასცეს რომელიმე მხარეს მოწმემაც.

სსსკ-ის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას სარგებლობენ თანაბარი უფლება-მოვალეობებით. საგამოძიებო მოქმედებას, რომელსაც დაცვის მხარე დამოუკიდებლად ვერ ჩაატარებს, მისი დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე ასეთ საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს. გამომძიებელი

132 იხ. ასევე *ფაფიაშვილი, შ.* (2013), იქვე, გვ. 261.

133 იხ. *გიორგაძე, გ./ბარამიძე, ა.* (2014), იქვე, გვ. 30.

უნდა შეარჩიოს საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელმა და მისი ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები დაცვის მხარეს უნდა ეცნობოს შუამდგომლობით მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე. ამ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ბრალდებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული სასამართლოს წარუდგენს მტკიცებულებებს, რომლებითაც დადასტურდება მის მიერ ამ ხარჯების ანაზღაურების შეუძლებლობა. ამასთან, დაცვის მხარეს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს თავისი მოთხოვნით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში. განსხვავებით ბრალდების მხარისგან, დაცვის მხარეს უფლება არ აქვს დამოუკიდებლად ჩაატაროს ცალკეული საგამოძიებო მოქმედებები გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე და ასევე, მას კანონი არ აძლევს უფლებას სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩაატაროს ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომლის ჩატარებისთვის, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საჭიროა ასეთი ნებართვა (სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების ეტაპზე მტკიცებულებების მოსაპოვებლად მხარეთა თანასწორობა კანონით არის უზრუნველყოფილი, ბრალდების მხარე მაინც სარგებლობს გარკვეული უპირატესობით ამ თვალსაზრისით, კერძოდ, მხოლოდ ბრალდების მხარეს აქვს უფლება განახორციელოს მთელი რიგი ფარული საგამოძიებო მოქმედებები და მოიპოვოს მტკიცებულებები.

მტკიცებულებების საპროცესო დამაგრება გულისხმობს აღმოჩენილი მტკიცებულების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დაცვით საგამოძიებო მოქმედების ოქმში დაფიქსირებას. როგორც წესი, საგამოძიებო მოქმედების ოქმში დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი, თუ რა ვითარებაში, ვისი მონაწილეობით და რა პროცედურებით მოხდა მტკიცებულების მოპოვება. ასევე უნდა აღინეროს მოპოვებული მტკიცებულება შეძლებისდაგვარად დეტალურად (წონა, ოდენობა, ღირებულება და ა.შ.) ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებების მითითებით (სსსკ-ის 134-ე და 135-ე მუხლები). მოპოვებული მტკიცებულების შესახებ ოქმში დაფიქსირებული ინფორმაცია აძლევს მხარეს შესაძლებლობას იმსჯელოს მტკი-

ცებულების ავთენტიკურობისა და მოპოვების კანონიერების შესახებ.

მტკიცებულებების გამოკვლევა ხორციელდება მხარეთა მიერ ან მათი ინიციატივით ექსპერტის მეშვეობით. მოსამართლეს კანონი უკრძალავს მტკიცებულებების დამოუკიდებლად გამოკვლევას.

მტკიცებულების გამოკვლევა ხდება, როგორც გამოძიების, ისე სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს. გამოძიების ეტაპზე დგინდება და ზუსტდება მოპოვებული მტკიცებულების შინაარსობრივი მხარე (მაგ., დოკუმენტში აღბეჭდილი ინფორმაცია), მისთვის დამახასიათებელი ცალკეული ნიშან-თვისებები (მაგ., ნივთიერი მტკიცებულების შემთხვევაში მისი წარმომავლობა, რაოდენობა, წონა, მასზე დატოვებული კვალი და ა.შ.). შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე მტკიცებულება გამოიკვლიოს როგორც მტკიცებულების მომპოვებელმა მხარემ, ისე მეორე მხარემაც. უფრო მეტიც, სსსკ-ის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

სისხლის სამართლის საქმის საბოლოო გადაწყვეტისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქმის სასამართლოში არსებით განხილვის დროს მტკიცებულებების მხარეთა მიერ გამოკვლევას. მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად დგინდება საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება. თითოეული მტკიცებულების გამოკვლევა ხდება მხარეთა მიერ ზეპირად და უშუალოდ, რისი მეშვეობითაც მხარე ცდილობს ხაზი გაუსვას ისეთ გარემოებებს, რომელიც სასარგებლოა მისი პოზიციისთვის. სსსკ-ის 242-ე მუხლის თანახმად, მტკიცებულებათა გამოკვლევა იწყება მხარეების მიერ შესავალი სიტყვების წარდგენის შემდეგ. პირველად იკვლევენ ბრალდების მხარის, ხოლო შემდეგ – დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა რიგითობასა და მოცულობას განსაზღვრავს თვით წარმდგენი მხარე. ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში

მონანილეობს დაცვის მხარე, ხოლო დაცვის მხარის წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში – ბრალდების მხარე.

მტკიცებულებათა შეფასება მტკიცების პროცესის დასკვნით ეტაპს წარმოადგენს. მტკიცებულებათა შეფასების სუბიექტებს მიეკუთვნებიან ბრალდების მხარე, დაცვის მხარე და მოსამართლე (ნაფიცი მსაჯული). სსსკ-ის მე-13 მუხლის პირველი ნაწილისა და 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. თითოეული მტკიცებულების შეფასება ხდება შინაგანი რწმენის საფუძველზე, რა დროსაც შეფასების მნიშვნელოვან კრიტერიუმებს წარმოადგენენ მტკიცებულების რელევანტურობა, დასაშვებობა და უტყუარობა (სსსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი). რელევანტურობა გულისხმობს იმას, თუ რამდენად კავშირშია კონკრეტული მტკიცებულება მტკიცების საგანთან და რამდენად არის იგი შემხებლობაში სისხლის სამართლის საქმესთან. დასაშვებობის დროს უნდა დადგინდეს, ხომ არ არსებობს მტკიცებულების დასაშვებად ცნობისთვის რამე შემაფერხებელი გარემოება (მაგ., კანონის არსებითი დარღვევა მტკიცებულების მოპოვებისას). რაც შეეხება მტკიცებულების უტყუარობას, მასში მოიაზრება მისი სანდოობა და ავთენტიკურობა. ნებისმიერ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს მიერ მტკიცებულების შეფასებას. მტკიცებულების შეფასების გზით სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა მიიღოს მისი საქმის არსებითი განხილვაზე დასაშვებობის თაობაზე გადწყვეტილება. დაუშვებელი მტკიცებულების საკითხს განსაზღვრავს სსსკ-ის 72-ე მუხლი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია¹³⁴. მტკიცებულება ასევე დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსები-

¹³⁴ დაუშვებელი მტკიცებულების შესახებ უფრო დანყვრულებით იხ. ქვემოთ §35.

თი გაქრობის შესახებ. საყურადღებოა, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. დაცვის მხარე გათავისუფლებულია ყოველგვარი მტკიცების ტვირთისგან. თუმცა, როგორც ბრალდების მხარე, ისე დაცვის მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის შემდეგ მხარეთა მიერ გამოკვლეული მტკიცებულებების საბოლოო შეფასებას თავისი შინაგანი რწმენით ახდენს კვლავ მოსამართლე (ნაფიცი მსაჯული) და აღნიშნულზე დაყრდნობით იღებს ბრალდებულის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის შესახებ გადაწყვეტილებას. მოსამართლე მტკიცებულებათა შეფასების დროს არის თავისუფალი, სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე მოსამართლეს (ნაფიც მსაჯულს) ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შეუძლია გარკვეული გარემოებები დადგენილად მიიჩნიოს და ცალკეულ გარემოებათა არსებობა უარყოს. მოსამართლე უფლებამოსილია სარწმუნოდ მიიჩნიოს მონმის ჩვენება, როდესაც სხვა დანარჩენი მონმეები საწინააღმდეგო ჩვენებებს იძლევიან. ამასთან ერთად, მოსამართლეს შეუძლია არ გაიზიაროს ბრალდების მონმეთა ჩვენებები და სანდოდ შეაფასოს ბრალდებულის ჩვენება. მოსამართლე არც ექსპერტის დასკვნით არის შებოჭილი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ექსპერტი იძლევა დასკვნას ტექნიკურ, ქიმიურ და ფსიქიატრიულ საკითხებთან დაკავშირებით. თუკი მოსამართლე დადგენილად არ მიიჩნევს ექსპერტის დასკვნაში მითითებულ გარემოებებს, მაშინ მან განაჩენში თავისი საწინააღმდეგო მოსაზრება უნდა დაასაბუთოს. ამავედროულად გასათვალისწინებელია, რომ ბრალდებული დაცული უნდა იყოს მოსამართლის მცდარი შეფასებებისგან. მოსამართლის თავისუფლება მტკიცებულებების შეფასებისას არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს მოსამართლის სუბიექტური შეხედულებები და შეფასებები შესაძლებელია აშკარა წინააღმდეგობაში იყოს გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლიობასთან. კანონი ავალდებულებს

სასამართლოს, რომ განაჩენში ჩამოყალიბებული მისი ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება იქნეს დასაბუთებული (სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რაც მოსამართლის მიერ მტკიცებულებების შეფასების სისწორისა და სანდოობის ერთგვარ კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებების შინაგანი რწმენით შეფასებას გააჩნია თავისი გამონაკლისებიც, კერძოდ, დაუშვებელია ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა შეფასდეს ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. აგრეთვე ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა არ შეიძლება გახდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულება (სსსკ-ის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რადგან უდანაშაულო პირებიც ხშირად იმედოვნებენ, რომ ტყუილის მეშვეობით შეძლებენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას; ასევე დაუშვებელია ბრალდებულის საზიანოდ იქნეს შეფასებული მონმის უარი, მისცეს ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე (ნაფიცი მსაჯული) მტკიცებულებებს აფასებს შინაგანი რწმენით, კანონი მას მიღებული გადაწყვეტილების მეტი სანდოობისთვის უდგენს მტკიცებულებით სტანდარტს. მაგალითისთვის, მოსამართლე თავისი შინაგანი რწმენით რომც იყოს დარწმუნებული ბრალდებულის დამნაშავეობაში, იგი ვერ დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ ემყარება ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას¹³⁵.

III. მტკიცების საგანი და ფარგლები

სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების ძიების პროცესი მოიაზრებს საქმის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას. თუ რა შეიძლება მიეკუთვნებოდეს ასეთ გარემოებებს, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამაზე პირდაპირ პასუხს არ იძლევა. ამის მიზეზია პროცესის შეჯიბრებითობა, რომლის დროსაც მხარეები წარმოდგენილი მტკიცებუ-

¹³⁵ სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი; იხ. ასევე ქვემოთ §34, IV.

ლებებიდან გამომდინარე თავად განსაზღვრავენ მტკიცების საგანსა და ფარგლებს, აგრეთვე ისიც, რომ ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმე თავისი ბუნებით უნიკალურია და რომელიმე გარემოება, რომლიც რელევანტურია ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, შეიძლება იგი აბსოლუტურად უმნიშვნელო იყოს სხვა სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. მაგალითად, თუ ქურდობის შემთხვევაში მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმეზე ქმედებით მიყენებული ზიანის ოდენობის დადგენა, აღნიშნულის დადგენის საჭიროება საერთოდ არ დგას ისეთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, როგორც არის პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა (სსკ-ის 254-ე მუხლი). მანამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი განსაზღვრავდა სისხლის სამართლის საქმეზე სავალდებულოდ დასადგენ გარემოებათა წრეს. ასეთ გარემოებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა: ა) ბრალდებულის ან სხვა პირის მოქმედება ან უმოქმედობა; ბ) მოქმედების (უმოქმედობის) მართლსაწინააღმდეგო ხასიათი; გ) ბრალი; დ) გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას; ე) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა. ამრიგად, სსსკ-ის 112-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებდა მტკიცების საგანზე, ანუ იმ გარემოებებზე, რომლებიც უნდა დამტკიცებულიყო სისხლის სამართლის საქმეზე.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, განსხვავებით მანამდე მოქმედი კოდექსისაგან, სპეციალური ნორმით არ განსაზღვრავს მტკიცების საგანს, მისი ცალკეული ნორმები მაინც მიუთითებენ იმ გარემოებებზე, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებას. მაგალითად, სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილში, სადაც განმარტებულია მტკიცებულების მნიშვნელობა, კანონმდებელი აღნიშნავს, რომ მტკიცებულების საფუძველზე სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიძინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. გარდა ამისა,

სსსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით განისაზღვრება იმ საკითხთა წრე, რომელიც სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენისას თითოეული ბრალდებულის მიმართ უნდა გადაწყდეს. მაგალითად, სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას თანმიმდევრობით მსჯელობს შემდეგ საკითხებზე: ა) ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება; ბ) არის თუ არა ბრალდებულის ქმედება მართლსაწინააღმდეგო; გ) შეერაცხება თუ არა ბრალდებულს ბრალად ჩადენილი ქმედება; დ) უნდა დაისაჯოს თუ არა ბრალდებული მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის; ე) რა სასჯელი უნდა დაენიშნოს ბრალდებულს და რა ზომის; ვ) უნდა მოიხადოს თუ არა ბრალდებულმა დანიშნული სასჯელი და ა.შ. სსსკ-ის 320-ე მუხლი დამატებით ადგენს იმ გარემოებებს, რომელიც არასრულწლოვანის პროცესში უნდა იქნეს გამოკვლეული. ესენია: არასრულწლოვანის ცხოვრების, აღზრდის, განვითარების პირობები, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მტკიცების საგანს მიკუთვნებული გარემოებები შეიძლება ზოგადად დაიყოს ორ კატეგორიად, პირველი, გარემოებები რომლებიც ახასიათებენ დანაშაულებრივ ქმედებას, ე.წ. *ფაქტობრივი გარემოებები* (დანაშაულის ფაქტის და დანაშაულში ბრალდებულის მონაწილეობის დადგენა, ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ცალკეული ელემენტების დადგენა, ქმედების მართლწინააღმდეგობის განსაზღვრა, ბრალდებულის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გასაკიცხაობის გარემოებების (ე.ი. ბრალის დადგენა) და მეორე, გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე (პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, ბრალდებულის ნასამართლობა, ყოფა-ქცევა და ა.შ.).

იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებულ გარემოებებს აჯგუფებენ შემდეგნაირად:

- *ძირითადი (მთავარი) გარემოებები*, რომლებიც აფუძნებენ დანაშაულის შემადგენლობას, ან გამორიცხავენ

მას. ეს ის გარემოებებია, რომლებიც დაკავშირებულია ბრალდების არსთან და წარმოადგენენ მთავარ ფაქტებს (მაგ., მოწმეები თავის ჩვენებებში მიუთითებენ, რომ მათ დაინახეს, თუ როგორ ისროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან პავლემ პეტრეს მიმართულებით და მოკლა იგი);

- **მიმანიშნებელი გარემოებები**, რომლებიც იძლევიან ძირითადი გარემოებების შესახებ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. მაგალითად, ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მოწმობენ, რომ პავლე პეტრეს მკვლელობამდე პერიოდულად ემუქრებოდა მოკვლით, ისევე როგორც, მოწმის ჩვენება, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ მკვლელობის დღეს პავლე მასთან ერთად იმყოფებოდა სტუმრად და ამიტომ იგი მკვლელობის ადგილას ვერ აღმოჩნდებოდა;
- **დამხმარე (გვერდითი) გარემოებები**, წარმოადგენენ ისეთ გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ცალკეული მტკიცებულებების სანდოობის თაობაზე დასკვნების გაკეთება (მაგ., მოწმის ჩვენების სანდოობა, დოკუმენტის ავთენტიკურობა და ა.შ.). მაგალითად, მოწმე ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მან დაახლოებით 50 მეტრის სიშორიდან დაინახა პავლე, თუ როგორ ესროლა მან ცეცხლსასროლი იარაღიდან პეტრეს, ხოლო ერთ-ერთი მხარის მტკიცებით მოწმის მიერ აღნიშნული დეტალების დანახვა შეუძლებელია, ვინაიდან, ხელთარსებული სამედიცინო დასკვნის თანახმად, მოწმეს აქვს ცუდი მხედველობა და 25 მეტრის იქით ობიექტის გარჩევას ვერ შეძლებდა¹³⁶.

მტკიცების ფარგლები განისაზღვრება მხარეთა მიერ სასამართლოში წარმოდგენილი იმ მტკიცებულებებით, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული ბრალდებაში მითითებულ ინკრიმინირებულ ქმედებასთან და სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებთან. რამდენადაც შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებების მოპოვება და სასამართლოში წარდგენა მხარეთა უფლებამო-

136 იხ. ასევე Roxin, C./Schünemann, B (2009), იქვე, გვ. 151; Volk, K. (2008), იქვე, გვ. 213-214; გუცენკო, კ. ფ. (2007), იქვე, გვ. 118-119.

სილებას წარმოადგენს, მტკიცების ფარგლების შესახებ თავად მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას. სასამართლო არ ერევა მტკიცების ფარგლების განსაზღვრის საკითხში.

მტკიცების ფარგლები შეიძლება შეიცვალოს, თუ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდების მხარე უარს იტყვის ბრალდების ნაწილზე, ან არსებული ბრალდებას შეცვლის უფრო მსუბუქი ბრალდებით.

IV. მტკიცებულებითი (მტკიცების) სტანდარტები

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობს ძირითადად სამი სახის მტკიცებულებით (მტკიცების) სტანდარტს, კერძოდ, იგი ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის, ალბათობის მაღალი ხარისხისა და გონივრულ ეჭვს მიღმა (მტკიცებულების) სტანდარტებს¹³⁷.

განსხვავებით კონტინენტური სამართლის სისტემის უმეტესი ქვეყნებისგან, სადაც მოქმედებს ე.წ. „ობიექტური ჭეშმარიტების“ დადგენის პრინციპი, ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნების სისხლის საპროცესო სამართლისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ხარისხის მტკიცებულებითი სტანდარტის არსებობა, რაც გამომდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპიდან. როგორც უკვე აღინიშნა, შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში ჭეშმარიტების დადგენა ხდება მხარეებს შორის დავის გზით თანაბარ პირობებში, წარმოდგენილი მტკიცებულებების მეშვეობით, სადაც მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეზეა. თითოეული მტკიცების სტანდარტი დაკავშირებულია სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე სტადიასთან და ითხოვს მტკიცებულებათა გარკვეულ ერთობლიობას, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში სისხლის

¹³⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად ე.წ. „საკმარისი მტკიცებულებების“ სტანდარტს, რომელიც სსსკ-ის მე-3 მუხლის 11 ნაწილის მიხედვით განიმარტება, როგორც მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე.

სამართლის საქმეს ვერ მიეცემა შემდგომი მსვლელობა.

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი წარმოადგენს ყველაზე უფრო დაბალი ხარისხის მტკიცებულებით (მტკიცების) სტანდარტს, რომელიც გამოიყენება გამოძიების ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე ცალკეული საგამოძიებო მოქმედებათა განსახორციელებლად და სხვა საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოსაყენებლად.

სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი განმარტავს დასაბუთებული ვარაუდის ჩვენებას, რომლის მიხედვით, იგი გულისხმობს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აკონკრეტებს თუ რა სახის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა უნდა არსებობდეს, რომელიც მიუთითებდა პირის მიერ სავარაუდოდ დანაშაულის ჩადენას. როგორც წესი, ეს არის ის ინფორმაცია, რომელიც სასამართლოში შეიძლება იქნეს მტკიცებულებებად გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი არ ითხოვს იმ ხარისხის მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობას, რომელიც საკმარისი იქნებოდა საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

როგორც აღინიშნა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის მტკიცებულებების ერთობლიობა აძლევს პროკურორს უფლებას, პირი სცნოს ბრალდებულად, ასევე სასამართლოში დააყენოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ან ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, რომელიც ზღუდავს პირის კონსტიტუციურ უფლებებს (ჩხრეკა, ამოღება, საბანკო ანგარიშების მონიტორინგი და სხვა).

ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი გამოიყენება წინასასამართლო სხდომის სტადიაზე. იგი დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტთან შედარებით უფრო მაღალი ხარისხის მტკიცებულებითი (მტკიცებითი) სტანდარტია და გაცილებით მეტ მტკიცებულებას ითხოვს, რომლითაც საქმის არსებითად

განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მოსამართლე. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-12 ნაწილით განმარტებულია აღნიშნული მტკიცებულებითი (მტკიცებითი) სტანდარტის მნიშვნელობა, რომლის თანახმად, იგი წარმოადგენს წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტს, რომელიც ეყრდნობა სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისთვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი. აღსანიშნავია, რომ წინასასამართლო სხდომაზე მთავარი აქცენტი გადატანილია ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე. მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდება საფუძვლიანია და იგი იმსახურებს სასამართლოში არსებით განხილვას. სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, არსებითი განხილვისთვის საქმის გადაცემა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა. წინააღმდეგ შემთხვევაში წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას.

გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი მტკიცებულებითი (მტკიცებითი) სტანდარტის ყველაზე მნიშვნელოვანი და უმაღლესი საფეხურია, ეს არის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში (სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში მთავარი აქცენტი ეჭვის ხარისხზეა გადატანილი და არა ვარაუდზე. ასევე ამ დროს ყურადღება გადატანილია არა მოსამართლეზე, არამედ „ობიექტურ პირზე“, რომელიც არის ობიექტური, მიუკერძოებელი, ნეიტრალური დამკვირვებელი.

მოცემული მტკიცებულებითი (მტკიცებითი) სტანდარტი ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად დამკვირვებელ პირს (ამ შემთხვევაში მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულს) სასამართლოში გა-

მოკვლეული მტკიცებულებების შედეგად ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების ჭეშმარიტებაში და ამ უკანასკნელის ბრალეულობაში გონივრული ეჭვის საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი ეჭვი უნდა გადანყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (ე.წ. in dubio pro reo-ს პრინციპი). აღსანიშნავია, რომ მოსამართლეს კანონი ვერ განუსაზღვრავს, თუ როგორ უნდა შეაფასოს ცალკეული მტკიცებულებები და რა დასკვნა უნდა გამოიტანოს მათი შეფასების შედეგად, ასევე დაუშვებელია მოსამართლეს კანონმა დაუდგინოს, თუ რა წინაპირობების არსებობისას უნდა დარწმუნდეს იგი ბრალდებულის ბრალეულობასა თუ არაბრალეულობაში. მოსამართლე ზემოაღნიშნულს წყვეტს შინაგანი რწმენის საფუძველზე. თუმცა კანონმდებელი ადგენს გარკვეულ სტანდარტს, რომლის თანახმად, მოსამართლეს (ნაფიც მსაჯულს) ცალკეულ გარემოებების დადგენილად ცნობისას *გონივრული ეჭვი* არ უნდა დარჩეს მათ უტყუარობაში. ამით კანონმდებელი იცავს ბრალდებულს მოსამართლის სუბიექტური და არარაციონალური დასკვნებისგან. ამიტომ, სასამართლოს გადანყვეტილების მეტი დამაჯერებლობისა და მოსამართლის მიერ გაკეთებული დასკვნების გამჭირვალობისთვის, სასამართლოს განაჩენში უნდა მიეთითოს იმ მტკიცებულებების ერთობლიობათა თაობაზე, რომელმაც მოსამართლეს გონივრულ ეჭვს მიღმა აფიქრებინა ცალკეულ საკითხებზე დასკვნების გაკეთება¹³⁸.

V. მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა

სამართლიანი პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია ბრალდებულის ინფორმირებულობა წარდგენილი ბრალდების არსისა და საფუძვლების შესახებ (აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი), რაც იმას ნიშნავს, რომ ბრალდების მხარემ დაცვის მხარეს უნდა გააცნოს მის ხელთ არსებული ბრალდებულის როგორც დანაშაულში მამხილებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებები. ამის

138 იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლო, *ქოქრაშვილი, თ.* (რედ.), რეკომენდაციები სასამართლოს გადანყვეტილების შედეგისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესების შესახებ, 2010, გვ. 14-15.

გარეშე წარმოუდგენელია, რომ ბრალდებულმა სასამართლოში ეფექტურად დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებისგან.

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს მხარეთა შეჯიბრებითობა არ იქნებოდა უზრუნველყოფილი, თუ მხარეს არ ექნებოდა წინასწარ ინფორმაცია მეორე მხარის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებულებების შესახებ. როგორც ზემოთ აღინიშნა, სსსკ-ის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ. შესაბამისად, საქმის არსებით განხილვამდე უნდა მოხდეს მხარეთა მიერ შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა.

სამართლიანი და შეჯიბრებითი პროცესის უზრუნველსაყოფად სსსკ-ის 83-ე მუხლი განსაზღვრავს მხარეთა მიერ მტკიცებულებების გაცვლის საკითხს და პროცედურას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ეს უკანასკნელი ასევე ვალდებულია დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები. გამონაკლისის სახით, ბრალდების მხარეს უფლება აქვს სასამართლოს თანხმობით დაცვის მხარეს არ გააცნოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია. ასეთი ინფორმაციის გამოძიების დასრულებამდე დაცვის მხარის მიერ გაცნობამ შესაძლებელია გამოძიების წარმოებასა და ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვებას შეუშალოს ხელი (მაგ., ბრალდებულმა შეიძლება გააფრთხილოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად დადგენილ დანაშაულში მონაწილე სხვა პირები მათ ბინაში შესაძლო ჩხრეკის და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და ა.შ.). გამოძიების დასრულების შემდეგ, თუ ბრალდების მხარე აპირებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო

მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის სასამართლოში მტკიცებულებად გამოყენებას, იგი წინასასამართლო სხდომამდე ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გახდეს დაცვის მხარისთვის ხელმისაწვდომი (სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

დაცვის მხარისთვის მტკიცებულებების გადაცემის შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ეს უკანასკნელი აპირებს (სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მხარეები ინფორმაციის გაცვლის თაობაზე ადგენენ ოქმს, რომლის ასლიც ეგზავნება სასამართლოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

კანონი ადგენს ასევე მხარეთა მიერ ინფორმაციის გაცვლის სხვა პროცედურულ საკითხებსაც, კერძოდ, ზემოაღნიშნული მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, მხარეებმა საკუთარი ხარჯით უნდა გადასცენ ერთმანეთს ინფორმაცია დოკუმენტის ასლის სახით, სხვა მასალის შემთხვევაში კი – ცნობის სახით. დასაშვებია ასევე ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერებაც, თუ ეს არ იწვევს მის ან მასზე არსებული კვალის დაზიანებას ან განადგურებას.

რაც შეეხება ინფორმაციის გაცვლის ვადებს, სსსკ-ს 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიანოდონ იმ მომენტისთვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. გამოძიების პროცესის დასრულებამდეც, ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე მხარეები ვალდებული არიან მისცენ ერთმანეთს იმ ინფორმაციისა და მტკიცებულების გაცნობის შესაძლებლობა, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც ისინი აპირებენ, ასევე გადასცენ წერილობითი მტკიცებულებების ასლები (სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-8 ნაწილი).

აღსანიშნავია, რომ მხარეების მიერ ინფორმაციის გაცვლის ვალდებულების შეუსრულებლობას მოსდევს პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისთვის არსებული მასალის მხარისთვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს

ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას (სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ამრიგად, თუ მხარე სრულფასოვნად არ გადასცემს მეორე მხარეს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას და მოგვიანებით წარადგენს მას სასამართლოში, ასეთი მტკიცებულება ავტომატურად იქნება დაუშვებელი მტკიცებულება, კანონის სრული დაცვითაც რომ იყოს იგი მოპოვებული¹³⁹.

§35. დაუშვებელი მტკიცებულებები

1. ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვების აკრძალვის მნიშვნელობა

სისხლის სამართლის პროცესი შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც მხარეთა მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავების პროცესი, რომელიც ემსახურება სახელმწიფოს სახელით სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას და რაც შეიძლება მხარეთათვის და დაზარალებულისთვის ძალზე არასასურველი შედეგით დასრულდეს. იმისთვის, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას გააჩნდეს ლეგიტიმურობა, მოსამართლე (ნაფიცი მსაჯული) გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ეყრდნობოდეს კანონიერი გზით მოპოვებულ, სანდო და გაუყალბებელ მტკიცებულებებს¹⁴⁰. თუ სახელმწიფო ორგანოები უხეშად დაარღვევენ კანონს მტკიცებულებების მოპოვების პროცესში და აღნიშნული მტკიცებულებები შემდგომ

¹³⁹ აღნიშნული რეგულაციიდან 2014 წლის 1 სექტემბრამდე არსებობდა მხოლოდ ერთი გამონაკლისი დაცვის მხარის სასარგებლოდ. კერძოდ, ძალადაკარგულად გამოცხადებული სსსკ-ის 84-ე მუხლის თანახმად, დაცვის მხარის მიერ ერთი ისეთი მტკიცებულების წარუდგენლობა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი დაცვის უზრუნველსაყოფად, არ იწვევდა სასამართლოში საქმის არსებით განხილვაზე ამ მტკიცებულების დაუშვებლობას. ამ შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე დაცვის მხარეს განკარგულებით აკისრებდა საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას. რამდენადაც 2014 წლის პირველ სექტემბრამდე განსხვავებით ბრალდების მხარისგან, დაცვის მხარეს არ გააჩნდა ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების უფლება, ამ უკანასკნელისთვის აღნიშნული საგამონაკლისო უფლების მინიჭებით კანონმდებელი ცდილობდა მხარეთა შორის თანასწორობის და პროცესის შეჯიბრებითობის ბალანსის დაცვას. მას შემდეგ, რაც მხარეები სარგებლობენ საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისას თანაბარი უფლებამოსილებით, სსსკ-ის 84-ე მუხლმა ძალა დაკარგა.

¹⁴⁰ იხ. ასევე Amelung, K.: Prinzipien strafprozessualer Beweisverwertungsverbote, 2011, გვ. 21.

გამოყენებული იქნება განაჩენის დადგენისას, ბრალდებულის-თვის გამამტყუნებელი განაჩენით დანიშნული სასჯელი სამართლებრივ სახელმწიფოში მოკლებული იქნება ყოველგვარ ლეგიტიმაციას. კანონის უხეშად დამრღვევ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ სხვა გააკიცხოს კანონდარღვევისთვის და დაუნიშნოს სასჯელი¹⁴¹.

როდესაც მხარეთა მიერ მოპოვებული ინფორმაციის სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებად დაშვების აკრძალვის ინსტიტუტზე საუბრობენ, გამოყოფენ როგორც კონტინენტური ევროპის, ისე ანგლო-ამერიკული სამართლის დოქტრინაში მის რამდენიმე მიზანს, კერძოდ, *ჭეშმარიტების დადგენის ხელშეწყობას, პროცესის მონაწილეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვას, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოთა დისციპლინირებას, სახელმწიფოს მიმართ ნდობის შენარჩუნებას და სასჯელის პრევენციული მიზნების დაცვას.*

1. *ჭეშმარიტების დადგენის ხელშეწყობა*

ჭეშმარიტების ძიება (შეჯიბრებით) სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა კომპეტენციაა, სასამართლო კი ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის სამართლიანობა. სასამართლომ მხარეებს ხელი უნდა შეუწყოს ისეთი მტკიცებულებების წარმოდგენასა და გამოკვლევაში, რომლებიც ვარგისია სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებათა დასადგენად. მოსამართლემ (ნაფიცმა მსაჯულმა) საბოლოოდ უნდა განსაზღვროს, ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა ის ქმედება, რომელიც მას ბრალად ედება. შესაბამისად, მოსამართლის დასკვნები უნდა ეყრდნობოდეს უტყუარ ინფორმაციას რელევანტური ფაქტების შესახებ. თუ მოსამართლე დაუშვებდა საქმის არსებითი განხილვისთვის არასანდო და საეჭვო მტკიცებულებებს, მაშინ ზედმეტი იქნებოდა პროცესის სამართლიანობაზე საუბარი¹⁴². მხოლოდ ჭეშმარიტ ინფორმაციაზე დაყრდნობით არის შესაძლებელი სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. ამიტომ, სისხლის სამართლის პროცესში არ დაიშვება

141 იხ. *Amelung, K.*: Informationsbeherrschungsrechte im Strafprozess, 1990, გვ. 20.

142 იხ. ასევე *Janicki, K.*: Beweisverbote im deutschen und englischen Strafprozess, Auswirkungen auf die europäische Zusammenarbeit, 2002, გვ. 49.

ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც ხელს უშლის სიმართლის დადგენას და რომლებსაც ფაქტების შესახებ სასამართლო შეყავს შეცდომაში. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ორიენტირებულია იქითკენ, რომ სასამართლოში განხილულ იქნეს მხოლოდ უტყუარი და ავთენტიკური მტკიცებულებები, ხოლო ის მტკიცებულებები, რომლის სანდოობაც ეჭვს იწვევს დაუშვებლად იქნეს ცნობილი. მაგალითად, სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის, ჰიპნოზის, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მეხსიერებაზე ან აზროვნებაზე. აგრეთვე დაუშვებელია მუქარა ან ისეთი შელავათების დაპირება, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული მეთოდებით პირისგან ინფორმაციის მიღება ეჭვს ბადებს მის სანდოობაში, ხოლო ასეთი მტკიცებულების საქმის არსებითი განხილვის დროს გამოყენება ჭეშმარიტების დადგენის მთლიან პროცესს საფრთხის ქვეშ აყენებს. სამართლიანი პროცესის პრინციპიდან გამომდინარეობს ბრალდებულის უფლება, მის წინააღმდეგ მხოლოდ სანდო მტკიცებულებები იქნეს სასამართლოში წარმოდგენილი¹⁴³. ამას გარდა, სსსკ-ის 77-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ნივთიერი მტკიცებულების ავთენტიკურობა არ დასტურდება საქმის არსებითი განხილვის დროს არ დაიშვება. ასევე სსსკ-ის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე. მაშასადამე, ზემოაღნიშნულ ნორმათა ციტირება საკმარისია დასკვნის გასაკეთებლად, რომ კანონმდებელი მტკიცებულებათა დასაშვებობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

143 იხ. ინგლისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: R. v. Cramp-ton (1991) 92 Cr.App.R, 369; Chao, Y.-Ch.: Einwirkungen der Grundrechte auf die Beweisver-bote im Strafprozessrecht, 2009, გვ. 91.

2. პროცესის მონაწილეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვა

როგორც არაერთხელ აღინიშნა, სისხლის სამართლის პროცესის უმთავრეს ფუნქციას პროცესის მონაწილეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვა წარმოადგენს. პიროვნების ღირსების ხელშეუვალობას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აცხადებს (სსსკ-ის მე-4 მუხლი). მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმების განსაზღვრა არის გარანტია იმისა, რომ მხარეთა მიერ არ მოხდება მტკიცებულებების შეკრება სხვა პირების ღირსების და მათთვის კონსტიტუციით მინიჭებული სხვა უფლებების უხეში შელახვის ხარჯზე¹⁴⁴. ასევე ბრალდებული დაცულია იმისგან, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა მის მიმართ გამოძიება აწარმოონ კონსტიტუციის მოთხოვნათა უგულვებლყოფით. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უკრძალავს მხარეებს მოიპოვონ მტკიცებულებები ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც ლახავს პირის ფუნდამენტურ გარანტიებს. კანონის თანახმად, ასეთი მტკიცებულებები არ დაიშვება სისხლის სამართლის საქმეზე. მაგალითად, ზემოთ ციტირებული სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი ემსახურება არა მხოლოდ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ხელშეწყობას, არამედ იცავს პროცესის მონაწილეთა მათთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ხელყოფისგან. ამრიგად, დაუშვებელ მტკიცებულებათა ინსტიტუტი არის ასევე პროცესის მონაწილეთა ინდივიდუალური უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

3. სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოთა დისციპლინირება

მტკიცებულებათა დაშვების აკრძალვის ერთ-ერთ მიზნად მიჩნეულია სისხლისსამართლებრივი დევნისა და საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლების დისციპლინირება, რათა მათ ყოველთვის დაიცვან ის წესები, რაც დადგენილია მტკიცებულებ-

144 იხ. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Elkins vs. United States* 364 U.S. 206, 220-230 (1960); *Linkletters vs. Walker*, 381 U.S. 618, 632 (1965), *United States vs. Calandra*, 414 U.S. 338, 347, 348 (1974); *United States vs. Leon*, 468 U.S. 897, 908-913 (1984).

ბათა მოპოვებისთვის. მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა წარმოადგენს ერთგვარ „სანქციას“ იმ სამართალდამცველებისთვის, რომლებმაც მათი მოპოვების დროს უხეშად დაარღვიეს კანონის მოთხოვნები. აღნიშნულ მოსაზრებას განსაკუთრებით მხარდამჭერები ჰყავს ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა იგი ასევე აქტუალურია კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებშიც¹⁴⁵. როდესაც ბრალდება ეფუძნება კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს და ასეთი მტკიცებულებები დაუშვებლად იქნება ცნობილი, შედეგად ამას დამნაშავე პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება კი შეიძლება მოყვეს ბრალდების არასაკმარისი მტკიცებულებების გამო. ამით არა თუ უკანონო გზით მოპოვებული მტკიცებულებები დარჩებიან სასამართლოში განხილვის მიღმა, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების მიერ წარმოდგენილი სხვა კანონიერი გზით მოპოვებული (დასაშვები) მტკიცებულებებიც აღმოჩნდებიან აბსოლუტურად გამოუსადეგარი. შესაბამისად, დაუშვებელი მტკიცებულებების ინსტიტუტს გააჩნია პრევენციული მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნისა და საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლები სამომავლოდ იძულებული გახდებიან მტკიცებულებების მოპოვების დროს არ დაარღვიონ კანონის მოთხოვნები, რადგან მათი უკანონო ქმედებები მათი საქმიანობისთვის იქნება აბსოლუტურად უსარგებლო და საზიანო.

4. სახელმწიფოს მიმართ ნდობის შენარჩუნება

როგორც სამოსამართლო სამართალში, ისე სისხლის საპროცესო სამართლის დოქტრინაში ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვების აკრძალვის უმნიშვნელოვანეს ფუნქციად აღიარებულია მართლმსაჯულებისა და სახელმწიფოს მიმართ

145 იხ. Reamey, G. S.: The American Exclusionary Rule Experience, კრებულში: Beweisverbote in Ländern der EU und vergleichbaren Rechtsordnungen, 1999, გვ. 191; Herrmann, J.: Aufgaben und Grenzen der Beweisverwertungsverbote. -Rechtsvergleichende Überlegungen zum deutschen und zum amerikanischen Recht, კრებულში: Festschrift für Hans-Heinrich Jeschek zum 70. Geburtstag, Vogler, Th. (რედ.), 1985, გვ. 1291; Schmid, N. (1993), იქვე, გვ. 119; Chao, Y.-Ch. (2009), იქვე, გვ. 90.

ნდობის შენარჩუნება¹⁴⁶. რამდენადაც მოსამართლე უფლება-
მოსილია არ დაუშვას საქმის არსებით განხილვაზე არამართლ-
ზომიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებები, ეს კიდევ უფრო
ამყარებს მოქალაქეთა რწმენას მართლმსაჯულების სისტემი-
სადმი, რადგან ამით სასამართლო მიანიშნებს იმაზე, რომ იგი
სამართალდამცავი ორგანოების უკანონო მოქმედებებში არ
იღებს მონაწილეობას და არც ასეთ უკანონო მოქმედებებს ით-
მენს. სხვა შემთხვევაში სასამართლო თავად გახდებოდა სამარ-
თალდამცავი ორგანოების კანონსაწინააღმდეგო ქმედებების
ერთ-ერთი თანამონაწილე. არაფერი არ ლახავს სახელმწიფოს
იმიჯს, ავტორიტეტს და ძირს უთხრის მას ისე სწრაფად, რო-
გორც სახელმწიფოს მიერ მისი მოხელეების კანონსაწინააღმდე-
გო ქმედებებით სარგებლობა და მისგან გამორჩენის მიღება¹⁴⁷.
შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნისას სახელმწიფო
ორგანოებისთვის დადგენილი გარკვეული შეზღუდვები მისა-
ღებია და აღნიშნული კონსტიტუციის მოთხოვნაცაა¹⁴⁸. სახელ-
მწიფოს გააჩნია დამნაშავის დასჯის განსაკუთრებული უფლე-
ბამოსილება და იგი ამ დროს მოქმედებს როგორც სამართლის
დამცველი. მის აღნიშნულ უფლებამოსილებას საფუძველი
გამოეცლებოდა, თუ იგი დამნაშავის დასასჯელად გამოიყე-
ნებდა ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც თავად სახელმწიფო
მოხელეებმა კანონის დარღვევით მოიპოვეს, ანუ თუ იგი თავად
კანონს დაარღვევდა კანონის დასაცავად¹⁴⁹. მაშასადამე, სახელ-
მწიფომ მხოლოდ სამართლებრივად და მორალურად უნაკლო
საშუალებებით უნდა მოახერხოს სისხლის სამართლის საქმეზე
განაჩენის გამოტანა და დამნაშავის დასჯა, რათა საზოგადოება-
ში შეინარჩუნოს ავტორიტეტი და ნდობა¹⁵⁰.

146 იხ. აღნიშნულის შესახებ აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქ-
მეზე *Olmstead vs. United States*, 277 U.S. 438 (1928); *Weeks vs. United States*, 232 U.S. 463
(1914); ასევე *Dressler, J.: Understanding Criminal Procedure*, მე-3 გამოცემა, 2002, გვ. 381;
Ingram, J.: Criminal Procedure-Theory and Practice, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 82.

147 იხ. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Mapp vs. Ohio*, 367
U.S. 643, 659 (1961).

148 იხ. *Israel, J./Kamisar, Y./Lafave, W.: Criminal Procedure and the Constitution – Leading
Supreme Court Cases and Introductory Text*, 1991, გვ. 61.

149 იხ. *Koriath, H.: Über Beweisverbote im Strafprozess*, 1994, გვ. 44.

150 იხ. *Osmer, J.-D.: Der Umfang Beweisverwertungsverbots des §136a StPO*, ჰამბურგის
უნივერსიტეტის სადისერტაციო ნაშრომი, 1966, გვ. 10; *Ossenherg, S.: Die Fernwirkung*

5. სასჯელის პრევენციული მიზნების დაცვა

გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ დაუშვებელ მტკიცებულებათა ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს სასჯელის პრევენციული მიზნების დაცვა¹⁵¹. როგორც ცნობილია, სასჯელს გააჩნია სპეციალური (კერძო) და გენერალური (ზოგადი) პრევენციული მიზნები. სასჯელის სპეციალური პრევენცია უკავშირდება მომავალი დანაშაულის აღკვეთას, რომლის მიხედვით სასჯელის მიზანია თავად დამნაშავის პიროვნებაში „დანაშაულის დამარცხება“, რაც დამნაშავეზე ზემოქმედებით მიიღწევა¹⁵². ამრიგად, სასჯელის მიზანია დამნაშავის პიროვნების გამოსწორება, მისი რესოციალიზაცია (ე.წ. **პოზიტიური სპეციალური პრევენცია**) და საზოგადოების დაცვა მისგან დამნაშავის იზოლაციით (ე.წ. **ნეგატიური სპეციალური პრევენცია**)¹⁵³. განსხვავებით სპეციალური პრევენციისგან, სასჯელის გენერალური პრევენციის ადრესატია მთელი საზოგადოება. ისევე როგორც სპეციალურ პრევენციას, გენერალურ პრევენციასაც გააჩნია **პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები**¹⁵⁴. სასჯელის **პოზიტიური გენერალური პრევენციის თეორიის** თანახმად, დანაშაულებრივი ქმედებების დასჯას გააჩნია საზოგადოების წევრების მხრიდან სამართლისადმი პატივისცემის შეგრძნების გამყარების ეფექტი, რაც საზოგადოებაზე პოზიტიურად ზემოქმედებს¹⁵⁵. **ნეგატიური გენერალური პრევენციის თეორია** სასჯელის მიზანს საზოგადოების დაშინებაში ხედავს, რათა თავიდან უნდა იქნეს აცილებული სხვა დანაშაულებრივი ქმედებები¹⁵⁶.

im deutsch- U.S.-amerikanischen Vergleich. Unter besonderer Berücksichtigung der Funktionen der Beweisverwertungsverbote. 2011, გვ. 78.

151 იხ. *Ossenberg, S.* (2011), იქვე, გვ. 27-28; *Gütting, S.*: Beweisverwertungsverbote in Fällen gesetzlich nicht geregelter Ermittlungstätigkeit. Durch V-Leute, Scheinaufkäufer und Privatleute. 2001, გვ. 39-41.

152 იხ. *Schmidhäuser, E.*: Vom Sinn der Strafe, 1963, გვ. 53.

153 იხ. *ტურავა, მ.*: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 44; *Meier, B.-D.*: Strafrechtliche Sanktionen, 2001, გვ. 25.

154 იხ. *ტურავა, მ.* (2011), იქვე, გვ. 44.

155 იხ. *ტურავა, მ.* (2011), იქვე, გვ. 45; *Heinrich, B.*: Strafrecht – Allgemeiner Teil I, Grundlagen der Strafbarkeit, Aufbau der Straftat beim Vollendungs- und Versuchsdelikt, 2005, ველის ნომერი 17; *Naucke, W.*: Strafrecht – Eine Einführung, მე-9 გამოცემა, 2000, პარაგრაფი 1, ველის ნომერი 140.

156 იხ. *Schmidhäuser, E.* (1963), იქვე, გვ. 22; *ტურავა, მ.* (2011), იქვე, გვ. 45.

დაუშვებელი მტკიცებულებების სასამართლოში გამოყენების გამორიცხვა და მხოლოდ სანდო მტკიცებულებებზე დაყრდნობით განაჩენის დადგენა კიდევ უფრო მეტ ლეგიტიმაციას სძენს დანიშნულ სასჯელს საზოგადოებისა და თავად მსჯავრდებულის თვალში. საზოგადოება და მსჯავრდებული ვერცერთ შემთხვევაში ვერ მიიღებს ისეთ განაჩენს, რომელიც ეფუძნება არასანდო და უკანონო მტკიცებულებებს. სასჯელის პრევენციული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულისთვის მისაღები იყოს დანიშნული სასჯელი. ამისთვის პროცესი უნდა იყოს სამართლიანი და მსჯავრის დადების შემდეგ მსჯავრდებული თავს არ უნდა თვლიდეს „იუსტიციის ორგანოთა“ უკანონო ქმედებების მსხვერპლად¹⁵⁷. ამასთან, თუ სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოების უკანონო ქმედებებს ყოველგვარი რეაქციის გარეშე დატოვებდა, მაშინ შესაძლებელია, რომ საზოგადოებაშიც გაჩნდეს კანონის მოთხოვნების დაცვის აუცილებლობის განცდა¹⁵⁸.

II. მტკიცებულების მოპოვების აკრძალვა და მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა

1. ზოგადი დებულებანი

როგორც უკვე აღინიშნა, სამართლებრივ სახელმწიფოში ქვეყნის მთავრობის დადგენა არ არის სისხლის სამართლის პროცესის აბსოლუტური მიზანი, ვინაიდან, იგი განიცდის გარკვეულ კანონისმიერ ბოჭვებს. ქვეყნის მთავრობა დადგენილი უნდა იქნეს მხოლოდ პროცესუალურად დასაშვები საშუალებებითა და სხვა ფასეულობათა გათვალისწინებით. შესაბამისად, მხარეების მიერ მოპოვებული ყველა ინფორმაცია ვერ იქნება დასაშვებ მტკიცებულებად ცნობილი სისხლის სამართლის პროცესში თუ ისინი არ პასუხობენ კანონის მოთხოვნებს.

დაუშვებელ მტკიცებულებებთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაფუსვავთ ორ მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ, მტკიცებულება-

157 Osmer, J.-D. (1966). იქვე, გვ. 10.

158 იხ. Schwaben, S.: Die Personelle Reichweite von Beweisverwertungsverbotten, 2005, გვ. 33.

თა მოპოვების აკრძალვასა და მტკიცებულებების გამოყენების აკრძალვას. პირველ შემთხვევაში იგულისხმება ის მტკიცებულებები, რომელთა მოპოვებაც კანონის მიხედვით დაუშვებელია, ხოლო მეორე შემთხვევაში - მტკიცებულებები, რომელთა სასამართლოში გამოყენებაც იკრძალება. განვიხილოთ თითოეული ქვემოთ ცალ-ცალკე.

2. მტკიცებულების მოპოვების აკრძალვა

როდესაც საუბარია მტკიცებულებების მოპოვების აკრძალვაზე, ერთმანეთისგან განასხვავებენ ინფორმაციის მოპოვების აკრძალვას:

ა) გარკვეული თემების შესახებ

ბ) დაუშვებელი მეთოდების გამოყენებით

გ) გარკვეული წყაროებიდან

- **მტკიცებულებების მოპოვების აკრძალვა გარკვეული თემების შესახებ.** მაგალითისთვის, დაუშვებელია სახელმწიფო საიდუმლო გრიფით დაცული მასალების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მათი სასამართლოში მტკიცებულებად წარდგენა, თუ აღნიშნულის თაობაზე კანონით დადგენილი წესით შესაბამისი ორგანოების მხრიდან არ იქნა გაცემული ნებართვა. დაუშვებელია ასევე პირის თანხმობის გარეშე ინფორმაციის მოპოვება მის მიერ დემოკრატიულ არჩევნებში მონაწილეობისას გაკეთებული არჩევანის შესახებ. გარდა აღნიშნულისა, მტკიცებულებად არ მიიღება ინფორმაცია, რომელიც ეხება პირის გაქარწყლებულ ან მოხსნილ ნასამართლობას. სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. შესაბამისად, ამგვარი ინფორმაცია სასამართლოს არ უნდა წარედგინოს პირის საზიანოდ. ეს ეხება, როგორც წარსულში პირის გასამართლე-

ბის ფაქტს, ისე იმ გარემოებებს, რაც საფუძვლად დაედო გამამტყუნებელ განაჩენს¹⁵⁹.

- **მტკიცებულებების მოპოვების აკრძალვა დაუშვებელი მეთოდების გამოყენებით.** ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვება ხდება კანონით აკრძალული მეთოდებით, თუნდაც დასაშვები თემების ირგვლივ (მტკიცებულება არ ეხება სახელმწიფო საიდუმლოებას, პირის ნასამართლობას და ა.შ.). ასეთი მეთოდების ძირითადი ჩამონათვალი მოცემულია სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის თანახმად, დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის, ჰიპნოზის, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მეხსიერებაზე ან აზროვნებაზე. აგრეთვე დაუშვებელია მუქარა ან ისეთი შელავათების დაპირება, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული. მტკიცებულება, რომლებიც ჩამოთვლილი მეთოდების გამოყენებითაა მოპოვებული, დაუშვებელია და ვერ იქნება განაჩენის მიღებისას გათვალისწინებული, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა სიმართლეს ის ინფორმაცია, რომელსაც ასეთი მტკიცებულება შეიცავს.

- **მტკიცებულებების მოპოვების აკრძალვა გარკვეული წყაროებიდან.** ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც პერსონალური (მონმეთა ჩვენება), ისე ნივთიერი მტკიცებულებების და დოკუმენტების მოპოვების აკრძალვა, თუნდაც კანონით დასაშვები მეთოდების გამოყენებით. მსგავსი აკრძალვა გამომდინარეობს მაგალითად, სსსკ-ის 50-ე მუხლიდან, რომლის თანახმად, მონმედ დაკითხვისა და საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება: ა) ადვოკატს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკა-

159 იხ. ასევე Eisenberg, U. (2006), იქვე, გვ. 100.

ტის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ბ) ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების განწევასთან დაკავშირებით; გ) სასულიერო პირს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად; დ) ბრალდებულის ახლო ნათესავს; ე) სახალხო დამცველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს; ვ) საქართველოს პარლამენტის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს; ზ) მოსამართლეს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც სასამართლოს თათბირის საიდუმლოებაა; თ) უურნალისტს – პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით; ი) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში; კ) საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას, თუ იგი არ დათანხმდება, მისცეს ჩვენება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კრძალავს ასევე ინფორმაციის მიღებას ისეთი პირისგან, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება. დაუშვებელია ზემოაღნიშნული პირებისგან მოთხოვილ იქნეს ჩვენების მიცემა ან სხვა მტკიცებულების გადაცემა თუ ისინი ამის წინააღმდეგი არიან.

3. მტკიცებულების გამოყენების აკრძალვა

მტკიცებულებების გამოყენების აკრძალვა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა გულისხმობს იმას, რომ სისხლის სამართლის

საპროცესო კანონმდებლობა დაუშვებლად აცხადებს გარკვეული მტკიცებულებების სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოყენებას. მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოყენების ერთმანეთისგან გამიჯვნა იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ კანონდარღვევით მტკიცებულებათა მოპოვება ყოველთვის არ იწვევს მისი გამოყენების აკრძალვას. ასევე აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებების კანონის დაცვით მოპოვება ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ მისი გამოყენება სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს ყოველთვის დასაშვები იქნება. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ კანონის სრული დაცვით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი, ხოლო კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები რიგ შემთხვევაში მოსამართლემ დაუშვას საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე.

ქვემოთ შეგვიძლია განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კრძალავს მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენებას:

- სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, - ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. აღნიშნული უფლებათა განმარტების გარეშე ბრალდებულისგან მიღებული ინფორმაცია ვერ იქნება გამოყენებული მტკიცებულებად, ვინაიდან ამ შემთხვევაში დაირღვა ბრალდებულის მნიშვნელოვანი სუბიექტური უფლება, კერძოდ, თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია (*nemo tenetur se ipsum accusare*-ს პრინციპი) (იხ. ასევე სსსკ-ის 174-ე მუხლის პირველი ნაწილი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი მეცნიერი მსგავს პირობებში მოპოვებულ ინფორმაციას დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევს, თუ პოზიტიურად დგინდება,

რომ ბრალდებულმა ისედაც იცოდა დუმილის უფლების შესახებ და ისე მიაწოდა სამართალდამცველებს ინფორმაცია. მათ მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში *nemo tenetur se ipsum accusare*-ს პრინციპი ხელუხლებელია და ბრალდებულის უფლებებიც არ დარღვეულა¹⁶⁰.

- როგორც ზემოთ აღინიშნა, სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, *მონმეს აქვს უფლება არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს*. სსსკ-ის 115-ე მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებს მოსამართლეს დაკითხვამდე განუმარტოს მონმეს აღნიშნული უფლება. შესაბამისად, თუ მონმეს თავისი უფლებათა შესახებ განმარტებები არ მიუღია და დაკითხვის დროს დანაშაულის ჩადენაში ამხილა თავი ან თავისი ახლო ნათესავი, მონმის ჩვენება ვერ იქნება მის ან მისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ გამოყენებული.
- სსსკ-ის 83-ე მუხლი ადგენს მხარეების მიერ შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის წესს. მხარეებმა ერთმანეთს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისთვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, *ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისთვის არსებული მასალის მხარისთვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას*.
- დაუშვებელია ასევე ის მტკიცებულება, რომელიც საგამოძიებო მოქმედებებისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი წესების უხეში დარღვევით არის მოპოვებული.

რაც შეეხება კანონის სრული დაცვით მოპოვებული ინფორმაციის სასამართლოში არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობას, ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემთხვევა, როდესაც ბრალდებულმა საქმის არსებით განხილვამდე მონმის სტატუსით დაკითხვისას

¹⁶⁰ იხ. Eisenberg. U.(2006), იქვე, გვ. 110; ასევე იხ. ქვემოთ III., I., 1.1.

ისაუბრა სისხლის სამართლის საქმის ცალკეული გარემოებების შესახებ, ხოლო საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოიყენა დუმის უფლება და უარი განაცხადა მანამდე მიცემული ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებაზე. სსსკ-ის 247-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, *თუ ბრალდებული წინააღმდეგია, საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ მოწმის სტატუსით მიცემული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა და ამ ინფორმაციის აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება), ასევე მისი მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია.*

მტკიცებულების გამოყენების დაუშვებლობა ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ინფორმაციიდან არ შეიძლება გაკეთდეს მოსამართლის (ნაფიცი მსაჯულის) მიერ რაიმე სახის დასკვნები და იგი საფუძვლად დაედოს განაჩენს. თუ არსებობს გარკვეული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების აკრძალვა, დაუშვებელია მაშინ ასევე ამ აკრძალვის გვერდის ავლით იმავე ინფორმაციის სხვა გზებით სასამართლოში გამოყენება. მაგალითად, როდესაც ბრალდებული წინააღმდეგია საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებად იქნეს გამოყენებული მის მიერ მანამდე მიცემული ჩვენება, არ შეიძლება მისი ჩანაცვლება მოხდეს იმ პირის სასამართლოში მოწმედ გამოძახების გზით, რომელმაც ბრალდებული სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომამდე მოწმის სახით დაკითხა და ამ უკანასკნელისგან ინფორმაცია მიიღო⁶¹. აქედან გამონაკლისია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებული ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია ბრალდებულის ნების გათვალისწინების გარეშეც იქნეს სასამართლოში გამოყენებული მტკიცებულებად (სსსკ-ის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

როგორც დავინახეთ, მტკიცებულებათა გამოყენების აკრძალვა ერთი მხრივ, შეიძლება გამომდინარეობდეს მტკიცებულებათა მოპოვების აკრძალვიდან, მეორე მხრივ, კი შესაძლებელია, მტკიცებულება კანონიერად იქნეს მოპოვებული, თუმცა იგი დაუშვებელ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ზოგადი წესი იმის თაობაზე, თუ რა შემთხვე-

161 იხ. ასევე *Beulke, W.* (2010), იქვე, გვ. 294.

ვაში შეიძლება მტკიცებულება მისი მოპოვების წესების დარღვევის გამო დაუშვებლად იქნეს ცნობილი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პროცესუალური ნორმის დარღვევის დროს, რომელიც მტკიცებულებების მოპოვების საკითხს არეგულირებს, ცალკეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა შემოწმდეს დასაშვებია თუ არა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისთვის მოპოვებული მტკიცებულება. სამართლიანობისთვის აუტანელი შედეგი დადგებოდა, თუკი ვერ მოხერხდებოდა დანაშაულის ჩამდენი პირისთვის მსჯავრის დადება იმ მიზეზით, რომ მისი დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებები დაუშვებლად იქნა ცნობილი. სახელმწიფო ვალდებულია ერთი მხრივ, დაიცვას ბრალდებულის უფლებები უხეში ხელყოფისგან და არ დაარღვიოს სამართლიანი პროცესის პრინციპი, მეორე მხრივ, კი მან უნდა უზრუნველყოს ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა და სისხლის სამართლის პროცესი, რათა დამნაშავეებმა თავი არ აარიდონ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც არსებობს კონფლიქტი ბრალდებულის უფლებების დაცვის ინტერესსა და ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველყოფის ინტერესს შორის სისხლის საპროცესო სამართალში და სამოსამართლეო სამართალში განვითარდა ცალკეული თეორიები, რომლებიც გამოიყენება მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად. კანონმდებლის მიერ აღნიშნული თეორიათაგან გარკვეული მათგანი პირდაპირ აისახა საქართველოს მოქმედ სისხლის საპროცესო კანონმდებლობაში, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

- **დარღვეული ნორმით დაცული ინტერესთა თეორია.** აღნიშნული თეორიის თანახმად, მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ ვის ინტერესების დაცვას ემსახურება მტკიცებულებათა მოპოვებისთვის დადგენილი ნორმა, რომელიც დარღვეული იქნა;
- **მიზეზობრივი კავშირის თეორია.** გარკვეულ შემთხვევებში (როგორც წესი, მონმეთა დაკითხვის დროს) მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობისთვის დგინდება, არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი

მტკიცებულების მოპოვებისთვის დადგენილი წესების დარღვევასა და მიღებულ ინფორმაციას შორის;

- **ინტერესთა შეფასების თეორია.** მოცემული თეორიის მიხედვით კონკრეტულ შემთხვევებში ხდება ერთი მხრივ, დანაშაულის გახსნის, დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესისა და მეორე მხრივ, პირის ინდივიდუალური ინტერესების შეფასება და ამის მიხედვით მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა, რა დროსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და პროცესუალური ნორმის დარღვევის ხასიათის განსაზღვრა;
- **მონამღული ხის ნაყოფის დოქტრინა (fruit of the poisonous tree doctrine).** კანონმდებელმა ამ დოქტრინის საკანონმდებლო რეგლამენტაცია მოახდინა სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის მიხედვით, *სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.*
- **სფეროთა თეორია („სამი საფეხურის თეორია“).** პირის კონსტიტუციური გარანტიების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სფეროთა თეორია ერთმანეთისგან განასხვავებს ინდივიდის სამ სფეროს: *სოციალური სფერო* (მაგ., ადამიანის საქმიანობა სამუშაო ადგილზე, საჯარო ადგილებში და ა.შ.); *პირადი ცხოვრების სფერო* (მაგ., საქმიანობა ბინაში, ურთიერთობა მეგობრებთან და ა.შ.); *ინტიმური სფერო* (ადამიანის სექსუალური ცხოვრება). მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა დადგინდეს, ადამიანის ცხოვრების რომელი სფეროდან მოხდა ინფორმაციის მოპოვება. თუ ინდივიდის სოციალურ სფეროს მიკუთვნებული ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვება პრობლემას არ წარმოადგენს, პირის ინტიმური სფერო აბსოლუტურად ხელშეუხებელია და ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე დაცულია

სახელმწიფოს და კერძო პირების მხრიდან ჩარევისგან. ამიტომ, პირის ნების გარეშე მისი ინტიმური სფეროდან მოპოვებული ინფორმაციის სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია. რაც შეეხება პირის პირად სფეროდან (თუ იგი ამავდროულად არ ეხება პირის ინტიმური ცხოვრების დეტალებს) მტკიცებულებათა მოპოვება სათანადო წინაპირობების დაცვითა და თანაზომიერების პრინციპის მკაცრი გათვალისწინებით შესაძლებელია.

ზემოხსენებულ თეორიებზე უფრო დეტალურად საუბარი იქნება ქვემოთ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ ცალკეული პრობლემატური საკითხების განხილვის დროს.

III. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადანყვეტა ცალკეულ შემთხვევებში

1. ბრალდებულის პროცესუალური უფლებების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა

1.1. ბრალდებულისგან უფლებების განმარტების გარეშე მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობა

პრინციპს, რომელიც კრძალავს ბრალდებულის იძულებას ითანამშრომლოს საგამოძიებო ორგანოებთან საკუთარი თავის საზიანოდ - *nemo tenetur se ipsum accusare* -, იგივე დუმილის უფლება, გააჩნია კონსტიტუციური რანგი (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი) და გარანტირებულია იგი ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით. ამასთან აღნიშნული დებულება წარმოადგენს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს (სსსკ-ის მე-15 მუხლი). როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისგან

თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. აღნიშნული უფლება ბრალდებულის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური უფლებაა და მისი ხელყოფა წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის „არსებით დარღვევას“. ამიტომ ამ უფლების ხელყოფით ბრალდებულისგან მიღებული ინფორმაცია დაუშვებელი მტკიცებულებაა და იგი ვერ იქნება მის წინააღმდეგ გამოყენებული.

ვინაიდან, ბრალდებულს დუმილის უფლებით სარგებლობა პროცესის ყველა სტადიაზე შეუძლია, სსსკ-ს 38-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული ცნება „დაკითხვა“ ფართოდ უნდა იქნეს გაგებული. კერძოდ, მასში არ უნდა მოვიზნოთ ბრალდებულის დაკითხვა ვინაშე ვარაუდობთ მხოლოდ სასამართლოს არსებით სხდომაზე, რამდენადაც იგი გულისხმობს ასევე სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი თანამდებობის პირის მიერ ბრალდებულისთვის გამოძიების ეტაპზე ისეთი კითხვების დასმასაც, რომელთა მიზანია სასამართლოში მტკიცებულებათა წარსადგენად ვარგისი ინფორმაციის მიღება. მაგალითად, ფართოდ გაგებით დაკითხვას აქვს ადგილი, როდესაც გამომძიებელი ბრალდებულს გამოძიების ეტაპზე გაესაუბრება და შეკითხვებს დაუსვამს ჩადენილი დანაშაულის, დანაშაულში მისი მონაწილეობისა და სხვა მსგავსი გარემოებების შესახებ. მსგავს შემთხვევებშიც სავალდებულოა, რომ ბრალდებულს განემარტოს თავისი უფლებები. განსხვავებით ამისგან, ბრალდებულისთვის უფლებების ფორმალური განმარტება სავალდებულო არ არის, როდესაც გამომძიებელი ან პროკურორი ამ უკანასკნელს შეკითხვებით მიმართავს მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების ან გარკვეული საგნების მესაკუთრის დასადგენად¹⁶². დაკითხვას ადგილი არ აქვს და შესაბამისად, უფლებების განმარტების ვალდებულება არ არსებობს აგრეთვე, როდესაც ბრალდებული საკუთარი ინიციატივით და ნებაყოფლობით გამომძიებელს ან პროკურორს აწვდის საქმის გარემოებების დადგენისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ისე, რომ ბრალდებულზე ამ უკანასკნელებს თავ-

162 მსგავს პრაქტიკას მისდევს აგრეთვე ინგლისი და აშშ., იხ. Janicki, K. (2002), იქვე, გვ. 274; Del Carmen, R.: Criminal Procedure: Law and Practice, მე-8 გამოცემა, 2010, გვ. 373-374.

ვიდანვე ზემოქმედება არ მოუხდენიათ და საუბრის ინიციატორი მხოლოდ ბრალდებული იყო. ამრიგად, ბრალდებულის მიერ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი თანამდებობის პირებისთვის „სკონტანურად“ ინფორმაციის მინოდება არ წარმოადგენს დაკითხვას და იგი არ წამოშობს ბრალდებულისთვის სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უფლებათა განმარტების აუცილებლობას¹⁶³. ბრალდებულისთვის უფლებების განმარტების შემდეგ ბრალდებულისგან მიღებული ინფორმაციის ნებაყოფლობითობა შესაძლოა დადგეს ეჭვქვეშ, როცა ის სიმთვრალის, ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ან ძლიერი ფიზიკური ტრავმის ქვეშ იმყოფება. მაგალითად, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე *მინსი არიზონას წინააღმდეგ* (Mincey v. Arizona) ნებაყოფლობითად არ ჩათვალა დუმილის უფლების გამოყენებაზე უარი იმ ბრალდებულისგან, რომელიც იყო მძიმედ დაჭრილი და საავადმყოფოში დაკითხვის მომენტში ძლიერ ფიზიკურ ტრავმას განიცდიდა¹⁶⁴.

უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთი ავტორი უშვებს გარკვეულ გამოწვევებს ბრალდებულისთვის უფლებების განმარტების გარეშე მიღებული ინფორმაციის დაუშვებლ მტკიცებულებად ცნობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა, როდესაც ბრალდებულისთვის დაკითხვის წინ უფლებები არ განუმარტავთ, თუმცა დადგენილია, რომ ბრალდებულმა იცოდა დუმილის უფლების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ზოგი მეცნიერი დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევს ბრალდებულის ჩვენებას¹⁶⁵. ამის დასასაბუთებლად ისინი მიუთითებენ შემდეგ გარემოებებზე: „*მართალია ყოველი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა განემარტოს დუმილის უფლება, მიუხედავად იმისა ბრალდებულს აქვს თუ არა*

163 აღნიშნულის შესახებ იხილეთ აგრეთვე ინგლისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: R. v. Menard (1995) 1 Cr.App.R., გვ. 306, 315.

164 იხ. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Mincey v. Arizona, 437 U.S. გვ. 385. (1978).

165 იხ. Misch, W.: Schuldigtenstatus und Belehrungspflicht, ურნალში: NStZ, 2008, გვ. 49; Crame, S./Bürgle, M.: Die strafprozessualen Beweisverwertungsverbote, Darstellung für die Praxis anhand höchstrichterlicher Rechtsprechung, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, 2004, გვ. 75; იგივე ტენდენცია შეიმჩნევა გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც: BGHSt 38, გვ. 214 (224); BGHSt 47, გვ. 172, 173; BGH StV 2002, გვ. 117, 118.

ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ; კანონიც არ იცნობს ამისგან გამონაკლისებს; თუნდაც ნასამართლევი იყოს ბრალდებული, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ მას აქვს ცოდნა თავისი უფლებების შესახებ; მიუხედავად ამისა, თუ ბრალდებულმა, რომელსაც უფლებები დაკითხვის წინ არ განუმარტეს, იცოდა, რომ აქვს დუმილის უფლება და იგი მაინც იძლევა ჩვენებას, არ უნდა გაერცვლდეს მასზე კანონის მოთხოვნა იგივენაირად, როგორც თავისი უფლებების უცოდინარი ბრალდებულის შემთხვევაში. მაგალითად, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბრალდებული ინფორმირებული იყო დუმილის უფლების შესახებ (ე.წ. „ინფორმირებული ბრალდებული“), როდესაც იგი ჩვენებას იძლეოდა ადვოკატის თანდასწრებით, თუმცა ჩვენების წინ უფლებები არ განემარტა; „ინფორმირებული“ ბრალდებულისთვის დუმილის უფლების განმარტების ვალდებულება კანონით ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს, თუმცა მტკიცებულება მაინც დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი, რადგან მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის პროცესის ეფექტურად განხორციელების ინტერესს პროირიტეტი უნდა მიენიჭოს¹⁶⁶. „ინფორმირებული“ ბრალდებულისგან კანონდარღვევით მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვების დასასაბუთებლად იყენებენ აგრეთვე ე.წ. *მიზეზობრივი კავშირის თეორიას* და მიუთითებენ კანონდარღვევასა და მიღებულ ჩვენებას შორის არარსებულ მიზეზობრიობაზე. აღნიშნულ თეორიაზე დაყრდნობით, მტკიცებულება დასაშვებია, რადგან ბრალდებულისთვის გამორჩენილი უფლებების განმარტებას საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია; ბრალდებულისთვის რომ განემარტათ უფლებები იგი მაინც მისცემდა ჩვენებას; ამრიგად, კანონდარღვევა არ ყოფილა ბრალდებულისგან ინფორმაციის მიღების სავალდებულო პირობა.

შემდეგ გამონაკლისად მიჩნეულია შემთხვევა, როდესაც სასამართლოს არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდებული ადვოკატთან ერთად არის წარმოდგენილი და დაცვის მხარე არ ეწინააღმდეგება მტკიცებულებად გამოყენებულ იქნეს ბრალდებულისგან სასამართლოს არსებით განხილვამდე მისთვის

166 იხ. BGHSt 38, გვ. 214 (224); BGHSt 47, გვ. 172, 173; BGH StV 2002, გვ. 117, 118.

უფლებების განმარტების გარეშე მიღებული ინფორმაცია¹⁶⁷.

ასევე აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის უფლებების განმარტების ვალდებულების დარღვევის გამო მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის მოთხოვნა არ მოქმედებს მესამე პირების სასარგებლოდ. მაგალითად, ბრალდებულს გამოძიების ეტაპზე დაკითხვის წინ არ განემარტა უფლებები. მოგვიანებით ბრალდებულის გარდაცვალების გამო მის წინააღმდეგ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა. კანონდარღვევით მოპოვებული გარდაცვილი ბრალდებულის ჩვენება შესაძლებელია სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად და იგი გამოქვეყნდეს სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის სხდომაზე სხვა ბრალდებული პირების საზიანოდ¹⁶⁸. მოვიტანოთ ასევე შემდეგი შემთხვევა:

ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენის ბრალდებით დააკავეს ა. მას დაკითხვის წინ არ განემარტა დუმილის უფლება. ა.-მ გამომძიებელს უამბო, რომ მან ნარკოტიკული ნივთიერება შეიძინა ვინმე ბ.-სგან. პროკურორმა უარი თქვა ა.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებაზე. მოგვიანებით ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების გამო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ბ.-ს მიმართ.

აღნიშნულ მაგალითში ა.-სგან კანონდარღვევით მიღებული ჩვენება შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად ბ.-ს წინააღმდეგ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, ვინაიდან ამ შემთხვევაში **დარღვეული ნორმის ადრესატი არის ა. და არა მესამე პირი ბ. დარღვეული ნორმით დაცული ინტერესთა თეორიის** თანახმად, ნორმა, რომელიც ა.-ს დაკითხვის დროს დაირღვა, ემსახურება ა.-ს ინტერესების დაცვას და მისი მიზანი არ არის ამავედროულად დაიცვას მესამე პირების ინტერესები. შესაბამისად, ა.-ს წინააღმდეგ დუმილის უფლების განმარტების გარეშე მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია, ხოლო იგივე ჩვენების ბ.-ს საზიანოდ გამოყენება ზემოაღნიშნული თეორიის თანახმად ნებადართულია.

167 იხ. BGHSSt 38, გვ. 214 (225).

168 იხ. აღნიშნულის შესახებ *Beulke, W.* (2010), იქვე, გვ. 303; BGHSSt StV 1995, გვ. 231; BayObLGSSt 1993, გვ. 207, 208.

1.2. ადვოკატის ყოლის უფლების დარღვევით ბრალდებულისგან მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობა

თუ ბრალდებულს შეეზღუდება ადვოკატის აყვანის ან თავის ადვოკატთან კონსულტაციის გავლის უფლება, გამოიწვევს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 მუხლისა და სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის უხეშ დარღვევას. აღნიშნული ეწინააღმდეგება აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას, რაც ავტომატურად წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის ხელყოფას. შესაბამისად, ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია დაცვის-უფლება-შეზღუდული ბრალდებულისგან წარმოადგენს დაუშვებელ მტკიცებულებას და არ შეიძლება ისინი მოსამართლემ საფუძვლად დაუდოს თავის გადაწყვეტილებას¹⁶⁹.

1.3. ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა

სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს მტკიცებულებების მოსაპოვებლად უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, რომელსაც ბრალდებული და მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს. შუამდგომლობის დაკმაყოფ

¹⁶⁹ ინგლისის სამოსამართლო სამართალი აღნიშნულ საკითხს განსხვავებულად უდგება; ერთი მხრივ, ინგლისური სამართალი აღიარებს ბრალდებულის უფლებას ადვოკატის კონსულტაციაზე ამ უკანასკნელის მნიშვნელოვან სუბიექტურ უფლებად და სამართლიანი პროცესის განუყოფელ კომპონენტად, მეორე მხრივ, სამოსამართლო სამართალი უშვებს გამოწვევებს ამ უფლების დარღვევით ბრალდებულისგან მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვებასთან დაკავშირებით; მაგალითად, ინგლისის სააპელაციო სასამართლომ საქმეზე: R. v. Alladice (1983) 87 Cr.App.R., 380 დასაშვებ მტკიცებულებად სცნო ადვოკატის ყოლის უფლების დარღვევით ბრალდებულისგან მიღებული აღიარებითი ჩვენება და მიუთითა, რომ „...როცა ბრალდებულის დაკითხვის დროს ადვოკატის დასწრება ბრალდებულის გადანყვებილებაზე გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ბრალდებულს ისედაც გადანყვებილი უქონდა მიეცა პოლიციისთვის აღიარებითი ჩვენება, ბრალდებულის ჩვენება დასაშვებ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი მაშინაც, როცა იგი დაკითხვის დროს ადვოკატის დასწრების უფლების შეზღუდვით არის მოპოვებული; მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში მხოლოდ ის, რომ მოსამართლე დარწმუნდეს ბრალდებულის აღიარების სანდოობაში...“.

ფილების შემთხვევაში ბრალდებულს დროულად უნდა ეცნობოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი. თუ ბრალდებულს ან მის ადვოკატს გონივრულ ვადაში არ ეცნობება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი, ასეთი საგამოძიებო მოქმედება არ უნდა ჩატარდეს, ხოლო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი (სსსკ-ის 40-ე მუხლის მე-2 ნაწილი). გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ბრალდებული დაპატიმრებულია და მის მაგივრად საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას ესწრება მისი ადვოკატი. ადვოკატის დასწრებით მოპოვებული მონაცემები დასაშვები მტკიცებულებაა. თუმცა, როდესაც საგამოძიებო მოქმედებაში ბრალდებულის უშუალო მონაწილეობა აუცილებელია, აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებული უნდა იყოს იგი დროულად და საგამოძიებო მოქმედება მისი მონაწილეობის გარეშე არ უნდა ჩატარდეს. თუ ასეთ შემთხვევაში ბრალდებულს შეეზღუდა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე არ უნდა იქნეს დაშვებული.

განსხვავებით ზემოაღნიშნულისგან, ბრალდებული ან მისი ადვოკატი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს პროკურორის ან გამოძიებლის ინიციატივით განხორციელებულ საგამოძიებო მოქმედებებზე დასწრება, ვინაიდან, შეჯიბრებითი პროცესის პრინციპიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე გამოძიებას დამოუკიდებლად აწარმოებს და დაცვის მხარის მოთხოვნის შესაბამისად აწვდის მას ინფორმაციას სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებების შესახებ. გამონაკლისის სახით დაცვის მხარე უფლებამოსილია დაესწროს ბრალდების მხარის ინიციატივით გამოძიების სტადიაზე მაგისტრატ მოსამართლესთან გამოძახებული მონმის დაკითხვას და აქტიურად მიიღოს მონაწილეობა დაკითხვის დროს (სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-3 ნაწილი)¹⁷⁰. თუ დაცვის მხარე დროულად არ იქნება ინფორმირებული ბრალდების მხარის ინიციატივით მაგისტრატ მოსამართლესთან გამოძახე-

¹⁷⁰ როგორც უკვე აღინიშნა, სსსკ-ის 332-ე მუხლის თანახმად, 2015 წლის 31 დეკემბრამდე გამოძიებისას დაკითხვა წარმოებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (გარდა 305-ე მუხლის მე-6 ნაწილისა) დადგენილი წესით. შესაბამისად, სსსკ-ის 114-ე მუხლი ამ ეტაპზე არ მოქმედებს.

ბული მონმის დაკითხვის შესახებ და მონმე დაკითხება დაცვის მხარის მონანილეობის გარეშე, მონმის ჩვენება საქმის არსებითი განხილვისას იქნება დაუშვებელი მტკიცებულება. მხოლოდ მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ბრალდების მხარის დასაბუთებული შუამდგომლობითა და მოსამართლის გადანყვეტილებით შესაძლებელია დაკითხვა წარმოებულ იქნეს დაცვის მხარის წინასწარი ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. ასევე, მოსამართლეს უფლება აქვს, მონმის დაკითხვის დროს უარი თქვას ბრალდებულის დასწრებაზე, თუ გამოიყენება მონმის დაცვის ერთ-ერთი სპეციალური ღონისძიება (სსსკ-ის 40-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ დაცვის მხარის მონანილეობის გარეშე დაკითხული მონმის ხელახალი დაკითხვის შესაძლებლობა არსებობს, მაშინ მონმის მიერ მანამდე მიცემული ჩვენება საქმის არსებითი განხილვის დროს მტკიცებულებად არ დაიშვება (სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

1.4. დაუშვებელი მეთოდებით ბრალდებულისგან მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია ბრალდებულს ანიჭებს უფლებას თავად მიიღოს გადანყვეტილება, მისცეს ჩვენება თუ უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. კანონი კრძალავს მისი ნების თავისუფლებაზე გარკვეული მეთოდების გამოყენებით ზემოქმედებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს პროცესის მონანილის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედების დაუშვებელი მეთოდების ჩამონათვალს, რომლებსაც მიეკუთვნება: წამება, ძალადობა, სასტიკი მოპყრობა, მოტყუება, სამედიცინო ჩარევა, ჰიპნოზი, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის მეხსიერებაზე ან აზროვნებაზე. ამასთან, კანონი კრძალავს მუქარასა და ისეთი შეღავათების დაპირებას, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული. ამგვარი ხერხით ბრალდებულისგან და ასევე სხვა მონმეებისგან მიღებული ინფორმაცია დაუშვებელი მტკიცებულებაა. დაუშვებელია არამარტო ასეთი მტკიცებულებები, არამედ ამგვარი მტკიცებულებები

ბების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულებებიც, თუ ისინი აუარესებენ ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას (სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი)¹⁷¹. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, კანონსაწინააღმდეგო მეთოდებით მოპოვებული მტკიცებულებები საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი, თუ ბრალდებული უარს ამბობს მისი ნების თავისუფლების დაცვის კანონით გათვალისწინებულ გარანტიებზე და მისი დაცვის სტრატეგიიდან გამომდინარე ითხოვს ამგვარი მტკიცებულების სასამართლოში გამოკვლევას¹⁷². როგორც უკვე ზევით აღინიშნა, ამის საშუალებას იძლევა სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი გარემოება ან ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდნენ. აქედან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმება ნებისმიერ მტკიცებულებაზე, თუნდაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევის შედეგად მოპოვებულზე.

ზემოხსენებული მეთოდების გამოყენება დაუშვებელია, როგორც გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის სტადიაზე. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის ადრესატებს წარმოადგენენ, როგორც სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი სახელმწიფო ორგანოები, ისე გარკვეულწილად სისხლის სამართლის საქმეში ჩართული სხვა პირები.

თუ ბრალდებულის ან სხვა მონმის მიმართ ერთხელ უკვე იყო გამოყენებული მტკიცებულებათა მოპოვებისთვის დაუშვებელი მეთოდები, რის შედეგადაც მათ მისცეს ჩვენება, კანონის სრული დაცვით მათგან მიღებული მომდევნო ჩვენებებიც დაუშვებელ მტკიცებულებებად უნდა იქნეს ცნობილი, თუ მანამდე გამოყენებული კანონსაწინააღმდეგო მეთოდები კვლავაც ახდენენ მათ ნების თავისუფლებაზე ზეგავლენას¹⁷³. განსხვავებით ამისგან,

171 ე.წ. „მონამლული ხის ნაყოფის თეორია“, რომლის შესახებაც ქვემოთ უფრო დეტალურად გვექნება საუბარი; იხ. IV.

172 იხ. Roxin, C./Schäfer, G./Widmaier, G.: Die Mühlenteichtheorie – Überlegungen zur Ambivalenz von Verwertungsverböten. ჟურნალში: StV 2006, გვ. 655.

173 იხ. გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: BGHSt 17, გვ. 364, 367; BGHSt 27, გვ. 355, 358; ასევე Crame, S./Bürgle, M. (2004), იქვე, გვ. 92.

ბრალდებულის მომდევნო ჩვენებები შესაძლებელია დაშვებულ იქნეს მტკიცებულებად, თუ მის მიმათ დაკითხვის დროს წინათ გამოყენებული დაუშვებელი მეთოდები ბრალდებულის ნების თავისუფლებაზე ზეგავლენას ვეღარ ახდენენ და მან საკუთარი სურვილით კვლავ მისცა ჩვენება. ამისთვის მომდევნო დაკითხვის წინ ბრალდებულს აუცილებლად უნდა განემარტოს, რომ მის მიერ მანამდე მიცემულ ჩვენებას იურიდიული ძალა არ გააჩნია და იგი დაუშვებელი მტკიცებულებაა¹⁷⁴.

2. მოწმის დაკითხვის წესების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოწმის მოვალეობები წარმოსდგება იმ ზოგადი მოქალაქეობრივი ვალდებულებისგან, რომელიც გააჩნია პირს მართლმსაჯულების წინაშე სიმართლის დასადგენად. მოვალეობებთან ერთად მოწმეს კანონი ანიჭებს უფლებებსაც, რომლებიც გარკვეულწილად ზღუდავენ მოწმის მიერ ჩვენების მიცემის ვალდებულებას, თავად მოწმის ან სხვა მესამე პირის ინტერესების დასაცავად. მოწმის პროცესუალური უფლებების სახელმწიფო ორგანოების მიერ დარღვევას შესაძლოა შედეგად მოწმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა მოყვეს. განსაკუთრებით აღნიშნული ეხება მოწმისთვის უფლებების განმარტების ვალდებულებისა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების დარღვევას.

2.1. მოწმისთვის უფლებების განმარტების გარეშე მიღებული ჩვენების მტკიცებულებად დასაშვებობა

როგორც უკვე აღინიშნა, მოწმეს აქვს უფლება არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს (სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი). ამასთან, გარკვეული კატეგორიის პირებს (ბრალ-

¹⁷⁴ იხ. Beulke, W. (2010), იქვე, გვ. 91.

დებულის ახლო ნათესავებსა და ცალკეული პროფესიის მქონე პირებს) კანონი საერთოდ ათავისუფლებს მოწმის ვალდებულებიდან (სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილი). მოსამართლე ვალდებულია დაკითხვის დაწყებამდე გაარკვიოს მოწმის ვინაობა, მისი დამოკიდებულება ბრალდებულთან და განუმარტოს უფლება-მოვალეობები (სსსკ-ის 115-ე მუხლის პირველი ნაწილი).

თუ მოსამართლე დაკითხვის წინ მოწმეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებას არ განუმარტავს, მაშინ მოწმის ჩვენება წარმოადგენს დაუშვებელ მტკიცებულებას და არ შეიძლება იგი გათვალისწინებული იქნეს სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების დროს¹⁷⁵. განსხვავებით ამისგან, გარკვეულ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ უფლებების განმარტების გარეშე მოწმისგან მიღებული ჩვენება, სადაც იგი ამხელს საკუთარ თავს ან თავის ახლო ნათესავს დანაშაულის ჩადენაში დასაშვებ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი და შესაძლებელი უნდა იყოს მისი ბრალდებულის საზიანოდ გამოყენება. მათ მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში დარღვეული ნორმის ადრესატს მხოლოდ თავად მოწმე წარმოადგენს და ნორმის მიზანი არ არის დაიცვას ბრალდებულის ინტერესებიც; ხოლო, თუკი მოგვიანებით მოწმის მიმართ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა და იგი თავად გახდება ბრალდებული, მის წინააღმდეგ ვერ იქნება გამოყენებული მტკიცებულებად ის ჩვენება, რომელიც მან უფლებების განმარტების გარეშე მანამდე მოწმის სტატუსით მისცა სასამართლოში¹⁷⁶. აღნიშნული მოსაზრება ნაკლებად იმსახურებს მხარდაჭერას. მცდარია შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და სსსკ-ის 115-ე მუხლის პირველი ნაწილი მხოლოდ მოწმის დაცვას ემსახურება და თავიდან არიდებს მას ისეთ კონფლიქტურ სიტუაციებს, სადაც მართლმსაჯულების ინტერესები კოლიზიაში მოდის მოწმის ინტერესებთან. მოცემული ნორმები იცავენ ასევე ბრალდებულსაც. თუკი მოწმეს არ ექნებოდა თავისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივი-

175 იხ. Roxin, C./Schünemann, B. (2009), გვ. 165.

176 Crame, S./Bürgle, M. (2004). იქვე, გვ. 24. ასევე გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: BGHSt GrS 11, გვ. 213, 218.

ლეგია, მაშინ უმეტეს შემთხვევებში იგი იძულებული გახდებოდა დაკითხვის დროს ეცრუა და ამ გზით თავიდან აეცილებინა ახლო ნათესავი ბრალდებულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ბრალდებულის სასარგებლოდ მიცემული აშკარა ცრუ ჩვენება კი შეფასდება ბრალდებულის საუარესოდ, რაც ბრალდებულის ინტერესებში არ შედის. ამიტომ, ზემოხსენებული ნორმების მოთხოვნათა დარღვევის შედეგად ილახება არამარტო მოწმის, არამედ ბრალდებულის ლეგიტიმური ინტერესებიც¹⁷⁷.

სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ პირებს კანონი კიდევ უფრო მეტ პრივილეგიას ანიჭებს და საერთოდ ათავისუფლებს სისხლის სამართლის პროცესში მოწმის სტატუსით მონაწილეობის მიღების ვალდებულებისგან. მაგალითად, ბრალდებულის მეუღლეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება სასამართლოში მაშინაც კი, როცა იგი დანაშაულებრივი შემთხვევის ერთადერთი მოწმეა და სხვა მტკიცებულებათა სიმცირის გამო შესაძლოა ბრალდებულის მიმართ დადგეს გამამართლებელი განაჩენი. აღნიშნული უფლების შესახებ პირი ყოველი დაკითხვის წინ უნდა გააფრთხილონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოწმისგან მიღებული ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი. ბრალდებულის ახლო ნათესავის ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი მაშინაც, როცა უფლებების შესახებ სათანადოდ გაფრთხილების გარეშე დაკითხული მოწმე მოგვიანებით გარდაიცვლება. ვინაიდან, სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი იცავს არამარტო მოწმის, არამედ მისი „ოჯახის“ და შესაბამისად ბრალდებულის ინტერესებსაც, მოწმის ჩვენების მტკიცებულებად დასაშვებობის აკრძალვა ვრცელდება ასევე მისი გარდაცვალების შემდეგაც.

მრავალი მეცნიერი მხარს უჭერს სამოსამართლეო სამართალში დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომლის თანახმად, პრივილეგირებული მოწმის ჩვენება მხოლოდ მაშინ არის დაუშვებელი მტკიცებულება, როდესაც მოწმისთვის უფლებების განმარტების ვალდებულების დარღვევა *მიზეზობრივ კავშირშია* მოწმის ჩვენების მიღებასთან. ანუ, მოწმის მიერ დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს

177 Roxin, C./Schünemann, B. (2009), იქვე, გვ. 165.

ცნობილი, თუ მან ჩვენება იმის გამო მისცა, რომ მას დაკითხვის
წინ არ განუმარტეს პროცესში მონმის სტატუსით მონანილეო-
ბაზე უარის თქმის უფლება. მაგრამ, თუკი დადგინდება, რომ
მონმემ ისედაც იცოდა თავისი უფლებები და მათი განმარტე-
ბის შემთხვევაშიც იგი მაინც მისცემდა ჩვენებას, მაშინ მონმის
ჩვენება დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევა, ვინაიდან მონმის
მიერ ჩვენების მიცემასა და მონმის უფლებების განმარტების
ვალდებულების დარღვევას შორის *მიზეზობრივი კავშირი არ
არსებობს* და შესაბამისად, მონმის ჩვენებაზე დაყრდნობით
სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენიც სსსკ-ის 50-ე მუ-
ხლის პირველი ნაწილის დარღვევას არ ეფუძნება¹⁷⁸.

2.2. მონმის მიერ საქმის არსებით განხილვამდე მიცემუ- ლი ჩვენების მტკიცებულებად დასაშვებობა

სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილით დასაშვებია გა-
მოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით მაგისტრატი
მოსამართლის წინაშე პირის მონმედ დაკითხვა თუ: - არსებობს
მონმის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების
რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის და-
კითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს; - მონმე დიდი ხნით
ტოვებს საქართველოს ტერიტორიას; - საქმის სასამართლოში
არსებითად განსახილველად წარმართვისთვის აუცილებელი
მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება საჭიროებს არა-
გონივრულ ძალისხმევას; - ეს აუცილებელია დაცვის სპეცია-
ლური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან,
სსსკ-ის 243-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამოძიე-
ბის დროს მონმის დეპონირებული ჩვენება დასაშვები მტკიცე-
ბულებაა და მისი სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა,
ასევე მონმის ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა
(დემონსტრირება) ნებადართულია, თუ მონმე გარდაიცვალა, არ
იმყოფება საქართველოში, მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან
ამონურულია მისი სასამართლოში წარმოდგენის ყველა გონი-

¹⁷⁸ აღნიშნულის შესახებ იხ. *Beulke. IV., Strafprozessrecht* (2010), იქვე, გვ. 300; ასევე
გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: BGHSt 38,
214, 225; BGH NSIZ-RR 2004, 212.

ვრული შესაძლებლობა. საქმის არსებით განხილვამდე მონმის მიერ მიცემული ჩვენების საქმის არსებით განხილვის სხდომაზე გამოქვეყნება და მტკიცებულებად გამოყენება დასაშვებია მაშინაც, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მონმე აიძულეს, დაემუქრნენ, დააშინეს ან მოისყიდეს და მიცემულ ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაა (სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

განსხვავებით ზემოაღნიშნულისგან, მონმის დეკონირებული ჩვენების გამოქვეყნება საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაუშვებელია, თუ გამოძიების ეტაპზე მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხულმა მონმემ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად უარი თქვა ჩვენების მიცემაზე. ამრიგად, შესაძლოა პირი თავისი სურვილით გამოძიების ეტაპზე მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხოს და მან ახლო ნათესავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. თუმცა, აღნიშნული ფაქტი მას არ ზღუდავს, საქმის არსებითი განხილვის დროს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე და არ გამოვიდეს მონმედ თავისი ახლო ნათესავი ბრალდებულის წინააღმდეგ¹⁷⁹. ამ შემთხვევაში ბრალდების მხარე ვერ მოითხოვს მონმის მიერ გამოძიების ეტაპზე ბრალდებულის დანაშაულში მამხილებელი ჩვენების საქმის არსებითი განხილვის დროს გამოქვეყნებას.

3. ცალკეული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელების წესების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა

3.1. უკანონო ჩხრეკისა და ამოღების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა

ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა წარმოადგენს კონსტიტუციურ გარანტიას. იგი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და კანონის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება შევიდეს

179 იხ. ასევე ინგლისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: R. v. Pitt (1982) 75 Cr.App. R., გვ. 254, 257; Janicki K. (2002), იქვე, გვ. 193.

საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ჩხრეკა და ამოღება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. კანონის ეს მოთხოვნა წარმოადგენს ჩხრეკის და ამოღების ჩატარების **ფორმალურ წინაპირობას**. აქედან გამონაკლისია ე.წ. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიძიების ინტერესებს მიაყენოს არსებითი ზიანი (მაგ., განადგურდეს მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, შემდგომში შეუძლებელი გახდეს მტკიცებულებების მოპოვება და ა.შ.). ამ შემთხვევაში გამოიძიებელი უფლებამოსილია სასამართლოს განჩინების გარეშეც, საკუთარი დადგენილების საფუძველზე ჩაატაროს ჩხრეკა და ამოღება, რის შესახებაც მოსამართლეს პროკურორმა საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში უნდა აცნობოს და ამასთან ერთად გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას (სსს-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ჩხრეკა და ამოღება ფორმალური წინაპირობის დაცვის გარეშე შესაძლოა ჩატარდეს მაშინაც, როდესაც ბინის ან სხვა სადგომის თანამესაკუთრე ან თანამფლობელი თანხმობას გამოთქვამს მის ჩატარებასთან დაკავშირებით (სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ნაწილი). ჩხრეკისა და ამოღების **მატერიალურ (ფაქტობრივ) წინაპირობას** განსაზღვრავს სსსკ-ის 119-ე მუხლი, რომლის თანახმად, სავალდებულოა **დასაბუთებული ვარაუდის** არსებობა, რომ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის აღმოჩენა ან ამოღება შესაძლებელი იქნება გარკვეულ ადგილზე ან გარკვეულ პირთან. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთდროულად არის მოცემული, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური (ფაქტობრივი) წინაპირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიე-

ბო მოქმედება უკანონოა და მოპოვებულ მტკიცებულებებს ვერ მიენიჭება იურიდიული მნიშვნელობა.

ჩხრეკისა და ამოღების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები უკანონო და დაუშვებელია როცა გამოძიებელი ან პროკურორი ამკარად უსაფუძვლოდ ადგენს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევას და ამ გზით ცდილობს გვერდი აუაროს კანონის მოთხოვნას, რომელიც აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ფორმალურ წინაპირობად მოსამართლის განჩინების არსებობას ითვალისწინებს¹⁸⁰. ასეთ პირობებში მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის აუცილებლობა გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპზე ორიენტირებულ სისხლის სამართლის პროცესში კონსტიტუციით აღიარებული სასამართლო კონტროლის მნიშვნელობიდან, რომლის უხეში დარღვევაც გარკვეული სანქციების გარეშე არ უნდა დარჩეს¹⁸¹. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე სასამართლო კონტროლის მოთხოვნის გამიზნულად უგულვებელყოფა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს აკარგვინებს იმის შესაძლებლობას, რომ მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს დანაშაულის ჩამდენი პირის წინააღმდეგ¹⁸². შესაბამისად, თუ მოსამართლე დაადგენს, რომ გამოძიებელმა ან პროკურორმა განზრახ ბოროტად გამოიყენა გადაუდებელი აუცილებლობისას ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების უფლებამოსილება, რათა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე კანონით დადგენილი წესით არ მიემართა შუამდგომლობით სასამართლოსთვის, მან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება უპირობოდ უკანონოდ უნდა სცნოს და

180 იხ. ასევე გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: BGH, *ჟურნალში*: NJW 2007, გვ. 2269; *Raxin, C.*: Zum Beweisverwertungsverbot bei bewusster Missachtung des Richtervorbehaltes nach § 105 I 1 StPO, *ჟურნალში*: NSZ 2007, გვ. 617; *Jäger, C.*: Beweiserhebungs- und Beweisverwertungsverbote als prozessuale Regelungsinstrumente im strafverfolgenden Rechtsstaat, *ჟურნალში*: GA 2008, გვ. 488; *Hüls, S.*: Der Richtervorbehalt – seine Bedeutung für das Strafverfahren und die Folgen von Verstößen, *ჟურნალში*: ZIS 2009, გვ. 164; *Ambos, K.*: Beweisverwertungsverbote, Grundlagen und Kasuistik – internationale Bezüge – ausgewählte Probleme, 2010, გვ. 63.

181 იხ. გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: BGH, *ჟურნალში*: NJW 2007, გვ. 2272.

182 იხ. *Amelung, K.* (2011), იქვე, გვ. 83.

მოპოვებული ინფორმაცია - დაუშვებელ მტკიცებულებებად¹⁸³. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, თუ გამოძიებელმა და პროკურორმა სიტუაციის არასწორი შეფასების შედეგად მცდარად დაადგინა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა და სასამართლო გადანაცვლების გარეშე ჩაატარა ჩხრეკა და ამოღება, მაშინ მოპოვებული ინფორმაცია შესაძლებელია დასაშვებ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი, თუ კონკრეტულ შემთხვევაში მაღალია ჩადენილი დანაშაულის დასჯის საჯარო ინტერესი, მოპოვებული მტკიცებულებების გარეშე შეუძლებელი გახდებოდა ბრალდებულისთვის ბრალის დამტკიცება და ამასთან, საგამოძიებო მოქმედება კანონით დადგენილი პროცედურების სრული დაცვით განხორციელდა¹⁸⁴.

ჩხრეკისა და ამოღების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დასაშვებ მტკიცებულებად ცნობისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ დაცული იქნეს სსსკ-ის 120-123-ე მუხლებით დადგენილი ამოღებისა და ჩხრეკის წესები. ისევე როგორც სხვა საგამოძიებო მოქმედებების შემთხვევაში, ჩხრეკის და ამოღების დროსაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (სსსკ-ის 134-ე და 135-ე მუხლები) უნდა მოხდეს ოქმის შედგენა. ოქმის არსებითი დარღვევით შედგენას ან მასში არასწორი მონაცემების არსებობას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს საგამოძიებო მოქმედებით აღმოჩენილი და ამოღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა.

3.2. სფეროთა თეორია („სამი საფეხურის თეორია“) და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობა

გამოძიების ეტაპზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების დროს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ბრალდებულის კონსტიტუციით დაცულ **ინტიმურ სფეროში** ჩარევას.

183 სასამართლოს განჩინების უგულვებელყოფით ჩხრეკის ჩატარების შემთხვევაში შესაძლებელია ასევე დადგეს საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი სსკ-ის 160-ე მუხლის შესაბამისად, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევისათვის.

184 იხ. *Crame, S./Bürgle, M.* (2004). იქვე, გვ. 118; ასევე გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადანაცვლება: BGH. ურნალში: NStZ 1985, გვ. 262.

მაგალითად, სსსკ-ის 143¹ მუხლის პირველი პუნქტი უშვებს მოსამართლის ბრძანებით სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას და ჩანერას, ფარულ ვიდეო- და აუდიოჩანერას, კინო- და ფოტოგადაღებას. აღნიშნული ღონისძიების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას შორის შეიძლება აღმოჩნდეს აგრეთვე მონაცემები ბრალდებულის ან მესამე პირების ინტიმური ცხოვრების შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ადამიანის ღირსების ხელშეუვალობასთან ერთად უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციის დებულებას წარმოადგენს. აღნიშნული უფლება უნდა გავიგოთ, როგორც ადამიანის ღირსების უფლების კონკრეტიზაცია, რადგან ადამიანის ღირსების დაცვის პრინციპი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების აღიარებას მოითხოვს¹⁸⁵. თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარეობს ისეთი უმნიშვნელოვანესი უფლება, როგორცაა ადამიანის „ზოგადი პიროვნული უფლება“, რომელიც შინაარსობრივად ძალზედ მოცულობითია და რამდენიმე კონკრეტულ უფლების საფუძველს წარმოადგენს¹⁸⁶. იგი სხვა უფლებებთან ერთად მოიცავს ასევე ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას¹⁸⁷. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების პირადი ცხოვრების უფლება კონსტიტუციური უფლებაა, ადამიანის პირადი ცხოვრების სფერო მაინც არ არის აბსოლუტურად დაცული. სახელმწიფოს შეუძლია მასში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით შეზღუდულად ჩაერიოს. ყოველ ადამიანს აქვს სახელმწიფოს მხრიდან მის პირად ცხოვრებაში ჩარევის თემის ვალდებულება, თუკი აღნიშნული მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, კანონის ფარგლებში და ზომიერების პრინციპის დაცვით ხორციელდება¹⁸⁸. როგორც აღინიშნა, პირად ცხოვრებაში ჩარევისას თანაზომიერების პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნე-

185 BVerfGE 5, 85 (204); იხ. აგრეთვე *Isensee, J., Kirchhof, P.: Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland*, მე-4 ტომი, Freiheitsrechte, 1989, §129, ველის ნომერი 23.

6 იხ. *კუბლაშვილი, კ.* (2008), იქვე, გვ. 105.

3VerfGE 54, გვ. 148 (153).

BVerfGE 90, გვ. 263 (271); 96, გვ. 171 (181); 97, გვ. 228 (263).

ლობა ენიჭება, ეს იმას ნიშნავს, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს მისი სამი ელემენტი: სავალდებულობა, ვარგისიანობა და პროპორციულობა¹⁸⁹. ვინაიდან, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ადამიანის ღირსების პრინციპთან მჭიდრო კავშირშია, პირად ცხოვრებაში ჩარევისას სავალდებულოა, რომ თანაზომიერების პრინციპთან ერთად დაცული იყოს აგრეთვე ადამიანის ღირსების პრინციპის მოთხოვნებიც¹⁹⁰. როდესაც პირადი ცხოვრების დაცვაზეა საუბარი, აქედან ინტიმური სფერო უნდა გამოვყოს, რომელიც პირადი ცხოვრების არსებითი და ცენტრალური ნაწილი და კონსტიტუციის მე-16 მუხლით აბსოლუტურად დაცული სფეროა¹⁹¹. ინტიმური სფერო მთლიანად მოიცავს ადამიანის სექსუალურ ცხოვრებას, აგრეთვე პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციებს: სამედიცინო გამოკვლევის შედეგებს, აღსარებისას გამოთქმულ მოსაზრებებს, ადვოკატისთვის მიწოდებულ ცნობებს და ა.შ.¹⁹² სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს და მათ შორის სასამართლოსაც ეკრძალებათ ჩაერიონ პიროვნების ინტიმური ცხოვრების სფეროში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებითაც კი¹⁹³.

როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედებებით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობის საკითხი განიხილება, საყურადღებოა ამ დროს ე.წ. სფეროთა თეორია („სამი საფეხურის თეორია“), რადგან მტკიცებულებათა ბედის გადაწყვეტა დამოკიდებულია, როგორც ასეთი მოქმედებების ჩატარებისთვის კანონით დადგენილი პირობების დაცვაზე, ისე იმაზე, თუ ბრალდებულის ცხოვრების რომელი სფეროდან არის მოპოვებული ინფორმაცია:

189 Grabitz, E.: Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, AöR 98 (1973), გვ. 590; Scholz, R.: Das Grundrecht der freien Entfaltung der Persönlichkeit in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, AöR 100 (1975), გვ. 267.

190 იხ. Kondziela, A.: Opferrechte im Jugendstafrecht, Legitimation und Grenzen aus theoretischer und empirischer Sicht, 1991, გვ. 27.

191 კუბლაშვილი, კ. (2008), იქვე, გვ. 113.

192 კუბლაშვილი, კ. (2008), იქვე, გვ. 112.

193 იხ. ხუბუა, გ., ნაშრომში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა. 2005, გვ. 64-65; BVerfGE, 6, გვ. 32 (41); 27, გვ. 1 (6).

1. *სოციალური (საჯარო) სფერო* (მაგ., ადამიანის საქმიანობა სამუშაო ადგილზე, საჯარო ადგილებში და ა.შ.);
2. *პირადი ცხოვრების (კერძო) სფერო* (მაგ., საქმიანობა ბინაში, ურთიერთობა მეგობრებთან და ა.შ.);
3. *ინტიმური სფერო* (ადამიანის სექსუალური ცხოვრება).

ბრალდებულის სოციალური სფერო განსაკუთრებული დაცვით არ სარგებლობს. აქ მართლმსაჯულების ინტერესებს გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა და უპირატესობა აქვს ბრალდებულის ზოგად პიროვნულ უფლებასთან შედარებით. ეს არის ბრალდებულის ცხოვრების და საქმიანობის ისეთი სფერო, სადაც მოქმედება მიმდინარეობს კერძო და ინტიმურ სფეროთა ფარგლებს გარეთ, ნაწილობრივ შეზღუდული ან შეუზღუდავი საჯაროობის პირობებში¹⁹⁴. ამიტომ, ბრალდებულის აღნიშნული სფეროდან მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვების საკითხი ნაკლებად პრობლემატურია.

განსხვავებით სოციალური (საჯარო) სფეროსგან, ბრალდებულის პირადი ცხოვრების (კერძო) სფეროში ჩარევა და მტკიცებულებების მოპოვება დასაშვებია მკაცრი წინაპირობების დაცვის შემთხვევაში. როგორც ზემოთ გვქონდა საუბარი, ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს. აღნიშნულ სფეროს მიეკუთვნება ბრალდებულის ოჯახური ცხოვრება, ოჯახის წევრებთან და უახლოეს ნათესავებთან დაკავშირებული ურთიერთობები, საცხოვრებელი ადგილი, კავშირები უცხოეთთან, შემოსავლებისა და ქონების საკითხები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, რელიგიასთან თუ სხვა მსოფლმხედველობრივ ჯგუფებთან ურთიერთობის საკითხები და ა.შ.¹⁹⁵

ვინაიდან, ბრალდებულის ინტიმური სფერო ხელშეუვალია და აბსოლუტურად დაცულია ჩარევისგან, ფარული ღონისძიებებით მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება ბრალდებულის პირადი ცხოვრების სფეროს ყოველად დაუშვებელია, რომ ბრალდებულის თანხმობის გარეშე გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებად.

როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოსაპოვებლად კანონით

194 შეად. *კუბლაშვილი, კ.* (2008), იქვე, გვ. 114-115.

195 იხ. *კუბლაშვილი, კ.* (2008), იქვე, გვ. 113.

ნებადართულია ისეთი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება, როგორცაა:

- სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩანერა;
- ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასა-დგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;
- საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;
- ფარული ვიდეო- და აუდიოჩანერა, კინო- და ფოტოგადაღება;
- ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.;
- კინო- და ფოტოგადაღება;

რამდენადაც მოცემული ღონისძიებები მნიშვნელოვნად ზღუდავენ პირადი ცხოვრების კონსტიტუციურ გარანტიას, მათ განსახორციელებლად კანონი აწესებს მკაცრ პირობებს. სსსკ-ის 143² - 143³ მუხლების თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, ასევე ნაკლებად მძიმე დანაშაულის იმ საქმეებზე, რომელთა ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია სსსკ-ის 143³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში. ასეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამონვეული უნდა იყოს გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად - ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უნეს-რიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად აუცილებელი, მისი მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალება. ზე-

მოაღნიშნულის გარდა, ამ შემთხვევაში მოქმედებს ე.წ. **სუბსიდიარულობის პრინციპი**. მისი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედება უნდა იძლეოდეს გამოძიებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ისეთი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს. ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე კანონით დადგენილია სასამართლო კონტროლი. პროკურორმა მოტივირებული შუამდგომლობით უნდა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის განჩინების მისაღებად (სსსკ-ის 143³ მუხლის პირველი ნაწილი). ფარული საგამოძიებო მოქმედება მოსამართლის განჩინების გარეშე შეიძლება ჩატარდეს პროკურორის მოტივირებული დადგენილებით მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისთვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება. ასეთ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს, შეესაბამება თუ არა ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება ასეთი საგამოძიებო მოქმედებისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს, აუცილებელი იყო თუ არა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარება, და განჩინებით იღებს ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის ან ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის, მისი შედეგების გაუქმებისა და ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურების შესახებ გადაწყვეტილებას (სსსკ-ის 143³ მუხლის მე-6 ნაწილი).

თუ ფარული საგამოძიებო მოქმედება განხორციელდა კანონით დადგენილი მოთხოვნათა დაცვით, მაშინ მისი შედეგები

შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს მტკიცებულებებად. აქვე გასათვალისწინებელია, რომ სფეროთა თეორიის გათვალისწინებით მტკიცებულებად არ უნდა იქნეს დაშვებული ის ინფორმაცია, რომელიც ეხება ბრალდებულის ინტიმურ სფეროს. ამიტომ, საჭიროა ფარული საგამოძიებო მოქმედებით მოპოვებული მასალების გაფილტვრა და მათგან პირის ინტიმურ სფეროს მიკუთვნებული მონაცემების გამორიცხვა. ასეთი ინფორმაცია უნდა განადგურდეს დაუყოვნებლივ.

3.3 საიდუმლო თანამშრომლის მიერ მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობა

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ისეთ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას, როგორცაა დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის ჩაბმა.

საიდუმლო თანამშრომელი (კონფიდენტი) არის 18 წელს მიღწეული ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც ნებაყოფლობით, კონტრაქტის საფუძველზე თანამშრომლობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოსთან ან გამომძიებელთან და ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (იხ. დასახელებული კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი). აღნიშნული ღონისძიების მიზანია საიდუმლო თანამშრომლის მეშვეობით გაიხსნას დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული და დადგინდეს მისი ჩამდენი პირები. როგორც ნესი, კონფიდენტი, სარგებლობს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების ნდობით და მას აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს ინფორმაცია, რაც უკავშირდება დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მიერ უკვე ჩადენილ ან დაგეგმილ დანაშაულებრივ ქმედებებს. საიდუმლო თანამშრომელი სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს შეიძლება გამოძახებულ იქნეს მონმედ. საიდუმლო თანამშრომელს არ ეკრძალება, მოიპოვოს სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნე-

ლოვანი ინფორმაცია ფარული ვიდეო- და აუდიოჩანერის, ან კინო- და ფოტოგადაღების გზით და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, თუ ამისთვის მოსამართლე გასცემს კანონით დადგენილი წესით შესაბამის ნებართვას. მოპოვებული მონაცემები შეიძლება სისხლის სამართლის საქმეზე დაშვებულ იქნეს მტკიცებულებად, თუ დაცულია მათი მოპოვებისთვის კანონით განსაზღვრული მოთხოვნები.

საიდუმლო თანამშრომლის მეშვეობით სახელმწიფო არა უშუალოდ, არამედ პირდაპირ მაინც იღებს მონაწილეობას გამოძიების პროცესში. მართალია ამ შემთხვევაში მტკიცებულებების მოპოვებას უშუალოდ სამართალდამცავი ორგანოები არ ახდენენ, თუმცა სახელმწიფო კერძო პირებს აქცევს გამოძიების ინსტრუმენტად, რომელთაც სახელმწიფო ორგანოები სიტუაციის უპირატესი ცოდნის საფუძველზე მართავენ და კოორდინაციას უწევენ. რამდენადაც საიდუმლო თანამშრომელი სახელმწიფო ორგანოების დაკვეთით მოქმედებს, მის ქმედებებზე პასუხისმგებლობა სახელმწიფომაც უნდა გაიზიაროს¹⁹⁶. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ საიდუმლო თანამშრომლის მიერ არ იქნეს დარღვეული სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაციის მოსაპოვებლად კანონით განსაზღვრული წესები.

ვინაიდან, კონფიდენტი თავად დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებისგან ფარულად იღებს მათ მამხილებელ ინფორმაციას, აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება კოლიზიაში მოდის ე.წ. *Nemo-tenetur*-ის პრინციპთან. იგი შესაძლოა წინააღმდეგობაში მოდიოდეს აგრეთვე სსსკ-ის მე-4 მუხლის მეორე ნაწილთანაც, რომელიც კრძალავს ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედების მოხდენას მოტყუების გზით. საიდუმლო თანამშრომლის გამოყენება რიგ შემთხვევებში კოლიდირებს ასევე სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველ ნაწილის „დ“ ქვეპუნქტთან, თუ საიდუმლო თანამშრომელი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრის ახლო ნათესავებისგან მოიპოვებს მის დანაშაულში მამხილებელ ინფორმაციას.

196 იხ. BVerfG, StV 2000, გვ. 233; *Götting, S.* (2001), იქვე, გვ. 172; *Voller, Th.:* Der Staat als Urheber von Straftaten. Zur Berechtigung des Einsatzes von Lockspitzeln zur Verwertbarkeit der durch sie geschaffenen Beweise, 1983, გვ. 7.

თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია და საიდუმლო თანამშრომლის გამოყენება: როგორც აღინიშნა, საიდუმლო თანამშრომლის საქმიანობის ძირითადი მიზანია, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრის ნდობის გამოყენებით შენიღბულად მიიღოს მისგან დანაშაულში მამხილებელი ინფორმაცია, რაც ეჭვს ბადებს მის Nemo-tenetur-ის პრინციპთან შესაბამისობასთან დაკავშირებით, რადგან დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი კონფიდენტის რეალური საქმიანობის უცოდინრობის გამო ხელიდან უშვებს კანონით მინიჭებულ შესაძლებლობას, აქტიურად არ ითანამშრომლოს საკუთარი თავის საზიანოდ სამართალდამცავ ორგანოებთან¹⁹⁷. ამასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურასა და სამოსამართლეო სამართალში გაბატონებულია შეხედულება, რომლის თანახმად, თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია პირს იცავს მხოლოდ დანაშაულის ჩადენაში იძულებით თავის მხილებისგან და არა შეცდომებისგან¹⁹⁸. დაკავებისას ან ყოველი დაკითხვის წინ პირს უნდა განემარტოს, რომ მას აქვს ნების სრული თავისუფლება საკუთარი თავის დანაშაულში მამხილებელი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით. განსხვავებით ამისაგან, როდესაც საიდუმლო თანამშრომელი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან შედის კოტაქტში და მათგან იღებს დანაშაულში მამხილებელ ინფორმაციას არ არსებობს აღნიშნული პირებისთვის უფლებების განმარტების ვალდებულება, რადგან ამ შემთხვევაში არავისთვის არ არის ცნობილი საიდუმლო თანამშრომლის სამართალდამცავი ორგანოების დაკვეთით საქმიანობის შესახებ და შესაბამისად, მათ შორის შემდგარ საუბარს ვერ მიეცემა „დაკითხვის“ კვალიფიკაცია. როდესაც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი მის მიერ ჩადენილ ან მომავალში დაგეგმილ დანაშაულის შესახებ საიდუმლო თანამშრომელთან საუბრობს, მისთვის ეს უკანასკნელი არ აღიქმება როგორც სამართალდამცავ ორგანოებთან დაკავ-

197 იხ. Weßlau, E.: Waffengleichheit mit dem „Organisierten Verbrechen“ ? Zu den bürgerrechtlichen Kosten eines Anti-OK-Sonderrechtssystems, *ჟურნალი*: KritV, 1997, გვ. 246; Bernsmann, K.: Verwertungsverbot bei fehlender und mangelhafter Belchrung, *ჟურნალი*: StraFo, 1998, გვ. 75; Dittge, G.: Strafprozessualer Einsatz von V-Personen und Vorbehalt des Gesetzes, *ჟურნალი*: JZ, 1996, გვ. 562.

198 იხ. BverfGE 38, გვ. 105; BGHSI 42, გვ. 153; Roxin, C.: Zum Hörfällenbeschlúß des großen Senats für Strafsachen, *ჟურნალი*: NSIZ 1997, გვ. 18.

შირებული პირი და ამიტომ მან თავიდანვე იცის, რომ არ არის ვალდებული ვინმეს გაანდოს ასეთი ინფორმაცია. იგი ცდება საიდუმლო თანამშრომლის პიროვნებაში და საკუთარი რისკის ფასად სხვა პირს აცნობს დანაშაულის ჩადენაში თავის მამხილებელ ინფორმაციას ან მის თანდასწრებით ჩადის დანაშაულს. ასეთ შემთხვევებზე რა თქმა უნდა ვერ გავრცელდება *Nemo-tenetur*-ის პრინციპის მოთხოვნები, ვინაიდან, ვერავინ ვერ განაცხადებს პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ მეთვალყურეობის გარეშე ჰქონდეს დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა¹⁹⁹.

სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლები საიდუმლო თანამშრომელს ფარულად მიუჩენენ უკვე დაკავებულ ბრალდებულს მისგან ჩვენების მისაღებად, რომელიც მანამდე იყენებდა დუმილის უფლებას. მაგალითად, ბრალდებული რომელიც არ პასუხობს გამოძიებლის ან პროკურორის შეკითხვებს და სარგებლობს კანონით მინიჭებულ თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიით, პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან/და საგამოძიებო იზოლაციაში უშვებენ საიდუმლო თანამშრომელს, რათა მდუმარე ბრალდებულისგან ამ უკანასკნელის ნდობის მოპოვების გზით მიიღოს აღიარებითი ჩვენება. აღნიშნული ღონისძიება დაუშვებელია და წარმოადგენს საგამოძიებო ორგანოების მხრიდან სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის განზრახ იგნორირებისა და გვერდის ავლის გზით ინფორმაციის უკანონოდ მოპოვების მცდელობას. ამ შემთხვევაში საიდუმლო თანამშრომლის ქმედება საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებს შეერაცხებათ როგორც საკუთარი ქმედება და ამიტომ, აქ სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილს ანალოგიური გამოყენება აქვს²⁰⁰. შესაბამისად, დაუშვებელია დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის მამხილებელი ამგვარი ინფორმაცია მტკიცებულებად იქნეს გამოყენებული ამ უკანასკნელის წინააღმდეგ. ამასთან, გასათვალისწინებელია საქართველოს პატიმრობის კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უშვებს მხოლოდ დაწესებულების მოსამსახურეებისა და

199 იხ. *Beulke, W.* (2010), იქვე, გვ. 314.

200 ასევე *Beulke, W.* (2010), იქვე, გვ. 315.

სხვა პირების, ასევე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოვლენის, სასჯელის მოხდის დადგენილი წესის დარღვევის თავიდან აცილების, დანაშაულის მზადების სტადიაში მისი თავიდან აცილების და დანესებულებიდან გაქცეულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დადგენილი წესით ძებნის მიზნით და არა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში მოთავსებული პირის მიერ მანამდე ჩადენილი დანაშაულის გამოძიების უზრუნველსაყოფად.

- *რაც შეეხება საიდუმლო თანამშრომლის გამოყენებით სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევას*, კერძოდ, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრის (წევრების) მოტყუების გზით ნების თავისუფლებაზე ზემოქმედების მოხდენას ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ადგილი არ აქვს, როდესაც საიდუმლო თანამშრომელი არ უმხელს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრს თავის ვინაობას და საქმიანობის რეალურ მიზანს. ინფორმაციის დამალვა და ვინაობის არგამხელა არ წარმოადგენს აქტიურ ტყუილს და ამიტომ, იგი ვერ ჩაითვლება ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ ხერხად სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით. სხვა მხრივ, აღნიშნული მუხლით დადგენილი აკრძალვები საიდუმლო თანამშრომელმაც უნდა გაითვალისწინოს და არ უნდა მოიპოვოს ინფორმაცია წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის და სხვა მსგავსი მეთოდების გამოყენებით²⁰¹.

- *საიდუმლო თანამშრომლის გამოყენების კოლიზია სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტთან*. როგორც უკვე გვქონდა საუბარი, სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირებს უფლება აქვთ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის სხდომაზე უარი განაცხადონ ჩვენების მიცემაზე და ამით ასევე მოახდინონ მათ მიერ არსებითი განხილვის სხდომამდე მიცემული ჩვენების ანულირება. საკითხავია, დასაშვებია თუ არა ასეთ შემთხვევაში სასამართლოში გამოქვეყნდეს

პრივილეგირებული მოწმის მიერ გამოძიების ეტაპზე საიდუმლო თანამშრომელთან გაკეთებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი ახლო ნათესავის დანაშაულში მამხილებელი განცხადებები? ამასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ამგვარი განცხადებები შესაძლოა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოწმის ნების წინააღმდეგაც გამოქვეყნდეს, თუ პრივილეგირებულმა მოწმემ მანამდე ნებაყოფლობით საიდუმლო თანამშრომელთან დანაშაულში ამხილა ახლო ნათესავი. როდესაც მოწმე საიდუმლო თანამშრომელთან პირადი ინიციატივით საუბრობს თავისი ახლო ნათესავის დანაშაულებრივ ქმედებებზე, ასეთი საუბარი არ შეიძლება შეფასდეს როგორც „დაკითხვა“. ამასთან, მოწმისთვის ისედაც ცნობილია, რომ იგი არ არის ვალდებული ვინმეს მიაწოდოს ახლო ნათესავის დანაშაულში მამხილებელი ინფორმაცია და იგი ამას პირადი რისკის ფასად სჩადის. სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი, როდესაც პირის მოწმის სტატუსით დაკითხვის ნაცვლად მოხდება საიდუმლო თანამშრომლის გამოყენება, რათა ამ უკანასკნელმა „გამოსტყუოს“ პრივილეგირებულ მოწმეს მისი ახლო ნათესავის დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით ინფორმაცია. ამ შემთხვევაში არსებობს მოლოდინი, რომ პირი არ გამოვა მოწმედ სისხლის სამართლის პროცესში ახლო ნათესავის წინააღმდეგ და ხდება მისგან სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის გვერდის ავლით ჩვენების მიღება. ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია არ უნდა იქნეს დაშვებული საქმის არსებითი განხილვის დროს მტკიცებულებად²⁰².

3.4. დანაშაულის პროვოკაციით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობა

სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულის პროვოკაციის საკითხი

202 იხ. *Beulke. W.* (2010), იქვე, გვ. 316.

იურიდიულ ლიტერატურაში მეტად აქტუალურია და მწვავე დისკუსიის საგნად არის ქცეული, მით უფრო, როდესაც საქმე ამ გზით მიღებული ინფორმაციის დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირების წინააღმდეგ სასამართლოში მტკიცებულებად გამოყენებას ეხება. როგორც ცნობილია, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ისეთ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას, როგორცაა საკონტროლო შესყიდვა. აღნიშნული განიმარტება, როგორც ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგნის ან ნივთიერების შეძენა ან/და შეძენის სიტუაციის შექმნა (მისი გასაღების ან მოხმარების მიზნის გარეშე). ეს ღონისძიება პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ნარკოტიკული ნივთიერებებით ან იარაღით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი პირების გამოსავლენად და დანაშაულის გასახსნელად. ნარკოტიკული ნივთიერებების ან იარაღის შეძენით დაინტერესებული პირის ნიღაბს ამოფარებული ოპერატიული მუშაკი ან გამომძიებელი უკავშირდება კანონით აკრძალული ნივთიერებების ან საგნების რეალიზაციაში ეჭვმიტანილ პირს და იძენს მისგან აღნიშნულს ან ქმნის მათი შეძენის სიტუაციას, რაც შემდეგ ხდება რეალიზატორის დაკავებისა და მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის საფუძველი. როგორც ვიცით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაუშვებელია მოტყუებით პირისგან მისი დანაშაულში მამხილებელი ინფორმაციის მოპოვება. ამასთან, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით იკრძალება იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც:

ა) საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას;

ბ) საფრთხეს უქმნის იურიდიული პირის უფლებებს;

გ) დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან, დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან.

შესაბამისად, საკითხავია, ზემოაღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ხომ არ უკავშირდება კანონით აკრძალულ მო-

ტყუებას, როდესაც დანაშაულის პროვოკატორი მხოლოდ ფარავს თავის რეალურ ვინაობას და პირის მიერ სიტუაციის მცდარად შეფასებას დანაშაულის გახსნის ინტერესებისთვის იყენებს, იგი მოქმედებს კანონით დაშვებულ ფარგლებში. მაგრამ, როდესაც დანაშაულის პროვოკატორს პირი თავისი აქტიური მოქმედებით განზრახ შეჰყავს შეცდომაში საკუთარ ვინაობასთან და საქმიანობის მიზნებთან დაკავშირებით და აქტიურად ატყუებს მას, აღნიშნული უნდა შეფასდეს, როგორც კანონით აკრძალული „მოტყუება“ და შესაბამისად, მოპოვებული ინფორმაცია უნდა იქნეს დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობილი²⁰³. აქვე დგება თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის საკითხიც. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ დანაშაულის პროვოკაცია ნინალმდეგობაში მოდის nemo tenetur-ის პრინციპთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ პირმა იძულების ქვეშ ან სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელთა მიერ განზრახ შეცდომაში შეყვანის გამო არ დაიბრალოს დანაშაული. ამდენად, nemo tenetur-ის პრინციპი მოქმედებს მაშინ, როდესაც პირს უკვე ჩადენილი აქვს დანაშაული, რომელთან დაკავშირებითაც დაწყებულია გამოძიება. რამდენადაც, დანაშაულის პროვოკატორის მიზანს კონკრეტული პირის სამომავლო და არა წარსულში ჩადენილ დანაშაულში მხილება წარმოადგენს, ზემოაღნიშნული პრინციპი სამომავლო დანაშაულებთან მიმართებით არ გამოიყენება²⁰⁴.

დანაშაულის პროვოკაციისას გასათვალისწინებელია **სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი შეზღუდვები**. მაგალითად, დაუშვებელია პირი სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებმა **აიძულონ**, რომ ჩაიდინოს დანაშაული, რაც შემდგომ გახდება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის

203 იხ. *Schroth, U.: Beweisverwertungsverbote im strafverfahren. – Überblick, Strukturen und Thesen zu einem umstrittenen Thema*, ჟურნალში: JuS 1998, გვ. 971; *Götting, S. (2001)*, იქვე, გვ. 253; უფრო დეტალურად დანაშაულის პროვოკატორის საკითხთან დაკავშირებით იხ. *დვალაძე, ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე*, 2008, გვ. 113-131; ასევე *დვალაძე, ი., „სულიერი გახრწნის“ პრობლემა სისხლის სამართალში*, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის შრომები, 2011, გვ. 23-43.

204 იხ. *Götting, S. (2001)*, იქვე, გვ. 263.

საფუძველი²⁰⁵. ადამიანის ღირსების პატივისცემის კონსტიტუციური პრინციპი კრძალავს პირის სახელმწიფოებრივი საქმიანობის ობიექტამდე დეგრადირებას. ნებისმიერ ადამიანს უნდა გააჩნდეს ბატონობა საკუთარ გადაწყვეტილებებზე და დაუშვებელია მის ნებაზე ზემოქმედების მოხდენა მოტყუებით და იძულების სხვადასხვა მეთოდებით. დაირღვა თუ არა პირის ღირსების პატივისცემის პრინციპი და მოხდა თუ არა დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენის იმგვარად ინსტრუმენტალიზირება, რომ მას ფაქტიურად ნების თავისუფლება ჰქონდა დაკარგული, შესაძლებელია თითოეული კონკრეტული შემთხვევის შეფასების დროს იქნეს დადგენილი. ადამიანის სახელმწიფოებრივი საქმიანობის ობიექტამდე დეგრადირება გამოირიცხება, როდესაც პროვოკატორმა მხოლოდ ხელი შეუწყო პირის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას და მარტო დანაშაულის პროვოკაცია არ არის მიზეზობრივ კავშირში დანაშაულის ჩადენასთან. გარდა ამისა, სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულის პროვოკაციამდე საკმარისი მტკიცებულებები უნდა ჰქონდეს პირის დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით²⁰⁶. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია მაგალითი მოვიტანოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან, კერძოდ, 1998 წელს სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა საქმეზე „**ტეიქსეირა დე კასტრო პორტუგალიის წინააღმდეგ**“ (Teixeira de Castro vs. Portugal)²⁰⁷, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოყვა არაერთი ცნობილი პრაქტიკოს-იურისტისა და მეცნიერის მხრიდან. საქმის ფაბულა მდგომარეობდა შემდეგში:

„პოლიციის ორი საიდუმლო თანამშრომელი რამდენიმეჯერ დაუკავშირდა ვინმე **ვ.ს.-ს**, რომლის მიმართაც არსებობდა ეჭვი, რომ ეს უკანასკნელი დაკავებული იყო ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციით. იმისათვის, რომ საიდუმლო თანამშრომლებს დაედგინათ ნარკოტიკული ნივთიერების მიმწოდებლის ვინაობა, გამოთქვეს **ვ.ს.-ს**თან რამდენიმე კი-

205 იხ. Voller. Th. (1983), იქვე, გვ. 65, 66; Körner. H.H.: Die Glaubwürdigkeit und die Strafbarkeit von V-Personen – die Strafbarkeit der provozierten Tat, ჟურნალი: StV 1982, გვ. 383.

206 Götting. S. (2001), იქვე, გვ. 261.

207 იხ. Teixeira de Castro / Portugal, Reports 1998-IV, § 43.

ლოგრამი ჰაშიშის ყიდვის სურვილი. ვ.ს. დაპირდა მათ, რომ მოძებნიდა ნარკოტიკული საშუალებების მიმწოდებელს, თუმცა, საიდუმლო თანამშრომლების დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, ვ.ს.-მ ასეთი პირი ვერ იპოვა. მოგვიანებით საიდუმლო თანამშრომლებმა ვ.ს.-ს მიაკითხეს სახლში და გამოთქვეს ჰეროინის ყიდვის სურვილი. ვ.ს.-მ მათ დაუსახელა ნარკოტიკული ნივთიერებების სავარაუდო მიმწოდებელი ვინმე ბ.ფ.. მას შემდეგ, რაც ვ.ს.-მ ბ.ფ.-ს მისამართი შეიტყო ვინმე ფ.ო.-სგან, პოლიციის საიდუმლო თანამშრომლები და ვ.ს. ფ.ო.-სთან ერთად მივიდნენ ავტომობილით ბ.ფ.-სთან. ფ.ო.-ს თხოვნით ბ.ფ. ჩაჯდა მანქანაში, სადაც საიდუმლო თანამშრომლები და ვ.ს. ისხდნენ. საიდუმლო თანამშრომლებმა ბ.ფ.-ს შესთავაზეს საკმაოდ სოლიდური თანხის სანაცვლოდ 20 გრამი ჰეროინის ყიდვა. ეს უკანასკნელი მათ დათანხმდა ჰეროინის შოვნაზე და ფ.ო.-სთან ერთად წავიდა ვინმე ჯ.პ.ო.-სთან, რომელმაც სხვა პირების დახმარებით იშოვა ჰეროინი და გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ გადასცა ბ.ფ.-ს. ამის შემდეგ ბ.ფ. და ფ.ო. გაემართნენ ვ.ს.-სთან სახლში, სადაც მათ საიდუმლო თანამშრომლებისთვის ჰეროინი უნდა გადაეცათ. როდესაც ბ.ფ.-მ ჯიბიდან ჰეროინის პაკეტები ამოიღო საიდუმლო თანამშრომლებმა ადგილზე დააკავეს ბ.ფ., ფ.ო. და ვ.ს. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, მათ შორის ფ.ო.-ს და საიდუმლო თანამშრომლების ჩვენებებზე დაყრდნობით, ბ.ფ. ცნო დამნაშავედ ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელად შეუფარდა მრავალი წლით თავისუფლების აღკვეთა“.

როგორც უკვე ითქვა, მოცემულ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა და როგორც დანაშაულის პროვოკაცია, ისე ამის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ბრალდებულის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებად გამოყენება შეაფასა სამართლიანი სასამართლოს უფლების არსებით ხელყოფად. სასამართლოს მოსაზრებით, საიდუმლო თანამშრომლის ქმედება სცდება სამართლებრივ ჩარჩოებს, როდესაც იგი სხვა პირს ჩაადენინებს ისეთ დანაშაულს, რომელსაც ბრალდებული აგენტ პროვოკატორის ძალისხმევით გარეშე არ განახორციელებდა.

მაშასადამე, კონვენციასთან შეუსაბამო დანაშაულის პროვოკაციას ექნება ადგილი, თუკი პოლიციის საიდუმლო თანამშრომელი ან ოპერატიული მუშაკი აქტიური მოქმედებებით დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებაში ეჭვმიტანილ პირს ახალი დანაშაულის ჩასადენად დაიყოლიებს. მოცემულ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ განსაზღვრა ის კრიტერიუმები, რომლებიც მიუთითებენ კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან შეუსაბამო დანაშაულის ჩასადენად „დაყოლიებაზე“:

- განსახილველ საქმეში არ ჩანს, რომ პოლიციის საიდუმლო თანამშრომლების მიერ ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოსავლენად განხორციელებული ღონისძიება იყო სასამართლოს მიერ დაკანონებული ან სასამართლოს კონტროლის ქვეშ. შესაბამისად აღნიშნული ღონისძიება არ ყოფილა ფორმალური საგამოძიებო პროცესის ფარგლებში განხორციელებული;
 - საგამოძიებო ორგანოებს არ გააჩნდათ რაიმე საფუძველი ეჭვისთვის, რომ ბ.ფ. ჩადიოდა ნარკოტიკულ დანაშაულს;
 - ბ.ფ. ნარსულში არ ყოფილა ანალოგიური ქმედებებისთვის ნასამართლევი, მის მიმართ არ ყოფილა გამოძიება დაწყებული და არც არასდროს ყოფილა მისი პიროვნება საგამოძიებო ორგანოებისთვის ცნობილი. პოლიციის თანამშრომლებმა იგი გაიცნეს მხოლოდ შუამავლების მეშვეობით;
 - ბ.ფ.-ს ნარკოტიკული ნივთიერებები თან არ ჰქონია. მან სხვა პირის დახმარებით მოიძია ჰეროინი;
 - ბ.ფ.-სგან ამოღებული ჰეროინის ოდენობა არ აღემატებოდა პოლიციის საიდუმლო თანამშრომლების მიერ დაკვეთილ ნარკოტიკული საშუალებების ოდენობას;
 - არ არსებობდა არავითარი მინიშნება იმაზე, რომ ბ.ფ. ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისკენ იყო მიდრეკილი.
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული ზემოაღნიშნული საქმის გათვალისწინებით, გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ ასევე საკუთარ გადაწყვეტილებებში²⁰⁸ განსაზღვრა საიდუმლო თანამშრომლე-

208 იხ. გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 18 ნოემბრისა

ბის გამოყენებისა და დანაშაულის პროვოკაციის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი ფარგლები. სასამართლოს მიაჩნია, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ არაეჭვმიტანილი პირის დანაშაულის ჩასადენად დაყოლიება და ამის საფუძველზე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის უხეშ დარღვევას. ამასთან, სასამართლო შეეცადა დაეკონკრეტებინა, თუ რა შეიძლება მოიაზრებოდეს დანაშაულის „პროვოკაციაში“. სასამართლოს მიაჩნია, რომ მესამე პირის გამოკითხვა, შეუძლია თუ არა მას ნარკოტიკული საშუალებების შოვნა, მასზე ყოველგვარი სხვაგვარი ზემოქმედების განხორციელების გარეშე, არ წარმოადგენს დანაშაულის მაპროვოცირებელ მოქმედებას. დანაშაულის პროვოკაციას ასევე არ აქვს ადგილი, როდესაც საიდუმლო თანამშრომელი მესამე პირისგან მომდინარე აშკარა მზაობას, ჩაიდინოს დანაშაული, გამოიყენებს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის მიზნით და შექმნის ნარკოტიკული ნივთიერების შექმნის სიტუაციას. ამისგან განსხვავებით, პროვოკაციად უნდა შეფასდეს, როდესაც მესამე პირზე საიდუმლო თანამშრომელი მოახდენს იმგვარ ზემოქმედებას, რომ წარმოშობს მასში დანაშაულის ჩადენის განზრახვას ან გაუმყარებს მას დანაშაულის განხორციელების გადანყვეტილებას. საგამოძიებო ორგანოებს მხოლოდ მაშინ აქვთ უფლება საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული მუშაკის მეშვეობით მოახდინონ დანაშაულის პროვოკაცია, როცა კონკრეტული პირის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი ჩადის დანაშაულს ან გადანყვეტილი აქვს დანაშაულის ჩადენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვსაზღვროთ ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლის დაცვით დანაშაულის პროვოკაციის დროს მოპოვებული ინფორმაცია დასაშვებ მტკიცებულებად შესაძლოა იქნეს სისხლის სამართლის პროცესში მიჩნეული. კეძოდ:

1. სამართალდამცავ ორგანოებს უნდა გააჩნდეთ საკმარისი მტკიცებულებები ვარაუდისთვის, რომ პირი ჩადის დანაშაულებრივ ქმედებებს და სამომავლოდაც შესაძლოა ჩაიდინოს დანა-

და 2001 წლის 30 მაისის გადანყვეტილებები.

შაული;

2. აგენტ პროვოკატორის მაპროვოცირებელი ქმედება არ უნდა იყოს ერთადერთი მიზეზი პირის მიერ დანაშაულის ჩადენისა;

3. იმისათვის რომ აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება არ გასცდეს სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ ჩარჩოებს, სასურველია მის განხორციელებაზე არსებობდეს სასამართლო კონტროლი (რაც მოქმედ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას მოითხოვს).

4. საკუთარი ინიციატივით მოქმედი კერძო პირების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა

როგორც წესი, მტკიცებულებათა მოძიება და სასამართლოში წარდგენა მხარეთა ამოცანაა. შესაბამისად, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებით დადგენილი ნორმების პირდაპირ ადრესატს წარმოადგენს ბრალდებისა და დაცვის მხარე. თუმცა, ამავედროულად, კანონი არ კრძალავს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას და წარმოდგენას მხარის პროცესუალური სტატუსის არმქონე სხვა საკუთარი ინიციატივით მოქმედი პირების მიერ. მაგალითად, შესაძლებელია სამართალდამცავ ორგანოში კერძო პირმა წარადგინოს მტკიცებულების სახით კონკრეტული სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ვიდეო მასალა, რომელიც შემთხვევით დააფიქსირა მისმა კანონიერად დამონტაჟებულმა სათვალთვალო ვიდეოკამერამ²⁰⁹. სსსკ-ის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილი დასაშვებად აცხადებს დოკუმენტს და ნივთიერ მტკიცებულებას, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე. ამრიგად, საკუთარი ინიციატივით მოქმედი კერძო პირების მიერ მოპოვებული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად რელე-

²⁰⁹ ასეთი პირი მტკიცებულების ავთენტიკურობის დადგენის მიზნით შესაძლებელია სასამართლოში მოწმის სტატუსით დაკითხოს და ამ ფორმით გახდეს პროცესის ერთ-ერთი მონაწილე.

ვანტური ინფორმაცია შესაძლებელია მხარის მიერ გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად.

იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა საკითხი, თუ რამდენად ვრცელდება მხარის პროცესუალური სტატუსის არმქონე პირებზე მტკიცებულებათა შეკრებისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. ეს ეხება, როგორც საპროცესო, ისე მატერიალური სისხლის სამართლის ნორმებს. უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ერთიანი პოზიცია კერძო პირების მიერ კანონის დარღვევით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობასთან დაკავშირებით.

როდესაც კერძო პირების მიერ ხდება მტკიცებულებების მოპოვება, თავიდანვე უნდა განისაზღვროს, მოქმედებენ ისინი პირადი ინიციატივით, სახელმწიფო ორგანოების ჩარევის გარეშე, თუ გამოძიების ორგანოებთან შეთანხმებით. როდესაც გამოძიების ორგანოები კერძო პირების მეშვეობით ახდენენ მტკიცებულებების მოპოვებას, მაშინ ამ უკანასკნელების მიერ კანონის დარღვევა უნდა შეეარაცხოს გამოძიების ორგანოებსაც და ამიტომ, მტკიცებულებების მოპოვებისთვის დადგენილი წესები ასეთ შემთხვევებზეც ვრცელდება²¹⁰. პრობლემურ შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც კერძო პირები სახელმწიფო ორგანოების მითითებების გარეშე, საკუთარი ინიციატივით მოქმედებენ. ასეთ დროს მეცნიერთა დიდი ნაწილი უარყოფს მტკიცებულების მოპოვებისთვის დადგენილი ნორმების კერძო პირებზე გავრცელებას და შესაბამისად, მათ მიერ კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობას ცალკეულ შემთხვევებში აღიარებს. მათ მიაჩნიათ, რომ ზემოაღნიშნული ნორმების ადრესატებს მხარის პროცესუალური სტატუსის არმქონე კერძო პირები არ წარმოადგენენ და ამიტომ, ისინი მტკიცებულებების

210 იხ. *Bienert, A.*: Private Ermittlungen und ihre Bedeutung auf dem Gebiet der Beweiswertungsverbote, 1997, გვ. 24, 131; *Godenzi, G.*: Private Beweisbeschaffung im Strafprozess. Eine Studie zu Strafprozessualen Beweisverboten im Strafprozess, 2008, გვ. 123, 171; *Mende, B.*: Grenzen privater Ermittlungen durch den Verletzten einer Straftat, 2001, გვ. 31, 63; *Beulke, W.*: Beweiserhebungs- und Beweiswertungsverbote im Strafverfahren im Spannungsfeld zwischen den Garantien des Rechtsstaates und der effektiven Bekämpfung von Kriminalität und Terrorismus, *ჟურნალში*: Jura 2008, გვ. 662; *Godenzi, G.*: Das strafprozessuale Verbot staatlicher Beweismittelhehlerei: Königsweg oder Luftschloss? *ჟურნალში*: GA 2008a, გვ. 503; *Löffelmann, M.*: Die normativen Grenzen der Wahrheitserforschung im Strafverfahren, 2008, გვ. 222, 224; *Rogall, K.*: Gegenwärtiger Stand und Entwicklungstendenzen der Lehre von den strafprozessualen Beweisverboten, *ჟურნალში*: ZStW 91 (1979), გვ. 41.

მოპოვების პროცესში ასეთი ნორმებით არ იზღუდებიან²¹¹. მეცნიერების სხვა ნაწილი საკითხისადმი ამგვარ მიდგომას არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ კერძო პირების მიერ მტკიცებულებების მოპოვების თავისუფლება მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში, რომლებსაც ადგენს ადამიანის უფლებების პატივისცემის კონსტიტუციური მოთხოვნა. ისინი მართებულად აღნიშნავენ, რომ ადამიანის უფლებების უხეში დარღვევით მტკიცებულების მოპოვებას სამართლებრივი სახელმწიფო არ ითმენს, მიუხედავად იმისა, ვისი მოპოვებულია ის, პირადი ინიციატივით მოქმედი კერძო პირებისა, თუ მხარეების მიერ. ვინაიდან, სახელმწიფოს აკისრია ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება, მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეში ხელყოფით მოპოვებული მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში. თუ სახელმწიფო ზოგადად მტკიცებულებების შეკრების ნებას რთავს საკუთარი ინიციატივით მოქმედ კერძო პირებს, მაშინ მან, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის გარანტმა, მათაც იგივე მოთხოვნები უნდა დაუწესოს მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებით, რაც დადგენილია გამოძიების ორგანოებისთვის და ავტომატურად გამორიცხოს ისეთი მტკიცებულებების დასაშვებობა, რომლებიც კანონის უხეში დარღვევითაა მოპოვებული. სახელმწიფო თავად დაარღვევს ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტის ვალდებულებას, როდესაც კერძო პირების მიერ სხვისი უფლებების უხეში ხელყოფის გზით მოპოვებულ მტკიცებულებებს სისხლის სამართლის პროცესში იმ საფუძვლით დაუშვებს, რომ მათი მოპოვება გამოძიების ორგანოებმა კანონიერი გზით ვერ მოახერხეს²¹². აღნიშნულთან დაკავშირებით განვიხილოთ

211 იხ. *Godenzi, G.* (2008a), იქვე, გვ. 514; *Godenzi, G.* (2008), იქვე, გვ. 170, 192; *Beulke, W.* (2008), იქვე, გვ. 661; *Kleinknecht, Th.*: Die Beweisverbote im Strafprozess – Gedanken zu einem Thema des 46. Deutschen Juristentages. *ჟურნალში: NJW* 1966, გვ. 1537, 1543; *Kelnhofer, E./Krug, B.*: Der Fall LGT Liechtenstein – Beweisführung mit Material aus Straftaten im Auftrag des deutschen Fiskus? *StV* 2008, გვ. 660, 662; *Warnking, V.*: Strafprozessuale Beweisverbote in der Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte und ihre Auswirkungen auf das deutsche Recht, 2009, გვ. 275; *Jahn, M.*: Grundfragen und aktuelle Probleme der Beweisverwertung im Straf- und Strafverfahren. *კრებულში: Jahn, M./Kudlich, H./Streng, F.*, (რედ.), *Strafrechtspraxis und Reform. Festschrift für Heinz Stöckel*, 2010, გვ. 279; *Pawlik, M.*: Zur strafprozessualen Verwertbarkeit rechtswidrig erlangter ausländischer Bankdaten. *ჟურნალში: JZ* 2010, გვ. 698.

212 იხ. *Trüg, G./Habetha, J.*: Die Lichtensteiner Steuerräffäre-Strafverfolgung durch die Bege-

კერძო პირების მიერ საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებების კანონის დარღვევით მოპოვების რამდენიმე შემთხვევა:

- **მაგალითი 1:** ა, რომლის ქალიშვილიც გააუპატიურა ბ-მ, ფიზიკურად სასტიკად გაუსწორდა ამ უკანასკნელს და მოკვლის მუქარით აიძულა იგი, რომ მისულიყო პოლიციაში და ელიარე ბინა ჩადენილი დანაშაული. ბ გამოცხადდა გამომძიებელთან და მისცა მას აღიარებითი ჩვენება. ამ შემთხვევაში ა-ს მიერ უხეშად შეილახა ბ-ს კონსტიტუციით გარანტირებული ღირსების ხელშეუვალობის უფლება. ბ-ს აღიარებითი ჩვენება ერთმნიშვნელოვნად ეფუძნება ადამიანის უფლებების არსებით დარღვევას. მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებელს ბ-ს ნების თავისუფლებაზე აკრძალული მეთოდების გამოყენებით ზემოქმედება არ მოუხდენია, აღნიშნული აღიარებითი ჩვენება მტკიცებულებად არ უნდა იქნეს დაშვებული. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს ეწინააღმდეგება, როგორც სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გამოძიების წარმოების დროს ადამიანის ღირსების შემლახავი მოქმედებების განხორციელება, ისე, ჭეშმარიტების დადგენისთვის და დამნაშავის დასჯის სახელმწიფოს უფლებამოსილების რეალიზაციისთვის ადამიანის უფლებების უხეშ მოსილვის გზით მოპოვებული სხვა ნებისმიერი მტკიცებულების სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოყენება. თუკი ამგვარ მტკიცებულებას დასაშვებ მტკიცებულებად ვაღიარებთ, მაშინ იარსებებს იმის საფრთხე, რომ გამოძიების ორგანოები ადამიანის ღირსების შემლახავი იძულებითი ჩვენებების მისაღებად შეგნებულად ისარგებლებენ კერძო პირების დახმარებით, რაც საფუძველს აცლის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ სისხლის სამართლის პროცესს.

- **მაგალითი 2:** სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია ა-ს მიმართ განზრახ მკვლელობის ბრალდებით. გამომძი-

hung von Straftaten? NJW 2008, გვ. 488; *Otto, H.*: Grenzen und Tragweite der Beweisverbote im Strafverfahren, *ჟურნალში*: GA 1970, 289, 299; *Finger, Th.*: Prozessuale Beweisverbote. Eine Darstellung ausgewählter Fallgruppen, *ჟურნალში*: JA 2006, გვ. 529, 537; *Amelung, K.* (1990): იქვე, გვ. 64; *Talmon, S.*: Der Anti-Terror-Kampf der USA und die Grundrechte, *კრებულიში*: *Kämmerer J.-A.* (რედ.), An den Grenzen des Saates, Kolloquium zum 65. Geburtstag von Wolfgang Graf Vitzthum, 2008, გვ. 83; *Hassemer, W./Matussek, K.*: Das Opfer als Verfolger. Ermittlungen des Verletzten im Strafverfahren, 1996, გვ. 77; *Szdow, F.*: Kritik an der Lehre von den „Beweisverboten“, 1967, გვ. 109; *Bockemühl, J.*: Private Ermittlungen im Strafprozess. Ein Beitrag zu der Lehre von den Beweisverboten, 1996, გვ. 125.

ბას არ აქვს საკმარისი მტკიცებულებები ა-სთვის წარდგენილი ბრალდების სასამართლოში არსებითი განხილვის სხდომაზე გასამყარებლად. დანაშაულის მსხვერპლის ერთ-ერთმა ნათესავმა ბ-მ შეიტყო, რომ ვინმე ლ. ა-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს, რაც არ არის ცნობილი გამოძიებისთვის. ბ-მ სთხოვა ლ-ს, რომ მისულიყო გამოძიებელთან და მოეყოლა მისთვის ყველაფერი, რაზეც ლ-მ სასტიკი უარი განაცხადა. ლ-ს არ სურდა თავისი ახლო მეგობარი ა ემხილა დანაშაულის ჩადენაში. ამის გამო ბ-მ ლ. სასტიკად სცემა და მოკვლის მუქარით აიძულა გამოძიებელთან მისვლა და ბრალდებულის დანაშაულში მამხილებელი ჩვენების მიცემა. წინა მაგალითისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში დაირღვა არა უშუალოდ ბრალდებულის ღირსების დაცვის კონსტიტუციური გარანტია, არამედ – მესამე პირის, რომელიც ბრალდების მხარეს შეუძლია დაკითხოს სასამართლოში ბრალდებულის საზიანოდ. ბრალდებულის ღირსების დაცვის გარანტია იმავდროულად ამ უკანასკნელს არ აძლევს იმის მოთხოვნის უფლებას, რომ არ შეილახოს ასევე მესამე პირების კონსტიტუციური უფლებები. შესაბამისად, თუ რომელიმე მოწმის ჩვენების მისაღებად იქნება თუნდაც ნამებისა და არაადამიანური მოპყრობის მეთოდები გამოყენებული, ამით ბრალდებულის ღირსება არ შეილახება. მიუხედავად ამისა, სამართლიანი სასამართლოს პრინციპიდან გამომდინარე, ბრალდებულს აქვს უფლება მოითხოვოს მსგავსი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა. სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პროცესი არის არა მხოლოდ მაშინ უზარვეზოდ გარანტირებული, როცა დაცულია ბრალდებულის კონსტიტუციური უფლებები და პროცესის ფორმალური წესები, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის პროცესში მხოლოდ ისეთი მტკიცებულებები იქნეს გამოყენებული, რომელთა მოპოვება და სასამართლოში გამოკვლევა როგორც ბრალდებულის, ისე სხვა მესამე პირის კონსტიტუციური უფლებების არსებით ხელყოფას არ გამოიწვევს. სახელმწიფო ორგანოების მიმართ ნდობის ხარისხი კლებულობს საგრძნობლად, როდესაც ისინი დანაშაულის გახსნისთვის და ქეშმარიტების დადგენისთვის ისეთ მტკიცებულებებს იყენებენ, რომელთა მოპოვება ცალკეული ინდივიდების კონსტიტუციურად დაცულ

ფუნდამენტურ უფლებებში არსებითი ჩარევის შედეგად მოხდა და რაც მისაღწევ მიზანთან არათანაზომიერ დამოკიდებულებაშია. ამ შემთხვევაში არავითარ როლს არ თამაშობს, ბრალდებულის უფლებებში მოხდა არათანაზომიერი ჩარევა თუ მოწმის. სახელმწიფოს მიმართ ნდობისათვის არარელევანტურია, თუ ვისი უფლებები შეილახა არსებითად. ვინაიდან, სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პროცესის გარანტია მოიცავს ასევე ბრალდებულის უფლებას სახელმწიფო ორგანოების მოქმედებათა სანდოობაზე, მაშინ შესაძლებელია მოწმეების კონსტიტუციურ უფლებებში უხეში ჩარევით შეილახოს ბრალდებულის პროცესუალური გარანტიებიც. შესაბამისად, ზემოთ მოყვანილ მაგალითში მოწმის ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი, ვინაიდან, ბრალდებული არ არის ვალდებული ითმინოს, რომ მოწმის კონსტიტუციური უფლებების არსებითი შელახვის შედეგად მიღებული მტკიცებულებების საფუძველზე იქნეს გასამართლებული²¹³. იგივე მაგალითში, თუ ბ ყოველგვარი სასტიკი მოპყრობის გარეშე დაიყოლიებდა ლ-ს ჩვენების მისაცემად და ეს უკანასკნელიც ამხელდა თავის მეგობარ ბრალდებულ ა-ს დანაშაულში, აღნიშნული არ გამოიწვევდა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას.

- **მაგალითი 3:** ა-მ სთხოვა თავის მეზობელ გ-ს, რომ დახმარებოდა პერსონალური კომპიუტერის შეკეთებაში. გ-მ აღმოუჩინა ა-ს დახმარება და ამავდროულად კომპიუტერში ფარულად ჩაუტვირთა ისეთი პროგრამა, რომელიც მისცემდა ამ უკანასკნელს ა-ს მიერ კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებული ელექტრონული კომუნიკაციების შინარსობრივი მონაცემების მოპოვების საშუალებას. გ რეგულარულად ფარულად კითხულობდა ა-ს ელექტრონულ მიმოწერას. გ-მ აღმოაჩინა, რომ ა-ს ურთიერთობა ჰქონდა ვინმე ბ-სთან, რომელთან ერთადაც ჩადიოდა სხვადასხვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს. ისინი რეგულარულად ელექტრონული მიმოწერის გზით ათანხმებდნენ დანაშაულებრივ გეგმებს და შემდეგ ამას ახორციელებდნენ, რაც გამომდინარეობდა მათივე ელექტრონული წერილების შინაარსიდან. ერთ დღეს გ-ს მოუვიდა კონფლიქტი

213 იხ. ასევე *Kaiser, S.: Die Drei-Stufen-Theorie zur Bestimmung von Beweisverboten im Strafprozess, 1999, გვ. 207.*

ა-სთან. ა-ზე განაწყენებულმა გ-მ გამომძიებელთან ნაილო ა-ს და ბ-ს ელექტრონული კომუნიკაციის შინაარსობრივი მონაცემების ასლები და ამხილა ორივე სხვადასხვა დანაშაულებრივ ქმედებებში. მოცემულ მაგალითში გ-მ დანაშაულებრივი გზით მოიპოვა ა-ს და ბ-ს დანაშაულებრივ საქმიანობებში მამხილებელი მტკიცებულებები, კერძოდ, მან მტკიცებულებების მოპოვებისას განახორციელა სსკ-ის 158-ე (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა) და 285-ე (კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობები. ასეთი მტკიცებულების დასაშვებად ცნობის საკითხი მეტად პრობლემატურია. გ-მ დაარღვია არა მარტო მატერიალური სისხლის სამართლის მოთხოვნები, არამედ, კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამომძიებო მოქმედებების მარეგულირებელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები. თუმცა ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ის 136-138-ე მუხლების ადრესატს მხოლოდ პროკურორი წარმოადგენს და აღნიშნული ნორმების მოქმედება სხვა პირებზე არ ვრცელდება. ამასთან, საყურადღებოა, რომ არ არსებობს ისეთი ზოგადი პრინციპი, რომელიც დანაშაულის ჩამდენი პირის სხვის მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენებით დანაშაულში მხილებას კრძალავს. როგორც ზემოთ აღინიშნა, გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც კერძო პირების მხრიდან მტკიცებულებების მოპოვება მოხდა ადამიანის ღირსების პატივისცემის კონსტიტუციური გარანტიის და ადამიანის უფლებების ამკარად უხეშად შემლახავი მეთოდების გამოყენებით. ასეთი მტკიცებულებების დასაშვებობა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მიუღებელია. თუკი ინფორმაციის მოპოვებისას ადამიანის უფლებათა ასეთ ხელყოფას ადგილი არ ჰქონია, მაშინ შესაძლებელია დასაშვებად იქნეს ცნობილი კერძო პირების მიერ საკუთარი ინიციატივით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მტკიცებულება. ვინაიდან, გ-მ ჩაიდინა სსკ-ის 158-ე და 285-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, იგი ამის გამო მიეცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში, მაგრამ ეს ამავედროულად არ ნიშნავს იმას, რომ გ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული ინფორმაცია ა-ს და ბ-ს

წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესში ვერ იქნება გამოყენებული. მართალია, მატერიალური სისხლის სამართალი და სისხლის საპროცესო სამართალი ავსებენ ერთმანეთს და ერთი დარგის, სისხლის სამართლის ნაწილებს წარმოადგენენ, თუმცა, მატერიალური სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მუხლები, ამავდროულად პროცესუალურ შედეგებს არ ითვალისწინებენ. აღნიშნული ნორმებით დადგენილია მხოლოდ მატერიალურ სისხლისსამართლებრივი სანქციები და მეთოდურად მიუღებელი იქნებოდა, რომ მათში ასევე პროცესუალურ-სამართლებრივი სანქციებიც დაგვენახა²¹⁴. შესაბამისად, გ-ს მიერ მოპოვებული ინფორმაცია შესაძლებელია დასაშვებ მტკიცებულებად იქნეს ცნობილი ა-ს და ბ-ს წინააღმდეგ, თუ ამავდროულად იგი არ შეიცავს ამ უკანასკნელთა პირადი ცხოვრების კონსტიტუციურ-სამართლებრივად ყველაზე დაცული ინტიმური სფეროდან მონაცემებს²¹⁵.

კერძო პირების მიერ საკუთარი ინიციატივით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობასთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე შეხედულება, რომ ასეთი ინფორმაცია დასაშვები მტკიცებულებაა, თუ გამოძიების ორგანოები კანონიერი გზით აღნიშნული ინფორმაციის მოპოვებას შეძლებდნენ.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ თუ კერძო პირების მიერ საკუთარი ინიციატივით არაკანონიერი გზით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვება ბრალდებულის ფუნდამენტურ უფლებებს არსებით ზიანს მიაყენებს, მაშინ ასეთი ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია. ხოლო, როდესაც კერძო პირების მიერ ინფორმაციის მოპოვების დროს ბრალდებულის და სხვა პირების დარღვეული უფლებები აღდგენა შესაძლებელია სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი მექანიზმებითაც, მაშინ ამან დამატებით აღარ უნდა გამოიწვიოს ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობის

214 იხ. ასევე *Störmer: R.: Dogmatische Grundlagen der Verwertungsverbote – Eine Untersuchung über die Strukturen strafprozessualer Verwertungsverbote unter dem Einfluss der Verfassung und der Grundsätze des öffentlichen Rechts*, 1992, გვ. 118. *Götting. S.* (2001). იქვე, გვ. 302.

215 იხ. ზემოთ III., 3.3., 3.3.2.

აკრძალვა²¹⁶. მაგალითისთვის საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მხარის პროცესუალური სტატუსის არმქონე პირებმა სახელმწიფო ორგანოების ყოველგვარი ჩარევის გარეშე კანონდარღვევით მოიპოვეს მტკიცებულებები (ამავდროულად ადგილი არ ჰქონია ბრალდებულის ან სხვა პირების ღირსების და სხვა ფუნდამენტური კონსტიტუციური უფლებების არსებით დარღვევას) და ამისთვის ისინი მიცემულ იქნენ პასუხისგებაში. ასეთ შემთხვევებში კერძო პირებისთვის უპირველეს ყოვლისა მოქმედებს მატერიალური სისხლის სამართლის ნორმები. როდესაც კერძო პირები სხვის დანაშაულში მამხილებელი ინფორმაციის გამოძიების ორგანოებში წარსადგენად უკანონოდ სხვის ბინაში შეაღწევენ ან ფარულად კერძო კომუნიკაციის შინაარსობრივ მონაცემებს მოიპოვებენ, ისინი იგდებენ თავს ასეთი ქმედებებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დიდ რისკში. მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვება უნდა გამოირიცხოს მხოლოდ მაშინ, თუკი ამგვარი მტკიცებულების გამოყენებით არსებითად შეილახება ბრალდებულის კონსტიტუციურად დაცული ფუნდამენტური უფლებები.

IV. მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინა (fruit of the poisonous tree doctrine) და მისი გამონაკლისები

1. დოქტრინის წარმოშობა და მისი მნიშვნელობა

სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია. როგორც დავინახეთ, აღნიშნული ნორმა აფართოებს დაუშვებელ მტკიცებულებათა რიცხვს და მტკიცებულებად არ დაიშვება არა მხოლოდ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული უშუალო (პირველადი) მტკიცებულებები, არამედ ასევე ის შუალობითი მტ-

216 იხ. Bockemühl, J. (1996), იქვე, გვ. 115, 120.

კიცებულებები²¹⁷, რომლებიც უშუალო მტკიცებულებების საფუძველზე იქნა მოპოვებული, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. მაშასადამე, მტკიცებულებების მოპოვებისას კანონის დარღვევისა და მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადანყვეტისას, მოსამართლემ უნდა შეაფასოს, რამდენად არსებითად იქნა დარღვეული კანონი უშუალო (პირველადი) მტკიცებულების მოპოვების დროს და რამდენად გააუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, თუკი იგი კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე კანონიერად მოპოვებულ სხვა მტკიცებულებას დასაშვებად ცნობს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა წარმოადგენს აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული დოქტრინის ანალოგს, რომელიც „**მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინის (fruit of the poisonous tree doctrine)**“ სახელით არის ცნობილი. „მონამლული ხის ნაყოფი“ არის მეტაფორა, რომელიც გამოიყენა 1939 წელს აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს მოსამართლე *ფელიქს ფრანკფურტერი* მა გადანყვეტილების დასაბუთებისას²¹⁸, რომელმაც შემდგომ შეიძინა სხვა სასამართლოებისთვის სახელმძღვანელო მნიშვნელობა. „მონამლული ხის ნაყოფი“²¹⁹ შემდეგნაირად განიმარტება: გამოძიების ორგანოები შესაძლოა ვარაუდობდნენ, რომ გარკვეულ მტკიცებულებას (ხე) შეუძლია მათ საქმის გარემოებათა დასადგენად მნიშვნელოვანი სხვა მტკიცებულებების (*ნაყოფი*) აღმოჩენაში შეუწყოს ხელი. თუკი ისინი პირველადი მტკიცებულების მოპოვებისას უხეშად დაარღვევენ კანონს და არ დაიცავენ სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ სტანდარტებს, მაშინ ამ პირველად მტკიცებულებას (ხე) ნამლავენ. როდესაც პირველადი მტკიცებულების მოპოვებისას კანონი არსებითად არის დარღვეული (ხე მოინამლა), მაშინ ასეთი მტკიცებულება არ უნდა

217 როდესაც საუბარია „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინაზე“ იურიდიულ ლიტერატურაში კანონის არებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას მოიხსენიებენ „უშუალო“ მტკიცებულებად, ხოლო მის საფუძველზე აღმოჩენილ სხვა მტკიცებულებებს - „შუალობით“ მტკიცებულებებად.

218 იხ. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება: *Nardone v. U.S.*, 308 U.S., გვ. 338 (1939).

219 აღნიშნული ტერმინის შესახებ იხ. ასევე *ჩხიძე, ი.*, მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, 2010, გვ. 69-70.

უნეს გამოყენებული სხვა მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რადგან დანარჩენი მტკიცებულებებიც მიუღებელია სასამართლოსთვის. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის ასეთი მტკიცებულებები წარმოადგენენ მონამლული ხის ნაყოფებს, რომლებიც ასევე მონამლულია. აღსანიშნავია, რომ ფელიქს ფრანკ-ჟურტერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებამდეც აშშ-ს სასამართლო პრაქტიკა მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას ანალოგიური მიმართულებით ვითარდებოდა. საკითხისადმი მსგავსი მიდგომა პირველად აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს 1920 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში ჩანს²²⁰. მოყოლებული 20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, იმისათვის, რომ დაცული იყოს ცალკეული ინდივიდების კონსტიტუციური უფლებები და მოხდეს სამართალდამცავი ორგანოების დისციპლინირება, აშშ-ში დასაშვებ მტკიცებულებად არ განიხილავენ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებსა და ამგვარი მტკიცებულებების საფუძველზე კანონიერი გზით მოპოვებულ სხვა მტკიცებულებებს. აღნიშნულ მიდგომას გააჩნია პრევენციული ხასიათი, რათა გამოძიების ორგანოებმა სამომავლოდ თავი შეიკავონ არაკანონიერი ქმედებებისაგან მტკიცებულებების მოპოვების პროცესში.

აშშ-ში ერთი მხრივ, მოქმედებს ზემოხსენებული დოქტრინა, მეორე მხრივ, სასამართლო პრაქტიკამ განავითარა გამოწვევები „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინისგან“, რადგან ყოველთვის მარტივი არ არის უშუალო და შუალობით მტკიცებულებებს (ე.ი. ხესა და ნაყოფებს) შორის ურთიერთკავშირის დადგენა. სირთულეს წარმოადგენს განსაკუთრებით იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეუძლია კანონდარღვევით მოპოვებულ პირველად მტკიცებულებას (მონამლულ ხეს) გამოიწვიოს სხვა მტკიცებულებების (ნაყოფების) დაუშვებლად ცნობა. არ იქნებოდა იმის მტკიცება მართებული, რომ კანონდარღვევით მოპოვებულმა მტკიცებულებებმა ყოველთვის უნდა დაბლოკოს მის საფუძველზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებების დასაშვებობა და მტკიცებულებების ნაკლებობის გამო კითხვის ნიშ-

²²⁰ იხ. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: *Silverthorne Lumber Co. v. U.S.*, 251 U.S., გვ. 385 (1920); *Wong Sun v. U.S.*, 371 U.S., გვ. 447, 488 (1963); *Tehan v. U.S., ex. rel. Shott*, 382 U.S., გვ. 406, 413 (1966); *Terry v. Ohio*, 392 U.S., გვ. 1, 12 (1968).

ნის ქვეშ დადგეს აშკარად დამნაშავე პირის გასამართლების შესაძლებლობა. შესაბამისად, „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“ არ არის აბსოლუტური ხასიათის და გააჩნია მთელი რიგი გამონაკლისები, რომლებსაც ქვევით განვიხილავთ.

2. საგამონაკლისო შემთხვევები

2.1. დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი („independent source exception“)

ზოგჯერ მტკიცებულებების აღმოჩენა ეფუძნება არა მხოლოდ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, არამედ სხვა დამოუკიდებელ წყაროსაც. ასეთ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას დამოუკიდებელი წყაროც იძლევა, მის დასაშვებობას „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“ ვერ შეზღუდავს. ამის არგუმენტად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ დამოუკიდებელი წყაროს საგამონაკლისო შემთხვევის დროს თავიდანვე არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასა და მის საფუძველზე კანონიერი გზით აღმოჩენილ მტკიცებულებებს შორის, ვინაიდან მათი მოპოვება სხვა დამოუკიდებელი წყაროზე დაყრდნობით ისედაც მოხერხდებოდა²²¹.

როდესაც საგამოძიებო ორგანოები ერთი და იგივე მტკიცებულების მოსაპოვებლად ახორციელებენ რამდენიმე საგამოძიებო მოქმედებას, ზოგიერთს კანონის დაცვით და ზოგს კი კანონდარღვევით და თუ ამ საგამოძიებო მოქმედებებს შორის არ არსებობს კავშირი და ისინი ერთიმეორეზე არ არიან დამოკიდებული, მაშინ კანონის სრული დაცვით მოპოვებული მტკიცებულება უნდა იქნეს დაშვებული²²². მაგალითისთვის, თუ საგამოძიებო ორგანოს ერთი თანამშრომელი დაკავებულ ბრალდებულს უფლებების განმარტებების გარეშე დაკითხავს,

221 იხ. *Broun, K. S.: McCormick on Evidence*, 1992, გვ. 313; *Kamisar, Y./ La Fave, W./Israel, J. H./ King, N./ Kerr, O. S.: Basic Criminal Procedure*, მე-12 გამოცემა, 2008, გვ. 838; *Saltzburg, S. A./ Capra, D. J.: American Criminal Procedure: Cases and Commentary*, მე-8 გამოცემა, 2007, გვ. 358.

222 იხ. *Ingram, J. (2009)*, იქვე, გვ. 91.

იგი კანონს უხეშად არღვევს და „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინის“ თანახმად, ასეთი დაკითხვის დროს ბრალდებულისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. მაგრამ, თუ ამისაგან დამოუკიდებლად, სხვა გამომძიებლები იმავდროულად ბრალდებულის ბინაში კანონიერად ჩატარებული ჩხრეკის საფუძველზე ამოიღებენ იგივე მტკიცებულებებს, „დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისის“ შესაბამისად, ასეთი მტკიცებულება დასაშვებად შეიძლება იქნეს ცნობილი და გამოყენებული ბრალდებულის წინააღმდეგ²²³. შესაბამისად, მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა მოხდეს იმის დადგენა, არის თუ არა კანონიერად განხორციელებული საგამომძიებო მოქმედება მის მოპოვებასთან მიზეზობრივ კავშირში²²⁴. მხოლოდ მაშინ, როდესაც პოზიტიურად დასტურდება, რომ გამოძიების ორგანოების ძალისხმევის შედეგად ასევე სხვა ლეგალური წყაროც იძლეოდა მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს „დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისის“²²⁵.

ამერიკულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მტკიცებულების მოპოვების (კანონიერი) დამოუკიდებელი წყარო დროში უნდა უსწრებდეს იმავე მტკიცებულების აღმოსაჩენად განხორციელებულ უკანონო საგამომძიებო მოქმედებებს, ან მინიმუმ დროში ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს²²⁶. ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე (*State v. O'Bremski*²²⁷) უკანონო ჩხრეკის შედეგად 14 წლის გატაცებული გოგონა იპოვეს სექსუალური მოძალადის ბინაში. პირს მსჯავრი დაედო გოგონას (დაზარალებულის) ჩვენების საფუძველზე. დაზარალებულის ჩვენების მტკიცებულებად დასაშვებობის საკითხი იქცა

223 იხ. *Ossenberg, S.* (2011), იქვე, გვ. 106.

224 იხ. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *Segura v. United States*, 468 U.S. 796, გვ. 813-816 (1984).

225 იხ. *Ingram, J.* (2009), იქვე, გვ. 89; *Israel, J. H./Kamisar, Y./ La Fave, W.* (1991) იქვე, გვ. 313, 316.

226 *La Fave, W./ Israel, J. H./ King, N.*: Criminal Procedure. ტომი მე-3, მე-2 გამოცემა. 1999/2007, გვ. 349.

227 იხ. ვაშინგტონის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: *State v. O'Bremski*, 70 Wash.2d 425, 423 p.2d, გვ. 530, (1967).

სადაოდ, ვინაიდან „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინაზე“ დაყრდნობით იგი დაუშვებელი მტკიცებულებაა. თუმცა დაზარალებულის ჩვენება საბოლოოდ დასაშვებ მტკიცებულებად ცნეს იმ არგუმენტით, რომ გოგონას ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია პოლიციას უკანონო ჩხრეკის ჩატარებამდეც ჰქონდა სხვა დამოუკიდებელი წყაროდანაც, კერძოდ, პოლიციის ინფორმატორისგან. ამრიგად, ჩხრეკის საფუძველი არსებობდა პოლიციის უკანონო ქმედებებისგან დამოუკიდებლადაც.

პრობლემატურია ისეთი შემთხვევები, როდესაც გამოძიების ორგანოს თანამშრომლები დამოუკიდებელი წყაროდან საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების არსებობის შესახებ ინფორმაციას კანონსაწინააღმდეგო საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შემდეგ შეიტყობს, ანუ როდესაც მტკიცებულების მოსაპოვებლად განხორციელებული უკანონო მოქმედებები დროში წინ უსწრებს დამოუკიდებელი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას. აქ ჩნდება კითხვა, თუ რამდენად არის მტკიცებულებებთან დაკავშირებით მოგვიანებით მიღებული ინფორმაცია ნამდვილად დამოუკიდებელი, ხომ არ არის იგი რეალურად კავშირში წინარე კანონსაწინააღმდეგო საგამოძიებო ქმედებებთან, რაც მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას გამოიწვევს. მსგავს შემთხვევებში დამოუკიდებელი წყაროს საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად აუცილებლად უნდა დადგინდეს, არის თუ არა მიზეზობრივი კავშირი დამოუკიდებელ წყაროსა და წინარე მართლსაწინააღმდეგო საგამოძიებო მოქმედებებს შორის. მიზეზობრივი კავშირის დასადგენად მიმართავენ ეკვივალენტურობის თეორიას ე.ი. *conditio sine qua non*-ის ფორმულას. თუ მიზეზობრიობა არსებობს, მაშინ დამოუკიდებელი წყაროს საფუძველზე მიღებული მტკიცებულება ასევე დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, ხოლო მიზეზობრიობის არარსებობის შემთხვევაში, ამგვარი მტკიცებულების დაშვება შესაძლებელია²²⁸.

228 იხ. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *U.S. v. Bacall*, 443 F. 2d, გვ. 1050 (9th Circuit 1971); *U.S. v. Murray*, 487 U.S., გვ. 533 (1988); იხ. ასევე *La Fave, W./ Israel, J. H./ King, N.* (1999/2007), იქვე, გვ. 350.

2.2. მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენის გამო- ნაკლისი („inevitable discovery exception“)

„დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისთან“ ძალიან ახლოს დგას ე.წ. „მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენის გამონაკლისი“ (inevitable discovery exception), რომელსაც ასევე მოიხსენიებენ, როგორც „ჰიპოთეტურად დამოუკიდებელი წყაროს წესს“ (hypothetical independent source rule). მისი მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: როდესაც მტკიცებულება მოპოვებულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ასეთი მტკიცებულების დასაშვებობას ვერ შეზღუდავს „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“, თუკი იმავე მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელი იყო ასევე კანონიერი გზებითაც²²⁹. მტკიცებულების დასაშვებობისთვის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ კანონიერი გზით მისი აღმოჩენა დროის მოკლე მონაკვეთში დიდი ალბათობით უნდა ყოფილიყო შესაძლებელი და გარდაუვალი. იმდენად მაღალი უნდა იყოს მტკიცებულების მოპოვების ალბათობა, რომ არსებულ სიტუაციაში მისი აღმოუჩენლობა ფაქტიურად გამორიცხული უნდა იყოს. ამრიგად, ჰიპოთეტურად მტკიცებულება კანონიერი გზით მოკლე დროში ისედაც აღმოჩენილი იქნებოდა. ის, რომ მაღალი ალბათობით მტკიცებულება კანონიერი გზით იქნებოდა აღმოჩენილი, ბრალდების მხარემ მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადანყვეტისას უნდა დაამტკიცოს²³⁰. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აშშ-ს შემდეგი სასამართლო პრეცედენტები:

- საქმეზე *სოტო ნიუ-იორკის შტატის წინააღმდეგ*²³¹, უფლებების განმარტების გარეშე დაკითხულმა ბრალდებულმა გაამხილა ის ადგილი, სადაც მალავდა დანაშაულის იარაღს. ეს ადგილი იყო საფოსტო ყუთი, რომელიც მოკლე დროში ისედაც ფოსტალიონის მიერ გაიხსნებოდა. მაშასადამე, დანაშაულის იარაღი ბრალდებულის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გარეშეც ნებისმიერ შემთხვევაში აღმოჩენილი იქნებოდა. ამ მიზეზით მოსამართლემ „სალი აზრის გამოყენებით“ („application of common

229 იხ. აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე: *Nix v. Williams*, 467 U.S., გვ. 431, 441-444 (1984); იხ. ასევე *Anderson, J./Thompson, B.: American Criminal Procedure*, 2007, გვ. 70; *Dressler, J.* (2002), იქვე, გვ. 416; *Grant, H./Terry, K.: Law Enforcement in the 21st Century*, 2005, გვ. 173; *Hall, D.: Criminal Law and Procedure*, მე-4 გამოცემა, 2004, გვ. 304;

230 *Nix v. Williams*, 467 U.S., გვ. 431, 445, 446 (1984).

231 *Soto v. New York*, 476 U.S., გვ. 898 (1986).

sense“) იარაღი და მასზე არსებული თითის ანაბეჭდები დასაშვებ მტკიცებულებად სცნო.

- შემდეგ ცნობილ შემთხვევას წარმოადგენს *ნიქსი ვილიამსის წინააღმდეგ*²³². ბრალდებულმა, რომელიც პოლიციელებს გადაჰყავდათ ერთ-ერთი განყოფილებიდან მეორეში, მგზავრობის დროს უკანონო დაკითხვისას მიუთითა იმ ადგილზე, სადაც გვამი ჰქონდა გადამალული. პოლიციამ გვამი აღმოაჩინა და ეს დაედო საფუძვლად ქვემდგომი ინსტანციის მიერ ბრალდებულის მსჯავრდებას. განაჩენი უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდა. უზენაესმა სასამართლომ თავის გადანყვეტილებაში დაადასტურა, რომ გვამის აღმოჩენა მოხდა უკანონო დაკითხვის შედეგად, რაც „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინაზე“ დაყრდნობით, დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა ეცნო ქვედა ინსტანციის სასამართლოს. თუმცა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებულის დაკითხვის გარეშეც იქნებოდა უმოკლეს დროში გვამი აღმოჩენილი პოლიციელების მიერ, რომლებიც იმავე ადგილას გვამის აღმოსაჩენად ინტენსიურ სამძებრო ღონისძიებებს ახორციელებდნენ. შესაბამისად, აშშ-ს ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ საბოლოოდ გვამი და მასთან დაკავშირებული სხვა მტკიცებულებები (გვამზე დატოვებული ბრალდებულის ბიოლოგიური კვალი და გვამის ფოტოსურათები) დასაშვებ მტკიცებულებებად მიიჩნია²³³.

- აშშ-ს სასამართლოს აქტუალურ გადანყვეტილებებითაც შენარჩუნებულია „მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენის გამონაკლისის“ მიდგომა. მაგალითად, მკვლელობის შემთხვევაზე პოლიცია გამოძახებულ იქნა ერთ-ერთ სასტუმროში. პოლიციამ სასტუმროს ოთახის ფანჯრიდან დაინახა ქალის სხეული, რომელიც იატაკზე უგონოდ ესვენა. ვინაიდან, არსებობდა ქალბატონის გადარჩენის თეორიული შანსი, სასტუმროს მეპატრონემ პოლიციას გაუღო ოთახის კარი, თუმცა დაზარალებული უკვე გარდაცვლილი აღმოჩნდა. აღნიშნულ შემთხვევაში პრობლემური გახდა ის გარემოება, რომ სასტუმროს ოთახში შე-

232 *Nix v. Williams*, 467 U.S., გვ. 431 (1984).

233 აღნიშნულ გადანყვეტილებაში უზენაესი სასამართლოს მიერ ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება, რომელიც უკანონო დაკითხვას ეფუძნებოდა დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა აღიარებული.

საბამისი ჩხრეკის ნებართვის გარეშე იქნა აღმოჩენილი გვამი და მასზე დამნაშავის მიერ დატოვებული კვალი. „მონამლული ხის ნაყოფის თეორიის“ მიხედვით, ყველა ეს მტკიცებულება დაუმ- ვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი. თუმცა, მოსამართლის მიერ მტკიცებულებები სისხლის სამართლის საქმეზე დაშვებულ იქნა, ვინაიდან, მოცემულ სიტუაციაში პოლიციას ჩხრეკის ნებართვის მოპოვების შესაძლებლობა გააჩნდა და იგივე მტკიცებულებები კანონიერი გზითაც იქნებოდა ნებისმიერ შემთხვევაში აღმოჩე- ნილი²³⁴. საკითხისადმი ამგვარმა მიდგომამ მართებულად დაიმ- სახურა პრაქტიკოსი და მეცნიერ-იურისტთა მწვავე კრიტიკა²³⁵. გაუმართლებელია უკანონო საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დაშვება, როდესაც საგამოძიე- ბო ორგანოს წარმომადგენლებს არ უცდიათ სასამართლოსგან მიეღოთ საგამოძიებო მოქმედების (მაგ., ჩხრეკის) ჩატარების ნებართვა და ისინი მიუთითებენ მხოლოდ იმაზე, რომ შექმნილ ვითარებაში შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში სასა- მართლო გასცემდა ასეთ ნებართვას. თუ ასეთ შემთხვევებში კა- ნონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულები დაშვებული იქნე- ბა, მაშინ გამოძიების ორგანო აღარ იზრუნებს სასამართლოს- გან საგამოძიებო მოქმედების განსახორციელებლად საჭირო ნებართვის მიღებაზე. ამიტომ, საკმარისი არ არის პროკურორის ან გამოძიებლის მხრიდან იმის მტკიცება, რომ სასამართლოს ნებართვის მიღების საფუძველი არსებობდა. „მტკიცებულების გარდაუვლად აღმოჩენის გამოწვევის“ შემთხვევის დროს მტ- კიცებულებების დასაშვებად ცნობის გადაწყვეტილების მიღე- ბისას აუცილებლად უნდა დადასტურდეს, რომ მტკიცებულების მოპოვებამდე სასამართლოში საგამოძიებო მოქმედების ჩატა- რების შესახებ შესაბამისი შუამდგომლობა იყო დაყენებული, რომელსაც მოსამართლე დააკმაყოფილებდა.

234 იხ. სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: *Teal v. State*, 2007 Ga. LEXIS, გვ. 480 (2007); *Ohio v. Sincell*, 2002 Ohio App. LEXIS, გვ. 1656.

235 იხ. *Alschuler, A. W.*: The Exclusionary Rule and Causation: *Hudson v. Michigan and Its Ancestors*, *Iowa L. Rev.* 93, 2008, გვ. 1807 (1741-1818); *Bloom, R. M.*: Inevitable Discovery: An Exception beyond the Fruits, კრებულში: *Am.J.Crim.L.* 20, 1992, გვ. 95, 103 (79-103); *Lu Fave, W./Israel, J. H./King, N.*(1999/2007), იქვე, გვ. 354.

2.3. განწმენდილი (გამოსწორებული) ნაკლის გამონაკლისი („purged taint exception“)

აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევა ცნობილია ასევე კანონდარღვევასა და მტკიცებულებას შორის „შესუსტებული მიზეზობრივი კავშირის“ („attenuated connection“) სახელითაც. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მტკიცებულების მოპოვებასა და კანონდარღვევით განხორციელებულ საგამოძიებო მოქმედებას შორის მართალია მიზეზობრიობა დგინდება, მაგრამ, მტკიცებულების დაშვება მაინც ხდება, რადგან კანონდარღვევასა და მტკიცებულების მოპოვებას შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი სხვა დამატებითი ფაქტორის გამო იმდენად შესუსტდა, რომ მანამდე არსებული ხარვეზების და ნაკლოვანებების გამოსწორება (განწმენდა) მოხდა²³⁶, ე.ი. პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი კანონდარღვევასა და მოპოვებულ მტკიცებულებას შორის აღარ დგინდება. მნიშვნელოვანია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდეს შეფასება, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო დამატებითი ფაქტორი და რამდენად არსებითად მოხდა ხარვეზების (ნაკლოვანებების) განწმენდა²³⁷. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ვონგ სან-ის (*Wong Sun*) საქმეზე აშშ-ს ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება²³⁸. უკანონო ჩხრეკისას დაკავებულმა ბრალდებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული და დაასახელა ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი სხვა პირი ვ-ც, რომელიც ასევე მალევე დააკავეს, თუმცა რამდენიმე საათში ისევ გაათავისუფლეს. ვ. რამდენიმე დღეში საკუთარი ნებით გამოცხადდა სამართალდამცავ ორგანოში და ნებაყოფლობით მისცა აღიარებითი ჩვენება. მისი შემდგომი დაკითხვა კანონის სრული დაცვით განხორციელდა, მას

236 იხ. *Nardone v. U.S.*, 308 U.S., გვ. 341, (1939); *Wong Sun v. U.S.*, 371 U.S., გვ. 471 (1963); *Bain, J. M./Kelly, M. K.*: Fruit of the Poisonous Tree: Recent Developments as Viewed Through its Exception, კრებულში: U.Miami L. Rev. 31, 1977, გვ. 616 (615-650); *Pitler, R. M.*: 'The Fruit of the Poisonous Tree', Revisited and Shepardized, კრებულში: Cal.L.Rev. 56, 1968, გვ. 641 (579-651); *Wasserstrom, S./Mertens, W. J.*: The Exclusionary Rule on the Scaffold: But What is a Fair Trial? კრებულში: Am.Crim.L.Rev. 22, 1984, გვ. 140 (85-179); *Bransdorfer, M.*: *Miran/da Right-to-Counsel Violations and the Fruit of the Poisonous Tree Doctrine*, კრებულში: Ind.L.J. 62, 1987, გვ. 1071 (1061-1100).

237 იხ. *Israel, J./Kamisar, Y./Lafave, W.* (1991), იქვე, გვ. 294, 301; *Bain, J. M./Kelly, M. K.* (1977), იქვე, გვ. 615.

238 იხ. *Wong Sun v. U.S.*, 371 U.S., გვ. 471 (1963).

კანემარტა უფლებები (ე.წ. *მირანდას წესები*). მიუხედავად იმისა, რომ უკანონო ჩხრეკის დროს დაკავებული პირის აღიარებითი ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა ცნობილი, ასეთი ჩვენების საფუძველზე აღმოჩენილი დანაშაულის ჩამდენი სხვა პირის ნებაყოფლობითი ჩვენება სასამართლომ დასაშვებ მტკიცებულებად აღიარა. სასამართლომ არგუმენტაციისას მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ნებაყოფლობით გამოცხადებული პირისთვის უფლებების განმარტების შედეგად უკანონო ჩხრეკას და აღიარებით ჩვენებას შორის განყდა მიზეზობრიობის ჯაჭვი. ასევე სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ჩვენება იყო ნებაყოფლობით მიცემული და არ იყო დამოკიდებული პოლიციის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე²³⁹. სასამართლოს მტკიცებით, ჩვენების მისაცემად სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადებულ პირს საკმარისი დრო ჰქონდა, რომ გაეცნობიერებინა აღიარებითი ჩვენების შესაძლო შედეგები და ისე მიეღო გადაწყვეტილება.

საინტერესოა ამ მხრივ ასევე სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებები²⁴⁰, სადაც უკანონო საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გამოვლენილი იქნენ მონმეები, რომლებიც მოგვიანებით სასამართლოში დაკითხეს და მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია დასაშვებ მტკიცებულებად ცნეს. ვინაიდან, მონმეებისგან ჩვენება ნებაყოფლობით იქნა მიღებული, სასამართლომ აღიარა აღნიშნული „განწმენდილი (გამოსწორებული) ნაკლის საგამონაკლისო შემთხვევად“²⁴¹.

2.4. კეთილსინდისიერების გამონაკლისი („good faith exception“)

„კეთილსინდისიერების გამონაკლისის“ შემთხვევისას დასაშვებია კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, მიუ-

239 იხ. *Maguire, R. F.*: How to Unpoison the Fruit – The Fourth Amendment and the Exclusionary Rule, კრებულში: *J. Crim.L.C.&P.S.* 55, 1964, გვ. 317 (307-321).

240 *Ceccolini v. U.S.*, 435 U.S., გვ. 268 (1978); *Crews v. U.S.*, 445 U.S., გვ. 463 (1980).

241 იხ. ასევე *Dressler, J.* (2002), იქვე, გვ. 421; *Rogall, K.*: Beweisverbote im System des deutschen und amerikanischen Strafverfahrensrecht, კრებულში: *Zur Theorie und Systematik des Strafprozessrechts*, *Wolter, J.* (რედ.). 1995, გვ. 113-160.

ხედავად იმისა, მოქმედებდნენ მტკიცებულების მოპოვებისას საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლები განზრახ უკანონოდ თუ არა²⁴². აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევას საფუძველი ჩაეყარა 1984 წელს მიღებულ უ.წ. „ლეონის“ გადაწყვეტილებაში²⁴³. გადაწყვეტილების თანახმად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება დასაშვებ მტკიცებულებად შესაძლოა იქნეს ცნობილი, ვინაიდან პოლიცია კეთილსინდისიერად მოქმედებდა და ეჭვი არ ეპარებოდა სასამართლოს მიერ გაცემული ჩხრეკის ნებართვის კანონიერებაში. მაშასადამე, მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია სასამართლოს მიერ უსაფუძვლოდ გაცემული ჩხრეკის ნებართვის გამოყენებით, დასაშვებია, თუ პოლიცია თავად კეთილსინდისიერად და ადეკვატურად მოქმედებდა. პოლიცია თავისი გადმოსახედიდან მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესებს იცავს. მათ არ უნდა მოვედოოდ სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვის კანონიერებაზე, ვინაიდან, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების ეჭვქვეშ დაყენება პოლიციის ამოცანას და ფუნქციას არ წამოადგენს²⁴⁴.

„კეთილსინდისიერების გამონაკლისის“ საფუძველზე კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ შეცდომა დაშვებული უნდა ჰქონდეს არა საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლებს, არამედ მოსამართლეს ან სასამართლოს თანამშრომელს საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით²⁴⁵. აღნიშნული გამონაკლისი არ მოქმედებს, თუ პოლიცია საგამოძიებო მოქმედების განსახორციელებლად ნებართვის მოპოვების მიზნით სასამართლოსთვის არასწორი მონაცემების მიწოდებით მას შეცდომაში შეიყვანს²⁴⁶. იგი ასე-

242 იხ. *Kyllo v. U.S.*, 533 U.S., გვ. 27 (2001); *Albanese, J.*: Criminal Justice, მე-4 გამოცემა, 2008, გვ. 157; *Anderson, J./Thompson, B.* (2007), იქვე, გვ. 67; *Carlson, R.*: Criminal Justice Procedure, მე-7 გამოცემა, 2005, გვ. 165; *Ingram, J.* (2009), იქვე, გვ. 94; *Travis, L. F.*: Introduction to Criminal Justice, მე-6 გამოცემა, 2008, გვ. 180.

243 *U.S. v Leon*, 468 U.S., გვ. 897 (1984).

244 *U.S. v Leon*, 468 U.S., გვ. 897, 918-921 (1984).

245 იხ. *Massachusetts v. Sheppard*, 468 U.S., გვ. 981 (1984); *Arizona v. Evans*, 514 U.S., გვ. 1 (1995).

246 იხ. *U.S. v. Martin*, 297 F.3d, გვ. 1308, 1313 (2002); *U.S. v. Robinson*, 2003 U.S. App. LEXIS, გვ. 13770 (2003).

ვე არ მოქმედებს მაშინაც, როდესაც საგამოძიებო მოქმედების განხორციელების სასამართლო ნებართვის ხარვეზიანობა პოლიციისთვის აშკარად თვალშისაცემი იყო²⁴⁷.

„კეთილსინდისიერების გამონაკლისი“ იურიდიულ ლიტერატურაში გაკრიტიკებულია, ვინაიდან, იგი უშვებს გამონაკლისს სამოსამართლეო ხარვეზისთვის. არ შეიძლება მაგალითად, ჩხრეკა ერთი მხრივ, იყოს მიზანშეწონილი (რადგან იგი პოლიციის მხრიდან კეთილსინდისიერად განხორციელდა) და მეორე მხრივ, მიზანშეუწონელი (რადგან მისი განხორციელებისათვის სავალდებულო სასამართლოს ნებართვის გასაცემად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობდა). ამასთან, არის იმისი მალალი საფრთხე, რომ მოსამართლის მიერ გაცემული ნებართვის საფუძვლიანობა (საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით) მხოლოდ ზედაპირულად შემოწმდება, ვინაიდან, როგორც პოლიციამ, ისე მოსამართლემ იცის, რომ ხარვეზის არსებობის შემთხვევაშიც იგი მაინც ვარგისად ჩაითვლება²⁴⁸.

ზემოხსენებულ საგამონაკლისო შემთხვევასთან ახლოს დგას ასევე საგამონაკლისო შემთხვევა, რომელიც „გულწრფელი შეცდომის გამონაკლისის“ („honest mistake exception“) სახელით არის ცნობილი. საინტერესოა ამ მხრივ გარისონის (Garrison) შემთხვევა: სასამართლოს მიერ სრულიად საფუძვლიანად გაცემულ იქნა ერთ-ერთი ბინის ჩხრეკის ნებართვა. ნებართვის საფუძველზე პოლიციამ შეცდომით სხვა ბინა გაჩხრიკა, სადაც აღმოჩენილი იქნა ნარკოტიკული ნივთიერებები. სასამართლომ აღნიშნული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკები დასაშვებ მტკიცებულებად ცნო, ვინაიდან, სასამართლოს განმარტებით, პოლიციის შეცდომა „გულწრფელ შეცდომას“ ეფუძნებოდა²⁴⁹.

247 იხ. *Ossenberg, S.* (2011). იქვე, გვ. 95.

248 იხ. *Albanese, J.* (2008). იქვე, გვ. 158; *Israel, J./Kamisar, Y./Lafave, W.* (1991). იქვე, გვ. 66, 73.

249 *Maryland v. Garrison*, 480 U.S., გვ. 79, 84-89 (1987).

2.5. სხვა საგამონაკლისო შემთხვევები

ზემოთ განხილული საგამონაკლისო შემთხვევის გარდა ამერიკული სისხლის საპროცესო სამართლის დოქტრინა იცნობს სხვა შემთხვევებსაც, როდესაც ცალკეული გარემოებების გავალისინებით დასაშვებად ცნეს კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების „ნაყოფი“.

გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მტკიცებულების დასაშვებობის საკითხზე მსჯელობისას უნდა შეფასდეს კანონდარღვევის ხასიათი²⁵⁰. როგორც წესი, ნებისმიერმა კანონდარღვევამ არ უნდა გამოიწვიოს შუალობითი მტკიცებულებების დასაშვებობის დაბლოკვა. „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინამ“ გავლენა მაშინ უნდა მოახდინოს შუალობითი მტკიცებულებების დასაშვებობაზე, როდესაც დარღვეული იქნა კონსტიტუციური რანგის მქონე ნორმები და არა ნებისმიერი „ტექნიკური ხასიათის მქონე სისხლის სამართლის პროცესის ფორმალური წესები“²⁵¹. აღნიშნული მოსაზრების ავტორებს მიაჩნიათ, რომ პროცესულური ნორმების დარღვევას, რომელიც მხოლოდ ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების წესებს არეგულირებს ან პროცესულური გარანტიების დაცვას ემსახურება, განსხვავებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კონსტიტუციური გარანტიების ხელყოფასთან შედარებით. მაგალითისთვის, ბინის ჩხრეკის დროს ცალკეული ინდივიდებისთვის მინიჭებული უფლებების დაცვის თვალთახედვიდან გამომდინარე არსებითი განსხვავება არსებობს, როცა ჩხრეკა მხოლოდ ფორმალურად იყო კანონდარღვევით ჩატარებული (მაგ., ჩხრეკის დაწყებამდე საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებმა კარზე არ დააკაკუნეს, ან არ გააცნეს ბინის მესაკუთრეს თავიდანვე სასამართლოს განჩინება) და როცა ჩხრეკის ჩასატარებლად არ არსებობდა მატერიალური (ფაქტობრივი) წინაპირობები და ჩხრეკა საერთოდ არ უნდა ჩატარებულიყო (არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა, დასაბუთებული ვარაუდი და ა.შ.)²⁵².

250 Bransdorfer, M. S. (1987), იქვე, გვ. 1099.

251 იხ. Tucker v. U.S., 417 U.S., გვ. 439 (1972); Oregon v. Elstad, 470 U.S., გვ. 298, 308 (1985); Brown v. Illinois, 422 U.S., გვ. 590, 610 (1975); Pitler, R. M. (1968), იქვე, გვ. 583; Alschuler, A. W. (2008), იქვე, გვ. 1756.

252 იხ. Alschuler, A. W. (2008), იქვე, გვ. 1757.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აღიარებს „მონამღული ხის ნაყოფის დოქტრინიდან“ აშშ-ს სისხლის საპროცესო სამართლის დროქტრინაში დამკვიდრებულ ასეთ გამონაკლისს. როგორც ზემოთ გვექონდა საუბარი, სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხოლოდ ის მტკიცებულებებია დაუშვებელი, რომლებიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებით დარღვევას ეფუძნებიან. შესაბამისად, ნებისმიერი კანონდარღვევა არ გამოიწვევს მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას. ამისთვის ადგილი უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის არსებით დარღვევას, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლის მიერ უნდა შეფასდეს და დადგინდეს. მოსამართლემ საკითხის გადანყვეტის დროს სხვა გარემოებებთან ერთად (ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მოპოვებული მტკიცებულების მნიშვნელობა საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობა, მტკიცებულების მოპოვების ხერხი და განხორციელებული საგამოძიებო ღონისძიების მიზანშეწონილობა და ა.შ.) უნდა გაითვალისწინოს დარღვეული ნორმის ხასიათი, რაც გულისხმობს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს იცავს დარღვეული ნორმა, ემსახურება თუ არა იგი პროცესის მონაწილის კონსტიტუციით მინიჭებული ფუნდამენტური უფლებების ან მნიშვნელოვანი პროცესუალური-სუბიექტური უფლების დაცვას.

შემდეგი საგამონაკლისო შემთხვევას წარმოადგენს, როდესაც ბრალდებული არ არის მტკიცებულების მოსაპოვებლად კანონდარღვევით განხორციელებული საგამოძიებო მოქმედების პირდაპირი ადრესატი²⁵³. აშშ-ში აღიარებული ზოგადი პრინციპის თანახმად, მტკიცებულების მოპოვების დროს უშუალოდ ბრალდებულის უფლებები უნდა შეილახოს და არა მესამე პირების, რათა მან მოითხოვოს მოპოვებული მტკიცებულების დაუშ-

253 იხ. *Giddings, J. M.: The Interaction of the Standing and the Inevitable Discovery Doctrines of the Exclusionary Rule: Use of Evidence Illegally Obtained from the Defendant and from a Third Party*, კრებულში: *Iowa L.Rev.* 91, 2006, გვ. 1070 (1063-1089); *Kamisar, Y./ La Fave, W./Israel, J. H./ King, N./ Kerr, O. S.* (1969), იქვე, გვ. 902; *Jones v. U.S.*, 362 U.S., გვ. 257, 261 (1960).

ვებლად ცნობა²⁵⁴. მაშასადამე, მტკიცებულება ბრალდებულის საზიანოდ შესაძლებელია აშშ-ში დასაშვებად ცნონ, როდესაც იგი კანონდარღვევით მესამე პირებისგან არის მოპოვებული²⁵⁵.

2.6. „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინის“ საგამონაკლისო შემთხვევების საქართველოში გამოყენების შესაძლებლობა

როგორც ზემოთ დავინახეთ, „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინას“ საფუძველი ჩაეყარა და განვითარდა აშშ-ს სამოსამართლეო სამართალში. აღნიშნული დოქტრინა აშშ-ში მოქმედებს როგორც სამოსამართლეო სამართლის ნაყოფი და მას საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ გააჩნია. შესაბამისად, ამერიკელ მოსამართლეს ფართო შესაძლებლობა და დამოუკიდებლობა აქვს მტკიცებულებათა ბედის გადანყვეტისას და არ იზღუდება ზემოხსენებული დოქტრინით. მას შეუძლია ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისას იმსჯელოს „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინის“ გამოყენების თაობაზე და თუ იგი ჩათვლის, რომ მისი გამოყენების შედეგად გაუმართლებლად მოხდება ცალკეული მტკიცებულებების საქმიდან ამორიცხვა, მაშინ მიიღებს განსხვავებულ გადანყვეტილებას. სწორედ ასე განვითარდა აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინის“ საგამონაკლისო შემთხვევები.

განსხვავებით აშშ-სგან, საქართველოში ზემოხსენებულ დოქტრინა განისაზღვრა სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველ ნაწილში ყოველგვარი საგამონაკლისო შემთხვევების გარეშე. ამიტომ, საქართველოში მოსამართლე მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ გადანყვეტილების მიღებისას იზღუდება სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველ ნაწილში განმტკიცებული იმპერატიული ნორმით. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინიდან“ დაშვებულ იქნეს გამონაკლისები, როდესაც

254 Pitler, R. M.(1968). იქვე, გვ. 594.

255 აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევა გაკრიტიკებულია არაერთი მეცნიერის მიერ, ვინაიდან, იგი პოლიციას გზას უხსნის, რომ კანონდარღვევით მოიპოვოს მტკიცებულებები დანაშაულში ეჭვმიტანილი პირებისგან; იხ. ამის შესახებ Giddings, J. M.(2006), იქვე, გვ. 1072.

მტკიცებულებების მოპოვება ეფუძნება კანონის არსებითი დარღვევით მიღებულ ინფორმაციას და მონაცემებს. თუმცა ვფიქრობ, რომ იმ შემთხვევაში, როცა კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასა და შემდგომში კანონიერად აღმოჩენილ მტკიცებულებას შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი გარკვეული მოვლენათა განვითარების შედეგად შეწყვეტილია ან იმდენად შესუსტდა, რომ ეჭვქვეშ დგას, თუ რამდენად არის „მონამლული“ მტკიცებულება კანონდარღვევით მიღებული მტკიცებულებების „ნაყოფი“ და ასევე ხომ არ ჩამოშორდა მას „შხამი“, შესაძლებელია კანონიერად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებად ცნობა²⁵⁶. შესაბამისად, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ გარკვეულ შემთხვევებში დამოუკიდებელი წყაროს გამონაკლისი ან განწმენდილი (გამოსწორებული) ნაკლის გამონაკლისის გამოყენება სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველ ნაწილთან შეუსაბამო არ იქნება. რაც შეეხება დანარჩენ საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასა და ამის საფუძველზე შემდგომში კანონიერად აღმოჩენილ მტკიცებულებებს შორის მიზეზობრიობა სახეზეა, მათი გამოყენება წინააღმდეგობაში მოვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან.

V. მტკიცებულებათა დასაშვებობის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულაცია

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ბრალდებულს ანიჭებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. სამართლიანი სასამართლოს პრინციპიდან შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება დაუშვებელი მტკიცებულებების თაობაზე. აღნიშნული პრინციპის თანახმად, პირს უფლება აქვს გაასაჩივროს კანონდარღვევით მოპოვებული

²⁵⁶ იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად არის აღნიშნული, რომ მტკიცების პროცესი მკაცრი სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში უნდა ხორციელდებოდეს, მაგრამ მისი აბსოლუტური ფორმალიზებაც გაუმართლებელია, იხ. ჩხეიძე, ი. (2010), იქვე, გვ. 73.

მტკიცებულებების მის საზიანოდ მოსამართლის მიერ დაშვება, როგორც კონვენციასთან შეუსაბამო სასამართლოს მოქმედება, თუ ამით დაირღვა მისი უფლება სამართლიან სასამართლოზე²⁵⁷.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და მისმა გადაწყვეტილებებმა არსებითი გავლენა მოახდინეს ევროპულ ინტეგრაციაზე და მთელი რიგი ქვეყნების მტკიცებით სამართალზე²⁵⁸. მაგალითისთვის, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის ორ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული სატელეფონო კომუნიკაციის კონტროლის პროცესუალური ნორმები შესაბამისობაში არ მოდიოდა კონვენციის მე-8 მუხლთან, რის გამოც არ ხდებოდა მოპოვებული მონაცემების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა. ამიტომ, სასამართლომ მიიჩნია, რომ საფრანგეთში სავალდებულო იყო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების გზით აღნიშნული საკითხის დარეგულირება და პროცესუალური ნორმების კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა²⁵⁹. საფრანგეთში აღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველზე შიდა კანონმდებლობაში არაერთი ცვლილება განხორციელდა სატელეფონო მოსმენებისა და მტკიცებითი სამართლის ახლებურად დარეგულირების კუთხით.

2. კონვენცია წამების წინააღმდეგ

კონვენცია წამების წინააღმდეგ (კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, 1975 წლის 9 დეკემბერი)²⁶⁰ ითვალისწინებს ასევე ნორმას დაუშვებელ მტკიცებულებასთან დაკავშირებით.

257 *Frowein J. A./ Peukert W.*: Europäische Menschenrechtskonvention, მე-3 გადაშუშავებული გამოცემა, 2009, Art. 6; *Kostovski v. The Netherlands*, ECHR (Application no. 11454/85), 1989.

258 *Esser, R.* (2002), იქვე, გვ. 875; *Kälin, W.*: Die Europäische Menschenrechtskonvention als Faktor der europäischen Integration, კრებულში: Im Dienst an der Gemeinschaft, Festschrift für Dietrich Schindler zum 65. Geburtstag, Haller, W. (რედ.), 1989, გვ. 529, 530 (529-538); *Jung, H.*: Strafverteidigung in Europa, ურნალში: StV 1990, გვ. 509, 511 (509).

259 იხ. *Rambach, P.*: Die strafprozessuale Überwachung des Fernmeldeverkehrs in Frankreich, ურნალში: JZ 1991, გვ. 78 (78-79).

260 კონვენციას საქართველო შეუერთდა პარლამენტის 22.12.1994 წლის 1493 დადგენილებით.

კერძოდ, კონვენციის 15-ე მუხლის თანახმად, „ყოველი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც, როგორც დადგინდა, გაკეთებული იყო წამების შედეგად, არ იქნეს გამოყენებული მტკიცებულებად ნებისმიერი სასამართლო გარჩევის დროს. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი გამოიყენება იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება წამება, როგორც იმის მტკიცება, რომ ეს განცხადება გაკეთდა“. წამება კი განმარტებულია, როგორც „...ნებისმიერი მოქმედება, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტვივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს და ზნეობრივს, რათა მისგან ან მესამე პირისგან მიიღონ ცნობები ან აღიარება, დასაჯონ ქმედებისთვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი ან ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაცია, როცა ასეთ ტვივილსა და ტანჯვას აყენებს სახელმწიფოს თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან მათი ნაქეზებით, ნებართვით და მდუმარე თანხმობით...“²⁶¹

3. რომის სტატუტი

რომის სტატუტი (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება) შეიცავს ცალკეულ ნორმებს მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სტატუტის 66-ე, 67-ე და 69-ე მუხლები. სტატუტის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „i“ ქვეპუნქტი ანიჭებს ბრალდებულს დუმის უფლებას. ბრალდებულს უფლება აქვს თავი შეიკავოს ჩვენების მიცემისაგან და მისი დუმის არ შეიძლება შეფასდეს დანაშაულში მის მამხილებელ მტკიცებულებად. ბრალდებულს ასევე აქვს უფლება ფიცის გარეშე გააკეთოს ზეპირი ან წერილობითი განცხადება საკუთარი თავის დასაცავად (67-ე მუხლის პირველი პუნქტის „h“). სტატუტის 69-ე მუხლის მე-7 პუნქტი ითვალისწინებს დაუშვებელი მტკიცებულებების შესახებ დებულებას: „ამ წეს-

261 იხ. ვრცლად Ritterband, C. E.: *Universeller Menschenrechtsschutz und völkerrechtliches Interventionsverbot*, 1982, გვ. 473.

დების ან საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ითვლება დაუშვებლად, თუ: (a) დარღვევა წარმოშობს სერიოზულ ეჭვს მტკიცებულების უტყუარობის თაობაზე; ან (b) მტკიცებულების დაშვება პირდაპირ ეწინააღმდეგება და სერიოზულ ზიანს მიაყენებს განხილვის კეთილსინდისიერად წარმართვას. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ადამიანის უფლებების შელახვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მტკიცებულების დაუშვებლად ცნობისთვის. ამასთან, შეგვიძლია სტატუტის 69-ე მუხლის მე-7 პუნქტიდან გამომდინარე განვასხვაოთ მტკიცებულებათა დაუშვებლობის ორი შემთხვევა. პირველი, როდესაც ადამიანის უფლებათა დარღვევის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებას გააჩნია დაბალი მტკიცებულებითი ღირებულება და იგი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. მეორე შემთხვევა, როდესაც მტკიცებულება უნდა იქნეს დაუშვებლად ცნობილი ადამიანის უფლებების ხელყოფით გამოწვეული დარღვეული საპროცესო ფორმალური წესების გამო.

4. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ²⁶² იცნობს არაერთ ნორმას, რომელიც თავისი შინაარსით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პროცესისთვის. პაქტის მე-14 მუხლით განსაზღვრულია არაერთი არსებითი ხასიათის სისხლის საპროცესო-სამართლებრივი პრინციპი, კერძოდ, უდანაშაულობის პრეზუმფცია (მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი), ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცნობის უფლება (მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი), ბრალდებულის დაცვის უფლება (მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) და სხვ. ამასთან, პაქტის მე-14 მუხლი ითვალისწინებს ცალკეულ ნორმებს, რომლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. მაგალითად, პაქტის მე-14 მუხლის მე-3

²⁶² საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ პირს ანიჭებს უფლებას „დაკითხოს მონმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას, ან ჰქონდეს უფლება, რომ ეს მონმეები სხვამ დაკითხოს, და ჰქონდეს უფლება, რომ გამოიძახონ და დაკითხონ მისი მონმეები იმავე პირობებით, რომლებიც არსებობს მის წინააღმდეგ გამოსული მონმეებისათვის“. ბრალდებულის აღნიშნული უფლების იგნორირებით მონმეებისგან მოპოვებული ინფორმაცია დაუშვებელია, რომ მოსამართლემ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს. ამასთან, პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელია ბრალდებულის იძულება, რომ ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ, ან თავი დამნაშავედ აღიაროს. ამრიგად, ბრალდებულისგან იძულებით ჩვენების მიღება ჩაითვლება პაქტთან შეუსაბამო მოქმედებად და ასეთი ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი.

5. მალიორკისა და ტოლედოს 1992 წლის წესები

მეცნიერებისა და პრაქტიკოსი იურისტებისგან დაკომპლექტებულმა საერთაშორისო კომისიამ შეიმუშავა სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ პრინციპებზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის წესები. სისხლის სამართლის პროცესის გაეროს მინიმალური პრინციპები (ე.წ. მალიორკის წესები) ეხება ბრალდებულისა და ადვოკატის უფლებებიდან გამომდინარე დაუშვებელ მტკიცებულებებს²⁶³. აღნიშნული წესები მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით ადგენენ შემდეგ ზოგად წესს (წესი 33.2): „ის მტკიცებულება, რომელიც უშუალოდ ან შუალობით პირის ფუნდამენტური უფლებების ხელყოფას ეფუძნება, დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი. აღნიშნული მოთხოვნის უგულველყოფით მიღებული სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, რომლებიც ასეთ მტკიცებულებებს ეფუძ-

263 იხ. უფრო ვრცლად *Bradley, C. M.: The Emerging International Consensus as to Criminal Procedure Rules*, 14 *Michigan Journal of International Law*, 1993, გვ. 171 (171).

ნებიან“. ამ წესებისთვის დამახასიათებელია ის, რომ დაუშვებელ მტკიცებულებებს ისინი პირის კონსტიტუციური უფლებების დარღვევას უკავშირებენ. წესებში ასევე მითითებულია, რომ „სისხლის სამართლის პროცესი შეიძლება განხორციელდეს, როგორც დამნაშავე, ისე უდანაშაულო პირების მიმართ და მან ასევე ხელყოს მესამე პირების ინტერესები; ამიტომ, ეფექტური სისხლის სამართლის იუსტიციის ადამიანების უფლებების ეფექტურ დაცვასთან ჰარმონიზაციის საჭიროება, 21-ე საუკუნის სისხლის სამართლის პოლიტიკაში ახლებურ ჰუმანურობას ითხოვს“.

საყურადღებოა ასევე „სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის პროცესისთვის ტოლედოს 1992 წლის რეკომენდაციები“²⁶⁴, რომელიც მთავარ აქცენტს ადამიანის ძირითადი უფლებების სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე დაცვის აუცილებლობაზე აკეთებს. რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ „სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერი რეფორმა ორიენტირებული უნდა იყოს იმ გარანტიების დაცვაზე, რომლებიც მოცემულია ადამიანის უფლებების შესახებ აქტებში, საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და სხვა რეგიონალურ აქტებში ადამიანის ძირითად უფლებების შესახებ“.

VI. დაუშვებელი მტკიცებულებების ნებადართული გამოყენების შემთხვევები

ზოგადი წესის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა კრძალავს კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვებას. სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას. თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მაინც არ გამორიცხავს ცალკეულ შემთხვევებში დაუშვებელი მტკიცებულების გამოყენების შესაძლებლობას. ერთ-ერთი ასე-

264 იხ. უფრო ცერცლად Tiedemann, K.: Die Reformbewegungen im Strafverfahren und der Schutz der Menschenrechte, ჟურნალი: ZStW 105, 1993, გვ. 931 (931-948).

თი შემთხვევათაგანია სასჯელის დანიშვნის სხდომაზე დაუშვებელი მტკიცებულების გამოყენება. სსსკ-ის 264-ე მუხლის პირველი ნაწილი მხარეებს ნებას რთავს, რომ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე დაშვებულ იქნეს საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულება. აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სხდომის თავმჯდომარე. ამრიგად, სისხლის სამართლის კანონმდებლობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მხარემ სასჯელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოზე გავლენა მოახდინოს დაუშვებელი მტკიცებულებითაც. ვფიქრობ, რომ მოსამართლემ დაუშვებელი მტკიცებულების დაშვებაზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს ასეთი მტკიცებულების წარმომავლობა. მხედველობაშია მისაღები ის, თუ რამდენად არსებითად დაირღვა მტკიცებულების მოპოვებისას საპროცესო კანონი ან პროცესის მონაწილეთა კონსტიტუციური გარანტიები (მაგ., ხომ არ არის იგი მოპოვებული წამების ან სამართლებრივ სახელმწიფოში სხვა მიუღებელი მეთოდის გამოყენების გზით მოპოვებული).

როგორც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, სსსკ-ის 73-ე მუხლი მხარეებს უფლებას აძლევს შეთანხმდნენ რაიმე გარემოების ან ფაქტის შესახებ და მიანიჭონ მათ პრეიუდიციული მნიშვნელობა. მათ შორის შესაძლებელია კანონდარღვევით მოპოვებულ ინფორმაციაზეც შეთანხმება და ამგვარად დაუშვებელი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენა. არ არის გამორიცხული, რომ ასეთი მტკიცებულების სასამართლოში დაშვება დაცვის მხარის სტრატეგიაშიც კი შედიოდეს. ამიტომ, კანონმდებელი ინფორმაციის კანონდარღვევით მოპოვების მიუხედავად, არ ზღუდავს მის სასამართლოში დაშვებას, თუ აღნიშნული ორივე მხარის ინტერესებში შედის. თუმცა აღსანიშნავია, რომ 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარის ინიციატივით, სასამართლომ შეიძლება უარყოს პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს. აქედან გამომდინარე, კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულების სასამართლოში წარდგენის თაობაზე მხარეთა შორის არსებული შეთანხმების მიუხედავად, თუ მხარე დააყენებს შუამდგომლობას, რომ ეს მტკი-

ცებულება ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს, სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს ეს შეთანხმება როგორც პრიუდიციული მნიშვნელობის ფაქტი და უარყოს იგი.

VII. შეჯამება

ზემოაღნიშნული მსჯელობების ზოგადი ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც უნდა გადაწყდეს ცალკეული მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი:

1. მტკიცებულების დასაშვებად ცნობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, რომ თავდაპირველად შემონმდეს, მისი მოპოვებისას ხომ არ დარღვეულა პროცესის მონაწილის კონსტიტუციით გარანტირებული რომელიმე უფლება, რათა შესრულდეს ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობის აკრძალვის ამოცანა, როგორც ცალკეული პირების ინდივიდუალური უფლებების დაცვის ინსტრუმენტი. მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევით არ შელახულა პროცესის მონაწილეთა სუბიექტური უფლებები, მაშინ ამას ყოველთვის შედეგად არ უნდა მოყვეს მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებად ცნობა. სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც სისხლის სამართლის პროცესის წარმოების დროს სახელმწიფო ორგანოები განზრახ ან თუნდაც უხეში გაუფრთხილებლობით მტკიცებულებების მოპოვებით ან ასეთი მტკიცებულების დასაშვებად ცნობით უხეშად ლახავენ პროცესის მონაწილეთა ფუნდამენტურ უფლებებს;
2. ასევე უნდა შემონმდეს, მტკიცებულების მოპოვებისას კანონის დარღვევა ობიექტური და სუბიექტური თვალთახედვით შეერაცხყოს თუ არა სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ სახელმწიფო ორგანოებს;
3. საბოლოოდ, მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი შეფასებული უნდა იქნეს სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პერსპექტივიდან. თუ მტკიცებულების დაშვებით

პროცესის სამართლიანობას იმდენად არსებითი ზიანი მიადგება, რომ ბრალდებულის სამართლებრივი დაცვის ინტერესი აშკარად აღემატება ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველყოფის სახელმწიფო ინტერესს, უნდა შეიზღუდოს ასეთი მტკიცებულების საქმის არსებით სხდომაზე განსახილველად დაშვება და მისი მოსამართლის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენება. მაგრამ, როდესაც მტკიცებულების მოპოვების დროს კანონდარღვევა უმნიშვნელოა და არსებითად არ ლახავს ბრალდებულის ან პროცესის რომელიმე მონაწილის ფუნდამენტურ უფლებებს, მაშინ სამართლებრივ სახელმწიფოში მიუღებელია, რომ ამ მიზეზით მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის გამო ხელი შეეშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და ამით შეფერხდეს დამნაშავეისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. სამართლებრივ სახელმწიფოში ისევე მნიშვნელოვანია ცალკეული ინდივიდების უფლებების და ინტერესების დაცვა, როგორც დანაშაულის დასჯის სახელმწიფოს უფლებამოსილების რეალიზაცია. შესაბამისად, მტკიცებულების დასაშვებად ცნობის საკითხის გადაწყვეტისას აუცილებლად უნდა მოხდეს პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის ინტერესისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საჯარო ინტერესის შეფასება. ამავდროულად გათვალისწინებული უნდა იქნეს სსსკ-ის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირის კანონიერ ინტერესს პრიორიტეტი აქვს დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეის დასჯის საჯარო ინტერესთან შედარებით. პირის კანონიერი ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოების ინტერესებს ემსახურება.

მეხუთე თავი

საპროცესო პასუხისმგებლობა სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შესრულებლობისა და წესრიგის დარღვევისთვის

§36. საპროცესო მოვალეობათა შესრულების უზრუნველყოფა და საპროცესო პასუხისმგებლობის ფორმები

სასამართლოს მითითებების შესრულება და სასამართლოში წესრიგის დაცვა როგორც პროცესის მონაწილეთა, ისე სასამართლოს სხდომაზე სხვა დამსწრე პირების ვალდებულებაა. სისხლის სამართლის საქმის განხილვისთვის ხელის შეშლა პროცესის მონაწილეთა ან საქმის განხილვაზე დამსწრე პირების მხრიდან გამოიწვევს საპროცესო პასუხისმგებლობას. სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შესრულებაზე და წესრიგის დაცვაზე ზრუნავს სხდომის თავმჯდომარე და სასამართლოს მანდატური. კანონი ანიჭებს მათ უფლებამოსილებას, სასამართლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად გაატარონ ცალკეული ღონისძიებები, მათ შორის, გამოიყენონ სასამართლო განხილვაში მონაწილე პირების მიმართ საპროცესო პასუხისმგებლობის კანონით გათვალისწინებული ზომები. საპროცესო პასუხისმგებლობის ფორმად შესაძლოა გამოყენებული იქნეს პროცესის მონაწილის ან სასამართლოს სხდომაზე დამსწრე პირის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევება, დაჯარიმება და გარკვეულ შემთხვევებში მისი დაკავება და დაპატიმრება.

პირის საპროცესო პასუხისმგებლობა დგება სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლის შემთხვევაში. სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არ განსაზღვრავს ზემოხსენებული ქმედებების ერთმანეთისგან გამიჯვნის კრიტერიუმებს. კონკრეტულ შემთხვევაში თუ რა მოქმედება წარმოადგენს წესრიგის დარღვევას, სასამართლოს უპატივცემულობას და სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლას, თავად მოსამართლემ უნდა შეაფა-

სოს და მოახდინოს მასზე შესაბამისი რეაგირება. შესაძლოა აღნიშნული ქცევა გამოხატული იქნეს აშკარა და უხეშ ფორმებშიც, რომელსაც როგორც წესი მოყვება სხდომის თავმჯდომარის კიდევ უფრო მკაცრი რეაქცია.

სასამართლოში წესრიგის დარღვევას ზოგადად ადგილი აქვს, როდესაც პროცესის მონაწილე ან დამსწრე საქმის განხილვის დროს ტელეფონზე საუბრობს და რაიმე ფორმით იწვევს ხმაურს, ხმამაღლა გამოხატავს თავის ემოციებს ან დამოკიდებულებას მოწმის ჩვენების ან მოწმის პიროვნების მიმართ და ა.შ. თუ ასეთი ქმედება მიიღებს სისტემატიურ ხასიათს და მოსამართლის შენიშვნის მიუხედავად მაინც გრძელდება, მაშინ შესაძლოა ვიმსჯელოთ სასამართლოს უპატივცემულობაზე და სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლაზე. სასამართლოს უპატივცემულობა სახეზეა მაშინ, როცა მაგალითად, პროცესის მონაწილე ან დამსწრე სხდომის მდივნის მოწოდებაზე უარს ამბობს ფეხზე წამოდგომაზე, აკეთებს ხმამაღლა პროვოკაციულ განცხადებებს ან სალანძღავი სიტყვებით მიმართავს სასამართლოს ან პროცესის რომელიმე მონაწილეს და ა.შ.

§37. საპროცესო პასუხისმგებლობის დაკისრება და მისი აღსრულება

სსსკ-ის 85-ე მუხლი განსაზღვრავს საპროცესო პასუხისმგებლობის დაკისრებისა და აღსრულების, ასევე ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს. აღნიშნული ნორმის თანახმად, პროცესის მონაწილის ან/და სასამართლო სხდომაზე დამსწრის მიერ სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს მას და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. ასეთი მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევე-

ბის შესახებ. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, მოსამართლის მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს სასამართლოდან მის გაყვანას ამასთანავე, აღნიშნული პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯარიმა ან პატიმრობა.

თუ სხდომის თავმჯდომარის განკარგულება სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ ეხება პროცესის ისეთ მონაწილეს, როგორცაა ბრალმდებელი ან ადვოკატი, სისხლის სამართლის საქმის განხილვა გადაიდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ერთი პირის ბრალდებას ან დაცვას თავიდანვე რამდენიმე ბრალმდებელი ან რამდენიმე ადვოკატი ახორციელებდა. გაძევებული ბრალმდებლის ან ადვოკატის არასათანადო ქცევის შესახებ სასამართლოს გამოაქვს კერძო განჩინება, რომელიც ეგზავნება შესაბამისად საქართველოს მთავარ პროკურატურას ან ადვოკატთა გაერთიანებას. ხოლო, თუ ბრალდებული იქნა გაძევებული სასამართლო სხდომის დარბაზიდან, სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება გამოცხადდება მისი თანდასწრებით. ბრალდებულის მიერ წესრიგის დარღვევის კვლავ გაგრძელების შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოცხადდება ბრალდებულის გარეშე. ამის შემდეგ მას გადაეცემა გადაწყვეტილების ასლი, რაც უნდა დაადასტუროს ხელმოწერით.

უნდა აღინიშნოს, რომ პირი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებულად ითვლება იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ ბრალდების საქმის განხილვის დასრულებამდე. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გაძევებულ პირს მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მისცეს სხდომაზე დაბრუნების უფლება. გაძევებული პირი სხდომაზე დაბრუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი სასამართლო დააკმაყოფილებს ამ პირის საჩივარს სასამართლო სხდომის დარბაზიდან მისი გაძევების უკანონოდ ცნობისა და სხდომაზე მისი დაბრუნების შესახებ.

გაძევებასთან ერთად სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს, მათ შორის, გაძევებულ პირს, დააკისროს ჯარიმა 50 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით. თუ დაჯარიმებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია დაუყოვნე-

ბლივ გაზარდოს ჯარიმის ოდენობა ამ ნაწილით განსაზღვრულ ფარგლებში.

ნესრიგის უხეში დარღვევის შემთხვევაში, როცა პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისკენ ან როცა იგი გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემულობას სასამართლოს, პროცესის მონაწილის ან მხარის მიმართ, სხდომის თავმჯდომარის მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს პირის დაკავებას და დაკავების ოქმის შედგენას. ამასთან ერთად, სხდომის თავმჯდომარე ადგენს მიმართვას, რომელშიც აღწერს დარღვევას, და უგზავნის განკარგულების გამოტანაზე უფლებამოსილ სასამართლოს (მოსამართლეს). დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელსაც გაეგზავნა მიმართვა და რომელიც უფლებამოსილია გამოიტანოს განკარგულება ამ პირის 30 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შესახებ. თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირს ერთხელ უკვე ჰქონდა შეფარებული მსგავსი ქმედებისთვის პატიმრობა, იგი უფლებამოსილია გამოიტანოს განკარგულება ამ პირის 60 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შესახებ. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი ან ორზე მეტი მოსამართლეა, აღნიშნულის თაობაზე განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ დარღვევა მოხდა სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით გამართულ სხდომაზე, განკარგულება გამოაქვს მის მიერ განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ერთი მოსამართლეა, განკარგულება გამოაქვს უახლოესი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა მოხდა საქმის მაგისტრატი მოსამართლის მიერ განხილვისას, განკარგულება გამოაქვს იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის შემადგენლობაშიცაა ეს მაგისტრატი მოსამართლე. სააპელაციო სასამართლოში განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ დარღვევა მოხდა სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით გამართულ სხდომაზე, განკარგულება გამოაქვს მის მოადგილეს ან მის მიერ განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს. საქართველოს უზენაეს სასამართლოში, გარდა დიდი პალატისა, საქმის განხილვისას

განკარგულება გამოაქვს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვისას განკარგულება გამოაქვს იმ მოსამართლეს, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში. დაკავებული პირი, თუ ეს აუცილებელია, შეიძლება გადაეცეს პოლიციას.

პატიმრობის შესახებ საქმის განხილვისას სასამართლო დაკავებულ პირს აცნობებს საქმის განხილვის დროსა და ადგილს. მხარის გამოუცხადებლობა არ იწვევს სხდომის გადადებას. საქმის განხილვა იწყება სხდომის თავმჯდომარის მოხსენებით, რომელიც აცხადებს, ვის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული პატიმრობა, საქმის განხილვაში მონაწილე პირებს განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, საჯაროდ კითხულობს წესრიგის დარღვევის თაობაზე შედგენილ მიმართვას და უსმენს საქმის განხილვაში მონაწილე პირებს. ზეპირი მოსმენისას დამრღვევ პირს/მის ადვოკატს საშუალება ეძლევა, სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები და მისცეს განმარტებები დაკავების კანონიერებისა და პასუხისმგებლობის ზომის თაობაზე. მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება დაპატიმრების შესახებ. განკარგულების გამომტანი სასამართლო ამ განკარგულების ასლს დაუყოვნებლივ გადასცემს დამრღვევ პირს, ასევე განკარგულების ასლს აღსასრულებლად უგზავნის სამართალდამცავ ორგანოებს. დაკავების ვადა ჩაითვლება პატიმრობის საერთო ვადაში. დაპატიმრების შესახებ განკარგულება დაუყოვნებლივ შედის ძალაში. თუ დაპატიმრების შესახებ განკარგულება გამოტანილ იქნა პროცესის მონაწილის მიმართ, სასამართლო სხდომა შეიძლება გადაიდოს აღნიშნული ვადით. განკარგულება გამოიტანება ზეპირი მოსმენის საფუძველზე, დაკავებული პირის წარდგენისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოში წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად კანონი ანიჭებს სასამართლოს მანდატურსაც გარკვეულ უფლებამოსილებას. სასამართლოს მანდატური მინიჭებული უფლების ფარგლებში, სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლის

შემთხვევაში უფლებამოსილია დააკავოს დამრღვევი პირი, რის შესახებაც ადგენს დაკავების ოქმს. სასამართლოს მანდატური ვალდებულია დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, წარუდგინოს იმავე სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს. სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, უფლებამოსილია დაკავებული პირის წარდგენისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, დააკისროს კანონით გათვალისწინებული საპროცესო პასუხისმგებლობა.

დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულება პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა აღნიშნული ღონისძიება, გადაეცემა განკარგულების გამოტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა. პირს შეუძლია გაასაჩივროს საპროცესო პასუხისმგებლობის თაობაზე განკარგულება. აღსანიშნავია, რომ დაჯარიმების შესახებ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულების გასაჩივრება აჩერებს ამ განკარგულების აღსრულებას. ამრიგად საჩივარს გააჩნია ე.წ. „სუსპენზიის ეფექტი“. აღნიშნული საჩივრის განმხილველი მოსამართლე განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და გასაჩივრებული განკარგულების უცვლელად დატოვების შესახებ;
- საჩივრის დაკმაყოფილების და პირის დაჯარიმების შესახებ განკარგულების გაუქმების ან/და სხდომაზე მისი დაბრუნების შესახებ.

დაპატიმრების შესახებ განკარგულება შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა პატიმრობა, სათანადო წესით მისთვის განკარგულების ასლის ჩაბარებიდან 48 საათის ვადაში. შემოსულ საჩივარს სასამართლო დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს. პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარის ან მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის,

თავმჯდომარის მოადგილის ან მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარესთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ან პალატის, გარდა დიდი პალატისა, თავმჯდომარის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში წესრიგის დარღვევის შესახებ მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება იმ მოსამართლესთან, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში. საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე და მისი განხილვის ვადა საჩივრის შეტანიდან 24 საათს არ უნდა აღემატებოდეს. აღნიშნული საჩივრის განმხილველი მოსამართლე განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადანყვეტილებას:

- საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და გასაჩივრებული განკარგულების უცვლელად დატოვების შესახებ;
- საჩივრის დაკმაყოფილების, პირის დაპატიმრების შესახებ განკარგულების გაუქმებისა და პატიმრობიდან მისი გათავისუფლების შესახებ.

მეექვსე თავი

საპროცესო ვადები, ხარჯები, შუამდგომლობა და საჩივარი

§38. საპროცესო ვადები და ხარჯები

1. საპროცესო ვადები

სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი სისხლის საპროცესო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპთაგანია, რომელიც გარანტირებულია არა მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (სსსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი), არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითაც (მე-6 მუხლის პირველი პუნქტი). აქედან გამომდინარე, გამოძიების პროცესი, ისევე როგორც სასამართლოში საქმის განხილვა უნდა მიმდინარეობდეს გონივრულ ვადებში და თავიდან უნდა იქნეს არიდებული პროცესის გაჭიანურება.

სწრაფი, უწყვეტი და გონივრულ ვადებში განხორციელებული სისხლის სამართლის პროცესის უზრუნველსაყოფად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სხვადასხვა მუხლებში ადგენს ვადებს ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებებისთვის და ასევე საჩივრების, შუამდგომლობების შეტანისა და განხილვისთვის. მაგალითად, პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ პირისთვის ბრალი წაყენებულ უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 24 საათისა (სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-2 ნაწილი), დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება (სსსკ-ის 174-ე მუხლის მე-5 ნაწილი), აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორმა სასამართლოს უნდა მიმართოს დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა (სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და ა.შ..

სსსკ-ის 86-ე მუხლის ითვალისწინებს საპროცესო ვადების გამოთვლის ზოგად წესს, რომლის თანახმად, დადგენილი ვადები გამოითვლება საათებით, დღე-ღამეებით, თვეებით. ვადის

სისხლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და ის საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება, გარდა დაკავებისა და პატიმრობის ვადებისა, რომლებიც გამოითვლება წუთებით. საპროცესო ვადაში შედის არასამუშაო დროც, მათ შორის, დასვენებისა და უქმე დღეები. დღე-ღამეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო დღე-ღამის 24 საათზე. თვეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო თვის შესაბამის რიცხვში, ხოლო თუ ბოლო თვეს არა აქვს შესაბამისი რიცხვი - ამ თვის ბოლო დღე-ღამეს. როგორც წესი, საჩივარი, შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი ვადის ამონურვამდე უნდა ჩაბარდეს მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს. სასამართლოს გადაწყვეტილებით ვადა, გარდა დაკავებისა და პატიმრობის ვადებისა, გაცდენილად არ ჩაითვლება, თუ იგი გაცდენილია დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) გამო (სსსკ-ის 87-ე მუხლი). დადგენილი ვადის გაცდენას შედეგად მოყვება ვადების დარღვევით ჩატარებული საპროცესო ქმედების ბათილობა (სსსკ-ის 88-ე მუხლი). თუმცა კანონით ვალისწინებს გაცდენილი ვადის აღდგენასაც. მაგალითად, სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადა, თუ ეს არ იწვევს ბრალდებულის უფლებებისა და გარანტიების არამართლზომიერ შეზღუდვას. გაცდენილი ვადის აღდგენის შუამდგომლობა სასამართლოში წერილობით უნდა იქნეს შეტანილი საპატიო მიზეზის აღმოფხვრიდან 1 კვირის განმავლობაში. სასამართლო ამ საკითხს იხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, 10 დღეში. ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის მტკიცების ტვირთი ეკისრება ვადის გამცდენ პირს. სასამართლოს გადაწყვეტილება გაცდენილი ვადის აღდგენის შუამდგომლობის თაობაზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება (სსსკ-ის 89-ე მუხლი).

II. საპროცესო ხარჯები

1. საპროცესო ხარჯების ცნება

სისხლის სამართლის საქმის წარმოება, როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლოში საქმის განხილვის დროს დაკა-

ვშირებულია გარკვეულ ხარჯებთან. სასამართლომ ნებისმიერი შემაჯამებელი გადანყვეტილების მიღებისას სხვა საკითხებთან ერთად ასევე უნდა იმსჯელოს საპროცესო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე (სსსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის "ი" ქვეპუნქტი).

სსსკ-ის 90-ე მუხლის პირველი ნაწილი იცნობს საპროცესო ხარჯების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთაც მიეკუთვნება:

- ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯი;
 - ექსპერტის გამოცხადების და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი;
 - თარჯიმნის გამოცხადების და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი;
 - მოწმის გამოცხადების ხარჯი;
 - ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯი;
 - ბრალდებულის ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხარჯი;
 - დაცვის მხარისათვის ბრალდების მხარის მიერ გადაცემული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯი;
 - ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯი;
 - მტკიცებულებათა მოპოვების ხარჯი.
- ყველა სხვა დანარჩენი ხარჯების ანაზღაურების საკითხი, რომლებიც მხარეებმა გაიღეს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ არ არის მითითებული აღნიშნულ ჩამონათვალში, ვერ გახდება სასამართლოს მიერ მსჯელობის საგანი და ისინი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

2. ხარჯების ანაზღაურების სუბიექტები

სსსკ-ის 91-ე მუხლის თანახმად, საპროცესო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ბრალდებულს (მსჯავრდებულს) ან მის მემკვიდრეს.

ბრალდებული თავად ანაზღაურებს ადვოკატის მომსახურების ხარჯს. აღნიშნული ხარჯი ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, თუ დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდება.

რაც შეეხება მსჯავრდებულს, მას ეკისრება მის ან მისი ადვოკატის მიერ დაზარალებულის, მოწმის, თარჯიმნისა და ექსპერტის მოწვევის, წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის, მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების, ბრალდების მხარისგან მიღებული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯების ანაზღაურება. სასამართლოს უფლება აქვს, გადახდისუუნარობის შემთხვევაში მსჯავრდებული მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს აღნიშნული ხარჯების გადახდისაგან. რამდენიმე პირის მსჯავრდების დროს საპროცესო ხარჯებს თითოეული მათგანი ბრალის ხარისხისა და დანიშნული სასჯელის სიმკაცრის გათვალისწინებით წილობრივად აანაზღაურებს.

გარდაცვლილი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მემკვიდრეები თავისუფლდებიან საპროცესო ხარჯების გადახდისაგან.

თუ პროცესის რომელიმე მონაწილის (მაგ., მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი და ა.შ.) სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო გადაიდო სასამართლო განხილვა, რამაც გამოიწვია გარკვეული ხარჯები, მისი ანაზღაურება სასამართლოს გადანყვეტილებით დაეკისრება აღნიშნულ პირს.

3. ხარჯების გამოანგარიშება

ვინაიდან სასამართლოსთვის უცნობია გამოძიების სტადიის დროს წარმოქმნილი ხარჯების ოდენობა, საკუთარი საპროცესო ხარჯების შესახებ ცნობას ადგენს პროკურორი და წარუდგენს საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას საკუთარი საპროცესო ხარჯების შეცვლის შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია შესაბამისი ცვლილებები ასახოს ცნობაში და წარუდგინოს სასამართლოს (სსსკ-ის 91-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

სსსკ-ის 91-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სასამართლო

ხარჯების გამოანგარიშების მეთოდუკას ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, თუმცა ამ ეტაპზე სისხლის სამართლის საქმეებისთვის მას აღნიშნული მეთოდუკა არ შეუმუშავებია. დღეისათვის მოქმედებს მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ნაფიცი მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების წესი²⁶⁵. აღნიშნული წესის თანახმად, ნაფიც მსაჯულს სსსკ-ით დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას, აუნაზღაურდება დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯები. მსაჯულობის კანდიდატს, რომელიც არ იქნა არჩეული ნაფიც მსაჯულად, აუნაზღაურდება მხოლოდ კვების ხარჯები. დღიური ხარჯი მოიცავს კვებისა და განაცდურის ხარჯებს. მსაჯულობის კანდიდატის ერთჯერადი კვების ხარჯის დღიური ნორმა განისაზღვრება არაუმეტეს 10 ლარის ოდენობით. ნაფიცი მსაჯულის ორჯერადი კვების ხარჯის დღიური ნორმა განისაზღვრება არაუმეტეს 20 ლარის ოდენობით. ნაფიცმა მსაჯულმა, თუ იგი არ არის საჯარო მოსამსახურე ან სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციაში დასაქმებული პირი, შეიძლება მოითხოვოს განაცდურის ანაზღაურება. აღნიშნულის მიზნით იგი სასამართლოს წარუდგენს ცნობას დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ ან სხვა სარწმუნო ინფორმაციას (დოკუმენტს), რითაც დასტურდება განაცდურის არსებობა. განაცდურის ანაზღაურების ოდენობა შეადგენს 15 ლარს დღეში. ანაზღაურებას არ ექვემდებარება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დღე. რაც შეეხება მგზავრობის ხარჯებს, იგი ანაზღაურდება ნაფიცი მსაჯულის საცხოვრებელი სახლიდან მოვალეობის შესრულების ადგილამდე და უკან უმოკლესი სამგზავრო გზის მანძილის გათვალისწინებით, რომელიც ე. თბილისის მასშტაბით განისაზღვრება დღეში 5 ლარის ოდენობით.

ზემოხსენებული წესის მიხედვით, ნაფიცმა მსაჯულმა შესაძლებელია მოითხოვოს სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურება, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მის მიერ კანონით გა-

²⁶⁵ იხ. „ნაფიცი მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 20 სექტემბრის 1/126 გადაწყვეტილება, რომელიც მოქმედებს 2011 წლის 1 ოქტომბრიდან.

თვალისწინებული მოვალეობის შესრულებასთან, რომლის ანაზღაურების საკითხს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს და წყვეტს სასამართლოს მენეჯერი. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს შესაბამის სასამართლოში ნაფიცი მსაჯულისთვის ასანაზღაურებელი თანხების ოდენობის აღრიცხვასა და კონტროლს.

§39. შუამდგომლობა, საჩივარი და მათი განხილვის ზოგადი წესი

1. შუამდგომლობის დაყენება და მისი გადაწყვეტა

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ანიჭებს მხარეს უფლებას, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმართოს შუამდგომლობით პროცესის მწარმოებელ ორგანოს ან თანამდებობის პირს და მოითხოვოს მათგან გარკვეული საპროცესო ღონისძიებების განხორციელება ან ნებართვა ასეთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე და ასევე უკვე განხორციელებული საპროცესო მოქმედებების დადასტურება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სხვადასხვა მუხლებით განსაზღვრავს მხარეთა მიერ ცალკეულ საკითხებზე შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას. შუამდგომლობის დაყენება არსებობს, როგორც გამოძიების, ისე სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე. მხარეს უფლება აქვს შუამდგომლობით მიმართოს გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს. შუამდგომლობა წარმოადგენს მნიშვნელოვან პროცესუალურ ინსტრუმენტს, მხარის მიერ საკუთარი პროცესუალური უფლებებისა და გარანტიების რეალიზაციასთან დაკავშირებით. მაგალითად, სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის მისაღებად, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. გარდა ამისა, სსსკ-ის 63-ე მუხლი პროცესის ნებისმიერ ეტაპზე ანიჭებს მხარეებს უფლებას, დააყენოს პრო-

ცესის რომელიმე მონაწილის აცხადების შუამდგომლობა და ა.შ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს შუამდგომლობის დაყენების წესს და ფორმას. სსსკ-ის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შუამდგომლობა შეიძლება მხარემ წარადგინოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. წერილობითი შუამდგომლობა უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს. ზეპირი შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს ოქმში. სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს იმავე სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს, მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია და იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან. შუამდგომლობის ავტორი მას ზეპირად ასაბუთებს. თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობს პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე მისი ადვოკატი, მათაც ეძლევათ შესაძლებლობა, მისცენ განმარტებანი და ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებანი. შუამდგომლობის დაყენებისას სასამართლოს წარედგინება სისხლის სამართლის საქმის იმ მასალების ასლები, რომლებიც აუცილებელია მისი განხილვისათვის (სსსკ-ის 94-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-6 ნაწილები).

გამოძიების სტადიაზე შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს მისი დაყენების მომენტიდან არა უგვიანეს 3 დღისა, ხოლო სასამართლოში – დაუყოვნებლივ, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობის დასაყენებლად და დასასაბუთებლად სასამართლო მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. სასამართლოში საქმის განხილვისას დაყენებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით პოზიციის გამოახატავად სასამართლო მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას (სსსკ-ის 93-ე მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 ნაწილები).

შუამდგომლობის გადაწყვეტამდე მის დამყენებელ მხარეს

უფლება აქვს, გაითხოვოს იგი. იმავე შინაარსის შუამდგომლობა, რომელზედაც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, იმავე სასამართლოში აღარ განიხილება (სსსკ-ის 93-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები).

მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილება დამოკიდებულია იმაზე, თუ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხოვნის შესრულება რამდენად უწყობს ხელს სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განხორციელებას. თუ შუამდგომლობა მიმართულია სისხლის სამართლის პროცესის გაჭიანურებისაკენ ან მისთვის ხელის შეშლისაკენ უარი უნდა ითქვას მის დაკმაყოფილებაზე (სსსკ-ის 94-ე მუხლის პირველი ნაწილი). მნიშვნელოვანია, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე გადაწყვეტილების მიმღებმა თანამდებობის პირმა არ უნდა დაარღვიოს პროცესის შეჯობრებითობისა და თანასწორობის პრინციპი. თავისი გადაწყვეტილებით მან ხელოვნურად უთანასწორო პროცესულურ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს მხარე და გაუმართლებლად არ უნდა შეუზღუდოს მინიჭებული პროცესული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. სსსკ-ის 25-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. აღნიშნული ეხება აგრეთვე მხარეთა მიერ დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების საკითხსაც.

შუამდგომლობის განხილვის შედეგად უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ. შუამდგომლობის განხილვის შედეგების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მის ავტორს. თუ შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვა მის დაკმაყოფილებაზე, მას ამ კოდექსით დადგენილი წესით გადაეცემა გადაწყვეტილების ასლი.

II. საჩივარი

მხარეები კანონით მინიჭებული უფლებების დასაცავად სარგებლობენ სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირის მიერ განხორციელებული იმ ქმედების ან

მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობით, რომლებსაც ისინი უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევენ (სსსკ-ის 95-ე მუხლი). მხარეს უფლება აქვს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პროცესის ნებისმიერ სტადიაზე გაასაჩივროს სასამართლოს, პროკურორის, გამოძიებლის ქმედება ან გადაწყვეტილება.

სასამართლოს ქმედების ან გადაწყვეტილების გამო საჩივარი შეიტანება გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოში. აღნიშნული გულისხმობს სასამართლოს ყველა იმ გადაწყვეტილების გასაჩივრებას, რომელიც არ ატარებს შემაჯამებელ ხასიათს. სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების (განაჩენის) თაობაზე მხარეს უფლება აქვს შეიტანოს სააპელაციო ან საკასაციო საჩივარი, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკე ნორმებით რეგულირდება (იხ. სსსკ-ის 25-ე და 26-ე თავები).

საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, რომელიც დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს. მხარეს საჩივარი შეაქვს იმდენ ეგზემპლარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საჩივრის განხილვაში მონაწილეთათვის მისი გადაცემა. საჩივრის შეტანის ზოგად ვადად განსაზღვრულია 10 დღე მას შემდეგ, რაც მომჩივნისათვის ცნობილი გახდა იმ ქმედების ან გადაწყვეტილების თაობაზე, რომელსაც იგი უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს. თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვადასხვა მუხლები ადგენენ პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირების ცალკეული ქმედებებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფრო შეზღუდულ ვადებს. მაგალითად, სსსკ-ის 156-ე მუხლის მიხედვით, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება შესაძლებელია განჩინების გამოცემიდან მხოლოდ 48 საათის განმავლობაში. ასევე, სსსკ-ის 207-ე მუხლის პირველი ნაწილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადად განსაზღვრავს 48 საათს.

საჩივარში უნდა აღინიშნოს, რა მოთხოვნები იქნა დარღვეული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რით გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა. საჩივარს უნდა დაერთოს მასში მითითებული გარე-

მოებების დამადასტურებელი მასალები, მათ შორის, იმ ახალი გარემოებებისა, რომლებიც არ იყო ცნობილი გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას.

როგორც წესი, საჩივრის შეტანა არ იწვევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებას (ე.წ. „სუსპენზიის ეფექტი“). სუსპენზიის ეფექტი საჩივარს აქვს მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ კონკრეტულ შემთხვევებში (მაგ., სსსკ-ის 85-ე მუხლის 14' ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა), ან მაშინ თუ ამას მხარის შუამდგომლობით საჭიროდ მიიჩნევს საჩივრის განმხილველი ორგანო ან პირი (სსსკ-ის 96-ე მუხლი).

იმისათვის რომ საჩივარი განხილულ იქნეს მიუკერძოებლად და მიღებულ იქნეს ობიექტური გადაწყვეტილება, დაუშვებელია საჩივრის განხილვა იმ პირის მიერ, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილებაც საჩივრდება. საჩივრის განმხილველი ორგანო ან პირი ვალდებულია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა და სხვა პირთა დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღსადგენად. თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, საჩივარი განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს საჩივარზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე ორგანოსათვის ან პირისათვის საჩივრის გადაცემიდან 3 დღეში (სსსკ-ის 97-ე მუხლი). საჩივრის გადაწყვეტამდე მის შემტან მხარეს უფლება აქვს, გაითხოვოს იგი. საჩივრის განხილვის შედეგად შეიძლება მიღებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის გაუქმების ან შეცვლის შესახებ;
- საჩივრის უარყოფის შესახებ.

საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მომჩივანს. თუ მომჩივანს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, მას გადაეცემა გადაწყვეტილების ასლი (სსსკ-ის 99-ე მუხლი). საჩივარი და მიღებული გადაწყვეტილება უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

ბიბლიოგრაფია

- აქუბარდია, ი., დაცვის ხელოვნება, თბილისი 2011;
- ბურჯანაძე, გ., პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, კორკელია, კ. (რედ.), თბილისი 2012, გვ. 46-70;
- გვენეტაძე, ნ., ტურავა, მ.: სისხლის სამართლის საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი 2005;
- გიორგაძე, გ./ბარამიძე, ა., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბილისი 2014;
- გუცენკო, კ. ფ./გოლოვკო, ლ.ვ./ფილიმონოვი, ბ.ა.: დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, (ქართული თარგმანის ავტორები ბოხაშვილი, ი., შაყულაშვილი, თ., ხუციშვილი, ვ., გოგინიაშვილი, ნ., გოგშელიძე, რ. (რედ.), თბილისი 2007;
- დვალიძე, ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბილისი 2008;
- დვალიძე, ი., „სულიერი გახრწნის“ პრობლემა სისხლის სამართალში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის შრომები, თბილისი 2011;
- თუმანიშვილი, გ.: დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, კრებულში: სამართლი ყურნალი (თსუ იურიდიული ფაკულტეტი) 2, თბილისი 2009, გვ. 63-88;
- თუმანიშვილი, გ.: აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, კრებულში: სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში (სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული), ტურავა, მ. (რედ.), თბილისი 2013, გვ. 253-274.
- კუბლაშვილი, კ.: ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელ-

მძღვანელო, თბილისი 2008;

- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, (ავტორთა ჯგუფი), თბილისი 2013, *(ციტირებულია ავტორის მიხედვით)*;
- საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2005, *(ციტირებულია ავტორის მიხედვით)*;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო, *ქოქრაშვილი, თ. (რედ.)*, რეკომენდაციები სასამართლოს გადანყვევტილების შედეგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესების შესახებ, თბილისი 2010;
- სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, მე-2 გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, *გოგ-შელიძე, რ. (რედ.)*, თბილისი 2009,
- საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, *ვახოვიძე, ჯ., მამნიაშვილი, მ., ვაბისონია, ი. (რედ.)*, თბილისი 2013; *(ციტირებულია ავტორის მიხედვით)*;
- *ტრექსელი, შ.*: ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2009;
- *ტურავა, მ.*: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომის სტატუტთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის კომენტარი, თბილისი 2005;
- *ტურავა, მ.*: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი 2011;
- *შალიკაშვილი, მ.*: ვიქტიმოლოგია-მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი 2011;
- *შალიკაშვილი, მ.*: არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი 2013;
- *ჩხეიძე, ი.*, მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2010;
- *ჩხეიძე, ი.*: სასამართლოს მეგობარი ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (Amicus Curiae), ჟურნალში: მართლმსაჯულება და კანონი 3 (30), თბილისი 2011, გვ. 134-139;
- *ხარაზიშვილი, ბ.*: მტკიცებითი სამართალი (ნარკვევები),

- თბილისი 1982;
- ხუბუა, გ.: სამართლის თეორია, თბილისი 2004;
 - *Albanese, J.*: Criminal Justice, 4th ed., Boston 2008;
 - *Alschuler, A. W.*: The Exclusionary Rule and Causation: Hudson v. Michigan and Its Ancestors, *Lowa L. Rev.* 93, 2008, 1741-1818;
 - *Ambos, K.*: Beweisverwertungsverbote, Grundlagen und Kasuistik – internationale Bezüge – ausgewählte Probleme, Berlin 2010;
 - *Amelung, K.*: Informationsbeherrschungsrechte im Strafprozess, Dogmatische Grundlagen individualrechtlicher Beweisverbote, Berlin 1990;
 - *Amelung, K.*: Prinzipien strafprozessualer Beweisverwertungsverbote, Berlin 2011;
 - *Anderson, J./Thompson, B.*: American Criminal Procedure, Durham 2007;
 - *Bain, J. M./Kelly, M. K.*: Fruit of the Poisonous Tree: Recent Developments as Viewed Through its Exception, *U.Miami L. Rev.* 31, 1977, 615-650;
 - *Barth, H.*: Die Beweisaufnahme im Strafverfahrensrecht des Auslands. Rechtsvergleichendes Gutachten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz, Freiburg 1995;
 - *Bauer, Y.*: Täter-Opfer-Ausgleich in der Kritik: Im historischen Kontext von Strafsystemen eine humane Alternative? Oldenburg 1997;
 - *Bernsmann, K.*: Verwertungsverbot bei fehlender und mangelhafter Belehrung, *StraFo*, 1998, 73-77;
 - *Beulke, W.*: Der Verteidiger im Strafverfahren. Funktionen und Rechtsstellung, Frankfurt am Main 1980;
 - *Beulke, W.*: Beweiserhebungs- und Beweisverwertungsverbote im Strafverfahren im Spannungsfeld zwischen den Garantien des Rechtsstaates und der effektiven Bekämpfung von Kriminalität und Terrorismus, *Jura* 2008, 653-666;
 - *Beulke, W.*: Strafverteidiger im Spannungsfeld zwischen Rechtsstaatlichkeit und Verfahrenseffizienz in Deutschland, in: *Alte Strafrechtsstrukturen und neue gesellschaftliche Herausforderungen in Japan und Deutschland Kühne/Miyazawa* (Hrsg.), Berlin 2000;
 - *Beulke, W.*: Strafprozessrecht, 11. Auflage, Heidelberg u.a. 2010;
 - *Bienert, A.*: Private Ermittlungen und ihre Bedeutung auf dem Gebiet

der Beweisverwertungsverbote, Aachen 1997;

- *Bloom, R. M.*: Inevitable Discovery: An Exception beyond the Fruits, *Am.J.Crim.L.* 20, 1992, 79-103;
- *Bockemühl, J.*: Private Ermittlungen im Strafprozess, Ein Beitrag zu der Lehre von den Beweisverboten, Baden-Baden 1996;
- *Bradley, C. M.*: The Emerging International Consensus as to Criminal Procedure Rules, 14 *Michigan Journal of International Law*, 1993, 173;
- *Brandsdorfer, M.*: Miran/da Right-to-Counsel Violations and the Fruit of the Poisonous Tree Doctrine, *Ind.L.J.* 62, 1987, 1061-1100;
- *Broun, K. S.*: *McCormick* on Evidence, St. Paul 1992;
- *Buisson, J.*: La garde à vue dans la loi du 15 juin 2000, *Rev. Sc. Crim.*, 2001, 35-49;
- *Carlson, R.*: *Criminal Justice Procedure*, 7th ed., Newark 2005;
- *Chao, Y.-Ch.*: Einwirkungen der Grundrechte auf die Beweisverbote im Strafprozessrecht, Berlin 2009;
- *Corwin E. S.*: *The Constitution and what it means today*, 14th ed., Princeton 1978;
- *Crame, S./Bürge, M.*: Die strafprozessualen Beweisverwertungsverbote, Darstellung für die Praxis anhand höchstrichterlicher Rechtsprechung, 2. Auflage, Stuttgart 2004;
- *Dahs H./Langkeit J.*: *Demontage des Zeugnisverweigerungsrechts? StV* 1992, 492-496;
- *Delattre, G.*: TOA in Deutschland, Fachtage Herbstein 2001. 11. berufsbegleitender Lehrgang zum Konfliktberater/zur Konfliktberaterin im Arbeitsfeld Täter-Opfer-Ausgleich, Herbstein 2001;
- *Del Carmen, R.*: *Criminal Procedure: Law and Practice*, 8th ed., Belmont 2010;
- *Dornach, M.*: Der Strafverteidiger als Mitgarant eines justizförmigen Strafverfahrens: Ein Plädoyer für die öffentlichen Funktionen des Strafverteidigers, Berlin 1994;
- *Dressler, J.*: *Understanding Criminal Procedure*, 3rd ed., Newark 2002;
- *Dürig, G.*: Der Grundrechtssatz von der Menschenwürde, Entwurf eines praktikablen Wertsystems der Grundrechte aus Art. 1 Abs. I in Verbindung mit Art. 19 Abs. II des Grundgesetzes, AöR 81 (1956),

- *Duttge, G.*: Strafprozessualer Einsatz von V-Personen und Vorbehalt des Gesetzes, JZ, 1996, 556-565;
- *Eisenberg, U.*: Beweisrecht-der StPO. Spezialkommentar, 5. Auflage, München 2006;
- *Eser, A.*: Einführung in das Strafprozessrecht, München 1983;
- *Eser, A.*: Vorzugswürdigkeit des adversatorischen Prozesssystems in der internationalen Strafjustiz? Reflektionen eines Richters, in: Festschrift für Heike Jung (Hrsg.. Heinz Müller-Dietz u.a.), Baden-Baden 2007;
- *Eser, A.*: Reflexionen zum Prozesssystem und Verfahrensrecht internationaler Strafgerichtsbarkeit, in: Festschrift für Klaus Tiedemann zum 70. Geburtstag (Hrsg. Ulrich Sieber), Köln 2008;
- *Esser, R.*: Auf dem Weg zu einem europäischen Strafverfahrensrecht, Grundlagen im Spiegel der Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte (EGMR) in Straßburg, Berlin 2002;
- *Finger, Th.*: Prozessuale Beweisverbote, Eine Darstellung ausgewählter Fallgruppen, JurnalSi: JA 2006 529-539;
- *Frowein J. A./ Peukert W.*: Europäische Menschenrechtskonvention: EMRK-Kommentar, 3. Auflage, Kehl u.a. 2009;
- *Gaede, K.*: Fairness als Teilhabe - Das Recht auf konkrete und wirkungsvolle Teilhabe durch Verteidigung gemäß Art. 6 EMRK. Ein Beitrag zur Dogmatik des fairen Verfahrens in europäischen Strafverfahren und zur wirksamkeitsverpflichteten Konventionsauslegung unter besonderer Berücksichtigung des Rechts auf Verteidigerbeistand, Berlin 2007;
- *Geisler, M.*: Die Ausgestaltung des Anklageprinzips nach amerikanischem Strafverfahrens- und Verfassungsrecht, Berlin 1998;
- *Gershman, B. L.*: Prosecutorial Misconduct in Presenting Evidence: "Backdoor" Hearsay, Criminal Law Bulletin 31 (1995), 99-112;
- *Giddings, J. M.*: The Interaction of the Standing and the Inevitable Discovery Doctrines of the Exclusionary Rule: Use of Evidence Illegally Obtained from the Defendant and from a Third Party, Iowa L.Rev. 91, 2006, 1063-1089;
- *Godenzi, G.*: Das strafprozessuale Verbot staatlicher Beweismittelherleiheri: Königsweg oder Luftschloss? GA 2008a, 500-515;

- *Godenzi, G.:* Private Beweisbeschaffung im Strafprozess, Eine Studie zu Strafprozessualen Beweisverboten im Strafprozess, Zürich u.a. 2008;
- *Gollwitzer, W.:* Europäische Menschenrechtskonvention, Internationaler Pakt über bürgerliche und politische Rechte: Lowe-Rosenberg STPO, Grosskommentar, 24. Auflage, Berlin u.a. 1992;
- *Gössel, K.-H.:* Die Stellung des Verteidigers im rechtsstaatlichen Strafverfahren, ZStW 94, 1982, 5-36;
- *Götting, S.:* Beweisverwertungsverbote in Fällen gesetzlich nicht geregelter Ermittlungstätigkeit. Durch V-Leute, Scheinaufkäufer und Privatleute, Berlin 2001;
- *Grabitz, E.:* Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, AöR 98 (1973), 568-611;
- *Grant, H./Terry, K.:* Law Enforcement in the 21st Century, Boston 2005;
- *Günther, H.:* Staatsanwaltschaft, Kind der Revolution, Versuch eines juristischen Essays, Frankfurt am Main u.a. 1973;
- *Hall, D.:* Criminal Law and Procedure, 4th ed., Miami 2004;
- *Harris, D./O'Boyle, M./Warbrick, C.:* Law of the European Convention on Human Rights, London 1995;
- *Hassemer, W./Matussek, K.:* Das Opfer als Verfolger, Ermittlungen des Verletzten im Strafverfahren, Frankfurt am Main u.a. 1996;
- *Heinicke, G.:* Der Beschuldigte und sein Verteidiger in der Bundesrepublik Deutschland, Die Geschichte ihrer Beziehung und die Rechtsstellung des Verteidigers heute, München 1984;
- *Heinrich, B.:* Strafrecht – Allgemeiner Teil I, Grundlagen der Strafbarkeit, Aufbau der Straftat beim Vollendungs- und Versuchsdelikt, Stuttgart 2005;
- *Herrmann, J.:* Aufgaben und Grenzen der Beweisverwertungsverbote. -Rechtsvergleichende Überlegungen zum deutschen und zum amerikanischen Recht, in: Festschrift für Hans-Heinrich Jescheck zum 70. Geburtstag, Vogler, Th. (Hrsg.), Berlin 1985;
- *Herrmann, J.:* Die Reform der deutschen Hauptverhandlung nach dem Vorbild des anglo-amerikanischen Strafverfahrens, Bonn 1971;
- *Holtfort, W.:* Strafverteidiger als Interessenvertreter, Berufsbild und Tätigkeitsfeld, Luchterhand 1979;

- *Hüls, S.*: Der Richtervorbehalt – seine Bedeutung für das Strafverfahren und die Folgen von Verstößen, ZIS 2009, 160-169;
- *Hutzi P. W.*: Die Verfassungsmäßigen bundesrechtlichen Schranken im einzelstaatlichen Strafprozeß, Zürich 1974;
- *Ingram, J.*: Criminal Procedure-Theory and Practice, 3rd ed., New Jersey 2009;
- *Isensee, J., Kirchhof, P.*: Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, 4. Band, Freiheitsrechte, Heidelberg 1989;
- *Israel, J./Kamisar, Y./Lafave, W.*: Criminal Procedure and the Constitution – Leading Supreme Court Cases and Introductory Text, Eagan 1991;
- *Jäger, C.*: Beweiserhebungs- und Beweisverwertungsverbote als prozessuale Regelungsinstrumente im strafverfolgenden Rechtsstaat, GA 2008, 473-499;
- *Jahn, M.*: Grundfragen und aktuelle Probleme der Beweisverwertung im Straf- und Strafverfahren, in: *Jahn, M./Kudlich, H./Streng, F.*, (Hrsg.), Strafrechtspraxis und Reform, Festschrift für Heinz Stöckel, Berlin 2010;
- *Janicki, K.*: Beweisverbote im deutschen und englischen Strafprozeß, Auswirkungen auf die europäische Zusammenarbeit, Baden-Baden 2002;
- *Jung, H.*: Strafverteidigung in Europa, StV 1990, 509-517;
- *Kaiser, S.*: Die Drei-Stufen-Theorie zur Bestimmung von Beweisverboten im Strafprozess, Berlin 1999;
- *Kälin, W.*: Die Europäische Menschenrechtskonvention als Faktor der europäischen Integration, in: Im Dienst an der Gemeinschaft, Festschrift für Dietrich Schindler zum 65. Geburtstag, Haller, W. (Hrsg.), Basel u.a. 1989;
- *Kamisar, Y./ La Fave, W./Israel, J. H./ King, N./ Kerr, O. S.*: Basic Criminal Procedure, 12 ed., Eagan 2008;
- *Kelnhofer, E./Krug, B.*: Der Fall LGT Liechtenstein – Beweisführung mit Material aus Straftaten im Auftrag des deutschen Fiskus? StV 2008, 660-668;
- *Kleinknecht, Th.*: Die Beweisverbote im Strafprozess – Gedanken zu einem Thema des 46. Deutschen Juristentages, NJW 1966, 1537-1545;

- *Klotter, J. C.*: Criminal Evidence, 7th ed., Cincinnati 2000;
- *Kondziela, A.*: Opferrechte im Jgendstafrecht, Legitimation und Grenzen aus theoretischer und empirischer Sicht, Frankfurt am Mein u.a. 1991;
- *Koriath, H.*: Über Beweisverbote im Strafprozess, Frankfurt am Mein u.a. 1994;
- *Körner, H.H.*: Die Glaubwürdigkeit und die Strafbarkeit von V-Personen – die Strafbarkeit der provozierten Tat, StV 1982, 382-386;
- *Kühne, H.-H.*, Starfprozessrecht, Eine systematische Darstellung des deutschen und europäischen Strafverfahrensrechts, 8. Auflage, Heidelberg 2010;
- *La Fave, W./ Israel, J. H./ King, N.*: Criminal Procedure, Volume 3, 2nd ed., Eagan 1999/2007;
- *Linkenheil, B.*: Laienbeteiligung an der Strafjustiz: Relikt des bürgerlichen Emanzipationsprozesses oder Legitimation einer Rechtsprechung „Im Namen des Volkes“? Berlin 2003;
- *Löffelmann, M.*: Die normativen Grenzen der Wahrheitserforschung im Strafverfahren, Berlin 2008;
- *Löhr, S.*, Prozeßgrundrechte in Deutschland, Frankreich und England, Berlin 2012;
- *Maguire, R. F.*: How to Unpoison the Fruit –The Fourth Amendment and the Exclusionary Rule, J. Crim.L.C.&P.S. 55, 1964, 307-321;
- *Meier, B.-D.*: Strafrechtliche Sanktionen, Berlin 2001;
- *Mende, B.*: Grenzen privater Ermittlungen durch den Verletzten einer Straftat, Berlin 2001;
- *Mitsch, W.*: Beschuldigtenstatus und Belehrungspflicht, NStZ, 2008, 49-50;
- *Murmann, U.*: Über den Zweck des Strafprozesses, GA 2004, 65-86.;
- *Naucke, W.*: Strafrecht – Eine Einführung, 9. Auflage, Frankfurt am Main 2000;
- *Osmer, J.-D.*: Der Umfang Beweisverwertungsverbots des §136a StPO, Hamburg 1966;
- *Ossenberg, S.*: Die Fernwirkung im deutsch- U.S.-amerikanischen Vergleich, Unter besonderer Berücksichtigung der Funktionen der Beweisverwertungsverbote, Hamburg 2011;
- *Otto, H.*: Grenzen und Tragweite der Beweisverbote im Strafver-

fahren, GA 1970, 289-305;

- Pawlik, M.: Zur strafprozessualen Verwertbarkeit rechtswidrig erlangter ausländischer Bankdaten, JT 2010, 693-702;
- Pitler, R. M.: „The Fruit of the Poisonous Tree“, Revisited and Shepardized, *krebulSi: Cal.L.Rev.* 56, 1968, 579-651;
- Rakos, R. E./Landsman, S.: Researching the Hearsay Rule: Emerging Findings, General Issues, and Future Directions, *Minnesota Law Review* 76 (1992), 655-682;
- Rambach, P.: Die strafprozessuale Überwachung des Fernmeldeverkehrs in Frankreich, JZ 1991, 78-79;
- Reamey, G. S.: The American Exclusionary Rule Experience, Beweisverbote in Ländern der EU und vergleichbaren Rechtsordnungen, Freiburg i. Br. 1999;
- Ritterband, C. E.: *Universeller Menschenrechtsschutz und völkerrechtliches Interventionsverbot*, Bern 1982;
- Robinson, P. L.: Rough Edges in the Alignment of Legal Systems in the Proceedings at the ICTY, *Journal of International Criminal Justice* 3 (2005) 1037-1058;
- Rogall, K.: Beweisverbote im System des deutschen und amerikanischen Strafverfahrensrecht, *Zur Theorie und Systematik des Strafprozessrechts*, Wolter, J. (Hrsg.), 1995, 113-160;
- Rogall, K.: Gegenwärtiger Stand und Entwicklungstendenzen der Lehre von den strafprozessualen Beweisverboten, *ZStW* 91 (1979) 1-44;
- Rössner, D.: *Wiedergutmachung statt Übelvergelteten, Täter-Opfer-Ausgleich. Vom zwischenmenschlichen Weg zur Wiederherstellung des Rechtsfriedens*, Bonn 1989;
- Roxin, C./Schünemann, B.: *Strafverfahrensrecht*, 26. Auflage, München 2009;
- Roxin, C.: Zum Beweisverwertungsverbot bei bewusster Missachtung des Richtervorbehaltes nach § 105 I 1 StPO, *NStZ* 2007, 616-618;
- Roxin, C.: Zum Hörfallenbeschuß des großen Senats für Strafsachen, *NStZ*, 1997, 18-21;
- Roxin, C./Schäfer, G./Widmaier, G.: Die Mühlenteichtheorie – Überlegungen zur Ambivalenz von Verwertungsverboten, *StV* 2006, 655-

661;

- *Sadoghi, A.*: Die Geschworenengerichtsbarkeit in den internationalen Strafverfahrenssystemen, Zeitschrift für Rechtsvergleichung, Internationales Privatrecht und Europarecht (ZfRV) 2007, 231-237;
- *Saltzburg S. A.*: American Criminal Procedure: Cases and Commentary, 3rd ed., St Paul 1988;
- *Schild, W.*: Täter-Opfer-Ausgleich als Strafe, in: Festschrift für Friedrich Geerds zum 70. Geburtstag, Lübeck 1995;
- *Schmid, N.*: Strafverfahren und Strafrecht in den Vereinigten Staaten, 2. Auflage, Heidelberg 1993;
- *Schmidhäuser, E.*: Vom Sinn der Strafe, Berlin 1963;
- *Schoch, F.*: Besonderes Verwaltungsrecht, *Schmidt-Aßmann, E.* (Hrsg.), Berlin 2003;
- *Scholz, R.*: Das Grundrecht der freien Entfaltung der Persönlichkeit in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, AöR 100 (1975), 265-290;
- *Schroth, U.*: Beweisverwertungsverbote im strafverfahren. – Überblick, Strukturen und Thesen zu einem umstrittenen Thema, JuS 1998, 969-980;
- *Schwaben, S.*: Die Personelle Reichweite von Beweisverwertungsverbote, Göttingen 2005;
- *Störmer, R.*: Dogmatische Grundlagen der Verwertungsverbote – Eine Untersuchung über die Strukturen strafprozessualer Verwertungsverbote unter dem Einfluss der Verfassung und der Grundsätze des öffentlichen Rechts, Marburg 1992;
- *Szdw, F.*: Kritik an der Lehre von den, „Beweisverboten“, Würzburg 1967;
- *Talmon, S.*: Der Anti-Terror-Kampf der USA und die Grundrechte, in: An den Grenzen des Saates, Kolloquium zum 65. Geburtstag von Wolfgang Graf Vitzthum, *Kämmerer J.-A.* (Hrsg.), Berlin 2008;
- *Tiedemann, K.*: Die Reformbewegungen im Strafverfahren und der Schutz der Menschenrechte, ZStW 105, 1993, 931-948;
- *Travis, L. F.*: Introduction to Criminal Justice, 6th ed., Burlington 2008;
- *Trüg, G./Habetha, J.*: Die Lichtensteiner Steuerraffäre-Strafverfolgung durch die Begehung von Straftaten? NJW 2008, 887-890;

- *Trüg, G.*: Lösungskonvergenzen trotz Systemdivergenzen im deutschen und US- amerikanischen Strafverfahren, Ein strukturanalytischer Vergleich am Beispiel der Wahrheitserforschung, Tübingen 2003;
- *Tumanishvili, G.*: Erweiterung der strafprozessualen Rechtsstellung des Verletzten? Eine rechtsvergleichende Untersuchung am Beispiel des deutschen und georgischen Rechts, Hamburg 2008;
- *Volk, K.*: Grundkurs StPO, 5.Auflage, München 2006;
- *Voller, Th.*: Der Staat als Urheber von Straftaten, Zur Berechtigung des Einsatzes von Lockspitzeln zur Verwertbarkeit der durch sie geschaffenen Beweise, Tübingen 1983;
- *Waltz, J. R.*: Introduction to Criminal Evidence, 4th ed., Wadsworth 1997;
- *Warnking, V.*: Strafprozessuale Beweisverbote in der Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte und ihre Auswirkungen auf das deutsche Recht, Frankfurt am Main u.a. 2009;
- *Wasserstrom, S./Mertens, W. J.*: The Exclusionary Rule on the Scaffold: But What is a Fair Trial? Am.Crim.L.Rev. 22, 1984, 85-179;
- *Welp, J.*: Der Verteidiger als Anwalt des Vertrauens, ZStW 90, 1978, 101-131;
- *Welp, J.*: Die Geheimsphäre des Verteidigers in ihren strafprozessualen Funktionen, in: Festschrift für Wilhelm Gallas, Berlin 1973;
- *Weßlau, E.*: Waffengleichheit mit dem „Organisierten Verbrechen“? Zu den bürgerrechtlichen Kosten eines Anti-OK-Sonderrechtssystems, KritV, 1997, 238-247;
- *Wolf, G.*: Das System des Rechts der Strafverteidigung: Die Struktur der gesetzlichen Regelung und ihre Bedeutung für die Praxis, Frankfurt (Oder) 2000;
- *Zätzsch, J.*: Richterliche Unabhängigkeit und Richterauswahl in den USA und Deutschland, Baden-Baden 2000.



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75


ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;

<https://www.facebook.com/PublishingHouseLawyersWorld>

IRZ

ISBN- 978-9941-9354-4-2



9 789941 935442